

მერი ლინი ბარბერა

როგორ ვასწავლოთ აუტიზმის და მსგავსი დარღვევების მქონე ბავშვებს?

ვერბალური ქცევის მიდგომა



მერი ლინჩ ბარბერა

**როგორ ვასწავლოთ აუტიზმის და
მსგავსი დარღვევების მქონე ბავშვებს?**

ვერბალური ქცევის მიდგომა

პირველი ქართული გამოცემა © ნიუტონის თავისუფალი სკოლა, 2021
ყველა უფლება დაცულია

ქართული გამოცემის ინიციატორი და რედაქტორი **სოფიო ბასლანძე**
გამოცემის მენეჯერი **ნინო გოგინაშვილი**
მთარგმნელი **ირინა აბულაშვილი**
ილუსტრაცია ყდისთვის **ნიკა სადალაშვილი**
დამკაბადონებელი **დათო მოსიაშვილი**

Mary Lynch Barbera
The Verbal Behavior Approach: How to Teach Children with Autism
and Related Disorders

Copyright © Mary Lynch Barbera, 2007
Copyright © Tracy Rasmussen, 2007
Foreword Copyright © Mark L. Sundberg, 2007

This translation of The Verbal Behavior Approach is published by
arrangement with Jessica Kingsley Publishers Ltd
www.jkp.com

Georgian translation was published by Newton Free School, 2021
All rights reserved.

ISBN 978-9941-8-2998-7

დაიბეჭდა სტამბა „ფავორიტიში“

სარჩავი

შესავალი	5
I თავი. პირველი ნაბიჯები ქვევის გამოყენებით ანალიზში	10
II თავი. ქვევის გამოყენებითი ანალიზის ანაბანა	25
III თავი. შეფასება.....	49
IV თავი. განმამტკიცებლები და მათი შემუშავება.....	63
V თავი. მენდირება (სასურველის მოთხოვნა)	80
VI თავი. მეტყველების გაუმჯობესება ხმოვანი მეტყველების არმქონე ბავშვებში	93
VII თავი. უშეცდომო სწავლება და ტრანსფერის პროცედურები... ..	108
VIII თავი. რეცეპციული ენობრივი უნარებისა და სხვა არავერბალური ოპერანტების სწავლება	122
IX თავი. ვერბალური ოპერანტების სწავლება.....	139
X თავი. პროგრამის აგება	156
XI თავი. ტუალეტის მოხმარებისა და თვით-მოვლის სხვა მნიშვნელოვანი უნარების სწავლება.....	173
XII თავი. რამდენიმე დასკვნითი მოსაზრება.....	191

დანართები

დანართი 1. ტერმინების განმარტება.....	209
დანართი 2. ვერბალური ქვევის შეფასების ფორმა	213
დანართი 3. უნარებზე დაკვირვების ანკეტები.....	219
დანართი 4. ყოველკვირეული სასინჯი შეფასების ანკეტა – ნიმუში	221
დანართი 5. გამოსადეგი ვებ-საიტები.....	224
დანართი 6. ბიბლიოგრაფია და დამატებითი საკითხავი	226

შესავალი

საკვირველია, მაგრამ როცა მუშაობის ათწლიანი გამოცდილების მქონე ექთანს თერაპევტმა მეუღლემ პირველად მიხსენა, ჩვენს 21 თვის ვაჟს, ლუკასს აუტიზმი ხომ არ აქვსო, ისევე დავიბენი და გავბრაზდი, როგორც ეს ნებისმიერ სხვა მშობელს მოუვიდოდა.

სიმართლე ითქვას, არც აუტიზმთან მუშაობის გამოცდილება მქონდა და არც გონებაში ოდესმე გამივლია, რომ ჩემი პირველშობილი იდეალური ბავშვი არ იყო.

მაინც, საიდან მოიტანა ჩემმა ქმარმა, რომ ბავშვს აუტიზმი ჰქონდა?

პირველ რიგში, აღნიშნა, ლუკასი სათამაშოებით არ თამაშობს და ტელევიზორით ზედმეტადაა გატაცებულიო. თანაც, იყო პერიოდები, როცა რჩებოდა შთაბეჭდილება, თითქოს, უბრალოდ, თავის სამყაროში გადადიოდა. იმ დროს აუტიზმის ხსენებაც არ მინდოდა და პასუხად ვუთხარი, ლუკასი ლაპარაკობს, მთელი ათი სიტყვა იცის, რაც ორ წლამდე ბავშვისათვის არც ისე იშვიათია და, საერთოდ, თბილი ბიჭია და ჩახუტება უყვარსთქო.

ჩემი აზრით, ბავშვის მდგომარეობა აუტიზმს არ ჰგავდა, რადგან მისი ქცევა აუტიზმის ჩემს წარმოდგენებში არ ეწერებოდა. თავს არაფერს ურტყამდა. აქეთ-იქით არ ირწეოდა. საერთოდ, ისეთს არაფერს აკეთებდა, რასაც მე აუტისტურად ვთვლიდი.

იმ დღეს ჩემს ქმარს ვუთხარი, ალბათ, გაგიჟდი, აუტიზმი საერთოდ რომ ახსენე-მეთქი. ლუკასს აუტიზმი არ აქვს და საერთოდ, სიტყვა „აუტიზმის“ გაგონება აღარ მსურს მეთქი.

რა ვიცოდი, რომ სულ ერთ წელიწადში აუტიზმი და მისი მკურნალობის ფორმები ჩემს ცხოვრებაში შემოიჭრებოდა.

სულ ცოტა ხანი იქნებოდა გასული მას შემდეგ, რაც ჩემმა ქმარმა ეს ავადსახსენებელი სიტყვა წარმოთქვა, რომ გავაცნობიერე – სინამდვილეში წარმოდგენაც არ მქონდა, მცირეწლოვან ბავშვებში აუტიზმი როგორ გამოიყურება. გულში ისიც ვადიარე, რომ როგორც ექიმს, ჩემს ქმარს ჩემზე ბევრად უკეთ შეეძლო, რომ ლუკასის ქცევა მისი თანატოლების საქციელთან შეედარებინა.

ამრიგად, მეუღლის კომენტარმა ეჭვი მაინც გამიჩინა და მეც ყურადღებით დავიწყე დაკვირვება, როგორ ურთიერთქმედებდა (ან არ ურთიერთქმედებდა) გარემოსთან ჩემი შვილი. ყოველთვის,

როცა რაღაც უცნაურს გააკეთებდა, მაშინვე აუტიზმი მახსენდებოდა. ვუყურებდი, როგორ იღებდა სათამაშოებს და მეთოდურად გადაჰქონდა ერთი კალათიდან მეორეში; მე კი ვფიქრობდი, იქნებ...

საკმარისი იყო, სკამიდან მოქანავე თოქს სულ რამდენიმე წამი გათამაშებოდა, მაშინვე შევშფოთდებოდი, იქნებ...

„აუტიზმი“, „აუტიზმი“, „აუტიზმი“, მიელავდა გონებაში. მე ხომ მინდოდა, ჩვეულებრივი შვილი მყოლოდა და არა აუტიზმის მქონე ბავშვი. სინამდვილეში, ლუკასს აუტიზმი მართლაც ჰქონდა. ხოლო ის ფაქტი, რომ მე თავი ქვიშაში ჩავრგე და რეალობისთვის თვალის გასწორება არ მსურდა, მის მდგომარეობას არაფრით შველოდა.

შველოდა კი არა, ამძიმებდა კიდევ.

ლუკასი თანატოლებს მეტყველებაში თანდათან ძალიან ჩამორჩებოდა. მალე ყველაფერი ცხადი გახდა. ორწლიანხევრის რომ იყო, მისი თანატოლები მშობლებთან მირობდნენ და მეგობრის სახლში გაშვებას სთხოვდნენ, სრულყოფილ, გამართულ წინადადებაებს იყენებდნენ. მაშინ, როდესაც ლუკასის თანატოლები სრული წინადადებებით საუბრობდნენ და სხვა ბავშვებს უმეგობრდებოდნენ, ჩემი ამოცანა იყო, ლუკასისათვის როგორმე სიტყვა „ბურთის“ წარმოთქმა მესწავლებინა. სწორედ მაშინ გავიზრე, რომ სხვა გზა არ მქონდა – უარყოფის რეჟიმიდან უნდა გამოვსულიყავი და ჩემი შვილის რეალობაში შემეხიჯებინა.

იმ წუთიდან მოყოლებული დედასთან ერთად გავხდი მისი მწვრთნელიც და დამცველიც.

ადრეული დიაგნოსტიკებისა და მკურნალობის მნიშვნელობა

1999 წელს რეალობა ვადიარე. ამის შემდეგ რამდენიმე თვე დაგვიჩირდა, სანამ დიაგნოზს დასვამდნენ და ლუკასს მკურნალობას დაუნიშნავდნენ. უკან რომ ვიყურები, ვხვდები, თუ რამდენად ძვირფასი თვეები დაკვარგეთ და რამდენი რამ შეიძლებოდა ჩემს შვილს ესწავლა, სანამ აუტიზმის დიაგნოსტიკების კუს ნაბიჯით მოძრავ პროტოკოლს ბოლომდე მივიყვანდი. დღესდღეობით აუტიზმის დიაგნოზს ხშირად ორი წლის ან 18 თვის ასაკში სვამენ, მაგრამ მაშინ, XX საუკუნის 90-იანი წლებში ძალზე ცოტა სპეცია-

ლისტი იყო, სამ წლამდე ასაკის ბავშვის დიაგნოსტიკურებას ხელს რომ მოკიდებდა. არადა, ბოლო წლებში შესრულებული კვლევები ადასტურებს მოსაზრებას, რომ საუკეთესო გრძელვადიან შედეგებს სწორედ ის ბავშვები აღწევენ, რომელთაც დიაგნოზს ადრეულ ეტაპზე უსვამენ და ინტენსიურ ინტერვენციას უტარებენ.

დღესაც კი, როდესაც მეცნიერული კვლევა ამტკიცებს, რომ მკურნალობაში სასიცოცხლო მნიშვნელობა აუტიზმის ადრეულ აღმოჩენასა და ჩარევას ენიჭება, ბავშვების უმეტესობა სათანადო დიაგნოზს ორი წლის და შემდგომ ასაკში იღებს, რადგან პედიატრებსა და მშობლებს უბრალოდ არ გააჩნიათ ცოდნა აუტიზმის ადრეული საგანგაშო ნიშნების შესახებ (აუტიზმის ტიპური საეტაპო და გამაფრთხილებელი ნიშნები იხილეთ საიტზე www.firstsigns.org). პრობლემას კიდევ უფრო ის ამძიმებს, რომ სპეციალისტებთან, რომელთაც თითო ბავშვებში დიაგნოზის დასმა შეუძლიათ და ამას თამამად აკეთებენ, პაციენტები ერთი წლით ადრე მაინც არიან ხოლმე ჩაწერილები.

ლუკასს რომ დიაგნოზი ადრე დასმოდა და თერაპიაც შესაბამისად დაეწყო, იმ ნაბიჯებს, რასაც ბოლო შვიდი წელი მოვანდომეთ, უფრო სწრაფად გავივლიდით და მეც მკურნალობის საუკეთესო მეთოდებში უფრო მალე გავერკვეოდი და ავითვისებდი.

უნდა ითქვას, რომ კვლევები და ლიტერატურა სულ რამდენიმე წლის წინ გახდა ხელმისაწვდომი. მათ შორის აღსანიშნავია დოქტორ ქეთრინ ლორდისა და დოქტორ რებეკა ლანდას ნამუშევარი, რომელიც აუტიზმის ადრეული აღმოჩენის მიდგომებს ეხება. ნენსი უაიზმენის წიგნი „ხომ არ არის ეს აუტიზმი? მშობლის ცნობარი პირველი ნიშნებისა და მომდევნო ნაბიჯების შესახებ“ (Could It Be Autism? A Parent's Guide to First Signs and Next Steps, 2006) ასევე 2006 წელს გამოქვეყნდა. მისი წყალობით, მშობლებს ახლა მნიშვნელოვან ინფორმაციაზე მიუწვდებათ ხელი.

ამდენად, იმის ნაცვლად, რომ ლუკასს დიაგნოზი 21 თვის ასაკში დასმოდა და განმავითარებელი თერაპიაც მალევე დაეწყო, მისი დიაგნოსტიკურება და თერაპიაში ჩართვა მხოლოდ 1999 წელს მოხერხდა, როცა უკვე სამი წლისა და სამი თვის იყო.

სწორედ მაშინ დავიწყე მეც ჩემი შვილისათვის საუკეთესო თერაპიის ძიება. ასე გავიგე და დროთა განმავლობაში თავად დავიწყე სხვათა კონსულტირება ვერბალური ქცევის მიდგომის შესახებ.

გზა მშობლიდან მშობელ-პროფესიონალამდე

ახლა უკვე ვიცი, რომ 90-იანი წლების ბოლოს მკურნალობის შესახებ გარკვეული ინფორმაცია არსებობდა, მაგრამ მაშინ ისიც კი არ მესმოდა, საიდან უნდა დამეწყო. ოღონდ დრო მქონოდა და ყველა კონფერენციაზე პირველ რიგში ვიჯექი. ყველა წიგნს ვკითხულობდი, სადაც კი აუტიზმზე იყო საუბარი და იმ მშობლებს ვუსმენდი, ვისაც ეს გზა თავის დროზე გაველო.

როგორც მალე აღმოვაჩინე, უკვე იმდენი ვიცოდი, რომ სხვების დახმარება მინდოდა. 2000 წელს გავხდი ბერკსის ოლქის აუტიზმის საზოგადოების დამფუძნებელი პრეზიდენტი; ჩემთან მუდმივად მოდიოდნენ სხვა მშობლები დახმარებისა და მხარდაჭერის მისაღებად. არ მინდოდა, სიბნელეში ერთი მათგანიც კი დარჩენილიყო და არ სცოდნოდა ფაქტებისა და სხვადასხვა სახის თერაპიის შესახებ. ლუკასისა და სხვათა დახმარების საუკეთესო გზა საკუთარ თავზე მუშაობა იყო. 2003 წელს გავხდი ქცევის სერტიფიცირებული ანალიტიკოსი და დავიწყე აუტიზმის სფეროში მუშაობა, კერძოდ, ვერბალური ქცევის მიდგომის გამოყენებით. როგორც პენსილვანიის ვერბალური ქცევის პროექტის წამყვან ანალიტიკოსს, ტრენინგებზე მისწავლება ასეულობით ადამიანისათვის. მქონია პატივი, მემუშავა აუტიზმის სპექტრის მქონე მრავალ ბავშვთან, ასევე დაუნის სინდრომის მქონე და განვითარების სხვა დარღვევების მქონე მოსწავლეებთან.

ჩემთან ხშირად მოდიან მშობლები და ერთ მარტივ შეკითხვას მისვამენ: რა გზას დავადგეთ? მიაბობენ, რომ მათი შვილი სულ უფრო და უფრო ჩამორჩება, აწყობს ტანტრუმებს, ვერ ლაპარაკობს, ახასიათებს აკვიატებები. მშობელმა კი, ისევე, როგორც მე შვიდი წლის წინ, უბრალოდ არ იცის, საიდან მიუდგეს.

გადაწყვიტე, მათთვის მარტივად განსახორციელებელი გეგმა მომეფიქრებინა. ამ წიგნში მოცემულია თერაპიის რამდენიმე ძალზე რთული რეჟიმის გამარტივებული ვარიანტი – ის, რაც ჩემი აზრით, თანაბრად სჭირდებათ როგორც მშობლებს, ასევე სპეციალისტებს. მე თქვენ იმავე ინფორმაციას მოგაწვდით, რასაც ყოველდღიურად ვაწვდი მშობლებსა და პროფესიონალებს – იმ ინფორმაციას, რასაც ჩემს საკუთარ დას ან საუკეთესო მეგობარს გავუზიარებდი, აუტიზმის ან მეტყველების სხვა დარღვევის დიაგ-

ნოზდასმული შვილი რომ ჰყავდეს. ამ ინფორმაციას ერთად განვიხილავთ და ჩემს, როგორც მშობლისა და პროფესიონალის, თვალსაზრისსაც გაგიზიარებთ.

ამ წიგნში მარტივადაა ახსნილი, როგორ უნდა გამოიყენოთ ქცევის გამოყენებითი ანალიზის პრინციპები და ვერბალური ქცევის მიდგომა, რათა მათი საშუალებით დაეხმაროთ უამრავი პრობლემის, მათ შორის აუტიზმის, დაუნის სინდრომის, განვითარების დარღვევების ან უბრალოდ დაგვიანებული მეტყველების მქონე ბავშვებს. სულ ახლახანს დოქტორებმა დრეჰმა და ტიუდორმა დაასრულეს წინასწარი კვლევა, რომელიც მიგვანიშნებს, რომ ვერბალური ქცევითი მიდგომის გამოყენებით აუტიზმის თავიდან არიდება შესაძლებელია რისკქვეშ მყოფ თოთო და ჩვილ ბავშვებშიც კი (2006).

სწორედ ვერბალური ქცევითი მიდგომაა ჩემი პასუხი, როდესაც მშობელი მეკითხება: „რა გზას დავადგე?“

ეს წიგნი თქვენს შეკითხვასაც უპასუხებს – მარტივი, მკაფიო ინსტრუქციებით.

ამ წიგნში მოცემული მთელი მასალა შედგენილია იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც წლების განმავლობაში მოვიპოვე საერთაშორისო რეპუტაციის პროფესიონალებისგან, როგორებიც არიან დოქტ. ჯეკ მაიკლი, დოქტ. მარკ სანდბერგი, დოქტ. ვინსენტ ქარბონი, მის ჰოლი კიბი, დოქტ. ბრაიან ივატა, დოქტ. გლენ ლეთემი, დოქტ. ივარ ლოვაასი, დოქტ. რიჩარდ ფოქსი, დოქტ. ბრიჯიტ ტეილორი, ბ-ნი მიქაელ მიკლოსი და დოქტ. რიკ კუბინა. ბევრი ვისწავლე კოლეგებისა და აუტიზმის სპექტრის ბავშვების მშობლებისგანაც, როდესაც ერთად ხელის ცეცებით ვიკვლევდით გზას სხვადასხვა ქუჩის და ვცდილობდით, თითოეულ მოსწავლეს დავხმარებოდით. თუმცა, ალბათ, ყველაზე მეტი ჩემი აუტიზმის მქონე შვილისგან მივიღე, რომელიც ახლაც კი ყოველდღიურად რაღაცას მასწავლის.

პირველი ნაბიჯები ქცევის გამოყენებით ანალიზში

ლუკასის თერაპია თავიდან ქცევის გამოყენებითი ანალიზის ერთერთი სახეობით დავიწყეთ, რომელიც დოქტ. ივარ ლოვაასის კვლევის საფუძველზე შეიქმნა. 1999 წელი ის დრო იყო, როდესაც ბევრი მშობელი აღფრთოვანებული იყო ქეთრინ მორისის ორი წიგნით, „შენი ხმა გამაგონე“ (Let Me Hear Your Voice, Maurice 1993) და „ქცევითი ინტერვენცია აუტიზმის მქონე მცირეწლოვან ბავშვებში“ (Behavioral Intervention for Young Children with Autism, Maurice, Green and Luce, 1996) და, თითქმის ყველა, ვინც ქცევის გამოყენებით ანალიზს მიმართავდა, სწორედ ლოვაასის მიდგომას იყენებდა.

1987 წელს დოქტორმა ლოვაასმა შეისწავლა აუტიზმის მქონე 59 ბავშვისგან შემდგარი ჯგუფი. კვლევა მიზნად ისახავდა დასწავლის საუკეთესო გზის პოვნას. ლოვაასმა აღმოაჩინა, რომ საუკეთესო შედეგი აჩვენა იმ ცხრამეტმა ბავშვმა, ვინც კვირაში 40 საათის განმავლობაში ერთი ერთზე გადიოდნენ ქვა (ქცევის გამოყენებითი ანალიზის) თერაპიას. ამ ჯგუფის თითქმის ნახევარი (47%) პირველ კლასში ტიპური თანატოლებისგან აღარ განსხვავდებოდა. ეს კვლევა პირველი იყო, რომელმაც ახლად დიაგნოზდასმული ბავშვების მშობლებს იმედი ჩაუსახა და გარკვეული მიმართულება მისცა.

ამ ფუძემდებლურ ნაშრომს მოჰყვა ლოვაასისა და მისი ორი კოლეგის 1993 წელს გამოქვეყნებული მომდევნო კვლევა (მაკიქინი, სმიტი და ლოვაასი 1993), რომელმაც აჩვენა, რომ საწყისი ჯგუფის „საუკეთესო ბავშვები“ უნარჩვევებს 13 წლის ასაკშიც კი ინარჩუნებდნენ. ეს მოზარდები ჩვეულებრივ საგანმანათლებლო სივრცეში თანატოლებისგან კვლავაც არ განსხვავდებოდნენ და სწავლა შეუძლოთ დამხმარე პერსონალის ან სხვა სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურებების გარეშე. ლოვაასის კვლევების შესახებ როცა წავიკითხე, გადავწყვიტე, რომ ლუკასის პრობლემის გადასაწყვეტად საუკეთესო გზა სწორედ ქცევის გამოყენებითი ანალიზის მოსინჯვა იქნებოდა. ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნდა, ისევე, როგორც ფიზიკური დაავადების, მაგალითად, ლეიკემიის შემთხვევაში, შვილისთვის მკურნალობის ყველაზე კარგი მეთოდი მეპოვა.

ვიცოდი, რომ განკურნების შანსი დაბალიც რომ ყოფილიყო, მაინც უნდა მენახა ისეთი თერაპია, რომელიც ლუკასს ჩვეულებრივად ცხოვრების ოპტიმალურ საშუალებას მისცემდა.

თუმცა, ქვევის გამოყენებითი ანალიზის კვლევები ლოკაასის კვლევაზე ბევრად უფრო სიღრმისეულია. ამ ტექნიკის გამოყენებით უკვე მთელი თაობა აღიზარდა და ასეულობით გამოქვეყნებული კვლევა ადასტურებს აუტიზმის მქონე ბავშვებთან მუშაობისას მის ეფექტურობას. მეტიც, კვლევებით დადასტურებული თერაპიების ფონზე, არ არსებობს მკურნალობის ტექნიკა, აუტიზმის მქონე ბავშვებში მის წარმატებას რომ შეეძაროს. 1998 წელს იაკობსონმა, მაღლიკმა და გრინმა აგრეთვე გამოაქვეყნეს ერთი კვლევის შედეგები, რომელთა მიხედვით, თუმცა ქგა-ს ლოკაასისეული მოდელის განხორციელება მოკლე პერიოდში საკმაოდ ხარჯიანია, გრძელვადიან პერსპექტივაში ის არც ისე ძვირადღირებული გამოდის. კვლევებმა აჩვენეს, რომ ფორმირების პერიოდში (განვითარებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვან წლებში) სასწავლო ტექნიკის ინტენსიურად გამოყენების პირობებში პირველი კლასის შემდგომ სპეციალური სერვისები უფრო ნაკლებ ბავშვს სჭირდება.

სამწუხაროდ, აუტიზმის მქონე ბავშვები საუკეთესო თერაპიით ყოველთვის როდი სარგებლობენ. მართალია, სამედიცინო დარღვევის დიაგნოზს მედიკოსი ადგენს, აუტიზმის თერაპიას ჩვეულებრივ, განათლების სპეციალისტი წარმართავს, რომელსაც საკუთარი წარმოდგენა აქვს იმის შესახებ, თუ რა არის ნაკლებხარჯიანი თუ მართებული – თუნდაც ეს არჩევანი ყველაზე წარმატებული არ იყოს. ლუკასსაც ასე დაემართა. შეერთებულ შტატებში აუტიზმის მქონე ბავშვებს უფლება აქვთ, მიიღონ უფასო, სათანადო საჯარო განათლება. თავიდანვე მქონდა გაგებული, რომ ლუკასს, ასე ვთქვათ, „კადილაკის“ კლასის საგანმანათლებლო სერვისები კი არ ეკუთვნოდა, არამედ „შევროლეს“ სტანდარტისა.

კვირაში 40 საათიანი ერთი ერთზე ქვევითი თერაპია სამი წლის ბავშვისათვის ძალიან ძვირი ჯდება და ბევრ საგანმანათლებლო დაწესებულებას ამხელა ფულის დახარჯვა უბრალოდ არ სურს. თან მაშინ, როდესაც სხვა მეთოდებიც არსებობს (მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია, ეკლექტური სპეციალური საგანმანათლებლო წინასასკოლო პროგრამები), რომელთაც ზოგიერთი სპეციალისტი ასევე „მართებულად“ მიიჩნევს.

სასწორზე ჩემი შვილის მომავალი იდო, მე კი მეუბნებოდნენ, განათლების სპეციალისტებთან საუბრისას ლექსიკონიდან სიტყვა „საუკეთესო“ ამოიღეო.

სხვებისგან განსხვავებით, მე მართლაც მინდოდა, შვილისთვის წარმატების საუკეთესო შანსი მიმეცა და ჩვენც გადავწყვიტეთ, ქცევის გამოყენებითი ანალიზი დაგვეწყო. შევთანხმდით, რომ ლუკასთან სამი თერაპევტი იმუშავებდა. გარდა ამისა, ლოკასის რეპლიკაციის ცენტრიდან თვეში ერთხელ ჩვენთან ივლიდა კონსულტანტი, რომელიც მე და თერაპევტებს მოგვამზადებდა.

ლუკასის წინსვლა ამ გადაწყვეტილების შედეგია. პროგრესს არა მხოლოდ ლუკასმა, მეც მივალწიე. აღმოვაჩინე, რომ არსებობდა ქცევის გამოყენებითი ანალიზის კიდევ ერთი სახეობა, რომელიც ჩემს შვილს მეტ ეფექტს პირდებოდა. ეს წიგნი სწორედ ამ სახეობას – ვერბალური ქცევის მიდგომას – ეხება.

ვერბალური ქცევის მიდგომა

ვერბალური ქცევის მიდგომა მთლიანობაში ქცევის გამოყენებითი ანალიზის კვლევებს ეფუძნება, მაგრამ თავის მხრივ, განსაკუთრებით მოქმედებს ბავშვის უნარზე, ისწავლოს ფუნქციონალური ენის გამოყენება.

ვერბალური ქცევის მიდგომა აუტიზმის სპექტრის და განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებს, ქცევის გამოყენებითი ანალიზის მიდგომის საშუალებით, ასწავლის ყველა საჭირო უნარს, მათ შორის და ხაზგასმით, ენობრივ უნარებს. ენა განიხილება როგორც ფორმირებადი და განმტკიცებადი ქცევა და განსაკუთრებული ყურადღება ექცევა არა მხოლოდ იმას, თუ რას ამბობს ბავშვი, არამედ იმასაც, თუ რატომ იყენებს იგი ენას.

ვერბალური ქცევის მიდგომა საკმაოდ ახალი და პოპულარული მეთოდია, რომელიც პრაქტიკულად ქა-ის საფუძვლებიდან წარმოიშვა ბოლო 10-15 წლის განმავლობაში. სიახლის მიუხედავად, ვერბალური ქცევის მიდგომა ქცევის გამოყენებითი ანალიზის თეორიულ საწყისებს ეყრდნობა, მაგრამ უფრო ვრცელია და მოიცავს ამ ცნებების ბ.ფ. სკინერისეულ ანალიზს, რომელიც მან თავის წიგნში, „ვერბალური ქცევა“ ჩამოაყალიბა (Verbal Behavior, Skinner, 1957).

„ვერბალური ქცევა“ ძალზე რთული წიგნია და, ალბათ, ნაწილობრივ, ამითაც აიხსნება ის ფაქტი, რომ ათწლეულების მანძილზე მას მხედველობის მიღმა ტოვებდნენ და ვერბალური ქცევის ინტერვენციებს მხოლოდ მაშინ მიაქციეს ყურადღება, რაც დოქტორმა ჯეკ მაიკლმა და მისმა დოქტორანტმა მარკ სანდბერგმა დასავლეთ მიჩიგანის უნივერსიტეტში დაიწყეს განვითარების სხვადასხვა დარღვევის მქონე ბავშვების სწავლება წიგნში მოცემული ცნებების გამოყენებით.

1970-იანი წლების ბოლოში დასავლეთ მიჩიგანის უნივერსიტეტში შეიქმნა და ტესტირება გაიარა ვერბალური ქცევაზე დაფუძნებული შეფასების პირველმა სქემებმა. ამ პროცესზე დიდი ზეგავლენა მოახდინა აგრეთვე კანზასის უნივერსიტეტის დოქტორმა ჯო სპრადალინმა. 1980 წელს, თითქმის 20 წლით ადრე, სანამ ვერბალური ქცევის მიდგომა აუტიზმის მქონე ბავშვების მკურნალობაში გავრცელებულ მეთოდად იქცეოდა, გამოვიდა მარკ სანდბერგის სადოქტორო დისერტაცია, სახელწოდებით „ვერბალური ქცევის რეპერტუარის განვითარება ქესტური ენისა და სკინერის ვერბალური ქცევის ანალიზის გამოყენებით“. (Developing a Verbal Behavior Repertoire using Sign Language and Skinner's Analysis of Verbal Behavior)

სანდბერგის დისერტაციას მხოლოდ 18 წლის შემდეგ, 1998 წელს მოჰყვა მისივე და დოქტორ პარტინგტონის ერთობლივი ნამუშევარი – სამწიგნიანი კრებული, რომელმაც აუტიზმის მქონე ბავშვების მშობლები ვერბალური ქცევის მიდგომით დააინტერესა. მთავარი წიგნი იყო „ენის სწავლება აუტიზმის თუ სხვაგანვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის“ (Teaching Language to Children with Autism or Other Developmental Disabilities, 1998), თუმცა, ყველაზე პოპულარული აღმოჩნდა „საბაზისო ენობრივი და დასწავლის უნარის შეფასება“ (ABLLS) (Assessment of Basic Language and Learning Skills).

სანდბერგისა და პარტინგტონის წიგნი შეგიძლიათ გამოიყენოთ არა მხოლოდ როგორც სასწავლო პროგრამა. ის შეფასებაშიც გამოგადგებათ და უნარების პროგრესის აღრიცხვაშიც. მასში მოცემულია ცხრილების სერია, რომელსაც ბავშვთან დაახლოებული მოზრდილი ავსებს. ამ წიგნის საფუძველზე საწყის შეფასებას სამიდან ოთხ საათამდე სჭირდება. მას შემდეგ, რაც ბავშვის თითოეული უნარის დონეს დაადგენთ, უკვე წყვეტთ, როგორ მოიქცეთ.

„შეფასება“ შესანიშნავი ინსტრუმენტია ვერბალური ქცევის მიდგომაში დახელოვნებული კონსულტანტისათვის, მაგრამ თუ მშობელს ქცევის გამოყენებით ანალიზში საბაზისო ცოდნა არ აქვს, ის ზედმეტად რთული მოეჩვენება. თუმცა წიგნით მშობელთა დაინტერესება დიდი იყო და კვლავაც არის, შეფასების ფორმები მშობლების თუ სპეციალისტების უმეტესობისათვის საკმაოდ რთული შესავსებია. რამდენიმე მათგანი ჩემთანაც კი მოვიდა წიგნის წაკითხვის შემდეგ და მითხრა, რომ არ შეავსეს, რადგან უბრალოდ, ვერ გაიგეს, რესურსი როგორ უნდა გამოეყენებინათ.

2000 წლის დასაწყისისათვის ახალმა მიდგომამ საზოგადოებაში საკმარისად მოიცილა ფეხი და შესანიშნავი შედეგებიც მივიღეთ.

აუტიზმის მქონე ბავშვების მშობლები ათასობით მიღს გადიოდნენ, რათა კარბონის, სანდბერგისა და პარტინგტონის მსგავსი ექსპერტების ლექციები მოესმინათ ვერბალური ქცევის შესახებ. ახალი მიდგომით მომუშავე ბავშვების წარმატებაზე ვიდეო მასალების ნახვის შემდეგ სემინარგავლილი მშობლები შინ ფრთაშესხმულები და იმედიანები ბრუნდებოდნენ. ყილულობდნენ „საბაზისო ენისა და დასწავლის უნარის შეფასებას“ და თავად იწყებდნენ იმის შესწავლას, თუ როგორ უნდა ესწავლებინათ შვილებისათვის. მშობლებში „შეფასებისა“ და ამ ახალი მიდგომის პოპულარობის შედეგად, მრავალი პროგრამა ხისტი დისკრეტული სწავლების თუ ლოკაასის მიდგომიდან ვერბალური ქცევის მიდგომისკენ გადაიხარა. ჩემი აზრით, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ინფორმაცია და წარმატებული ბავშვების ვიდეოები პირდაპირ მშობლებს მიეწოდებოდა. მშობლები კი ძალზე მოტივირებულები იყვნენ, რომ შვილის დასახმარებლად საუკეთესო და უსწრაფესი გზა ეპოვათ.

დისკრეტული სწავლებისას თერაპევტი აყენებს მოთხოვნას, იღებს რეაქციას და იძლევა შედეგს. მაგალითად, ინსტრუქტორი ამბობს, „შეხე ცხვირს“ და თუ ბავშვი ცხვირს შეხეება, მას აძლევს ორცხობილას (ან რაიმე სხვა სასურველ საგანს). ვერბალური ქცევა იმავე პრინციპებით – მოთხოვნა, რეაქცია, შედეგი – მოქმედებს, მაგრამ მიდგომა სხვაგვარია.

პარტინგტონმა და სანდბერგმა თავისი ნაშრომის წერისას სკინერის „ვერბალური ქცევა“ აიღეს და ის ისეთი ფორმით წარმოადგინეს, რომ სპეციფიური ტერმინოლოგიით ნაკლებ დატვირთული,

გამოყენების ნიმუშებით კი მდიდარი ყოფილიყო. ეს მიდგომა სასარგებლო აღმოჩნდა, მაგრამ მშობლებს მუშაობა მაინც უჭირდათ.

ვერბალური ქცევის მიდგომასთან დაკავშირებული ორი უდიდესი გაუგებრობა იმაში მდგომარეობს, თითქოს ეს მიდგომა მხოლოდ იმ ბავშვებისთვისაა გამოსადეგი, რომლებიც არ მეტყველებენ ანდა პირიქით – თითქოს ის მხოლოდ იმ ბავშვებს გამოადგებათ, ვინც უკვე ლაპარაკობს.

ორივე მოსაზრება არასწორია.

ვერბალური მიდგომა არახმოვანი კომუნიკაციის მრავალ სახეობას მოიცავს, მათ შორის, მითითებას, ჟესტურ ენას, წერას, ჟესტიკულირებას. იგი ტანტრუმებით კომუნიკაციასაც კი ითვალისწინებს. გაუგებრობას კი ის იწვევს, რომ საუკეთესო გამოყენება მას აქვს იმ ბავშვებში, რომლებიც ჯერ არ საუბრობენ. იგულისხმება როგორც ხმით მეტყველი ბავშვები, ასევე ბავშვები, რომლებსაც ხმოვანი მეტყველება არ გააჩნიათ. სწორედ ამიტომაც, რომ ვერბალური ქცევის მიდგომა განვითარების დარღვევის მქონე ყველა ადამიანთან ეფექტურად გამოიყენება. მიუხედავად იმისა, რომ ვერბალური ქცევით მომუშავე მოსწავლეთა უმეტესობა ბავშვია, წიგნზე დაყრდნობა შესაძლებელია არამეტყველი მოზრდილების შემთხვევაშიც.

მეტყველების განვითარება და რთული ქცევის შემცირება

ვერბალური ქცევის მიდგომა თითქმის ყოველთვის ამცირებს ტანტრუმებსა და რთული ქცევის სხვა ფორმებს, რადგან მუშაობა იწყება იმის შეფასებით, თუ რა უყვარს ბავშვს და შემდეგ სწორედ ეს საყვარელი საგნები და აქტივობები გამოიყენება ბავშვის წასახალისებლად, რათა მან სწავლისათვის აუცილებელი სამუშაო ჩაატაროს. ასეთ საგნებსა და აქტივობებს განმამტკიცებლები ეწოდება.

განმამტკიცებლების იდენტიფიცირების შემდეგ ვერბალური ქცევის მიდგომის საკვანძო ამოცანა ხდება ბავშვისათვის იმის სწავლება, თუ როგორ მოითხოვოს სასურველი. ბ.ფ. სკინერმა ამას თავის 1957 წლის წიგნში („ვერბალური ქცევა“) „მენდი“ (სიტყვიდან demand – მოთხოვნა. მთარგ.) უწოდა. მენდი ვერბალური ქცევის პროგრამირების ქვაკუთხედი.

განმამტკიცებლების გამოკვეთის შემდეგ ინსტრუქტორს შეუძლია სწავლების პროცესი დაიწყოს. ვინაიდან ვერბალური ქცევის მიდგომა ბავშვზე ორიენტირებული პროცესია, მნიშვნელოვანია, ინსტრუქტორი გარემორტყმული იყოს ბავშვის ყველა განმამტკიცებლით (ანუ იმ საგნებით, რაც ბავშვს უყვარს) და მას „უფასოდაც“, რაიმეს მოთხოვნის გარეშე გადასცეს სასურველი ნივთები. შედეგად, ბავშვს ეს მოზრდილი წარმოუდგება არა როგორც მასწავლებელი, რომელიც იძლევა დავალებებს, რისი კეთებაც მას არ უყვარს, არამედ ადამიანად, რომელიც კარგ რაღაცეებს გასცემს. ამრიგად, მაგიდის, ინსტრუქტორების, სამუშაო სივრცისა და განმამტკიცებლების გაწყვილება ვერბალური ქცევის პროგრამის ამოსავალი წერტილია. მიზანი კი ისაა, რომ ბავშვი სიხარულით გაეშუროს ინსტრუქტორისა და სამუშაო სივრცისაკენ.

ვერბალური ქცევის მიდგომაში ბავშვი დაუყოვნებლივ იწყებს საგნების მიღებას და მალე გადადის საგნების მოთხოვნაზე (ვერბალურად ან ქესტური ენით). დროთა განმავლობაში, სისტემატურად პროგრამირების შედეგად, ბავშვი იწყებს ისეთი საგნების მოთხოვნას, რომლებიც არათუ მაგიდაზე არაა, არამედ არც მხედველობის არეშია, და ამისათვის ხმით მეტყველებას, ქესტურ ენას ან, შედარებით იშვიათად, სურათებს იყენებს. მას შემდეგ, რაც ცხადი ხდება, რომ ბავშვი განმამტკიცებლებზე რეაგირებს და რამდენიმე საგანს ან აქტივობას ითხოვს, იწყება მუშაობა სწავლებაზე, თუმცა, ძალიან, ძალიან ფრთხილად.

ისიც უნდა ითქვას, რომ ვერბალური ქცევის მიდგომა შედარებით ნაკლებ მონაცემთა შეგროვებას გულისხმობს და, შედეგად, ინსტრუქტორი უფრო მეტ დროს ატარებს ბავშვთან, დაკავებულია მასთან ურთიერთობით და უფრო მეტ სასწავლო შესაძლებლობასაც ქმნის.

ძირითადი განსხვავებები ვერბალური ქცევის/ქვა მიდგომასა და ლოჯაასის/ქვა პროგრამებს შორის

ვერბალური ქცევისა და ლოჯაასის მიდგომებს შორის ერთერთი მთავარი სხვაობა ისაა, რომ ვერბალური ქცევის მიდგომით, ქესპრესიული ენა განიხილება როგორც ქცევა, რომლის სწავლებაც შესაძლებელია და სიტყვის თითოეული ფუნქცია პირდაპირ

ისწავლება. მაგალითად, სიტყვა „ბურთის“ სხვადასხვა ფუნქცია ისწავლება ვერბალიზაციის გზით ან ქესტური ენის გამოყენებით. ბავშვს ასწავლიან, როგორ მოითხოვოს ანუ გააკეთოს „მენდი“, როდესაც ბურთის მიღება უნდა. ბავშვს ასევე ასწავლიან ბურთის გამოსახულების დასათაურებას, სიტყვა „ბურთის“ თქმას მას შემდეგ, რაც ამ სიტყვას წარმოთქვამს მოზრდილი, ბურთის შეხებას მითითებისამებრ და, საბოლოოდ, ბურთის შესახებ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემასაც.

პროგრამის ლოკალისიულ ვარიანტში ექსპრესიული ენა უფრო კოგნიტურად განიხილება და არამეტყველ ბავშვებთან თავიდან პირდაპირ არ ისწავლება. ბავშვს, რომელიც ლოკალის პროგრამის დაწყებისას არ მეტყველებს, თავიდან კომუნიკაციის სხვა საშუალება არ ეძლევა. კონსულტანტი მიზნად ისახავს, ბავშვმა თავიდან არავერბალური თხოვნები შეასრულოს, მაგალითად იმიტაციისა და შეხამების (შესაბამისობის პოვნის) პროგრამები. ქესტური ენა იშვიათად ისწავლება, თუმცა, ხანდახან, თუ ბავშვს კვლავაც უჭირს ვერბალური კომუნიკაცია, გამოიყენება სურათების გაცვლით კომუნიკაციის სისტემა (Picture Exchange Communication System – სკ სისტემა). ტრადიციული დისკრეტული სწავლების პირობებში, სიტყვის სხვადასხვა ფუნქციაზე ყურადღება არ მახვილდება, ყოველ შემთხვევაში, თერაპიის პირველ თვეებში მაინც.

პრაქტიკოსები, რომლებიც ვერბალური ქცევის მიდგომას არ იყენებენ, ენას ჩვეულებრივ ყოფენ რეცეპციულად და ექსპრესიულად. მაგალითად, შეიძლება ნახოთ მოხსენება, რომელშიც ნათქვამია, რომ ჯონის რეცეპციული ასაკი 2.1 წლის ასაკს შეესაბამება, ექსპრესიული კი – 15 თვის ასაკს. ასევე, შეიძლება ნახსენები იყოს, რომ ჯონის შეუძლია სიტყვების „ბურთი“, „კატა“ და „დედა“ გამოთქმა, მაგრამ მათ იშვიათად ამბობს. ეს ინფორმაცია, მართალია, გარკვეულ საბაზისო მონაცემებს იძლევა, მაგრამ ბავშვის ძლიერი მხარეებისა თუ ასათვისებელი უნარჩვევების კონკრეტული ასპექტების იდენტიფიცირებისათვის ბევრს ვერაფერს გვეუბნება.

ვერბალური ქცევის მიდგომაში, თუ ბავშვი არ მეტყველებს, მას მოთხოვნილებებისა და სურვილების გამოსახატავად დაუყოვნებლივ ეძლევა კომუნიკაციის ალტერნატიული სისტემა, ჩვეულებრივ, ქესტური ენა, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, მოთხოვნის უნარი (მენდი) პროგრამის ამოსავალი წერტილია.

თუ ბავშვი არ მეტყველებს, აუცილებელია, მას ვუჩვენოთ მენდის მიღწევის ალტერნატიული გზა. სხვაგვარად, პროგრამა ვერ გაგრძელდება.

დისკრეტული სწავლებისას ბავშვი წესების შესრულებისა და რეცეპციული ენის გამოყენებისათვის ჯილდოს იღებს. იგივე ხდება იმიტირებისა და შესაბამისობის პოვნის უნარზე მუშაობისას. ვერბალური ქცევის მიდგომის გამოყენებისას კი ბავშვი მეტ დროს ატარებს ექსპრესიულ ენობრივ უნარებზე მუშაობაში. ამაში შედის თხოვნა, დასათაურება, სიმღერაში გამოტოვებული სიტყვების შევსება და, ზოგადად, უკეთესი კომუნიკაციის დამყარება.

ორივე მიდგომა თავისებურად ეფექტურია. თუმცა, კონსულტანტად მუშაობისას ისეთი ბავშვები და სპეციალისტები უფრო ბევრი მინახავს, ვინც ვერბალური ქცევის მიდგომაზე რეაგირებდა. ცხადია, არსებობს დისკრეტული თუ ვერბალური ქცევის შესანიშნავი პროგრამები, არიან კონსულტანტები, თერაპევტები და, იმავდროულად, არის ორივე ტიპის პროგრამები, სადაც მოზრდილები, თუმცა, კეთილი განზრახვით, კრიტიკულ შეცდომებს უშვებენ. ამ წიგნის მიზანი აუტიზმისა თუ ქცევის გამოყენებითი ანალიზის თემების დაყოფა და ერთმანეთთან დაპირისპირება როდია. მე მხოლოდ ვიმედოვნებ, რომ მოვახერხებ ვერბალური ქცევის მიდგომის ისე აღწერას, რომ მშობლებმა და სპეციალისტებმა მის შესახებ საბაზისო ინფორმაცია მაინც მიიღონ და მისი გამოყენება დაუყოვნებლივ შეძლონ.

ჩემი ღრმა რწმენით, აუტიზმის მქონე ბავშვებში ქცევის გამოყენებითი ანალიზის ეფექტურობის გამოცდაში, დოქტორმა ივარლოვასმა თავისი წიგნით რევოლუციური დვაწლი შეიტანა. მან მოგვცა იმედი, რომ აუტიზმის მქონე ბავშვები შეძლებენ სწავლას და შეიმუშავა მათი სწავლების საბაზისო ფორმატი. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ისეთ სფეროებში ჩატარებული კვლევები, როგორცაა მოტივაცია, მენდირება, ვერბალური ოპერანტები, უშეცდომო სწავლება და განმტკიცება, დოქტორ ლოვასის სამუშაოს განვრცობაა.

ვერბალური ქცევის მიდგომის კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ვინაიდან ამ მიდგომის ეფექტურობის კვლევები დიდი კონტროლირებული ჯგუფების მონაწილეობით არ ჩატარებულა (თავად ლოვასის კვლევის მსგავსი), ჩვენ კვლავაც მკაცრად უნდა მივსდეთ

ლოჯასის მიდგომას აუტიზმის მქონე ბავშვებთან მუშაობისას და რომ სპეციალისტებმა უნდა დაარწმუნონ მშობლები, ვერბალური ქცევის მიდგომიდან თავი შორს დაიჭირონ. მაგრამ ეს კონტრპროდუქტიული დამოკიდებულებაა. ბავშვები ხომ ვერ დაიცდიან 5, 10 თუ 20 წელი, სანამ მსხვილ ჯგუფებზე შედარებითი კვლევები არ დასრულდება. ვერბალური ქცევის მიდგომა მეცნიერულად დადასტურებულ კვლევებს ეფუძნება და აუტიზმის მქონე ბავშვებთან მუშაობაში მის ეფექტურობას ათეულობით ინდივიდუალური თუ ჯგუფური კვლევა ამტკიცებს. ჩემი აზრით, ვერბალური ქცევის მიდგომის გამოყენება არ უნდა გადავდოთ, ვინაიდან მშობლებსაც და სპეციალისტებსაც უახლესი კვლევები ესაჭიროებათ, რათა შვილების დახმარება შეძლონ.

ვერბალური ქცევის მიდგომის იგნორირებით გამოწვეული საფრთხეები

როდესაც საკლასო ოთახში თუ ოჯახში შევდივარ, სადაც ვერბალური ქცევის მიდგომას არ იყენებენ, ერთმანეთის მსგავს შეცდომებს ვაწყდები. სიმართლე უნდა ითქვას, ამ პროგრამებს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები არც თუ ხშირად უძღვებიან. მათ ნაცვლად ხშირად ვხედავთ უბრალოდ კეთილმოსურნე ადამიანებს, რომლებიც ამ ბავშვებს, მართალია, როგორც შეუძლიათ ეხმარებიან, მაგრამ პროცესში კრიტიკულ შეცდომებს უშვებენ. დისკრეტული სწავლების საფუძველი ბავშვის მხრიდან სამუშაოში ჩართვას გულისხმობს და არიან სპეციალისტები თუ მშობლები, რომლებიც ბავშვის ტირილისგან თუ ტანტრუმისგან წუხდებიან და მას თავსატეხზე მუშაობის დაწყებისთვის აჯილდოვებენ, ბავშვის წუწუნს კი ყურადღების მიღმა ტოვებენ. ასეთ შემთხვევაში ჯილდო შეიძლება უფრო ნეგატიური, წუწუნზე დაფუძნებული ქცევის განმამტკიცებლადაც კი გამოვიდეს.

მინახავს ისეთი შემთხვევები, სადაც სამუშაო ზედმეტად რთულია ან კიდევ დავალება ძალიან გრძელია, განმამტკიცებელი კი – სუსტი. მინახავს არამეტყველი ბავშვები, რომლებთანაც სპეციალისტი რეცეპციულ (ნათქვამის შინაარსის გამოტანის), შესაბამისობის პოვნისა და იმიტირების უნარებზე მუშობს, ექსპრესიის (აზ-

რის გამოთქმის) უნარი კი გვერდზე აქვს გადაღებული და ამის გამო ბავშვი მეტყველების დაწყებას ძალზე აგვიანებს.

მეორე მხრივ, შევხვედრივარ არა ქცევის ანალიზზე დაფუძნებულ პროგრამებს, რომლებიც კიდევ უფრო მავნეა. ბავშვი შეიძლება უფრო კმაყოფილი ჩანდეს, მაგრამ თუ არ ვიცით, როგორ გავხადოთ ის მეტად კომუნიკაციური და კერძოდ რა უნარებს სჭირდება დამუშავება, იმის შანსი, რომ სწავლისკენ განწყობილ მოსწავლეს მივიღებთ და მეტყველებაში დიდ პროგრესს მივაღწევთ, საკმაოდ სუსტია.

ამგვარ ეკლექტურ, არა-ქცევით პროგრამებში მონაწილე ბავშვებისგან მოზრდილები ელიან რთული უნარების გაუმჯობესებას, თანდებულების, გრამატიკული დროებისა და ზმნის პირების დახვეწას. ერთი სრულიად არამეტყველი ორი წლის ბავშვის შემთხვევაში, შევესწარი პროგრამას, რომელიც მუშაობდა ნაცვალსახელის („ჩემი ჯერი“ და „შენი ჯერი“) და თანდებულების („დათვი დადე ყუთზე“ და „დათვი ჩადე ყუთში“) გამოყენების უნარებზე. იმავე არამეტყველ ბავშვს ეძლეოდა მითითება – „თქვი, „სათამაშო კუბები კიდევ მინდა, გეთაყვა“ – არადა, მას ჯერ ერთი სიტყვის გამოთქმაც არ შეეძლო და არც ქესტიკულირება გამოსდიოდა. ცხადი იყო, რომ შექმნილ ატმოსფეროში ბავშვი წარმატებას ვერ მიაღწევდა. გარდა ამისა, არა-ქცევით პროგრამებში მონაცემთა აღრიცხვა იშვიათად ხდება და პროგრესიც უმეტესად ნელია და ძნელად გასაზომი.

ვერბალური ქცევის მიდგომაზე გადასვლა

მე, პირადად, კვლავაც მჯერა, რომ ლოვასის ტიპის ქცევის გამოყენებითი ანალიზის პროგრამა ლუკასისთვის ძალზე წარმატებული აღმოჩნდა. თუმცა, მას შემდეგ, რაც ექვსი თვის მანძილზე კვირაში 35 საათის განმავლობაში ამ ტიპის თერაპიით ვიმუშავეთ, ჩემი ერთი მეგობარი კონფერენციას დაესწრო, სადაც დოქტორი ვინსენტ კარბონი აუტიზმის მქონე ბავშვებთან ვერბალური ქცევის მიდგომის გამოყენებაზე საუბრობდა. ამის შემდეგ ჩემი მეგობრის მონაცემლებზე დაყრდნობით, ნელ-ნელა ლუკასის პროგრამა დისკრეტული სწავლებიდან ვერბალური ქცევის მიდგომაზე გადავიყვანე.

ვიცი, რომ დისკრეტული სწავლების გამოცდილება ვერბალური ქცევის მიდგომაზე გადასვლისას ძალზე სასარგებლო ფაქტორი აღმოჩნდა. ლოვაასის რეპლიკაციის ცენტრის კონსულტანტის, კოლინ კლაინის წყალობით, უკვე მესმოდა დახმარების, ფეიდინგის (დახმარების ნელ-ნელა შემცირების), მონაცემთა შეგროვებისა და განმტკიცების რთული მექანიზმები. როდესაც 2000 წელს ვერბალური ქცევის შესახებ შევიტყვე, სააგენტო გამოვცვალე და საშინაო საკონსულტაციო მომსახურებაზე გადავედი, რომელსაც ნიუ ჯერსიში რატგერსის უნივერსიტეტის აუტიზმის პროგრამა გვიწევდა. მაშინ მივყავი ხელი იმ ყველაფრის შესწავლას, რაც ვერბალური ქცევის მიდგომის შესახებ შეიძლებოდა შესწავლა.

როგორც უკვე აღვნიშნე, ვერბალური ქცევის მიდგომა ქცევის გამოყენებითი ანალიზის ქოლგის ქვეშ აღმოცენებული დისციპლინა და პრაქტიკოსებს მისი განხორციელება სტანდარტულ დისკრეტული სწავლების პროგრამასთან შედარებით უადვილდებათ. ბევრი ლოგოპედი, რომლებმაც მომზადება ნატურალისტური ტექნიკით გაიარეს და მშობლებს ხშირად ურჩევს, დისკრეტულ სწავლებას თავი დაანებონ, ფიქრობს, რომ ვერბალური ქცევის მიდგომაზე გადასვლა ან პროგრამაში მისი ჩართვა ძალზე იოლია. შესაძლებელია, თავიდან ტერმინები პათოლოგისთვის ახალი აღმოჩნდეს, მაგრამ პროგრამაში ვერბალური ქცევის თერაპიის გამოყენება მათ, ჩვეულებრივ, ბევრად უფრო უადვილდებათ, ვიდრე დისკრეტული სწავლების თერაპიის ტრადიციული სახეობისა.

ზემოაღნიშნული იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ვერბალური ქცევის პროგრამა მარტივია. სინამდვილეში ეს მიდგომა ზოგჯერ შეიძლება ძალიან რთულიც იყოს და ხშირად ვერბალური ქცევის გამოცდილების მქონე სერტიფიცირებული ანალიტიკოსის მონაწილეობასაც მოითხოვდეს თერაპევტების ჯგუფის მომზადების, პროგრამის განახლებისა და პროგრესის მიხედვით კორექტირების უზრუნველსაყოფად.

აუტიზმის თანმდევი ფინანსური სირთულეებით ისედაც გატანჯული ოჯახები ზოგჯერ კონსულტანტების დაქირავების ხარჯს ვეღარც სწვდებიან. მეორე მხრივ კი, თუმცა შეიძლება აუცილებელი იყოს, მუდმივი სერტიფიცირებული ანალიტიკოსი იყოლიოთ, დამოუკიდებლადაც შესაძლებელია ისეთი უფრო მარტივი პროგრამის აწყობა, რომელიც პროცესს დაიწყებს და მიდგომის ეფექტს

დაგანახებთ. ეს გამარტივებული გეგმა გაჩვენებთ, მართებულია თუ არა თქვენ შვილთან ვერბალური ქცევის პროგრამით მუშაობა, ან უბრალოდ დროს მოგვემთ, დაიწყეთ პროგრამა, თუ იმ წუთას ქცევის სერტიფიცირებულ ანალიტიკოსზე ხელი არ მიგიწვდებათ.

ვერბალურ ქცევაზე ინფორმაცია არსებობს, მაგრამ ის ცოტა რთული და ძნელად გასაგებია. პირადად მე, ამ ტექნიკის სწავლისას და ცოტა მოგვიანებით, როცა სერტიფიცირებული ანალიტიკოსის სტატუსი მივიღე, აღმოვაჩინე, რომ ვერბალური ქცევის მიდგომა შეიძლება დაიყოს მარტივ ნაბიჯებად, რაც მშობლებს, ისევე, როგორც სპეციალისტებს, მკაფიოდ დაანახებს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ვერბალური ქცევის პროგრამა აუტიზმის ან განვითარების რაიმე სხვა დარღვევის მქონე ბავშვის დასახმარებლად.

ვერბალური ქცევის მიდგომა შედარებით ახალია, მაგრამ ახირება ნამდვილად არ არის. ის მეცნიერულ პრინციპებს ეფუძნება და, ერთი მხრივ, თანხვედრაშია ქცევის გამოყენებითი ანალიზის სკინერისეულ სწავლებასთან, მეორე მხრივ კი აძლიერებს კიდევ მის ეფექტს პრაქტიკაში ვერბალური ქცევის მისივე ანალიზის ჩართვით.

როგორც ქცევის ანალიტიკოსი, მე, ქცევის გამოყენებითი ანალიზის / ვერბალური ქცევის პროგრამით ვმუშაობ საბავშვო ბაღის სამი წლის ასაკის ბავშვების ჯგუფებთან. პრაქტიკაში მქონია რვა თვის ასაკის ჩვილი ბავშვების კერძო შეფასების შემთხვევებიც, როცა მშობლებს აუტიზმზე ჰქონდათ ეჭვი და რეკომენდაციებიც მიმიცია ძალზე მცირე ასაკის ბავშვებისათვის ვერბალური ქცევის მიდგომით სწავლების თაობაზე. მე მათ ისეთ სტრატეგიებს ვურჩევდი, რომლებსაც ბავშვს პროცესში ჩართვაში უხმარება და გარემოს უმდიდრებს, მშობლებს კი დაანახებს, რა უყვარს ბავშვს, რაც სწავლისაკენ უბიძგებს.. ამდენად, წიგნში მოცემულია ტექნიკის ისეთი სახეობები, რომელთა დაწყება ნაადრევი სულაც არ არის.

შემუშავებული მაქვს პროგრამები 10, 15 წლის ასაკისა და 20 წლის ახალგაზრდებისათვის, რომლებმაც დიდი პროგრესი აჩვენეს ქცევის გამოყენებითი ანალიზის ამ ახალი სახეობის წყალობით.

როგორც ქცევის ლიცენზირებულ ანალიტიკოსსა და ათი წლის აუტიზმის მქონე ვაჟის დედას მიმაჩნია, რომ ვერბალური ქცევის მიდგომა ნამდვილად საუკეთესო მიდგომაა აუტიზმის, დაუნის

სინდრომის თუ განვითარების სხვა დარღვევების მქონე არამეტყველ ბავშვებთან სამუშაოდ. თუმცა ის ცალსახად ქცევაზე დაფუძნებული მიდგომაა, იგი ბავშვს საშუალებას აძლევს, სწავლის პროცესი მისთვის საინტერესო და მამოტივირებელი საგნების გამოყენებით წარმართოს. ბავშვის საკომუნიკაციო უნარები მკაფიოდ იყოფა ფუნქციონალურ შრეებად, რაც მეტყველების მარტივად შეფასებასა და პროცესის დაგეგმვაში გვეხმარება. მეტყველება და ქცევა ერთდროულად, ერთი და იმავე მონეტის ორ მხარედ განიხილება.

გარდა იმისა, რომ ბავშვი ბუნებრივ გარემოში ითვისებს თხოვნის (მენდირება) და განზოგადების ზოგიერთ სხვა უნარს, პროგრამაში მონაწილე მოზარდი დროის დიდ ნაწილს სამუშაო მაგიდასთან ატარებს და ამდენად, მასალას იმდენჯერ იმეორებს, რაც მის დასასწავლად საჭირო. ვერბალური ქცევის მიდგომა დისკრეტული სწავლების პრინციპებსაც იყენებს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ერთად უყრის თავს ყველაფერს, რაც ამ მიდგომას ასე ეფექტურსა და მობილურს ხდის. ის საშუალებას გაძლევთ, ბავშვთან იმუშაოთ შინ, რესტორანში თუ სასურსათო მაღაზიაში. ის თერაპევტებსა და პროფესიონალებს შესაძლებლობას უქმნის, თქვენს შვილთან ისევე იმუშაონ, როგორც მასთან თქვენ თავად იმუშავებდით.

ყველა, ვინც ბავშვის სწავლების პროცესშია ჩართული, ერთი და იმავე კრიტერიუმებით სარგებლობს, ერთსა და იმავე მოტივატორებს იყენებს და ერთი და იმავე მიზნებისკენ მიდის. სწორედ ამიტომ, რომ ბავშვს საშუალება ეძლევა, პროგრესს მიაღწიოს და ამას აკეთებს კიდევ.

ვერბალური ქცევის მიდგომაში მოცემულია ბავშვის პროგრესის დოკუმენტირებისა და მონიტორინგის მეთოდიც. მისი დახმარებით, გეცოდინებათ, როდის უნდა შეცვალოთ ამოცანა და პროგრამა, რათა წინსვლის პროცესი განაგრძოთ. მთლიანობაში, დოკუმენტირების პროცესი ზედმეტად მძიმე არ არის და იმ დროს არ გართმევთ, რაც ბავშვთან უნდა გაგეტარებინათ.

ეს წიგნი, „ვერბალური ქცევის მიდგომა“ იმისათვის დავწერე, რათა ქცევის გამოყენებითი ანალიზი და ვერბალური ქცევის მიდგომა კომპონენტებად ისე დამეშალა, რომ ვერბალური ქცევის სტრატეგიების გამოყენება და სწავლების პროგრამის ეფექტურობის გაზრდა ყველა მსურველმა შეძლოს.

ეს წიგნი მიზნად ისახავს იმ მშობლების დახმარებას, რომლებიც შვილთან მუშაობას ან ახლა იწყებენ და ამისათვის საუკეთესო გზას ეძებენ, ან მუშაობის გასაგრძელებლად ახალი მიმართულების არჩევა სურთ. მას სასწავლო რესურსად გამოიყენებენ ადრეული ასაკისა და განვითარების სირთულეების მქონე მოსწავლეების აღმზრდელები. ვიმედოვნებ, რომ მისი საშუალებით მშობლებიცა და სპეციალისტებიც მეტ ცოდნას მიიღებენ ქცევის გამოყენებითი ანალიზისა და ვერბალური ქცევის მიდგომის შესახებ და ბავშვების უფრო ეფექტურად დახმარებას შეძლებენ.

მამ, დავიწყოთ.

II თავი

ქვევის გამოყენებითი ანალიზის ანაბანა

ჯონი სამი წლისაა და რთულად სამართავი ბავშვია. საჯარო სივრცეში და-ძმის კბენას ცდილობს; თუ თავისი ვერ გაიტანა, ძირს გაწვება და ადგომაზე უარს ამბობს. დაახლოებით ხუთი სიტყვა იცის, მაგრამ სათანადოდ ვერ იყენებს და გაუთავებლად ამ ხუთ სიტყვას ატრიალებს.

ჯონის აუტიზმის სპექტრის დარღვევა დაუდგინდა და ამაზე ძალიან ნერვიულობს.

სიმართლე უნდა ითქვას, მხოლოდ თქვენ არა – ჯონიც ნერვიულობს.

რამდენიმე სიტყვა კი იცის, მაგრამ არ იცის, მათი დახმარებით თუ სხვა რაიმე საშუალებით, როგორ ითქვას, რა უნდა, ამიტომ ძალზე უბედურია.

ამასობაში, თქვენ წარმოდგენაც არ გაქვთ, სწავლებაზე რომ არაფერი ვთქვათ, შვილის რთული ქცევის გაკონტროლება როგორ მოახერხოთ.

საშუალოსტატისტიკურ მშობელს ბავშვის მოსარჯულებელი ინსტრუმენტების მთელი არსენალი აქვს – ტაიმაუტი (კუთხეში დაყენება, მარტო დატოვება ან ნებისმიერი რამ, რაც გულისხმობს დასჯის სახით განმამტკიცებლის მოშორებას), სამამდე დათვლა, მუქარა, ყვირილი, „არას“ თქმა, მოქრთამვა („თუ მანქანაში ჩაჯდები, საწუწნ კანფეტს მიიღებ“) ან კიდევ საერთოდ სიტუაციიდან გარიდება.

ამიტომ, რომ თუ რთული ქცევა (ან კიდევ სულაც ტიპური ბავშვის შემთხვევაში, ქცევის კურსი) არ შეწყდა ან გაუარესდა კიდევ, მშობელი უკიდურესად იბნევა.

მიზეზი ერთია – ბავშვისთვის ქცევა კომუნიკაციის ფორმაა. როდესაც მისი ქცევის ენას ისწავლით, სწორედ მაშინ შეძლებთ რთული ქცევის გამოვლინებების შემცირებას და სასურველი ქცევის გამოვლინებების გაზრდას.

ანაბანასავით აღვილია. ეს ქცევის გამოყენებითი ანალიზის ანაბანაა.

სანამ ქვევითი თერაპიის გეგმის განხორციელებას შეუდგებით, ჯერ ბავშვის ქცევის ფუნქცია უნდა გააცნობიეროთ. რის თქმას ცდი-

ლობს ამით ის? მხარდაჭერას მხოლოდ მაშინ შეძლებთ, როდესაც შვილის ქვევის ფუნქციის ანალიზს შეძლებთ.

აბა, ბავშვის ქვევას კარგად დააკვირდით. მე რომ 1,000 დოლარი შემოგთავაზოთ და სანაცვლოდ, ბავშვთან დღის სასიამოვნოდ გატარება გთხოვოთ (ისეთი დღის, რთული ქვევა რომ არ ახლავს), ამის მისაღწევად რას მოიმოქმედებდით?

დიდი შანსია, რომ უბრალოდ მთელი დღე ყველაფრის უფლებას მისცემთ, რასაც მოისურვებს. იჯდებოდა კომპიუტერთან, ერთსა და იმავე მულტიფილმს ასჯერ მაინც გადაახვევდით. არც მავნე, მაგრამ გემრიელი საკვების ჭამას დაუშლიდით და არც საყვარელი სასმელის დალევას. დაე, იყოს მარტოკა ან იმ ხალხთან ერთად ატაროს დრო, ვისთანაც უნდა.

რასაც მოინდომებს, ყველაფერს ხომ მისცემთ, და მეტიც, იმაზეც კი იზრუნებთ, რომ ისეთი არაფერი აკეთოს, რის ხასიათზეც ახლა არ არის. არავითარი ფეხსაცმლის დამოუკიდებლად ჩაცმა და ჭამისას მაგიდასთან ჯდომა, არავითარი ხელების დაბანა. სამაგიეროდ, გეცოდინებათ, რომ მთელი დღის განმავლობაში თქვენი შვილი ზუსტად იმას იღებს, რაც უნდა; მისგან არაფერს ითხოვთ; დაპირებული ათასი დოლარი კი თქვენია.

ქვევის გამოყენებითი ანალიზისა და ვერბალური ქვევის მიდგომის ამოსავალი პრინციპიც ესაა. ბავშვთან მუშაობა უნდა დაიწყოს ისეთ ადგილას თუ სიტუაციაში, სადაც ყველა მისი საჭიროება კმაყოფილდება და სანაცვლოდ მისგან არაფერს ითხოვენ. ნუ ღელავთ, დიდხანს ასე არ გაგრძელდება. ბევრი კეთილგანწყობილი მშობელი და სპეციალისტი მინახავს, რომელიც ამ საწყის წერტილს მთლიანად უგულებელჰყოფს, შედეგები კი, როგორც მათთვის, ასევე ბავშვისთვის, კატასტროფულია.

ცხადია, თითქმის შეუძლებელია, მთელი დღე მხოლოდ განმამტკიცებლებისა და ნულოვანი მოთხოვნის პირობებში გავატაროთ. სამაგიეროდ, სხვა თუ არაფერი, თუ ბავშვს კომპიუტერი უყვარს, მათემატიკა კი სძულს, ქვევას უფრო სწრაფად მაშინ გააუმჯობესებთ, თუ საქმეში კომპიუტერს დაიხმართ. აი, მათემატიკასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს უკვე კომპიუტერზე თამაშში გართულს შეაპარებთ. ქვევის ანალიტიკოსი ხშირად ინტერესდება, როდის იჩენს ხოლმე თავს არასასურველი ქვევა. მართალია, ეს მნიშვნელოვანი საკითხია, მაგრამ მე იმასაც ვკითხულობ, თუ არის ისეთი ადგილი

ან დრო, სადაც რთული ქცევა არასოდეს ვლინდება. ამის ცოდნა საწყისი წერტილის მოძებნაში დაგვეხმარება.

საქმე ისაა, რომ აუტიზმის მქონე ბავშვი ენის ნაცვლად ქცევას იყენებს და თუ მისი ენა თქვენ არ გესმით, ის თავად თქვენს ენას არასოდეს გამოიყენებს.

მაგალითად კბენის შემთხვევა განვიხილოთ.

თუ ჯონი იკბინება, დააკვირდით, რატომ იქცევა ბავშვი ასე. რას იღებს იგი კბენის სანაცვლოდ?

ზოგჯერ ჯონი იმიტომ იკბინება, რომ რაღაც მიუწვდომელი უნდა და არ იცის, სიტყვით ეს რაღაც როგორ მოითხოვოს. არის შემთხვევები, როდესაც იგი იმიტომ იკბინება, რომ უნდა, მარტივი დავალებების შესრულებისგან დაიძვრინოს თავი – მაგალითად, არ უნდა, პალტო დაკიდოს ან ფეხსაცმელი გაიხადოს.

ამდენად, კბენას ჯონისათვის ორი ფუნქცია აკისრია. ერთი სასურველის მიღებაა, მეორე კი – არასასურველისგან თავის დაძვრენა.

თითოეულ შემთხვევაზე სხვადასხვაგვარი რეაგირებაა საჭირო.

ხშირად კბენის ან ყვირილის დროს მშობლები ერთსა და იმავე სტრატეგიას მიმართავენ – როგორც კი ჯონი კბენას იწყებს, მას ორი წუთით ტაიმაუტს უნიშნავენ (ანუ კუთხეში აყენებენ, სათამაშოებს ართმევენ, ა.შ.).

თუმცა, თუ იმას გავითვალისწინებთ, თუ რატომ იკბინება ბავშვი, ვნახავთ, რომ ტაიმაუტის გამოყენების შედეგად, ის სწორედ იმას იღებს, რისი მიღწევაც უნდოდა ანუ არასასურველი დავალების შესრულებისგან თავს იძვრენს.

რომც შეძლოთ და ცოტა ხანში ჯონი აიძულოთ, დავალება შეასრულოს, იცოდეთ, რომ კბენა მაინც განმტკიცდა, რადგან დავალების გადავადება გამოიწვია. შედეგად, ჯონი, სავარაუდოდ, კვლავაც გააგრძელებს სხვათა დაკბენას, რომ თავი დაიძვრინოს ან მაშინვე არ შეასრულოს დავალება, რადგან, მარტივად რომ ვთქვათ, მისი ეს საქციელი ეფექტური აღმოჩნდა.

თუ თქვენი შვილი ყვირის ან იკბინება და თითქმის არ საუბრობს, სანამ მის სწავლებას შეუდგებით, ჯერ მისი ქცევების გაკონტროლება უნდა ისწავლოთ.

თუ ამოცანა ზედმეტად რთულად გეჩვენებათ, ნუ შეშფოთდებით. ამ თავში ჩვენ ვნახავთ, თუ როგორ უნდა დავაკვირდეთ და აღვრიცხოთ ბავშვის ქცევის გამომწვევი მიზეზები და როგორ შე-

ვამციროთ არასასურველი ქვევები მეცნიერულად დასაბუთებული ტექნიკის მეშვეობით.

მეორე თავის კითხვისას ერთი რაღაც გახსოვდეთ. ქვევის კანონები გრავიტაციის კანონებივით უცვლელია: თუ ქვევას განვამტკიცებთ, ის გაძლიერდება; თუ არასასურველი ქვევის შემდეგ სასჯელს მიმართავთ ან განმტკიცებისგან თავს შეიკავებთ, ის შესუსტდება.

თუ მკვეთრად გამოხატულ უარყოფით ქვევასთან გაქვთ საქმე, ან შეიძლება, ბავშვმა სერიოზული ზიანი მიაყენოს გარშემომყოფებს ან საკუთარ თავს, გირჩევთ, აუტიზმის მქონე ბავშვებთან მუშაობაში გამოცდილ სერტიფიცირებულ ქვევით ანალიტიკოსს მიმართოთ, რომლის დახმარებით ბავშვის ქვევის ფუნქციურ შეფასებას და ქვევითი გეგმის განხორციელებას შეძლებთ. თუ რაიმეში დარწმუნებული არ ხართ, ამ წიგნის გარდა, აუცილებლად სპეციალისტიც დაინმარეთ.

თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, თუ ქვევა მოიცავს ტანტრუმებსა და შედარებით მცირე არასასურველ ქვევებს, როგორებიცაა ცემა, ჩქმეტა, წიხლების რტყმა და კბენაც კი (განსაკუთრებით, თუ ბავშვი პატარაა და ადვილად უმკლავდებით), პროფესიონალის დახმარების გარეშე შეძლებთ ბავშვი შეაფასოთ და შედეგების საფუძველზე ქვევითი გეგმა შეიმუშავოთ ან საქმეში ინტერვენციული სტრატეგიები ჩართოთ. ამ წიგნის მეშვეობით ისწავლით, თუ რა არის საჭირო, იმისათვის რომ სულ მცირე, ბავშვის ქვევის გაკონტროლება დაიწყოთ.

ქვევის კონტროლის საწყისები

იმისათვის, რომ ქვევის კონტროლი დაიწყოთ, უნდა იცოდეთ, რომ თითოეული ქვევა სამი ნაწილისგან შედგება.

პირველი ნაწილია წინაპირობა, ანუ ის, რაც ხდება უშუალოდ კონკრეტულ ქვევამდე.

მაგალითისათვის ისევ ჯონი რომ მოვიშველიოთ, წინაპირობა იქნება ის მომენტი, როდესაც მას პალტოს ჩამოკიდებას ვთხოვთ.

ქვევა ისაა, რაც წინაპირობის შემდეგ ხდება. ჯონის ვთხოვთ, პალტო ჩამოკიდოს, ის კი იატაკზე გაწვება და ხელფეხს იქნევს.

ჯონის ქვევის შედეგი არის ის, რომ მას კუთხეში ვაყენებთ და პალტოს თავად ვკიდებთ.

სწორედ შედეგი განსაზღვრავს ყველაზე მეტად იმას, თუ როგორი რეაქცია ექნება ჯონის მსგავს წინაპირობაზე მომავალში. როგორც ამ მარტივი მაგალითით ნათელი ხდება, ჯონის ტანტრუმი გამოწვეულია იმით, რომ მას პალტოს ჩამოკიდება არ სურდა, ხოლო თქვენი ინტერვენციის (ჩარევის) შედეგად სასურველი ეფექტი მიიღო, რადგან პალტოს ჩამოკიდება არ მოუწია.

იმას, რასაც ეს მოკლე ეპიზოდი ცხადყოფს, სამნაწილიანი მოვლენა ეწოდება. ყველა ქვევა ასეთსავე – წინაპირობა, ქვევა, შედეგი – ნაწილებად შეიძლება დაიყოს.

ქვევა ხელოვნება არაა. ის მეცნიერებაა, რომელსაც ქვევის გამოყენებითი ანალიზი ეწოდება და კუპერის, ჰერონისა და ჰიუვარდის განმარტებით (1987) (Copper, Heron and Heward (1987)), არის დისციპლინა, რომლის მიხედვით სოციალურად მნიშვნელოვანი ქვევის გაუმჯობესების მიზნით სისტემატურად გამოიყენება ქვევის პრინციპებზე დაფუძნებული პროცედურები.

თუმცა, იმისათვის, რომ ნეგატიური ქვევის პრობლემა მოაგვაროთ და ბავშვი სასწავლო პროცესისთვის მოამზადოთ, ქვევის გამოყენებითი ანალიზის შესახებ დიდი ცოდნის დაგროვება საჭირო სულაც არ არის.

მარტივად რომ ვთქვათ, ქვევის გამოყენებითი ანალიზი ქვევის შეცვლის მეცნიერებაა.

სამპირობიან ალბათობას ჩვენ ყველანი ყოველდღიურად ვიყენებთ.

ისეთ სიტუაციაში, როდესაც ბავშვს მივმართავ: „გამარჯობა, რა გქვია?“, ბიჭი კი პასუხად მიბრუნებს: „მე მეთიუ მქვია“ და ამის შემდეგ ვუბნები „სასიამოვნოა, მეთიუ“, საქმე გვაქვს სამპირობიან ალბათობასთან.

წინაპირობა იყო შეკითხვა, ქვევა – მეთიუს პასუხი, შედეგი კი – ჩემი პასუხი, რომელმაც მისი გაცნობით მიღებულ სიამოვნებას გაუსვა ხაზი.

წინაპირობა ყოველთვის ისეთი რაღაცაა, რაც იწვევს ან უშუალოდ წინ უსწრებს ქვევას. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს პოზიტიური ან ნეგატიური, ისევე, როგორც შედეგიც შეიძლება იყოს პოზიტიური ან ნეგატიური.

პოზიტიური სამნაწილიანი მოვლენა იქნება ისეთი სიტუაცია, როდესაც ბავშვს ვთხოვთ, ცხვირს შეეხოს, ბავშვი ეხება ცხვირს, ბავშვი იღებს ორცხობილას.

ნეგატიური სამნაწილიანი მოვლენა მაგალითი იქნება ასეთი: ბავშვს ვუბნებით, რომ ამოხსნას გამოცანა, ბავშვი იატაკზე ეცემა და იწყებს ყვირილს, მშობელი აუქმებს თხოვნას და ამბობს: „გასაგებია, გამოცანის ხასიათზე არ ხარ“.

შედეგად, დავალება უქმდება.

პირველ მაგალითში ვხედავთ, რომ მათალი ალბათობით, ბავშვი ინსტრუქციას კვლავაც შეასრულებს, რადგან მას ორცხობილა უყვარს. მეორე მაგალითში კი ვნახეთ – ბავშვმა ალბათ ისწავლა, რომ მიწაზე გაწოლის ან ყვირილის შედეგად თხოვნა ქრება. ეს იწვევს უარყოფითი ქცევის გამოვლინებათა ზრდას.

მონაცემთა შეგროვება

სანამ რაიმეს მოიმოქმედებდეთ, აუცილებელია, ჯერ შვილის ქცევებზე მონაცემები შეაგროვოთ.

პირველ რიგში, შეარჩიეთ ერთი-ორი ისეთი ქცევა, რაც პრობლემურად გეჩვენებათ, მაგალითად ყვირილი, კბენა ან წიხლების რტყმა. ამის შემდეგ დაითვალეთ, საათში ან დღეში რამდენჯერ ავლენს თქვენი პატარა ამ კონკრეტულ ქცევას. რამდენიმე დღის განმავლობაში აღრიცხული საწყისი მონაცემების გარდა, საჭირო იქნება ქცევის ფუნქციის ან ფუნქციების დადგენა.

ფუნქციის განსასაზღვრად აიღეთ ქაღალდის ფურცელი და დახაზეთ ექვსკუთხედიანი ცხრილი (იხილეთ ცხრილი 2.1). პირველ სვეტში ჩაიწერეთ არასასურველი ქცევის თითოეული გამოვლინების თარიღი და დრო. ეს დაგეხმარებათ იმის განსაზღვრაში, თუ რა სიხშირით ჩნდება ეს ქცევა და, შესაძლებელია, ასევე დღის განსაკუთრებით პრობლემმატური მონაკვეთის დადგენაში.

მეორე სვეტში მიუთითეთ გარემო ან საქმიანობა, მაგალითად, „მეტყველების თერაპია“, „სათამაშო მოედანი“ ან „ტელევიზორის ყურებისას“. შემდეგ სვეტში იწერება წინაპირობა, ანუ ის მიმართვა ან აქტივობა, რაც უშუალოდ წინ უსწრებდა ქცევას. წინაპირობად

შეიძლება მოგვევლინოს მიმართვა „პალტო ჩამოვიდე“ ან პროცესის აღწერა – „ტელევიზორის გამორთვა“.

მეოთხე სვეტში ჩაწერეთ ქცევა. იმისათვის, რომ პროგრესი სათანადოდ გაიზომოს, ქცევის აღწერილობა ძალიან დეტალური უნდა იყოს. მოერიდეთ ზოგად ფრაზებს, როგორიცაა, მაგალითად, „ტანტრუმი“. ამის ნაცვლად დაწერეთ, რომ ბავშვმა დაიწყო ან შეეცადა კბენას ან კიდეც ის, რომ იატაკზე გაწვა. შეიძლება ჩაიწეროს ქცევების ერთობლიობა, მაგალითად, წიხლების რტყმა და ყვირილი. მთავარია, ქცევა რაც შეიძლება დეტალურად აღიწეროს.

მაგალითად, თუ ბავშვი წიხლებს ირტყმევინება, უნდა აღრიცხოთ, რამდენჯერ იქნევს ის წიხლს და საერთოდ ამ უკანასკნელს როგორ განმარტავთ. აქ სწორი და მცდარი პასუხები არ არსებობს. მთავარია, თქვენ თავად როგორ აღწერთ ამ მოვლენას. თუ წიხლს განსაზღვრავთ, როგორც ფეხის წინ გაქნევას ობიექტის მისამართით, მაშინ სწორედ ეს მოქმედება უნდა აღრიცხოთ მონაცემთა შეგროვების დროს.

ვინაიდან ქცევის აღწერისას დეტალურობაა საჭირო, დასათვლელი ქცევების განსაზღვრებაც უნდა გქონდეთ მზად.

ყვირილის შემთხვევაში, უნდა გადაწყვიტოთ, ყვირილის რა ხანგრძლივობა და ხმის რა სიმაღლე ითვლება აღსარიცხ ქცევად. შეგიძლიათ, ყვირილად ჩათვალოთ ხმის ყველა აწევა, რაც სამ წამზე მეტ ხანს გრძელდება. შეგიძლიათ, აღრიცხოთ დაყვირების მხოლოდ ის შემთხვევები, რომლებიც იატაკზე გაწოლასთან ერთად გზვდებათ. შვილის საქციელს თავად უკეთ იცნობთ და იმით დაიწყეთ, რასაც ყველაზე მეტად პრობლემურად თვლით.

მეხუთე სვეტში ჩაწერეთ, რა გააკეთეთ, ან რა შედეგი მოჰყვა უშუალოდ რთულ ქცევას. გაერიდეთ? ტაიმაუტს მიმართეთ? უთხარით: „ყვირილი არ შეიძლება“? თანმიმდევრული იყავით თუ არა ამ მოთხოვნაში? თუ ბავშვი ფიზიკურად გადაადგილეთ და აიძულეთ, პალტო აედო? აი, ასეთი შედეგები იწერება შედეგების სვეტში. ჩაიწერეთ, რეალურად რა მოიმოქმედეთ, თუნდაც ამას არასწორ ინტერვენციად თვლიდეთ. სწორედ ეს დაგეხმარებათ ბოლო სვეტში ჩასაწერი ქცევის ფუნქციის ან ფუნქციების დადგენაში.

ქვევის ფუნქციის დადგენა

შესაძლებელია, ქვევის პირობების აღწერა ზედმეტად შრომატევად საქმედ მოგეჩვენოთ, მაგრამ რეალურად, ეს საუკეთესო გზაა იმის გასარკვევად, თუ რა იწვევს ბავშვის ამა თუ იმ ქვევას და როგორ იყენებს იგი ქვევას სასურველი შედეგის მისაღებად.

იმისათვის, რომ ქვევაზე საპასუხო სტრატეგიების განსახორციელებლად საკმარისი მონაცემები მიიღოთ, დაკვირვება ორი-სამი დღე უნდა გაგრძელდეს.

ცხრილი 2.1: ქვევების აღწერის ნიმუში					
თარიღი/დრო	გარემო/საქმიანობა	წინაპირობა	ქვევა	შედეგი	ფუნქცია
14/9, 9:15	სასურსათო მაღაზია / სალაროს რიგი	დაინახა და მოინდომა კანფეტი	დაიწყო ყვირილი /გაწვა იატაკზე	კანფეტი მიეცა	ყურადღების მიპყრობა /ნივთების მოპოვება
15/9, 17:00	სადილი	ოჯახთან ერთად სასადილოდ მოვიხმე მაგიდასთან	დაიყვირა „არა“	დავრთე ცალკე სადილობის ნება	აქტივობისგან გაქცევა
15/9, 20:00	ბანაობის დრო	„ბანაობის დროა“	„არა“ და გაწვა იატაკზე	ავიყვანე და აბაზანისკენ წავიყვანე	აქტივობისგან გაქცევა
15/9, 21:00	ძილის დრო	10 წუთით მარტო დავტოვე, რომ დაეძინა	ფეხს ურტყამდა კედელს	ყურადღება არ მივაქციე და ჩაეძინა	სენსორული სტიმულირება

როდესაც მონაცემთა ანალიზს შეუდგებით, შეიძლება, ქვევის მიზანი მკაფიოდ ვერ დაინახოთ, რადგან არასასურველი ქვევის გამომწვევი მიზეზი, შესაძლებელია, არ ჩანდეს. თუ ჩაინერეთ, რომ ბავშვი ტირილით იატაკზე გაწვა საყვარელი ვიდეოს ყურებისას, როდესაც არავინ არაფერს სთხოვდა, ასეთ შემთხვევაში, რეკომენდებულია სამედიცინო პრობლემების გამორიცხვა. ეს განსაკუთრებით მოულოდნელ და მძიმე ქვევებს ეხება. ყურის ინფექციებმა, კბილის ტკივილმა თუ მუცლის პრობლემებმა შეიძლება ბავშვი წააქეზოს ისეთი არასასურველი ქვევისკენ, რაც თითქოს არაფრითაა გამოწვეული. ამდენად, იმის გამოსარიცხად, ესა თუ ის ქვევა სამე-

დიცინო პრობლემით ხომ არ არის გამოწვეული, საუკეთესო გზა ექიმის კონსულტაციაა.

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამორიცხვის შემდეგ შეგიძლიათ მონაცემების ანალიზს შეუდგეთ და ქვევის ფუნქცია ან ფუნქციები დაადგინოთ. ამ ბოლო მონაცემს ქვევების აღწერის ცხრილის ბოლო სვეტში შეიტანთ (იხილეთ ცხრილი 2.1). შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაზე რთული, მაგრამ, ამავდროულად, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

აუტიზმის მქონე ბავშვებსა და, ზოგადად, ადამიანებში, მინჩენულია, რომ რთული ქვევის გამოვლენა სამ ძირითად მიზანს ემსახურება: სასურველის მიღება, არასასურველის თავიდან არიდება, ან, უბრალოდ, სენსორული სტიმულირებისკენ სწრაფვა.

რაიმეს (ფიზიკური ნივთის თუ თქვენი ყურადღების) მიღებისკენ მიმართული ქვევაა, მაგალითად, ყვირილი და ხელების რტყმა სასურსათო მაღაზიის კანფეტების რიგში. ამდენად, თუ ცხრილს დავხედავთ და იქ წერია: „ბარნის ვიდეოს ყურება უნდოდა. მე ნება არ დავრთე“; ან: „კომპიუტერის ჩართვა უნდოდა და მე გავუთიშე“; ან კიდევ: „ტელეფონზე ვლაპარაკობდი. მოვიდა და ცემა დამიწყო“, ისეთ ქვევებთან გვექნება საქმე, რომელთა მიზანი, მაღალი ალბათობით თქვენი ყურადღების მიპყრობა ან/და რაიმეზე წვდომის მოპოვებაა. ამ ფუნქციას ბიჰევიორიზმი (ქვევის მეცნიერება) „სოციალურ დადებით განმამტკიცებელს“ უწოდებს. ტერმინის პირველი ნაწილი – „სოციალური“ მიუთითებს, რომ პროცესში მონაწილეობენ სხვა ადამიანები, მეორე – „დადებითი განმამტკიცებელი“ კი აღნიშნავს, რომ ბავშვს უნდა, რაღაც მიიღოს, დაიმატოს (ზემოთ მოყვანილ მაგალითში უყუროს ბარნის, დაჯდეს კომპიუტერთან, მიიპყროს თქვენი ყურადღება), რაც რთული ქვევის განმამტკიცებლად გვევლინება.

ქვევის მეორე მიზანი არასასურველის თავიდან არიდებაა. თუ ცხრილის მიხედვით, ბევრი რთული ქვევა იმას მოჰყვება, რომ ბავშვს თხოვეთ, პალტო ჩამოეკიდა, ბარათზე სურათი ამოეცნო, ან წიგნში გამოსახული ნივთები დაესახელებინა, ეს, სავარაუდოდ, იმაზე მიუთითებს, რომ ბავშვი ამ ქვევას რაღაცისგან თავის დასაღწევად იყენებს.

ზოგჯერ ყურადღების მისაპყრობად და არასასურველისგან თავის ასარიდებლად ბავშვი ერთსა და იმავე ქვევას (კბენა) მიმართავს.

ასეთ დროს თითოეული შემთხვევისთვის განსხვავებული სტრატეგია დაგჭირდებათ. თავის დაღწევის ადმინისტრაციული ბიჰევიორისტული ტერმინია „სოციალური უარყოფითი განმამტკიცებელი“. ამ ფუნქციაშიც სულ მცირე ერთი ადამიანი მონაწილეობს, მაგრამ ბავშვი, ამ შემთხვევაში, განმამტკიცებლად ესწრაფვის მოზრდილის მიერ რაიმეს, მაგალითად, მიცემული დავალების მოშორებას, უკან წაღებას.

სოციალურ დადებითსა და სოციალურ უარყოფით განმამტკიცებლებს შორის სხვაობას ადვილად დაიმახსოვრებთ. მთავარია, არ დაივიწყოთ, რომ დადებითი მიზნად ისახავს რაიმეს, მაგალითად, ყურადღებისა თუ ფიზიკური ნივთის დამატებას, მიღებას. უარყოფითი კი მოთხოვნის მოკლებას, თავიდან მოშორებას გულისხმობს. ორივე ფუნქციაში მონაწილეობენ სხვა ადამიანები (ამიტომ არის განმამტკიცებელი სოციალური). ამდენად, ამ ფუნქციებს ხშირად ვხვდებით სკოლებში, თერაპიის სეანსებზე, საზოგადოებრივ სივრცეებში. ქვემოთ „სოციალური დადებითი განმამტკიცებისა“ და „სოციალური უარყოფითი განმამტკიცების“ ნაცვლად გამოვიყენებ ტერმინებს „ყურადღება“ (რაც აგრეთვე მოიცავს რაღაცაზე წვდომას) და „თავის დაღწევას“.

რთული ქცევის მესამე მიზანი გრძნობის ორგანოების სტიმულირებაა. ბავშვმა შეიძლება სხეულზე იკბინოს, რადგან თავისი გარემოდან სენსორული სიგნალის აღქმა უნდა. ქცევების ამ ტიპს „ავტომატურ განმამტკიცებას“ უწოდებენ. მათ ვხვდებით ისეთ სიტუაციებში, როდესაც ბავშვის უშუალო გარემოში არავინ იმყოფება ან მასთან არავინ ურთიერთობს. თვითმასტიმულირებელი ქცევები ნებისმიერ ვითარებაში ვლინდება და, ამდენად, მათი ფუნქციის განსაზღვრა რთულია. არის შემთხვევები, როდესაც ბავშვი აქეთ-იქით ირწევა, კედელს თავს ურტყამს ან ზუზუნებს. სენსორული სტიმულირება სხვა ფუნქციებისგან იმით განსხვავდება, რომ ასეთი ქცევა ვლინდება მარტო ყოფნის პირობებში ან როდესაც ბავშვი არ არის ჩართული რაიმე აქტივობაში. ზოგჯერ ქცევა ყველა გარემოში თანაბრად ვლინდება. შეიძლება ბავშვის გვერდზე ვიღაც იჯდეს, მაგრამ მასთან ურთიერთქმედებაში არ იმყოფებოდეს. ამ შემთხვევაში, ბავშვის მიზანი უბრალოდ სენსორული სტიმულირება იქნება.

ამდენად, ცხრილი შევავსეთ და უკვე ვიცით, რომელ ქცევებს უნდა მივაქციოთ ყურადღება, როდის და რა სიხშირით ვლინდება ეს ქცევები და როგორ ცდილობდით თავად მათთან გამკლავებას.

ნუ გაგიკვირდებათ, თუ რომელიმე ქვევაში ფუნქციების კომბინაციას აღმოაჩინებთ. ბავშვი სხვადასხვაგვარი რეაქციის მისაღებად ხშირად ერთსა და იმავე ქვევას მიმართავს, მაგრამ საერთო სურათის ამოცნობა არ უნდა გაგიჭირდეთ. შეიძლება ბავშვის ქვევის 75% ყურადღებაზე იყოს მიმართული, 25% კი – თავის დადწევაზე. მეორე მხრივ, შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ დილის 11:30 საათი თქვენი შვილისთვის რთული დროა.

ახლა ქვევის თითოეული ფუნქციისთვის ინდივიდუალური სტრატეგია უნდა შეიმუშავოთ. ყურადღების მიპყრობაზე მიმართული ქვევებისთვის ინტერვენციების ერთი სერია უნდა გქონდეთ, თავის დადწევის ქვევებისთვის – სხვა. სენსორული სტიმულაციის ძიებაზე მიმართულ ქვევებს კი ინტერვენციების სრულიად სხვაგვარი ერთობლიობა ესაჭიროება.

ქვევის მართვის სტრატეგიის შემუშავება ქვევის ფუნქციის მიხედვით

მესმის, რომ ამ წიგნის ყველა მკითხველი ქვევის ანალიტიკოსი არ არის და არც ოდესმე იქნება. ყველაფრის მიუხედავად, თქვენ მაინც შეძლებთ, თავად გაწეროთ ქვევების მართვის მარტივი გეგმა ცალკეული ფუნქციის გათვალისწინებით (ქვევის სტრატეგიების ნიმუში მოცემულია ცხრილში 2.2).

მაშ ასე, ქვევების აღმწერელი ცხრილი უკვე შევსებული გაქვთ. ისიც დაადგინეთ, რომ თქვენი შვილის თითოეულ რთულ ქვევას ერთი, ორი ან სამი მიზანი შეესაბამება.

ამ ეტაპზე რეკომენდებულია ქვევების თითოეული მიზნისთვის განსხვავებული სტრატეგიის შემუშავება.

თითოეულ ქვევაზე სხვადასხვაგვარ რეაქციას მიზნად ვერ დაისახავთ. თქვენი მიზანი ქვევის ფუნქციაზე მუშაობა უნდა იყოს. ამდენად, სამი სხვადასხვა სტრატეგია დაგვჭირდება: სტრატეგიების ერთი სერია ყურადღების მიპყრობის/სასურველი ნივთის მიღების ქვევებს დაეთმობა; მეორე სერია – არასასურველის თავიდან არიდება; მესამე სერია სენსორულ სტიმულირებაზე მიმართულ ქვევებზე იქნება ორიენტირებული. ყველა ქვევა, რაც ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება, ერთგვარად დამუშავდება.

თუ ჯონი იმიტომ ყვირის, იკბინება, წიხლებს ან/და ხელებს ირტყმევინება, რომ ისეთი რამ უნდა, რაც მისთვის არ შეიძლება, ამ ქცევებს ერთნაირად ვუპასუხებთ. თუ ჯონი იმიტომ ყვირის, იკბინება, წიხლებს ან/და ხელებს ირტყმევინება, რომ რაიმესგან თავის დაღწევას ცდილობს, ეს ქცევებიც ერთნაირ რეაქციებს მიიღებს.

მოკლედ რომ ვთქვათ, ქცევის გასაუმჯობესებლად მხოლოდ სამი სტრატეგია დაგჭირდებათ. ერთი – ყურადღების მისაპყრობი, სასურველის მიღების ქცევებისათვის, ერთი – არასასურველის თავიდან არიდების ქცევებისათვის და ერთიც – სენსორული სტიმულირების ქცევებისათვის.

თითოეულ მიზანზე რეაქცია ორკაპა მიდგომით ხორციელდება (თითოეული მიზნის საპასუხო ორკაპა სტრატეგიები აღწერილია ცხრილში 2.2).

პირველ რიგში, უნდა შეადგინოთ ქცევის პრევენციის ან/და ჩანაცვლების სტრატეგია.

ამის შემდეგ უნდა დაწეროთ, თუ რა რეაქცია უნდა ჰქონდეს ზრდასრულ ადამიანს მოცემულ ქცევაზე მისი ფუნქციის გათვალისწინებით.

რაც უფრო მეტ დროს გაატარებთ ქცევების პრევენციასა თუ ჩანაცვლებაზე, მით უფრო მარტივი იქნება მომავალში ბავშვის სასწავლად მომზადება. მეტიც, კარგი იქნება, დროის 95 პროცენტს ქცევის პრევენციის სტრატეგიების განხორციელებას თუ დაუთმოთ.

როდესაც რთულ ქცევას ვაწყდები, ვიცი, რომ ბავშვს ზედმეტად ბევრ მოთხოვნას უყენებენ ან/და განმამტკიცებლები მეტისმეტად სუსტია.

სანამ მოზრდილი ბავშვისათვის მოთხოვნების წაყენებას დაიწყებს, ამ ბავშვმა მასთან კომფორტულად უნდა იგრძნოს თავი. გარდა ამისა, დასაწყისში მოთხოვნები პატარა უნდა იყოს – იმდენად პატარა, რომ მოთხოვნას არც ჰგავდეს. მოთხოვნები (რომლებიც შესრულებისას აუცილებლად უნდა განმტკიცდეს) უნდა იყოს მარტივი – მაგალითად, ფეხსაცმლის ჩაცმა, მანქანაში ჩაჯდომა ან წინადადების თქმა. თუ რთულ ქცევას დაინახავთ, უკან დაიხიეთ და დაფიქრდით, როგორ შეძლებთ მის პრევენციას მომავალში. მარტივად რომ ვთქვათ, თუ ქცევის პრევენცია გვინდა, განმამტკიცებელი უნდა გავაძლიეროთ ან/და მოთხოვნები გავამარტივოთ.

ცხრილი 2.2: ინტერვენციის სტრატეგიები ფუნქციის მიხედვით

	ყურადღება/ სასურველის მიღება (სოციალური დადებითი განმტკიცება)	არასასურველის არიდება (სოციალური უარყოფითი განმტკიცება)	სენსორული სტიმულირება (ავტომატური განმტკიცება)
1. პრევენციის სტრატეგიები	<ul style="list-style-type: none"> • დაუკავშირეთ გარემო/ადამიანი განმამტკიცებელს • თითოეულ უარყოფითზე რვა დადებითი განმამტკიცებელი • ააწყვეთ რეჟიმი-დაგეგმეთ განმამტკიცებელი აქტივობებით მდიდარი დღე • როდესაც არ გვალათ, ბავშვი დააკავეთ საყვარელი საქმიანობით (თუ ტელეფონზე უნდა ილაპარაკოთ, ჩაურთეთ ვიდეო) • ასწავლეთ მენდირება (უნარი, მისაღები გზით მოითხოვოს ის, რაც სურს) 	<ul style="list-style-type: none"> • შეამცირეთ ან მთლიანად გამორიცხეთ ქცევის გამომწვევი აქტივობები და მოთხოვნები • დააყენეთ მარტივი მოთხოვნები, რომელთა შესრულებაში დახმარებას აძვილად შეძლებთ (ფრაზის „დაემშვიდობე“ ნაცვლად ფრაზა „ხელი დაუქნიე“) • დღის განრიგში განმამტკიცებელი აქტივობები განათავსეთ რთული აქტივობების შემდეგ (ჯერ აბაზანა, შემდეგ დასვენება) • სამუშაო გარემო აღჭურვეთ განმამტკიცებლებით (ტელევიზორი, სასუსნავები) • მუშაობა თანდათან შეაპარეთ 	<ul style="list-style-type: none"> • გაამდიდრეთ გარემო (მუსიკა, ფერები, სათამაშოები, აქტივობები) • დღის განმავლობაში ბავშვი დააკავეთ საყვარელი საქმიანობით • მოიმარაგეთ ბევრი სენსორული სათამაშო და აქტივობა (ბატუტი, საქანელა, მუსიკა, რბილი ბურთები) • ასწავლეთ, როგორ მოითხოვოს სენსორული აქტივობები
2. რას ვაკეთებთ, ქცევის ამ მიზნით გამოვლენის შემთხვევაში	<ul style="list-style-type: none"> • დათვლა და მენდირების პროცედურა • ქცევის იგნორირება / სიტუაციას გარიდება • ცოტა ხნით განმამტკიცებლის შეწყვეტა (მეთვალყურეობის ქვეშ), შემდეგ ნეიტრალურ აქტივობაზე გადართვა 	<ul style="list-style-type: none"> • გაიმეორეთ მოთხოვნა • არ დაუშვათ განმამტკიცებელთან, სანამ არ დაგემორჩილებათ • აუცილებლობის შემთხვევაში და შესაძლებლობის ფარგლებში, ფიზიკურად დაეხმარეთ მოთხოვნის შესრულებაში • მომავალი რთული ქცევის პრევენციის მიზნით, გააანალიზეთ ყოველი ეპიზოდი 	<ul style="list-style-type: none"> • ყურადღებას ნუ მიაქცევთ ნაკლებ სერიოზულ ქცევას, თუ იგი დაზიანებას არ იწვევს (რწევა/კვნესა) • მძიმე ქცევა შეაწყვეტინეთ • დამშვიდებად / გაჩერებამდე დაელოდეთ 5 წამი. შემდეგ გადართეთ ბავშვი სხვა აქტივობაზე

ყურადღების მიპყრობის ან სასურველის მიღების მიზნით გამოვლენილ ქცევაზე მუშაობა

ყურადღების მისაპყრობი ქცევების პრევენცია/ჩანაცვლება

ახლა, როცა დაკვირვების ცხრილის წყალობით, შვილის რთულ ქცევებს კარგად იცნობთ, შეგიძლიათ ქცევის პრევენციას შეუდგეთ. მაგალითად, თუ ბავშვმა რთული ქცევა გამოავლინა იმიტომ, რომ, სასურსათო მაღაზიაში ვიზიტისას კანფეტი მოუნდა, ამ პრობლემის აღკვეთას შეძლებთ, ერთი, ბავშვის ყურადღებით უზრუნველყოფით; და მეორე, თუ მას კანფეტი ეჭმევა, შეგიძლიათ, საწუწნი კანფეტი გზაში უყიდოთ, რომ სანამ თქვენ საყიდლებს შეარჩევთ, იქამდე მიირთვას. ასე კანფეტი უკვე ექნება, რაც კარგ ხასიათზე დააყენებს; დარჩენილ დროში კი შეძლებთ, სასურველი ქცევისთვის დამატებითაც შეაქოთ.

მნიშვნელოვანი პრევენციული ნაბიჯია, აგრეთვე, ბავშვისათვის ყურადღების მიპყრობაზე ან ნივთების მიღებაზე მიმართული ქცევის ჩამანაცვლებელი ქცევების სწავლება.

ამისათვის საუკეთესო სტრატეგიაა, შვილს ასწავლოთ, როგორ მოითხოვოს სასურველი. ვინაიდან სასურველის მოთხოვნა ვერბალური ქცევის მიდგომის ქვაკუთხედი. მას წიგნის მომდევნო თავებში ვრცლად განვიხილავთ.

ამ ეტაპზე კი ბავშვს კომუნიკაციასა და სასურველის მოთხოვნაში შეგიძლიათ დაეხმაროთ მითითებით ან მარტივი ჟესტებით. აუცილებლად შექმენით ისეთი პირობები, რომ ტირილის ან სხვა არასასურველი ქცევის პასუხად ბავშვს ნივთები არავინ მისცეს.

როგორ მოვიქცეთ, როდესაც ვლინდება რთული ქცევა ყურადღების მიპყრობის მიზნით?

ისეთ შემთხვევებში, როდესაც ქცევის პრევენცია არ შეგიძლიათ და ბავშვი კანფეტების რიგში ტანტრუმს აწყობს, მას ამ დროს კანფეტი არ მისცეთ. კანფეტების ჭამა, რა თქმა უნდა, შეუძლია, მაგრამ არა ტანტრუმის დროს. ბავშვს ეს მეტად მნიშვნელოვანი ცნება აუცილებლად უნდა ასწავლოთ.

აღნიშნულ შემთხვევაში, ბავშვი წინ დაიყენეთ, თითები ტუჩებზე დაიდეთ და უთხარით: „სუზი, გაჩუმდი“. შემდეგ ხმამაღლა

ან გულში ერთიდან ხუთამდე დაითვალეთ და წარმოთქვით: „კანფეტი“, ან მიუთითეთ კანფეტზე და გადაეცით იგი ბავშვს. თუ ბავშვი ხუთი წამის განმავლობაში ჩუმადაა, კანფეტი თუ სხვა ნივთი ერგება; მეორე მხრივ, თუ არ გაჩუმდა ან სანამ თქვენ ითვლიდით, თავიდან დაიწყო ყვირილი, კვლავ მიუთითეთ გაჩუმდეს და დათვლა თავიდან დაიწყეთ. ეს ბავშვს ასწავლის, რომ ტანტრუმის პროცესში სასურველს ვერ მიიღებს; ხოლო თუ თავის გაკონტროლებასა და თავაზიანად „თხოვნას“ შეძლებს, კანფეტი ექნება.

ზემოთ აღწერილ პროცედურას დოქტორმა ვინსენტ კარბონმა „დათვლა-მენდირების პროცედურა“ უწოდა. ის ეფექტურად გამოგვადგება ტიპური ბავშვების შემთხვევებშიც კი, როდესაც მათ ვასწავლით, თუ როგორ ითხოვონ ნებადართული ნივთი. სანამ ამ საშუალებას გარეთ ცდით, უმჯობესია ბავშვი ამ ტექნიკით შინ ამუშაოთ. ამრიგად, თუ ბავშვი კვლავაც განაგრძობს ყვირილს, იძულებული აღარ იქნებით, მის მოთხოვნას დაჰყვეთ. როცა გადაწყვეტთ, რომ უკვე შეგიძლიათ მყვირალ ბავშვს წინააღმდეგობა გაუწიოთ და დათვლა-მენდირების პროცედურას სათანადოდ ახორციელებთ, მოაწყეთ ისე, რომ ეს მიდგომა ყველა დანარჩენმა გარშემომყოფმაც აითვისოს.

დათვლა-მენდირების პროცედურა მოკლე ტაიმაუტია. იმ მშობლებისა და სპეციალისტების უმეტესობას, რომლებიც ტაიმაუტს იყენებენ, სინამდვილეში ხშირად არ ესმით, რომ ტაიმაუტი განმამტკიცებლის მოშორებას ნიშნავს.

აუტიტური და განვითარების სხვა დარღვევების მქონე ბავშვების შემთხვევაში, ტაიმაუტს ზოგჯერ ცუდი შედეგები მოაქვს. ერთ, ხუთ თუ ათწუთიანი ტაიმაუტების დროს ეს ბავშვები სინამდვილეში სულაც ვერ იგებენ, რა დააშავეს და განმამტკიცებელს როგორი ქცევა მოუტანთ. ლექციისას აუდიტორიას ხშირად ვთხოვ ხოლმე, ხელი აწიონ, თუ ტაიმაუტი სასჯელად მიაჩნიათ. ამის შემდეგ ვეკითხები, ვინ თვლის, რომ სტიკერი ბავშვისათვის განმამტკიცებელია. დამსწრეთა უმეტესობა ფიქრობს, რომ ტაიმაუტი სასჯელია, სტიკერი კი განმამტკიცებელი. სინამდვილეში, ეს სადავო საკითხია. ჩვენ ხომ მხოლოდ ის ვიცით, რომ ნივთი/აქტივობა განმამტკიცებლის ან სასჯელის როლს მხოლოდ იმ შემთხვევაში ასრულებს, თუ მომავალში სამიზნე ქცევების სიხშირე გაიზარდა (განმამტკიცებელი) ან შემცირდა (სასჯელი).

თუ ტაიმაუტს იყენებთ, ყურადღება მიაქციეთ, რომ მას მხოლოდ ყურადღების მისაპყრობი ფუნქციის ქცევებისთვის მიმართოთ, რადგან თავის დაღწევისკენ მიმართული ქცევების შემთხვევაში ის არ გამოგადგებათ. გარდა ამისა, დარწმუნდით, რომ ტაიმაუტი ძალიან მოკლეა (განსაკუთრებით, განვითარების შეფერხების კატეგორიის ბავშვებში) და ნამდვილად ეფექტური სტრატეგიაა. თუ ის ქცევების გამოვლინება, რომლის გამოსწორებაზეც მუშაობთ, ტაიმაუტის გამოყენების შედეგად არ იკლებს, მაშინ ამ სტრატეგიაზე, ალბათ, უარი უნდა თქვათ. აუტისტური ბავშვების შემთხვევაში, ჩემი რეკომენდაცია ჩვეულებრივ დათვლა-მენდირებაა და არა ტაიმაუტი, რადგან ასე ბავშვი არა მხოლოდ იმას სწავლობს, რომ რთული ქცევა არაფერს მოუტანს, არამედ იმასაც, თუ როგორ დააყენოს მოთხოვნა სათანადო ფორმით.

ლუკასსთან ტაიმაუტს არასოდეს ვიყენებ, ხოლო სპენსერის შემთხვევაში, რომელიც ჩემიმეორე შვილია, ის რვა წლისაა და ტიპური განვითარების ბავშვია, ნამდვილი ტაიმაუტისთვის სულ ერთი-ორჯერ თუ მიმიმართავს.

ყველაფერი ცოტაოდენ რთულდება, თუ ბავშვი იმას გთხოვთ, რისი მიღების უფლებაც მას არ აქვს. ცხადია, თუ ტედს უნდა, გარეთ ფეხშიშველა გავიდეს, არადა ტემპერატურა ნული გრადუსია, უარის თქმა მოგიწევთ.

ამ შემთხვევაში დათვლა-მენდირების პროცედურა არაფერს მოგიტანთ, რადგან დაითვლით და მოთხოვნას მაინც ვერ შეუსრულებთ.

ასეთ დროს ყველაზე მნიშვნელოვანი პრევენციაა. თუ ბავშვს მოკოლადი უნდა, მაგრამ მასზე ალერგია აქვს, აუხსენით, რომ მოკოლადს ვერ მიიღებს, მაგრამ შეუძლია, ვაშლი, ორცნობილა ან რამე სხვა საყვარელი სასუსნავი მიირთვას.

თუ ქცევა ვერც ასე აღკვეთეთ და ბავშვმა ტანტრუმი მოაწყო, საუკეთესო სტრატეგიაა, გაერიდოთ და ქცევას იგნორირებით უპასუხოთ. არც ის განმამტკიცებელი უნდა მისცეთ, რასაც რთულ ქცევა-მდე სთავაზობდით.

თუ ქცევა დამძიმდა, მოსთხოვეთ, ცოტა ხნით ჩუმად დაჯდეს და შემდეგ სხვა საყვარელი აქტივობით ან ნივთით გართობა შესთავაზეთ. თუმცა, განმამტკიცებელი იქამდე მაინც არ მისცეთ, სანამ სულ მცირე ხუთი წამით არ გაჩუმდება. თუ ტანტრუმის დროს ბა-

ვშვის სხვადასხვა განმამტკიცებლით (საყვარელი ნივთებით) მოქრთამვას დაიწყებთ, რთულ ქცევას კიდეუ უფრო განამტკიცებთ. აი, რატომ არის მნიშვნელოვანი არასასურველი ქცევისა (ტანტრუმი) და სასურველი ქცევის (თავაზიანად თხოვნა) განცალკევება სულ მცირე ხუთი წამით. თუ ბავშვს რთული ქცევის გამოვლენისას ნივთი მივეცი თან ყურადღება დაუთმეთ (უარყოფითი ყურადღებაც კი, დატუქსვის სახით), დიდი შანსია, ქცევა განმტკიცდეს და მომავალში უფრო გართულდეს. თუ მოულოდნელად ახალი ქცევის ხშირ გამოვლინებას წააწყდით, იცოდეთ, რომ მას ვიდაც ან ვიდაცეები განამტკიცებენ.

ვხვდები მშობლებს, რომლებიც ბავშვებს ხშირად უწყრებიან და ვიცი, რომ ეს უარყოფითი ყურადღება, სავარაუდოდ, ძლიერი განმამტკიცებელია. მაგალითისათვის, წარმოიდგინეთ, რომ ტელეფონზე საუბრობთ და ამ დროს ბავშვი გირტყამთ, რათა თქვენი ყურადღება მიიქციოს. თუ ამ დროს მეგობარს თხოვთ, მოიცადოს და ბავშვს დატუქსავთ, იცოდეთ, რომ ბავშვი ამ დროს სწორედ იმას იღებს, რაც უნდოდა – თქვენს ყურადღებას. შემდეგში დარწმუნდით, რომ სანამ თქვენ ტელეფონზე ლაპარაკობთ, იგი რაიმე სასიამოვნოთი დაკავდეს, თუ ეს შესაძლებელია. ამავდროულად, ტელეფონზე საუბარს დიდხანს ნუ გააგრძელებთ. თუ ეს მაინც მოგიწევთ და ნახეთ, რომ თქვენი შვილი სასურველ ქცევას ავლენს, საუბარი შეწყვიტეთ და მხარზე ხელი მოუთათუნეთ, გაუღიმეთ ან ცერა თითი აჩვენეთ.

არასასურველის თავიდან არიდებაზე მიმართულ ქცევებზე მუშაობა

ქცევის პრევენცია ან/და ჩანაცვლება

თუ ბავშვი არასასურველის თავიდან არიდებაზე მიმართულ ქცევებს ხშირად ავლენს, დაფიქრდით, როგორ შეიძლება ბავშვისათვის სასურველი გახდეს მაგიდასთან მუშაობა, ადამიანთან ურთიერთობა, უბრალოდ, შენობაში ანდა საკლასო ოთახში ყოფნა. გარემოსა და განმამტკიცებლის გაწყვილების მიზნით, დასაწყისისათვის შეიძლება სამუშაო სივრცეში პორტატული DVD-ფლეერის,

კანფეტის ან საბზრილო სათამაშოების შემოტანა გამოგადგეთ. თუმცა, ეს განმამტკიცებლები მაგიდაზე იქამდე უნდა იდოს, სანამ რთული ქცევა თავს იჩენს. მუშაობისკენ მოწოდებას შეუშვით და სამუშაო სივრცეში ჩართეთ DVD-ფლერი ბავშვის საყვარელი ფილმით. როდესაც მაგიდასთან მოვა, დართეთ ვიდეოს ყურების ნება და აქა-იქ აუნსენით, რა ხდება ამა თუ იმ სცენაში, რათა ბავშვისთვის თქვენი ხმა განმამტკიცებელთან ასოცირდებოდეს (გაწყვილება). გახსოვდეთ, თქვენი ვალია, დროის 95 პროცენტი რთული ქცევის პრევენციას დაუთმობთ.

თუ ბავშვი ქცევას დავალებისგან ან აქტივობებისგან თავის არიდების მიზნით იყენებს, მნიშვნელოვანია, მოთხოვნები იქამდე შეამციროთ, სანამ რთული ქცევა თავს იჩენს. ამით ქცევას დაასუსტებთ ან საერთოდ აღმოფხვრით.

თუ შეამჩნიეთ, რომ როცა ბავშვს თავსატეხის აწყობას თხოვთ, ეს ტანტრუმს იწვევს, შემდეგზე თავსატეხში მხოლოდ ერთი ნაწილის ჩამატება თხოვეთ. თუ პალტოს ჩამოკიდებაზე უარს ამბობს, შემდეგზე შეგიძლიათ თხოვოთ, რომ პალტო გაიხადოს და მოგაწოდოთ. ან კიდევ, მთლიანად ფეხსაცმლის ჩაცმის ნაცვლად, მიზნად დაისახეთ, ბავშვმა იგი მხოლოდ ველკროს შესაკრავით დაიბნოს.

ძალზე მაღალ მიზნებს ნუ დაისახავთ, რადგან ეს, სავარაუდოდ, სწორედ იმ ქცევას გამოიწვევს, რისი თავიდან არიდებაც გაქვთ განზრახული. გარდა ამისა, როდესაც ბავშვი მის მიმართ არსებულ მოლოდინებს შეეჩვევა, ნელ-ნელა უფრო მეტის კეთებასაც დაიწყებს.

მთავარი აქ ისაა, რომ მოთხოვნები ბავშვს ისე ფრთხილად შეაპაროთ, რომ ვერც კი მიხვდეს, რომ სინამდვილეში „მუშაობს“.

ამ ფუნქციის ჩამანაცვლებელ ქცევებში შედის ბავშვისათვის იმის სწავლება, თუ როგორ ითხოვოს შესვენება ან დახმარება, ან როგორ განიშნოთ, რომ მუშაობის დასრულება სურს ტანტრუმის მოწყობის ნაცვლად.

ვერბალური ქცევის მიდგომაში შესვენებებს ხშირად არ ვიყენებთ, რადგან გვინდა, ბავშვს ჩვენთან ერთად ყოფნა, ჩვენთან ერთად მაგიდასთან ან სამუშაო სივრცეში ჯდომა უნდოდეს. მეორე მხრივ, თუ ბავშვი დიდია ანდა მძიმე ქცევებს ავლენს, საუკეთესო გამოსავალი იქნება, ბავშვს ასწავლოთ, როგორ თქვას ან განიშნოთ „შესვენება“ ან „შევჩერდეთ“.

როგორ მოვიქცეთ, როდესაც ვლინდება რთული ქცევა არასასურველისგან თავის არიდების მიზნით?

ჩემი გამოცდილებით, თავის არიდების ქცევები თავს იჩენს მაშინ, როდესაც დავალება ძალზე რთულია, განმამტკიცებელი კი – ძალზე სუსტი. ბავშვის რეალური შესაძლებლობის დონეზე მუშაობა საშუალებას მოგცემთ, შეაფასოთ, რა არის მისთვის დაუძლეველი და არის თუ არა მოცემული განმამტკიცებელი საკმარისად ძლიერი.

თუმცა, თუ ინსტრუქციის მიცემას (მაგალითად, „თავსატენში ერთი ნაწილი ჩაამატე“) ტანტრუმი მოჰყვა, მოთხოვნა შეინარჩუნეთ და, თუ ეს შესაძლებელია, ფიზიკურად დაეხმარეთ ბავშვს. როცა კი შეძლებთ, ისეთი მოთხოვნა ჩამოაყალიბეთ, რომ შესრულებაში დახმარება შეძლოთ. მაგალითად, იმის ნაცვლად, რომ სთხოვოთ, „აბა, „ნახვამდის“ უთხარი“, სთხოვეთ: „ხელი დაუქნიე“. ამგვარად, თუ დამორჩილება არ უნდა და ტანტრუმისთვის ემზადება, შეძლებთ, თქვენი დახმარებით ხელი დააქნევინოთ და მაშინვე მიაყოლოთ განმამტკიცებელი (რასაკვირველია, განმამტკიცებლამდე უნდა დაელოდოთ, სანამ სასურველ ქცევას სულ მცირე ხუთი წამით მანინც არ შეინარჩუნებს). დავალების შესრულებაში დახმარებას „დახმარება“ ეწოდება. პროგრამის ადრეულ ეტაპებზე აუცილებელია, ისეთი მოთხოვნები წაუყენოთ, რომელთა შესრულებაში დახმარება, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია.

საზოგადოდ, ადვილია ისეთ მოტორული მოძრაობების მომცველი მითითებებში დახმარება, როგორებიცაა „აწყვე თავსატეხი“, „დაუკარი ტაში“, „ერთმანეთს შეუხამე ვაშლები“. ხოლო, იმის მოთხოვნა, რომ რამე წარმოთქვას, განსაკუთრებით, თუ მეტყველება ნაკლებგანვითარებული უნარია, შეიძლება ითქვას, წინასწარ წაგებული ბრძოლაა, რადგან ადამიანის იძულება, რომ რაიმე თქვას, თითქმის შეუძლებელია.

მას შემდეგ, რაც ბავშვს მიუთითებთ, როგორ შეასრულოს დავალება, დაფიქრდით, რამ გამოიწვია რთული ქცევა. თითოეული ტანტრუმის შემთხვევა გააანალიზეთ. ზოგჯერ ფიზიკურად დახმა-

რება შეუძლებელია და არარეკომენდებულიც კი, განსაკუთრებით, თუ ეს რაიმე სახით ძალის გამოყენებას გულისხმობს. ასე, მაგალითად, თუ ტუდი იატაკზე დაეცა და 100 გირვანქას იწონის, მის ხელში აყვანას ან მაგიდასთან მიყვანას არ გირჩევთ. ფიზიკური დახმარება რეკომენდებული არაა, თუ ამან შეიძლება თქვენ ან ბავშვს საფრთხე შეგიქმნათ. არის სკოლები და დაწესებულებები, სადაც თავისუფლების შეზღუდვად ითვლება ბავშვის ნებისმიერი სახით მოქაჩვა, თუ ეს არათანაბარ და უკუ ძალით დაწოლას მოიცავს. თუ ისეთ სიტუაციაში ხართ, რომ ბავშვის გადაადგილება ან დახმარება ძალის გამოყენებას საჭიროებს, უბრალოდ, არ მოხსნათ მოთხოვნა, კვლავ და კვლავ მშვიდი ხმით გაიმეორეთ ინსტრუქცია და არ დაუშვათ ბავშვი განმამტკიცებელთან, სანამ არ დაგემორჩილებათ.

ბევრი აუტიზმის მქონე ბავშვი ქცევის ორივე მიზანს (სასურველის მიღება და არასასურველის თავიდან არიდების მცდელობა) ერთდროულად გამოხატავს. მაგალითად, ბავშვს შეიძლება უჭირდეს საყვარელი საქმიანობიდან არასასურველ საქმიანობაზე გადართვა, ვთქვათ, ბარნის ვიდეოს გამორთვა და მაგიდასთან სამუშაოდ მისვლა. ასეთ დროს ბავშვი იატაკზე ენარცხება, რადგან ტელევიზორში ბარნი აღარაა, მას კი კვლავაც უნდა, ვიდეოს უყუროს (სასურველის მიღება) და სულაც არ სურს, მაგიდასთან იმუშაოს (არასასურველის თავიდან არიდება).

თუ თქვენი შვილი აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლის დროს რთულ ქცევას ავლენს, საუკეთესო სტრატეგია ის იქნება, რომ იგი აქტივობათა გამოცვლისთვის შეამზადოთ. ნუ ანიშნებთ, რომ მუშაობის დროა და შემდეგ ტელევიზორს ნუ გამორთავთ (ის ხომ ბავშვის საყვარელი განმამტკიცებელია). ამის ნაცვლად, განმამტკიცებელი მაგიდასთან მიიტანეთ ან, პირიქით, სამუშაო მიუტანეთ ბავშვს, რათა მცირე მოთხოვნების შეპარება შეძლოთ. დროთა განმავლობაში ტელევიზორის გამორთვასაც (ან სათამაშოს თუ თავსატეხის გვერდზე გადადებას) შეძლებთ. ასე ბავშვი ისწავლის, რომ შეუძლია, განმამტკიცებელზე დროებით უარი თქვას, რადგან მას კვლავაც მიიღებს მცირე დოზებით, რომლებიც მუშაობის პროცესში ნელ-ნელა გაიზრდება.

სენსორული სტიმულირებისკენ მიმართული ქცევები

რთული ქცევების პრევენცია ან ჩანაცვლება

განვითარების დარღვევის მქონე ბავშვებსა და მოზრდილებში ხშირად გვხვდება სენსორული სტიმულირების მაძიებელი ქცევები, მაგალითად, რჩევა, ზედაპირზე თავის რტყმა, ცერათითის წოვა, თითებზე კბენა და ხმამაღლა კვნესა.

დიდი ალბათობით, თქვენი შვილი ამ რთულ ქცევებს იმიტომ ავლენს, რომ გარშემომყოფთაგან და გარემოსგან სათანადო სტიმულირებას ვერ იღებს. ბავშვის მუდმივად დაკავება შრომატევადი და, ზოგ შემთხვევაში, შეუძლებელი საქმეა. სკოლას შეიძლება არ ჰქონდეს იმის საშუალება, თითო მოსწავლეზე თითო პედაგოგი იყოლიოს და „დამოუკიდებელ მუშაობაზე“ ორიენტირებული. განსაკუთრებით მომთხოვნი ბავშვის მუდმივად დაკავება არათუ სკოლაში, სამინაო პირობებშიც კი რთულია.

სენსორული სტიმულირების ძიების ქცევებზე მუშაობის ორკაპა მიდგომა ქცევის პრევენციის გეგმით იწყება. პრევენციის მიღწევა ჭეშმარიტად მდიდარი გარემოს შექმნითაა შესაძლებელი. საჭიროა, მოზრდილმა ბავშვთან რაც შეიძლება მეტი დრო გაატაროს და სახალისო და განმამტკიცებელი აქტივობებით დააკავოს. ასე ბავშვს სენსორული სტიმულირების ძებნა აღარ დასჭირდება. სამუშაო გარემოში იქონიეთ ბევრი სენსორული სათამაშო, მაგალითად, დიდი სავარჯიშო ბურთი, საქანელა, ბატუტი, ბზრიალები, ვიბრატორი-კალმები. ასევე კარგი განმამტკიცებელი და სენსორულად მასტიმულირებელი საშუალებაა მცირე სენსორული რბილი ბურთები. რთული ქცევების ჩანაცვლება თუ გსურთ, დააკვირდით, რა სახის სენსორულ სტიმულირებას საჭიროებს თქვენი შვილი. თუ, როცა უსაქმოდაა, სხეულით აქეთ-იქით ირჩევა, სარჩვევლა სკამი უყიდეთ, რადგან ეს ნივთი სოციალურად მისაღებია და ქცევას ჩანაცვლებს. თუ ბავშვი ნერწყვს მაგიდის ზედაპირზე უსვამს, არასასურველი ქცევის უფრო სასურველი ქცევით ჩანაცვლებას შეძლებთ თითოთ ხატვის აქტივობებით ან სახატავი დაფის საშუალებით.

როგორ მოვიქცეთ, როდესაც ვლინდება რთული ქცევა სენსორული სტიმულირების ძიების მიზნით?

თუ რთული ქცევა მაინც გამოვლინდა, შეიძლება უკეთესი იყოს მისი იგნორირება. ეს განსაკუთრებით სუსტად გამოვლენილ ქცევებს, რწევასა და კვნესას ეხება. კიდევ ერთი ვარიანტია, იქამდე მოივადოთ, სანამ ბავშვი რამდენიმე წამით არ გაჩერდება, ან გაჩუმდება და შემდეგ მიუახლოვდეთ და განმამტკიცებელ აქტივობაზე გადაიყვანოთ. რაც შეეხება მძიმე ქცევებს, როგორცაა ზედაპირზე თავის რტყმა, ეს ქცევა ხელით ან რაიმე ფიზიკური ნივთით, მაგალითად, ჩაფხუტით უნდა გაანეიტრალდოთ. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ფიზიკური საფრთხის შემცველი მძიმე ქცევების, მაგალითად, თავის რტყმის, შემთხვევაში, დაჟინებით გირჩევთ, კონსულტაციისათვის ვერბალური ქცევის მიდგომაში გამოცდილ სერტიფიცირებულ ქცევით ანალიტიკოსს მიმართოთ. ეს აუცილებელი მოთხოვნაა, თუ ბავშვის უსაფრთხოებისათვის ჩაფხუტის ან სხვა მექანიკური საშუალების გამოყენებას ფიქრობთ. როცა ეჭვი გეპარებათ, პროფესიონალს მიმართეთ!

იმედი მაქვს, გარემოს გამდიდრებასთან ერთად ბავშვის ეს ქცევები შემცირდება. თუმცა, თუ ასე არ მოხდა და ქცევები მძიმე და პოტენციურად საფრთხის შემცველია, ქცევის ანალიტიკოსს გაესაუბრეთ, რომელიც დაგეხმარებათ, დაადგინოთ, თუ კერძოდ რასთან გაქვთ საქმე.

რა უნდა მოიმოქმედოთ დაუყოვნებლივ რთულ ქცევასთან გასამკლავებლად

თქვენ ახლავ შეგიძლიათ დაიწყოთ რთულ ქცევაზე მონაცემების შეგროვება. წიგნში მოყვანილი სხვადასხვაგვარი რთული ქცევის მაგალითები მოიცავს ტანტრუმებს, როგორცაა ტირილი, წიხლებისა და ხელების რტყმა და კბენა. პირველ რიგში, ისეთი პრობლემების მოგვარებას უნდა შეეცადოთ, რაც თქვენს პატარას ან სხვებს საფრთხეს უქმნის. თუმცა, მაშინაც კი, როდესაც ბავშვის ქცევა არც აგრესიულია და არც თვითდაზიანებაზე ორიენტირებული, თუ ის გამფოთებთ, ესე იგი არასასურველია. მიმუშავია ისეთ

ქვევებზე, სადაც მნიშვნელობა ჰქონდა, თუ რამდენჯერ იტყოდა ბავშვი ფრაზებს: „არა“, „რა სისულელეა“, „ვერ გავაკეთებ“. საქმე მქონია ისეთ რთულ ქვევებთან, სადაც ბავშვმა ზეპირად იცოდა და იმეორებდა ფილმის დიალოგებს, მაგიდაზე ხატავდა ფლომასტრით და ხელებს შარვალში იყოფდა. ცხადია, ამ ქვევებს ფიზიკური ზიანის მოტანა არ შეუძლია, მაგრამ მაინც ხელისშემშლელია და სასწავლო პროცესს არღვევს.

დაიდეთ წინ ქალაქის ფურცელი და უბრალოდ ხაზების ჩამოსმით აღნიშნეთ, რამდენჯერაც ბავშვი რომელიმე არასასურველ ქვევას გამოავლენს. თუ შემაშფოთებელი ქვევა ხშირად მეორდება, მთვლელი იყიდეთ. მთვლელები საკანცელარიო მალაზიებში იყიდება და ასევე ხელმისაწვდომია საიტზე www.difflearn.com.

ამის შემდეგ დაიწყეთ ქვევის, პირობების აღწერა (ნიმუში იხილეთ ცხრილში 2.1). გააანალიზეთ მონაცემები და ცხრილში 2.2 მოყვანილი სტრატეგიების გამოყენებით შეადგინეთ ქვევის განეიტრალების გეგმა. შედგენილი გეგმა ყველა იმ ადამიანს უნდა დაურიგოთ, ვინც ბავშვთან მუშაობს ან უბრალოდ მასთან დროს ატარებს, რათა ყველა მათგანის რეაქცია გამოვლენილ ქვევებზე ერთი და იგივე იყოს.

თუმცა გეგმის წერილობით წარმოდგენა კარგი იდეაა, ბავშვის სხვა მომვლელებს თავადაც უნდა უჩვენოთ, თუ როგორ გამოიცნონ და უპასუხონ ქვევის სხვადასხვა ტიპს. შეიძლება როლური თამაშის ჩატარება, სადაც ერთი მოზრდილი ბავშვის როლს შეასრულებს. ასევე, ადგილზე დააკვირდით, თუ როგორ რეაგირებენ სხვები ბავშვის რთული ქვევაზე. თანმიმდევრულობა ძალზე მნიშვნელოვანია! ეს ნიშნავს, რომ ყველას, ბავშვის ძიძიდან დაწყებული და ბებიით დამთავრებული, ეცოდინება, რთული ქვევა როგორ აღკვეთონ და მოაგვარონ.

ერთი გაფრთხილება: ქვევაზე რეაგირების გეგმის განხორციელებას რომ შეუდგებით, განსაკუთრებით, თუ უკვე თვეები ან წლებია, ბავშვი რთულ ქვევაზე განმამტკიცებლებს იღებს, მის გამოსწორებამდე ქვევის გამოვლინებათა სინშირე დროებით შეიძლება გაიზარდოს.

ახლა უკვე ქვევები სხვაგვარ ფორმასაც მიიღებს, რადგან ბავშვმა იცის, რომ თუ წარსულში ტირილისთვის შეიძლება ყურადღება არ მიგექციათ, და-ძმის მიმართ აგრესიულობაზე მყისიერი

რეაქცია გექნებოდათ. გეგმის განხორციელების პროცესში ბავშვს რთული ქცევის გამოვლენისას მარტოს ნუ დატოვებთ. ასე ქცევა შეიძლება დამძიმდეს. ამიტომ მასთან ერთად დარჩით და მის და სხვათა უსაფრთხოებაზე იზრუნეთ.

ცოტა ხანში – მართლაც ცოტა ხანში – წესით, ბავშვის ქცევის გამოსწორების მოწმე უნდა გახდეთ. თუ ასე არ მოხდა, გეგმას გადახედეთ, ცვლილებები შეიტანეთ და პროფესიონალ ანალიტიკოსთან გასაუბრებაც მოსინჯეთ. თუ საბაზისო მონაცემები სათანადოდაა აღრიცხული, ეს მეთოდი საკმაოდ მარტივი განსახორციელებელია. თუ მოკლე ხანში ბავშვის არსასურველი ქცევები შემცირდა ან საერთოდ აღმოიფხვრა, ესე იგი, პრობლემის არსს ჩამწვდარხართ. თუ ქცევები შენარჩუნდა ან გახშირდა, გეგმას დაუბრუნდით და ნახეთ, რამდენად სწორად რეაგირებთ მათზე.

ქცევების სიხშირის აღრიცხვა და წინაპირობა, ქცევა, შედეგის კომპონენტების აღწერა საშუალებას მოგცემთ, დაინახოთ, ქცევები ხშირდება თუ მცირდება. მონაცემები ასევე დაგეხმარებათ, რომ ქცევის ფუნქციას ადევნოთ თვალი და გიკარნახებთ, ყველა გარემომყოფი გეგმის მიხედვით მოქმედებს თუ არა.

მას შემდეგ, რაც ქცევა ასე თუ ისე მოექცევა კონტროლქვეშ, შეგიძლიათ ბავშვის სწავლებას მიჰყოთ ხელი. ამან არასასურველი გამოვლინებები კიდევ უფრო უნდა შეამციროს, რადგან თქვენი შვილი ახლა უკვე ცხოვრების ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან გარემოში იქნება ჩართული: ისწავლის, როგორ უნდა დაამყაროს კომუნიკაცია არა რთული ქცევით, არამედ ენით, მეტყველებით.

III ტაკი

შეჯასება

როგორც ფილოლოგები გვარწმუნებენ, ენა ზმნებისგან, არსებითი სახელებისა და ნაცვალსახელებისგან შედგება. ლოგოპედები კი ენას განიხილავენ როგორც ექსპრესიულს (მეტყველების უნარი) ან რეცეპციულს (გაგების უნარი). არც ერთი ცდება და არც – მეორე, მაგრამ პირადად მე, როგორც ვერბალური ქცევის პრაქტიკოსი, ენას კიდევ უფრო მცირე კომპონენტებად ვშლი. ეს საშუალებას მაძლევს, სრულად შევიტყო ბავშვის უნარების შესახებ და კომუნიკაციის თითოეულ ასპექტზე ინდივიდუალურად ვიმუშაო.

იმისათვის, რომ განვლილი მანძილი გავზომოთ, პირველ რიგში, უნდა ვიცოდეთ, მოძრაობა საიდან დავიწყეთ. სწორედ ამიტომ, პროგრამის შემუშავებამდე ბავშვის შესაძლებლობებს ვაფასებ. არამყარ საფუძველზე აშენებული პირამიდა აუცილებლად დაინგრევა. რთული უნარების სწავლებამდე, მნიშვნელოვანია, ბავშვს საბაზისო უნარები განუვითარდეს.

სკინერის აზრით, საუბარი არის დასწავლილი ქცევა, რომელიც იცვლება გარემო მახასიათებლების – მოტივაციის, განმტკიცების ხარისხის, წინაპირობის მიხედვით. თუ დაილაპარაკებთ, მეტყველებისათვის გარკვეული სახის აღიარებას, ჯილდოს მიიღებთ. თუ პატარა, ახლად ატიტინებულ ბავშვს დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ის ბევრ მარტივ მარცვალბგერას იყენებს: „მა“, „ბა“, „და“. ასევე ხშირად იშველიებს ღია ხმოვნებს, როგორიცაა „აა“ ან „ოო“. როგორც წესი, მშობლები პირველი სიტყვების – „დედას“ ან „მამას“ – გაგონებას სულმოუთქმელად ელიან და, შედეგად, მარცვლების გამოთქმის პროცესი საპასუხოდ ძლიერ განმამტკიცებელს იღებს. ღია ხმოვნების წარმოთქმა კი ისეთ ყურადღებას არ იმსახურებს და განმტკიცების პროცესი სუსტია. როგორც კი ბავშვი მარცვალს „მა“ ან „და“ წარმოთქვამს, გახარებული დედ-მამისგან ბავშვი უდიდეს ყურადღებას იღებს: მას უდიტინებენ, გულში იკრავენ, აძლევენ რძეს, რაც ჩვილების უმეტესობას ძალიან უყვარს.

ასე იწყება ენის, მეტყველების გამოკვეთის პროცესი ტიპური განვითარების ბავშვებში.

უნდა ითქვას, რომ მეტყველებას განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებიც ასე სწავლობენ. თუმცა, ამ გზაზე ბევრად უფრო მეტი და უფრო მკაფიო განმამტკიცებელი ესაჭიროებათ, რადგან მათი ენობრივი განვითარება ბევრად უფრო ნელა მიმდინარეობს.

ასეა თუ ისე, ჩვენი მთავარი საზრუნავი სიტყვებია. „თქვენი შვილი ლაპარაკობს?“ ისეთი შეკითხვაა, რასაც პოტენციური შეფერხების მქონე ბავშვების მშობლებს ხშირად უსვამენ. პასუხი შეიძლება იყოს: „საერთოდ არა“; ან კიდევ: „არამყარად, მაგრამ რაღაც სიტყვებს ხმარობს“; ზოგჯერ: „რეგულარულად ათამდე სიტყვას იყენებს“; ან კი სულაც: „სულ ლაპარაკობს, არ ჩერდება“.

ამავდროულად, სიტყვების ცოდნა ერთია და მათი ეფექტურად გამოყენების უნარი – მეორე. შეიძლება შეგვხვდეს ოთხი წლის ბავშვი, რომლის ექსპრესიული ასაკი 2.2 წლის ბავშვის ეკვივალენტურია, არადა რეცეპციული უნარები 3.4 წლის ბავშვისა აქვს. ბავშვის შესაძლებლობების დონეს მხოლოდ სიტყვების ცოდნით სწორად ვერ შევაფასებთ.

როგორც ქცევის ანალიტიკოსს, ბავშვის ენობრივი უნარის ფუნქციაზე ბევრად მეტი ინფორმაცია მესაჭიროება. როგორ იყენებს ამ სიტყვებს? როდის იყენებს? რა ინტენსივობით? ექსპრესიული ენის მთლიანობაში განხილვის ნაცვლად, ვერბალური ქცევის სპეციალისტები მას უფრო მცირე ნაწილებად ჰყოფენ. ესენია მენდირების, ტაქტირების, ექოსებრი, ინტრავერბალური და სპონტანური ენობრივი უნარები. ვერბალური ქცევის პროგრამის დაგეგმვამდე თითოეული ეს უნარი ცალ-ცალკე უნდა შეაფასოთ.

შეფასების ფორმა წიგნის ბოლოშია მოცემული (იხილეთ დანართი 1). ის დაგეხმარებათ შვილის საბაზისო უნარებზე დაკვირვებაში როგორც ვერბალური, ასევე არავერბალური ოპერანტების მიხედვით.

მენდირების უნარის შეფასება

პირველი შეკითხვა, რასაც მშობელს ვუსვამ ხოლმე, არის: „როგორ გატყობინებთ ბავშვი, რომ რამე უნდა, ან სჭირდება?“ ამით, ფაქტობრივად, იმას ვეკითხები, თუ როგორ ახდენს ბავშვი მენდირებას. მენდირება ყველაზე მნიშვნელოვანი ოპერანტია, რადგან

მას ყოველთვის უსწრებს წინ მოტივაცია და მოსდევს ბავშვის მიერ მოთხოვნილი ნივთის მიღება.

სამეცნიერო ენაზე რომ ვთქვათ, სიტყვა არ არის მენდი, თუ მას მოტივაცია არ უსწრებს წინ. ბავშვს უნდება ორცხობილა, ისიც მას მენდირებს (მოითხოვს). სვინერი ამბობდა, რომ მოტივაციას ხშირად განაპირობებს მადღრისობა და უკმარისობა. თუ ბავშვს კარტოფილის ჩიფსები უყვარს და მათ მოითხოვს და მიიღებს, დადგება მომენტი, როდესაც ის გულს იჯერებს ჩიფსებით და მოითხოვს წყალს ან წვენს. მან დაიკმაყოფილა კარტოფილის ჩიფსების სურვილი, მაგრამ ამის შემდეგ მოისურვა წყალი ან წვენი. აი, ეს არის მენდირების საფუძვლის – მოტივაციის მაგალითი: მოსურვება მენდირებას წინ უნდა უსწრებდეს.

ქვევის თერაპიაში, კომპონენტების მაგალითს თუ მოვიშველიებთ, მოტივაცია იქნება წინაპირობა, ქვევა იქნება ორცხობილის მოთხოვნა, ხოლო შედეგი იქნება პირდაპირი განმამტკიცებელი (ბავშვი ორცხობილას იღებს). როგორც II თავში უკვე ვნახეთ, ნებისმიერი განმტკიცებელი ქვევა ნარჩუნდება ან ძლიერდება. ამრიგად, თუ ბავშვი უშუალოდ მენდირების შემდეგ განმამტკიცებელს მიიღებს, შეგიძლიათ, ივარაუდოთ, რომ ის მენდის გამოყენებას კვლავაც გააგრძელებს ან გაახშირებს. ბავშვი მიხვდება, რომ როგორც კი წარმოთქვამს სიტყვას „ორცხობილა“, ის ამ ორცხობილას იღებს. შედეგად, როდესაც მას მოშივდება, ის სავარაუდოდ მიმართავს არა ტანტრუმს, არამედ მენდირებას, რადგან ეს მისი სურვილის დაკმაყოფილების ყველაზე სწრაფი გზაა.

მენდირების უნარის შეფასებისას, უმჯობესია, ისეთ ნივთებს მიაქციოთ ყურადღება, რაც ბავშვის მხედველობის არის მიღმა და რასაც ის დახმარების გარეშე ითხოვს. პროგრამის დასაწყისში მენდირების უნარი ხშირად სუსტია. ეს, განსაკუთრებით, ეხება მხედველობის არის მიღმა არსებულ ნივთებს. ამდენად, მენდირების ამგვარი შემთხვევების სინშირის ჩაწერა არ გაგიძნელებათ. ყველა მხედველობის მიღმისეულ მენდს რომ აღრიცხავთ, მოიმარაგეთ შვილის საყვარელი სასუსნავი, სასმელი და სათამაშო. მიეცით ბავშვს ორცხობილის (ან სხვა საჭმლის) პატარა ნაჭერი და ნახეთ, თუ აიღებს და შეჭამს. თუ ასე მოიქცა, გეცოდინებათ, რომ მოტივაცია ძლიერია. ასე რომ დაიჭირეთ ორცხობილის კიდევ ერთი ნაჭერი ბავშვის თვალწინ და ხუთი წამი დაიცადეთ, რომ ბავშვმა ის სი-

ტყვიტ ან ჟესტიტ მოითხოვოს. თუ ბავშვმა სიტყვიტ ან ჟესტური ენიტ წარმოთქვა „ორცხობილა“, ამას აღრიცხავთ როგორც „მხედველობის არისმიერ“ მენდს. თუ ბავშვმა ორცხობილა არც სიტყვიტ და არც ჟესტური ენიტ არ მოითხოვა, თავად სამჯერ განასახიერეთ ვერბალური ან ჟესტური მოდელი თითო წამის შუალედიტ. ეს, დაახლოებით, ასე უნდა გამოიყურებოდეს: „ორცხობილა“ – ერთწამიანი პაუზა; „ორცხობილა“ – ერთწამიანი პაუზა; „ორცხობილა“. მოდელირებისას, როდესაც სიტყვას „ორცხობილა“ მეორეჯერ და მესამეჯერ წარმოთქვამთ, ორცხობილა ბავშვს ოდნავ მიუახლოვეთ. თუ, მოდელზე დაკვირვების შედეგად, ბავშვი შეეცადა, რომ სიტყვა გაიმეოროს, ეს ფაქტი აღრიცხეთ მესამე სვეტში, რომელსაც „მხედველობის არისმიერი მენდირება ხმოვანი დახმარებით“ ვუწოდოთ. აღნიშნული პროცედურით უნდა შეაფასოთ ბავშვის მენდირების უნარის მთელი სპექტრი.

ტიპური განვითარების ბავშვი დღის განმავლობაში მრავალჯერ მიმართავს მენდირებას ნივთების მისაღებად. შემდეგ ყურადღების მენდირებაზე გადადის: „აბა, შემომხედე“. ამის შემდეგ ითხოვს ინფორმაციასაც: „მამიკო სად არის?“. ეს დაახლოებით მეორე წლის ბოლოს ხდება. შეფასება იქამდე გააგრძელეთ, სანამ ხელთ მენდების ამომწურავი სია არ გექნებათ.

ტაქტირების (ნიშანდების) უნარის შეფასება

შემდეგი ვერბალური ოპერანტია „ტაქტი“. მისი მნიშვნელობის გაგებაში სიტყვა „კონტაქტი“ დაგეხმარებათ. როცა რაიმეს ვხედავთ, ვყნოსავთ, გემოს ვუსინჯავთ, გვესმის ან შევიგრძნობთ, მის შესახებ აზრს ვაყალიბებთ მისი ნიშანდების – ტაქტირების – ან კიდევ აღწერის გზით. მას შემდეგ, რაც ბავშვი რამდენიმე ნივთის მენდირებას შეძლებს, შეგვიძლია, ტაქტირების სწავლას შევუდგეთ. ტაქტირების ბავშვისათვის გასაცნობად ერთერთი საუკეთესო გზაა ფოტოების გამოყენება: გადაუღეთ ფოტოები საყვარელ განმამტკიცებლებს და სთხოვეთ მათი ტაქტირება. რა თქმა უნდა, ფიზიკური ნივთების მოხმარებაც შეიძლება, მაგრამ მე არ გირჩევდით, რადგან შეიძლება მოხდეს აღრევა ნივთის მენდირებასა და ტაქტირებას შორის. გარდა ამისა, ფოტოების გამოყენებით ბავშვი უფრო ადვი-

ლად შეძლებს სხვადასხვა ოპერანტს შორის მანევრირებას. ტაქტიკების სწავლებისა და ოპერანტებს შორის უნარების გადატანის ანუ ტრანსფერის პროცედურა სრულად ქვემოთაა განხილული, მაგრამ სხვადასხვა ოპერანტის მნიშვნელობის სწორად გაგება რომ შეძლოთ, უბრალოდ დაიმახსოვრეთ, რომ ტაქტი არის მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნებისა თუ შეხების ობიექტის ნიშანდება.

ტაქტიკების უნარის შესაფასებლად საჭიროა ყოველდღიური მოხმარების რამდენიმე საგანი მოათავსოთ ერთ ყუთში, რომელსაც ეწერება „ტაქტი“. იყიდეთ ფლემ-ბარათები, ამობეჭდეთ გრაფიკული ილუსტრაციები, ჟურნალებიდან ამოჭერით სურათები. საგნებისა და სურათების ტაქტიკების უნარის შეფასებას ვიწყებთ შეკითხვით: „ეს რა არის?“. ბავშვის პასუხი აღირიცხება. თუ ტაქტიკების რეპერტუარი ვრცელია, შეგვიძლია „პირველი 100 (თუ 1000) სიტყვა“ ტიპის საბავშვო წიგნებზე გადავიდეთ და ილუსტრაციების მიხედვით გამოვკითხოთ ბავშვს, რა რა არის. თუმცა, თუ ტაქტიკების უნარი არც ისე მაღალია ან ბავშვს რომელიმე გვერდზე სურათების სიმრავლის გამო ყურადღება ეფანტება, ფლემ-ბარათების გამოყენება მოგიწევთ.

სასკოლო ასაკამდე ტიპური მცირეწლოვანი ბავშვი ლექსიკას ათასობით ტაქტის გამოყენებით იქმნის. ტაქტების შეფასება მაშინაც კი აუცილებელია, თუ ეს უნარი ძლიერია. შეფასება მანამდე უნდა გაგრძელდეს, სანამ სია ას სიტყვას არ გადააჭარბებს. თუ ბავშვს ტაქტიკების უნარი შეზღუდული აქვს, ან საერთოდ არ გააჩნია, შეფასება შეიძლება ათი საგნით ან სურათითაც შემოიფარგლოს.

ექოსებრი უნარების შეფასება

ექოსებრი ოპერანტის მნიშვნელობა მისი დასახელებიდანაც ჩანს. იგი გულისხმობს ექოს მსგავსად სხვისი ნათქვამის გამეორებას. ტიპური განვითარების ბავშვების შემთხვევაში, გამეორების უნარს სწავლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ტიპური ბავშვი, რომელიც სამშენებლო მოედანზე მომუშავე ბულოზურს ხედავს, მშობელს ეკითხება: „ეს რა არის?“ მშობელი პასუხობს: „ეს ბულოზურია“. ბავშვი იმეორებს: „ბულოზური“. ასეთი ბავშვების უმეტესობა ახალ სიტყვას ერთი-ორი მცდელობით სწავლობს და შემდგომი გამეორება საჭირო აღარ არის ხოლმე.

აუტიზმის მქონე ბავშვს შეიძლება მეტყველების უნარი ასე თუ ისე ჰქონდეს, მაგრამ სხვისი ნათქვამის გამეორება თუ უჭირს, განვითარება შეუფერხდება. ზოგ შემთხვევაში, აუტიზმის მქონე ბავშვმა შეიძლება სიტყვის დაუყოვნებლივ გამეორება ვერ შეძლოს, მაგრამ ჰქონდეს შენელებული ექოლალია, რაც ასევე ხელს უშლის სწავლას. გარკვეულწილად ეს პრობლემა ლუკასსაც ჰქონდა. ორი წლის სრულდებოდა (ეს იქამდე მოხდა, სანამ დიაგნოზს დაუსვამდნენ), მუზეუმში რომ წავიყვანეთ, სადაც იხვებს ვათვალიერებდით. ლუკასს ფრინველები საერთოდ არ აინტერესებდა. სამაგიეროდ, აღფრთოვანდა ნიშნებით, რომლებიც მნახველებს იხვების კვებას უკრძალავდა. მე და ჩემს მეუღლეს იგი ერთი ნიშნიდან მეორე ნიშანთან გადაგვყავდა; ვუკითხავდით: „გთხოვთ, იხვებს საკვებს ნუ მისცემთ“ და შემდეგ ვამატებდით: „ყი, ყი, ყი“. ეს ფრაზა მუზეუმში არ გაუმეორებია, მაგრამ შემდგომში, ღამით უცებ გაიღვიძებდა და იტყოდა: „გთხოვთ, იხვებს საკვებს ნუ მისცემთ. ყი, ყი, ყი“. მაშინ შენელებული ექოლალიას შესახებ არაფერი მქონდა გაგონილი, ფრაზის გამეორების მცდელობა მეგონა და მესიამოვნა, რომ ლუკასი სიტყვებისგან უკვე წინადადებას აწყობდა.

ექოსებრი უნარების შეფასებისას სამუშაო სივრცეს ყოველგვარი მასალა და საგანი მოაცილეთ და ბავშვი თქვენს სიახლოვეს, სასურველია, პირისპირ დაისვით. თავიდან შესაფასებლად აიღეთ მარტივი ბგერები: „აბა, თქვი „მა“ და „აბა, თქვი „ბა“. თუ ბავშვმა მარტივი ბგერები გაიმეორა, გადადით ერთმარცვლიან სიტყვებზე; მაგალითად: „თქვი „მთა“ და „თქვი „რძე“. ამის შემდეგ შეგიძლიათ ორ და მეტ მარცვლიანი სიტყვებისა და ფრაზების გამეორების შეფასებას შეუდგეთ.

ექოსებრ მეტყველებას ვრცლად წიგნის მეცხრე თავში განვიხილავთ. ამჟამად კი უბრალოდ დაიმახსოვრეთ, რომ ექოსებრი ოპერანტი ექოს მსგავსია. მისი წინაპირობა სხვა ადამიანის ვერბალური ქცევაა (სიტყვის ან ფრაზის წარმოთქმა), ქცევა კი – ბავშვის მიერ ფრაზის ზედმიწევნით ზუსტად ან მიახლოებით გამეორება. გამეორება შეიძლება მოხდეს დაუყოვნებლივ ან ცოტა ხნის შემდეგ. მეტყველების განვითარების გზაზე ექოსებრი ქცევის გაკონტროლება მნიშვნელოვანი ნაბიჯია და მან შეიძლება ბიძგი მისცეს ბავშვის ამეტყველებას, რადგან გამეორების უნარი სწავლის უნარის ზრდას უწყობს ხელს.

ხშირად, აუტიზმის მქონე

ბავშვებს გამეორების უნარი არ გააჩნიათ. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ბავშვს ყველაფრის გამეორება შეუძლია და ასეულობით სიტყვის შეფასების საჭიროება აღარ დგება. ასეთ დროს უბრალოდ შეაფასეთ, შეუძლია თუ არა ბავშვს, გაიმეოროს მარტივი ბგერები (მა, და, ღო), შემდეგ ერთმარცვლიანი სიტყვები (მზე, რძე), მრავალმარცვლიანი სიტყვები და, ბოლოს, წინადადებები.

ინტრავერბალური უნარების შეფასება

ინტრავერბალური ოპერანტი გულისხმობს შეკითხვებზე პასუხის გაცემის უნარს. ის მნიშვნელოვანია ბავშვში საუბრის უნარის განვითარების თვალსაზრისით. აუტიზმის დიაგნოზის დადგენამდე, ლუკასს, როგორც ჩემმა მეუღლემ აღმოაჩინა, გარკვეული ინტრავერბალური უნარები ჰქონდა. თუმცა, იმ დროს არც ერთმა ვიცოდით, რომ საბავშვო სიმღერებსა და ლექსებში გამოტოვებული სიტყვების ჩასმა ინტრავერბალურ უნარს გულისხმობდა. ერთი დღე მახსენდება, როდესაც ქმარმა მთხოვა, მათთვის მეყურებინა: ერთ სიმღერას მღეროდა, რომელიც სერიალ „არტურში“ ისმოდა ხოლმე. ჩემი მეუღლე იმღერებდა: „And I say...“ ლუკასი კი დაუმატებდა: „Hey!“ ამის შემდეგ კვლავ ჩემი მეუღლე: „What a wonderful kind of...“ და კვლავ ლუკასი: „Day!“ ასე იმღერეს მთელი სიმღერა. მაშინ ყველაზე მეტად იმან დამაბნია, რომ ლუკასი სხვა კონტექსტში ამ სიტყვებს ვერ ხმარობდა. სიტყვის თქმა რომ მეთხოვა, ვერ იტყოდა. არც მამამისისთვის სიმღერის თხოვნა შეეძლო, არც ნიშანდება თუ ტაქტირება. უბრალოდ, სიტყვებს ამბობდა, რომლებიც ინტრავერბალური უნარის მაჩვენებელი აღმოჩნდა.

ხშირად, როცა მეტყველების მინიმალური უნარის მქონე ბავშვებს ვაფასებ, მათ ნაცნობ სიმღერებში გამოტოვებული სიტყვების ჩასმას ვთხოვ ხოლმე. აქ მნიშვნელოვანია, ისეთი სიმღერა ვუმღეროთ, რაც მრავალჯერ ექნება მოსმენილი. გამოტოვეთ თითოეული ტაეპის ბოლო სიტყვა. მაგალითად, „ბარნის“ შემთხვევაში, ნელა და ხმამაღლა დაიწყეთ: „I love...“ და ბოლო სიტყვა აღარ თქვათ. თუ ბავშვი აქ არ შემოგაშველებთ სიტყვას „you“, მაშინ ის

თავად წარმოთქვით და შემდეგ ტაეპზე გადადით: „You love...“ და-
ვლოდეთ რამდენიმე წამი, რომ სიტყვა „Me“ თავად ჩასვას. თუ ასე
არ მოიქცა, ტაეპი თვითონ დაამთავრეთ.

თუ ბავშვს სიმღერებში თითო გამოტოვებული სიტყვის ჩასმა
შეუძლია, შემდეგი ეტაპია იმის შემოწმება, აქვს თუ არა უნარი, ყო-
ველდღიურობასთან დაკავშირებული უფრო ფუნქციური ფრაზები
დაასრულოს. ასეთ შემთხვევაში, მაგალითად, უთხარით: „ღორი
ამბობს... [ღრუტ]“, „ძროხა გვაძლევს... [რძეს]“ ნახეთ, ახსენებს თუ
არა სიტყვებს „ღრუტ“ და „რძე“. როგორც წესი, სანამ ბავშვი უპასუ-
ხებს უფრო რთულ შეკითხვებს (რა დაფრინავს ცამი? დაასახელე
სამი ფერი. რომელი ხილია ყვითელი?), მან ამ ტიპის მარტივი,
ჩასასმელი დავალებების შესრულება უნდა შეძლოს. ინტრავერბა-
ლურ უნარს უფრო დეტალურად მეცხრე თავში ავხსნით, ამ ეტაპზე
კი დაიმახსოვრეთ, რომ ინტრავერბალური ქცევა არის სხვის მიერ
დასმულ შეკითხვაზე პასუხის გაცემის უნარი.

ექსპრესიული უნარის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება

ოთხი ძირითადი ვერბალური ოპერანტია მენდი, ტაქტი, ექოსებრი
უნარი და ინტრავერბალური უნარი. ეს ოთხი ერთობლივად წარმოა-
დგენს იმას, რასაც ლოგოპედები „ექსპრესიულ ენას“ უწოდებენ.

უნდა ვიცოდეთ, რომ აუტიზმისა თუ განვითარების სხვა შეფე-
რხების მქონე ბევრ ბავშვს სინამდვილეში საკომუნიკაციო უნარები
აქვს, მაგრამ არათანაბრად განვითარებული. როდესაც ლუკასთან
ლოვასის ქცევის გამოყენებითი ანალიზის პროგრამით დავი-
წყეთ მუშაობა, მას უკვე შეეძლო გარკვეული საგნების მოთხოვნა
და, როგორც ზემოთ გიჩვენეთ, ზოგიერთი ინტრავერბალური უნა-
რიც გააჩნდა. სამაგიეროდ, არ შეეძლო ტაქტირება და მოთხოვნის
საპასუხოდ ვერბალურად იმიტირება (ექოირება). რადგან მაშინ
ვერბალური ქცევის მიდგომის შესახებ არაფერი ვიცოდით, ექსპრე-
სიულ ენაში მის ძლიერ მხარეებს არ ვიყენებდი (რასაც ახლა სხვა
ბავშვებთან ვაკეთებ ხოლმე). ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების
შეფასება არ დაგავიწყდეთ. აუცილებლად დაიწყეთ იმის აღრი-
ცვით, თუ რა გამოსდის ბავშვს და სიზუსტესა თუ სისწორეს დიდ

ყურადღებას ნუ მიაქცევთ. თუ შვილს ორცხობილას უჩვენებთ და ის გეუბნებათ: „ორჩხობილა“ ან თუნდაც „ორჩობირა“, ეს ნიშნავს, რომ ის მენდირებას მიმართავს – ორცხობილას გთხოვთ. განამტკიცეთ ეს ქცევა, მიეცით ბავშვს ორცხობილა, მაგრამ აუცილებლად უჩვენეთ ნიმუშად, თუ სწორად როგორ წარმოთქვას საგნის დასახელება და აღნიშნეთ, როგორ წარმოთქვა ბავშვმა „ორცხობილა“.

გარდა ამისა, აღნიშნეთ ის სიტყვებიც, რომელთაც ბავშვი თქვენგან იმეორებს. თუ ორცხობილა უჩვენეთ და მან არაფერი თქვა, თვითონ თქვით: „ორცხობილა“. შემდეგ ისევ გაიმეორეთ და დააკვირდით, თუ დაგიბრუნებთ ნაჩვენები საგნის სახელს. ეს შემთხვევა აღრიცხეთ როგორც მენდი დახმარებით – თქვენ მას საგანი უჩვენეთ და ხმოვანი ნიმუშითაც შეახსენეთ მისი წარმოთქმა.

ასევე უნდა აღირიცხოს ის სიტყვები, რომელთა – ნამდვილის თუ დახატულის – დანახვაზე ბავშვი ტაქტირებას (ნიშანდებას) მიმართავს. დასასრულისთვის, აღრიცხეთ ის სიტყვები, რომელთა ჩასმა ბავშვს შეუძლია სიმღერაში. ეს მონაცემები ბავშვზე მორგებული, მის სისუსტეებზე მიმართული და ძლიერ მხარეებზე დაფუძნებული პროგრამის შედგენაში დაგეხმარებათ.

კარგი იქნება, თუ არსებული უნარების შეფასებისას აგრეთვე გეცოდინებათ, თუ რამდენს ლაპარაკობს ბავშვი, თუნდაც დამახინჯებით ან თავისთვის ამბობდეს რაიმეს. დაინიშნეთ 30 წუთი ან ერთი საათი და, უბრალოდ, დაითვალოთ, რამდენ ბგერას ან სიტყვას წარმოთქვამს იგი ბუნებრივ გარემოში. სიტყვების რაოდენობაც ერთერთ საბაზისო მონაცემად უნდა განიხილოთ.

არავერბალური ოპერანტების შეფასება

სკინერი მსმენელის როლს თავისი წიგნის, „ვერბალური ქცევის“ (1957 წ.) მეშვიდე თავში ეხება. თუმცა, არაფერს ამბობს არავერბალურ ოპერანტებზე, მაგალითად, რეცეპციულ ენაზე. ამავდროულად, ბავშვის რეცეპციული ენა ქცევის გამოყენებითი ანალიზის ნებისმიერი პროგრამის, მათ შორის, ვერბალური ქცევის განუყოფელი ნაწილია. არავერბალური პროგრამების ჩამოყალიბება-განვითარებაში მთავარი წვლილი აივარ ლოვაასსა და იმ სხვა პრაქტიკოსსა თუ მკვლევარს მიუძღვის, რომლებმაც თავისი დამატებითი კვლევებით

გააგრძელეს ლოჯაასის დაწყებული ასე მნიშვნელოვანი საქმე. ეს ოპერანტები, რეცეპციული, იმიტაციისა და ვიზუალური აღქმის უნარები, ვერბალური ქცევის ძირეული კომპონენტებია და „საბაზისო ენისა და დასწავლის უნარის შეფასების“ (ABLLS) ნაწილს წარმოადგენს.

აღნიშნულ ოპერანტებზე მუშაობა დეტალურად ქვემოთაა განხილული. ახლა კი ვნახოთ, თუ რა უნდა ვიცოდეთ მათ შესახებ, რომ ბავშვის ძლიერი და გასაძლიერებელი უნარების ზუსტად შეფასება შევძლოთ.

რეცეპციული ენობრივი უნარების შეფასება

რეცეპციული ენა ლაპარაკს არ გულისხმობს. ეს, ფაქტობრივად, არის ბავშვის უნარი, გაიგოს, რა ითქვა, რათა ამის შედეგად მოახერხოს მითითებისა და მოთხოვნის შესრულება. ტიპური ბავშვი, რომელსაც უბრალოდ მეტყველების შეფერხება აქვს, აგრეთვე განვითარების შეფერხების მქონე ზოგიერთი ბავშვი, ჩვეულებრივ, საკმაოდ კარგ რეცეპციულ ენობრივ უნარებს ფლობს. ბევრი მშობელი, შვილზე მოყოლისას, ამბობს, რომ ბავშვს ყველაფერი ესმის, რასაც ეუბნებიან და მოთხოვნებსაც ასრულებს. შეიძლება, ის არ ლაპარაკობდეს, მაგრამ სათანადოდ რეაგირებდეს „ბურთი მომიტანე“ თუ „საფენი აიღე“ ტიპის თხოვნებზე.

თუმცა, ზოგიერთი აუტიზმის მქონე ბავშვი შეიძლება სმენა-დაქვეთებულად მოგეჩვენოთ, რადგან თხოვნაზე საერთოდ არ რეაგირებს. ამიტომაც, რომ არიან მშობლები, რომლებიც, პირველ რიგში, აუდიოლოგს ესტუმრებიან ხოლმე კონსულტაციისათვის. აუდიოლოგთან ლუკასიც გვყავდა ორი წლის ასაკში, რადგან სახელის დაძახებაზე არ რეაგირებდა. მახსოვს, როგორი შიშით ვუყურებდი პერსპექტივას, რომ ბავშვს სასმენი აპარატის ტარება მოუწევდა. ნეტავ, ყველაფერი ასე მარტივი ყოფილიყო. მეც კი ვამჩნევდი, რომ მართალია, სახელის დაძახებისას არ გამოგვემაურებოდა ხოლმე, მაგრამ სხვა სიტუაციებში სმენის უნარს ამჟღავნებდა. მაგალითად, ყოველთვის ესმოდა მეორე ოთახში ჩართული „ბარნის“ მუსიკა. რა თქმა უნდა, აღმოჩნდა, რომ ბავშვს სმენის პრობლემა არ ჰქონდა. ახლა, როცა აუტიზმის შესახებ მეტი

რამ ვიცი, მესმის, რომ პრობლემა სმენა კი არ იყო, არამედ სახელზე რეაგირების მოტივაციის არქონა.

პირველმა კონსულტანტმა, კოლინ კლაინმა ჩვენთან სახლში კონსულტაციის პირველივე დღეს მოგვცა მითითება, ლუკასის სახელი ასე ხშირად აღარ გვეხმარა. ბავშვის ყურადღების მიპყრობასა და დავალებების შესრულების იძულებას იმდენად ვცდილობდით, რომ სახელი უკვე მოთხოვნასთან გაწყვილდა. აი, რა ესმოდა მთელი დღის განმავლობაში: „ლუკას, ფეხსაცმელი ჩაიცვი“; „ლუკას, აბა, ცხვირი მაჩვენე“; „ლუკას, აქ მოდი“. ვინაიდან მოთხოვნებზე ხშირად არ რეაგირებდა და არც ის ვიცოდით, შესრულებაში როგორ დახმარებოდით, უბრალოდ ხმას ვუწევდით და მის სახელსა და, პარალელურად, მოთხოვნებს ვიმეორებდით და ვიმეორებდით. კოლინმა აგვიხსნა, რომ სინამდვილეში მოთხოვნის უნდა გაგვემარტივებინა, სახელის დამატების გარეშე: „აქ მოდი“; „ფეხსაცმელი ჩაიცვი“; „ცხვირი მაჩვენე“. ამასთან ერთად, სახელი უნდა შეგვეწყვილებინა არა მოთხოვნასთან, არამედ დადებით განმამტკიცებელთან. მაგალითად, სახელით უნდა მიგვემართა მხოლოდ მაშინ, როდესაც ბავშვს საკვებს, სასმელს ან სახალისო აქტივობას ვთავაზობდით. „ლუკას, აჰა, კარტოფილი, კარტოფილი, კარტოფილი“, „ლუკასს საქანელაზე უნდა, საქანელაზე, საქანელაზე“, „ყოჩად, ლუკას, ყოჩად, ყოჩად“.

ბავშვის რეცეპციული ენობრივი უნარის შეფასებისას ყველაზე რთული ისაა, ბავშვს სიტყვიერად ან ვიზუალურად არ დავეხმაროთ პასუხის გაცემაში. შეფასებისას ხელები გვერდზე ჩამოუშვით და ასე გეჭიროთ. ხმა უნდა გქონდეთ ნეიტრალური. მზერაც გააკონტროლეთ, რადგან დახმარება მზერიტაც შეიძლება. მოთხოვნა ჩამოაყალიბეთ მკაფიოდ: „მაჩვენე შენი ცხვირი“. თუ ბავშვი ცხვირს შეეხო, ესე იგი, თქვენი თხოვნა გაიგო. თუმცა, თუ ხელი ჯერ თავზე დაიდო და ცხვირზე მერე გადაიტანა, ეს უკვე შეცდომად ითვლება.

ტიპურად განვითარებად ბავშვებში რეცეპციული ენობრივი უნარები, ჩვეულებრივ, სრულყოფილად გვხვდება. ლუკასის მსგავსად აუტიზმის მქონე ბავშვებში საწყისი შეფასებისას რეცეპციული უნარები არ ვლინდება. თუმცა, არიან აუტიზმის მქონე ბავშვები, რომელთა შესაძლებლობები ამ თვალსაზრისით მათი ასაკობრივი კატეგორიის თითქმის ადეკვატურია.

იმიტაციის უნარების შეფასება

შეფასების შემდგომი სამიზნეა იმიტაციის უნარი. დაგჭირდებათ ორ-ორი (თქვენთვის და ბავშვისთვის) ერთნაირი სათამაშო მანქანა, ფანქარი და ჭიქა. დააწყვეთ მანქანები მაგიდაზე ან იატაკზე, უთხარით ბავშვს: „აბა, ასე გააკეთე“ და უჩვენეთ, როგორ გადაადგილებთ თქვენს მანქანას წინ და უკან. ბავშვმა თავისი მანქანით იგივე უნდა გააკეთოს. გადადით ფანქრებზე: მანქანების ადგილას დააწყვეთ ფანქრები და თქვენი ფანქრით მაგიდაზე დააკუნეთ, თან უთხარით: „აბა, ასე გააკეთე“.

სათამაშოთი/ნივით იმიტაციის უნარის შემდეგ ვაფასებთ მსხვილი მოტორული იმიტაციის უნარს. ეს გულისხმობს ხელფეხით მოძრაობების შესრულებას, მაგალითად, ხტუნვას ან ტაშის დაკვრას. ბავშვმა თქვენ მიერ შესრულებული მოძრაობების იმიტაცია უნდა შეძლოს დახმარების გარეშე. ვთქვათ, შეგიძლიათ უთხრათ: „აბა, ასე გააკეთე“, მაგრამ შეფასების დროს ფრაზებს „ტაში დაუკარი“ ან „აბა, ახტი“ ნუ გამოიყენებთ. ბავშვს მიმართეთ მოკლე დირექტივით: „აბა, ასე გააკეთე“, თუ მხოლოდ მოტორული იმიტაციის უნარის შეფასება გსურთ. თუ ტაში დაუკარით და ბავშვს ამავდროულად უთხარით: „ტაში დაუკარი“, გამოვა, რომ აფასებთ ორ სხვადასხვა ოპერანტი, რეცეპციულ და მოტორული იმიტაციის უნარებს. მნიშვნელოვანია, შეფასებისას ეს ორი ოპერანტი მკაფიოდ განვაცალკევოთ. დროთა განმავლობაში ბავშვი თქვენს იმიტირებას კარნახის გარეშე შეძლებს, მაგრამ დასაწყისში, როგორც წესი, მას დასჭირდება დახმარება და თქმა: „ასე გააკეთე“. ჩემი გამოცდილებით, ექოსებრი უნარების მსგავსად, განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებს ან საერთოდ არ შეუძლიათ იმიტირება, ან ნებისმიერ მოძრაობას ადვილად იმეორებენ. ამდენად, სწორ და ფრთხილ შეფასებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ვიზუალური აღქმის უნარების შეფასება

ბოლო არავერბალური ოპერანტი, რომელიც შეფასებას ექვემდებარება, არის ნიმუშთან შეხამების და ვიზუალური აღქმის უნარები. ბევრი აუტიზმის მქონე ბავშვი ვიზუალურად სწავლობს.

ამიტომ ხშირად, შეხამების აქტივობები მათ კარგად გამოსდით და ძალიან მოსწონთ. ვერბალური ქცევის მიდგომის პროგრამაში შეხამება, როგორც წესი, მოსდევს მენდირების უნარის ათვისებას. თუმცა, თუ ბავშვს შეხამების, თავსატეხების აწყობის აქტივობები უყვარს, ამ აქტივობების დაწყება შეიძლება უფრო ადრეც, სამუშაო სივრცისა და განმამტკიცებლების გაწყვილების ფაზაშიც. ვიზუალური კატეგორიის შემსწავლებლებში მენდირების ერთერთი პირველი სამიზნე სწორედ თავსატეხია ხოლმე.

შეხამების უნარზე მუშაობისათვის გარკვეული მასალებია საჭირო. ალბათ, სახლში ერთნაირი ნივთების მოგროვება დაგჭირდებათ. შეგიძლიათ აიღოთ იდენტური პლასტმასის ჩანგლები, ფაჩუჩები, ფანქრები, პლასტმასის თეფშები, სათამაშო საჭმელები (მათი დიდი რაოდენობით შოვნა ადვილია), მანქანები. დარწმუნდით, რომ ნივთები ნამდვილად ერთნაირია.

გარდა ამისა, დაგჭირდებათ ისეთი ნივთები, რომლებიც ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ არა იდენტური, მაგალითად, სამი სხვადასხვაგვარი ფაჩუჩი, სხვადასხვა მოდელის ავტომანქანები, ან, ვთქვათ, პლასტმასის კოვზი და ლითონის კოვზი. ერთნაირი ნივთები ჩაალაგეთ ერთ ყუთში, არაიდენტურები – მეორეში.

მასალების ორგანიზებაში ძალიან გამოგადგებათ დიდი თეთრი გორგოლაჭებიანი პლასტმასის ყუთები. ნახატებისათვის შეიძლება სამზარეულოს რეცეპტების შესანახი პატარა სკივრების გამოყენება.

შეხამების უნარი ფასდება ასე: დაალაგეთ სამი ან ოთხი ნივთი იატაკზე ან მაგიდაზე. (ამას სამსაგნიან ან ოთხსაგნიან ველს ვუწოდებთ). საგნები ერთმანეთისგან ცოტა მოშორებით უნდა იყოს განლაგებული, რათა ბავშვმა ნაპოვნი იდენტური ნივთი ნიმუშის გვერდზე ადვილად დადოს. მიაწოდეთ ბავშვს ქიქა და უთხარით: „შეახამე“ (იპოვე მსგავსი). არა უშავს, თუ დასაწყისისათვის ფიზიკურადაც დაეხმარებით, რათა მიხვდეს, რა ევალება. თუ ბავშვი ოთხსაგნიან ან ხუთსაგნიან ველში საგნების შეხამებას თავს გაართმევს, შეგიძლიათ, არაიდენტური საგნების ყუთიდან სხვა ნივთებიც დაამატოთ.

თუმცა, თუ ბავშვმა სათამაშოებით გართობა დაიწყო, სათამაშოზე ხელის დარტყმა მოინდომა ან მაგიდიდან გადაყარა, ეს ნიშნავს, რომ ამ უნარზე მუშაობა ამ საწყისი წერტილიდან უნდა დაიწყოს.

იგივე პროცესი გამოიყენება ნახატების შესახამებლად. იყიდეთ ფლემ-ბარათების ორი ყუთი. ძვირის გადახდა საჭირო სულაც არაა. წლების განმავლობაში მასალების შესანიშნავი კრებული სწორედ ფასდაკლებითა და ერთდოლარიან მაღაზიებში შექნილი ნივთებით შევადგინე. ფლემ-ბარათები არა მხოლოდ შეხამების, სხვა აქტივობებშიც დაგჭირდებათ და ამიტომ, გირჩევთ, სანამ პროგრამის განხორციელებას შეუდგებოდეთ, ისინი წინასწარ მოიმარაგოთ.

სამუშაო მასალები აგრეთვე იყიდება ვებ-საიტებზე, როგორებიცაა www.difflearn.com თუ www.superduperine.com. ასევე შეგიძლიათ უბრალოდ აკრიფოთ საძიებო სიტყვა გუგლში და გადახვიდეთ სურათების განყოფილებაში. ნაპოვნი ნახატები ორ-ორ ასლად ამობეჭდეთ. ინტერნეტი განსაკუთრებით გამოგადგებათ შედარებით რთული საგნების, მაგალითად, ტყლაპის ხვეულის ან თეთრი სახლის სურათების მოსაძებნად. გარდა ამისა, სურათები ნახატთან რეალური საგნის შესახამებლადაც დაგჭირდებათ.

თუ ბავშვმა იდენტური და არაიდენტური ნივთებისა და სურათების შეხამებას თავი ადვილად გაართვა, შემდეგი ეტაპი იქნება არაიდენტური საგნების დახარისხება. განალაგეთ სხვადასხვაგვარი ვაშლებისა თუ ძაღლების სურათები მაგიდაზე და სთხოვეთ ბავშვს, ძაღლების სურათები გამოაცალკევოს. შემდგომში შეიძლება გართულებაც, მაგალითად, სთხოვეთ ბავშვს, სასმელები ცალკე დაალაგოს, ცხოველები – ცალკე. ან ერთმანეთისგან გამოაცალკევოს სატრანსპორტო საშუალებები და საჭმელები.

მხედველობით უნარებში შედის, აგრეთვე, თავსატეხის აწყობის, კუბებით კონსტრუქციების შექმნისა და ლაბირინთიდან თავის დაღწევის უნარები.

ახლა, როცა ბავშვის ყველა უნარი უკვე შეფასებული გვაქვს, დგება დრო, ამ უნარებზე მუშაობა დავიწყოთ.

IV ტაკი

განმამტკიცებლები და მათი შეფასება

დადებით განმამტკიცებლებზე ყველანი ვრეაგირებთ

როდესაც დიდ შექებას ვიმსახურებთ, ეს მთელი ცხოვრება გვამახსოვრდება. მნიშვნელობა არ აქვს, ეს სკოლის სპექტაკლის გამო მოხდა, მუშაობის შედეგების შეფასებისას თუ გაზეთში დაჭერილი თევზის აღსანიშნავი ფოტოს გამოქვეყნების წყალობით. ალბათ, თავადაც შეამჩნევდით, რომ როგორც კი შეგაქებენ, მაშინვე სურვილი გიჩნდებათ, კვლავაც გააკეთოთ ისეთი რამ, რაც კიდევ უფრო მეტ აღიარებას მოგიტანთ. გინდებათ, სცენაზე უკეთ ითამაშოთ, უკეთ იმუშაოთ, უკეთ ითევზაოთ. მარტივად რომ ვთქვათ, ქმედებისთვის მიღებულმა ჯილდომ განამტკიცა თქვენი შეუპოვრობის ხარისხი და გაზარდა მომავალში კარგად მოქცევის ალბათობა.

ქვევის განმტკიცება ყველა ადამიანში ხდება იმის მიუხედავად, განმტკიცება ღიად, კარგად შესრულებული სამუშაოსათვის შთამბეჭდავი აპლოდისმენტებით ხდება, თუ სამუშაო კვირის ბოლოს მიღებული ხელფასით. ჩვენ იმის გამო ვმუშაობთ, რომ ამისთვის გვიხდიათ. კლიენტს თავაზიანად ვექცევით, რომ მისი ღიმილი დავიმსახუროთ. სამოხალისეო სამუშაოს ვასრულებთ, რადგან სხვებს რომ ვეხმარებით, თავს კარგად ვგრძნობთ.

იგივე ხდება ბავშვებში, განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებშიც კი. როდესაც მათი რომელიმე საქციელი ჯილდოვდება, ამაზე დადებითად რეაგირებენ. ასეთ ჯილდოს განმამტკიცებელი ეწოდება და ის, ალბათ, ყველაზე მძლავრი ინსტრუმენტია თქვენს ხელში, როდესაც აუტიზმის მქონე ბავშვთან მუშაობთ. ამიტომაც აუცილებელია, ბავშვზე მოქმედი ძლიერი განმამტკიცებლები თავიდანვე გამოავლინოთ.

დადებითი განმამტკიცებლების გამოვლენა

გახსოვდეთ, რომ კონკრეტული განმამტკიცებელი თითოეულ ბავშვზე ცალ-ცალკე უნდა გამოიყენოთ. ასევე საყურადღებოა, რომ განმამტკიცებლები შეიძლება ყოველდღიურად შეიცვალოს და,

ამდენად, ხელში განმამტკიცებლების ვრცელი და მრავალფეროვანი სია უნდა გეჭიროთ. ზოგს კანფეტი ძალიან უყვარს, ზოგი კი ვერ იტანს. არიან ბავშვები, რომლებიც კარგად რეაგირებენ დაგვიანებული განმტკიცების სისტემებზე, მაგალითად, სტიკერებზე ან ჟეტონებზე; სხვები საქციელის დაუყოვნებლივ განმტკიცებას საჭიროებენ. არიან ისეთებიც, რომლებზეც განმამტკიცებლად მოქმედებს საყვდური და ტაიმაუტი.

2000 წელს შესანიშნავი შანსი მომეცა, მომესმინა დოქტორ გლენ ლეითემის გამოსვლისთვის, რომელიც მას გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე ჰქონდა. დოქტორი ლეითემი, რომელიც სხვა ნაშრომებს შორის, წიგნის „პოზიტიური მშობლობის ძალა“ (Power of Positive Parenting, 1990) ავტორია, ამბობდა, რომ ყველა ადამიანის შემთხვევაში, ყოველ უარყოფით ან კონსტრუქციულ უკუკავშირზე რვა დადებითი უნდა მოდიოდეს. ამ ლექციამ, რომ იტყვიან, ჩემი ცხოვრება შეცვალა. მასში აღწერილი იყო გაკვეთილები, სადაც ძალზე ბევრი უარყოფითი უკუკავშირია და, საპირისპიროდ, მოყვანილი იყო „კარგი“ გაკვეთილები, სადაც ბავშვებს თითო უარყოფითზე რვა დადებით განმამტკიცებელს აძლევენ. აუცილებელი არაა, ეს დადებითი განმამტკიცებელი ვერბალური იყოს. შეიძლება დადებითი რეაგირება არავერბალურადაც მოხდეს. განმამტკიცებლად გამოდგება ბავშვისთვის ცერა თითის ჩვენება ან უბრალოდ გაღიმებაც კი. მე რომ მკითხოთ, ამ პრინციპს რომ სამსახურებსა თუ სასწავლებლებში ყველა იყენებდეს, ბავშვებიც და მოზრდილებიც უფრო ბედნიერები და პროდუქტიულები ვიქნებოდით. თუ წლების განმავლობაში რამე ვისწავლე, ისაა, რომ როდესაც დადებით ყურადღებას საკმარისად დიდი დოზით არ გავცემთ, ბავშვიც და მოზრდილიც პოზაში დგება და რთული ქცევით ცდილობს, ჩვენი ყურადღება მიიპყროს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი, რაც ვისწავლე, ისაა, რომ თუ გვინდა, განვითარების დარღვევის მქონე ბავშვებმა სწავლა შეძლონ, მათ კვირის ბოლოს გაციემულ ჯილდოებსა და შექებებზე გაცილებით მეტი უნდა გავუკეთოთ.

განმამტკიცებლების სისტემის განვითარებაო, ვამბობთ, მაგრამ, ნუთუ, ეს ასე მარტივია? სინამდვილეში განმტკიცების სისტემის შექმნა ერთერთი ყველაზე რთული პროცესია და, აი, რატომ: ბავშვი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა განმამტკიცებელზე სხვადა-

სხვაგვარად რეაგირებს იმის მიხედვით, თუ რამდენად აქვს მას სიმადღრის ან უკმარისობის განცდა მოცემულ მომენტში.

მნიშვნელობა არ აქვს, თუ რამდენად უყვარს თქვენს შვილს ორცხოობილა. როდესაც ბავშვი ორცხოობილით გულს იჯერებს, ის განმამტკიცებლად აღარ აღიქმება – ანუ ძლიერი მოტივატორის როლს დაკარგავს. წარმოიდგინეთ ბავშვი კანფეტების მაღაზიაში. როცა იქნება, ის კანფეტებით გულს იჯერებს ანუ დაკმაყოფილდება. ზოგჯერ ეფექტურია ბავშვისათვის საყვარელი განმამტკიცებლების ჩამორთმევა, მაგრამ აქაც ბალანსია დასაცავი. თუმცა, ასეთი ქმედება ბავშვის თვალში განმამტკიცებლის ღირებულებას ზრდის, მან შეიძლება ისეთი ატმოსფეროც შექმნას, რომელშიც ბავშვი წარმოიდგენს, რომ, მაგალითად, იმისათვის, რომ საყვარელი პროგრამის სულ რამდენიმე წუთით ყურება დაიმსახუროს, მძიმედ შრომა დასჭირდება. და თუ ეს სამუშაო განმამტკიცებელთან შედარებით მეტისმეტად რთულია, ბავშვმა შეიძლება გადაწყვიტოს, რომ განმამტკიცებელი ამაღ არ უღირს. გარდა ამისა, არის ფაზები, რომლის დროსაც ბავშვს კონკრეტული საქმელი, აქტივობა ან წიგნი ძალიანაც უყვარს, მაგრამ შემდეგ დგება ფაზა, როდესაც ხდება მისი გადაყვარება. ამას ტიპურ ბავშვებშიც ვხვდებით.

საბოლოო ჯამში, მთელი პროცესი ერთგვარ რთულ ცეკვას წააგავს, რომლის ილეთებს გზადაგზა იგონებ. თუმცა, როგორც ორიოდე წუთში ვნახავთ, საწყისი ეტაპი რთული სულაც არაა.

ვარჩევთ განმამტკიცებელს

როცა ვერბალური ქცევის პროგრამას ვიწყებთ, პირველ რიგში, ისეთი განმამტკიცებლები უნდა შევარჩიოთ, რომელთა მართვა ინსტრუქტორს გაუადვილდება. მაგალითად, დასაწყისისათვის არ გამოგვადგება საყვარელი სათამაშო, რადგან განმამტკიცების პერიოდის ბოლოს მისი გამორთმევა იმ თამაშს დაემსგავსება, ორივე მხარე თოკის თავის მხარეს გადაქაჩვას რომ ცდილობს. სამაგიეროდ, კარგი განმამტკიცებელია ორცხოობილა, რადგან ის შეიძლება პაწაწინა ნაწილებად დავამტკრიოთ და ბავშვს სათითაოდ მივცეთ. ასევე იოლად მართვადი განმამტკიცებლებია „ემ-ენდ-ემ-სის“ კანფეტი ან კიდეც დიდი ჭიქიდან პატარა ჭიქაში ჩამოსხმული

სულ ცოტა წვენი. კანფეტის ან სასმელის მოხმარების შემდეგ ბავშვი მუშაობას თავიდან იწყებს, რომ მეტი განმამტკიცებელი მოიპოვოს.

ზოგადად, საკვები ერთერთი საუკეთესო განმამტკიცებელია. მაგრამ მშობლებიცა და სპეციალისტებიც ბავშვის მთელი დღე ნამცვეებით კვების იდეას ცუდად უყურებენ. ზოგიერთის ხედვით, პროცესი ძაღლის წვრთნას ემსგავსება. ზოგს სულ მცირე დავალებისათვის ბავშვის დაჯილდოების აზრი არ მოსდის თვალში. გარდა ამისა, აუტიზმის მქონე ბავშვებს ხშირად ახასიათებთ კვებასთან დაკავშირებული დარღვევები, ბევრი ჭარბწონიანი ან, პირიქით, მცირეწონიანი და, არც თუ იშვიათად, ჭირვეული მჭამელებიც გვხვდება.

მთელი დღის განმავლობაში ბავშვის სუსნაობის პერსპექტივა პირადად მეც მალეღვებს და, არა მხოლოდ წონის, არამედ, მაგალითად, კბილების გამოც – თუ მთელი დღე ტკბილი, წებვადი კანფეტი უნდა ვაძლიოთ. მაგრამ მეორე მხრივ, ჩემს პრაქტიკაში იშვიათად მინახავს ისეთი ბავშვი, საკვებ განმამტკიცებელზე დადებითად რომ არ რეაგირებდეს და თითებზე თუ ჩამოვთვლი ისეთებს, პროგრამის დასაწყისშივე მხოლოდ შექებაზე რომ ჰქონდეს რეაქცია. ამიტომაც, რომ ვერბალური ქცევის პროგრამის შემუშავებისას თითქმის ყოველთვის ითვალისწინებენ საკვების განმამტკიცებლად გამოყენებას. მთავარია, ეს ყლუპები თუ ლუკმები პატარა იყოს, რომ საბოლოო ჯამში ბავშვმა ზედმეტი საჭმელი არ მიიღოს. სასმელის შემთხვევაში, შეგვიძლია ასევე გამოვიყენოთ წყალი ან წყალში განზავებული წვენი. ამოსავალი წერტილი კი ისაა, რომ ბავშვი, პირველ რიგში, საყვარელი სასმელის, კანფეტის, ორცხობილასა თუ კრეკერის მენდირებას სწავლობს.

ვიდეო და დივიდი განმამტკიცებლის როლში

გარდა საკვებისა, საჭიროა სხვა, ადვილად მართვადი განმამტკიცებლების გამოყენებაც. ამ კატეგორიაში ერთერთი ყველაზე ძლიერი განმამტკიცებელია ტელევიზორი. იშვიათია ბავშვი, პატარა ან გადასატან ტელევიზორში ვიდეოს ან დივიდის ყურება რომ არ უყვარდეს. ახლა, ალბათ ფიქრობთ, ეს როგორ? ჯერ ბავშვს მთელი დღე საყვარელ საჭმელს ვაძლევ, ახლა კი ტელევიზორის ყურების ნება უნდა

მივცეო? მაშ, სწავლას როდისღა დაიწყებს? ისევე, როგორც საკვების შემთხვევაში, უნდა გახსოვდეთ, რომ ჩვენი პროგრამა ისეთ პრინციპებს ეფუძნება, რაც რეალობაში მუშობს და ბავშვს სწავლისკენ უბიძგებს. ახლა ჩვენ უბრალოდ ჯილდოების ისეთი სისტემის მოფიქრებას ვცდილობთ, რომელიც ბავშვს გრძელვადიან პერსპექტივაში დაენმარება. ისევე, როგორც ზემოთ, აქაც ტელევიზორისა თუ ვიდეოს ყურება მცირე დოზებით ხდება. რამდენიმე წუთის განმავლობაში პროდუქტიული მუშაობის შედეგად, ბავშვს ნება ეძლევა, საყვარელ ვიდეოს 30 წამის განმავლობაში უყუროს. კარგი იქნება, პატარა ტელევიზორს თუ შეიძენთ, თავისი ვიდეო და დივიდი ფლექერით, რომ იქვე, სამუშაო მაგიდაზე დაიდგათ. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ ტელევიზორი სამუშაო მაგიდასთან რაც შეიძლება ახლოს უნდა მოიტანოთ. ორივე შემთხვევაში დისტანციური პულტი დაგჭირდებათ, რომ ტელევიზორი სწრაფად ჩართოთ და გამორთოთ.

ახლა შეიძლება იმასაც ფიქრობთ, ხომ არ განერვიულდება ბავშვი, ვიდეოს რომ გამოურთავთ (განსაკუთრებით, თუ მის საყვარელ ადგილას შეჩერდით), ან უფრო მეტ საკვებს ხომ არ მოინდომებს. მუშაობის პროცესში განმამტკიცებლების გამოყენების წესს ქვემოთ შევეხებით, ჯერ კი ის ნივთები დავადგინოთ, რაც ბავშვისგან საპასუხო რეაქციებს იწვევს.

აბა, ვიდეოს ყურებაში გართულ შვილს დააკვირდით. ხომ არ მოსწონს ვიდეოების ანონსის ყურება ან ფილმის ბოლოს ტიტრების კითხვა? ხომ არ არის ვიდეოში ისეთი სცენები, რასაც გაუთავებლად უკან ახვევს, რომ თავიდან უყუროს? მთელი ეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რა სიამოვნებს ბავშვს, დაწვრილებით ჩაიწერეთ.

თვით-სტიმულირებაზე მიმართულ და სხვა არასასურველ ქცევებზე დაკვირვება განმამტკიცებლების შემუშავების მიზნით

ბავშვზე მოქმედი ყველაზე მძლავრი განმამტკიცებლების გავლენის პროცესში ბოლო ეტაპია თვით-სტიმულირებისა და რთულ ქცევებზე დაკვირვება. თუ ბავშვი ფლომასტერებს იღებს და კედლებზე ან მაგიდაზე ხატავს, იქნებ, განმამტკიცებლად ქაღალდი

და ფერადი ფანქრები გამოიყენოთ, ან თუნდაც აპლიკაცია Magna Doodle აპლიკაცია. თუ ბავშვი თვალთან ახლოს თითებს ხშირად იტკაცუნებს, დამატებითი ვიზუალური სტიმულირების ძიებაში უნდა იყოს. ასეთ დროს განმამტკიცებლის როლში კარგად მუშაობს მანათობელი ბურიალები. მათ კი, ვისაც თავად უყვარს თავბრუსხვევამდე ბურიალი, ალბათ, დასაჯდომი ბურიალა სათამაშო სკამები გამოადგება (sit-and-spin toys).

განმამტკიცებლების აღრიცხვის დასრულება

ახლა დროა, ქაღალდის ფურცელი აიღოთ და ჩამოწეროთ ნაპოვნი პოტენციური განმამტკიცებლების რამდენიმე კატეგორია. სიაში შეიტანეთ ბავშვისათვის საყვარელი ყველა საკვები და სასმელი. ცალკე ჩამოწერეთ ყველა ვიდეო და აუდიო კლიპი, რომლებიც მას მოსწონს, საყვარელი სცენების მითითებით. ამის შემდეგ უნდა აღრიცხოთ მარტივი, სამუშაო მაგიდასთან გამოსაყენებელი განმამტკიცებლები. აქ შეიძლება შევიდეს საპნის ბუშტების გამშვები, მანათობელი ბურიალა ან თუნდაც მტვრის საწმენდი ბუმბულიანი ჯაგრისი, რომლითაც ბავშვის შედიტინება შეიძლება. მეოთხე სვეტში შეიტანეთ ის მოძრავი აქტივობები, რომლებითაც ბავშვი შეიძლება სამუშაო მაგიდის მოშორებით დააკავოთ. აქ შეიძლება შევიდეს ხტუნვა სავარჯიშო ბურთზე, სავარჯიშო ბურთის გორება ბავშვის სხეულზე, საქანელაზე ქანაობა, ბავშვის საბანში გახვევა (ჰოთ-დოგის მსგავსად) და შემდეგ სწრაფად გამოხსნა, მუხლზე ბავშვის ხტუნაობა, თავდაყირა ამოტრიალება ან სკამზე მჯდომი ბავშვის ძალიან სწრაფად რწევა.

არიან ბავშვები, რომელთა შემთხვევაში აუცილებლად მოგიწევთ განმამტკიცებლების კითხვარის, დაკვირვებისა და შეფასების ფორმების შევსება. თუ ადამიანი, რომელიც ბავშვთან ყველაზე მეტხანს მუშაობს, მისი მომვლელი არ არის, მშობლებს განმამტკიცებლების მოკლე კითხვარის შევსება უწევთ (კითხვარის ფორმები შეგიძლიათ მოიძიოთ საიტებზე www.establishingoperationsinc.com ან www.verbalbehavior.net). ზოგჯერ ბავშვზე დაკვირვება პროგრამის შედგენამდეა საჭირო. პროცესი ძალიან მარტივია და, მაგალითად, შეიძლება გულისხმობდეს ბავშვისათვის ემ-ენ-დ-ემ-ის

კანფეტის მიწოდებას და დაკვირვებას, აიღებს თუ არა ბავშვი დრაჟეს. ალტერნატიული გზაა ბავშვისათვის კარტოფილის ჩიფსებით სავსე თასის მიცემა და დაკვირვება, რამდენ ხანს მოანდომებს მის ბოლომდე შეჭმას.

ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ აღრიცხვის დროს ჩაიწეროთ კონკრეტული დეტალები, რადგან აუტიზმის მქონე ბავშვები არცთუ იშვიათად პრეტენზიულები არიან და ხშირად ავლენენ ერთგულებას ერთი რომელიმე ბრენდის მიმართ. მაგალითად, ლუკასი რძეს სვამს საწრუპით, მუყაოს პატარა კოლოფიდან; „ჩერიოს“ ფანტელებს კი მხოლოდ თასიდან მიირთმევს. ერთი ფანტელი ან ქაღალდის ჭიქაში ჩამოსხმული რძე ან წყალი რომ მივაწოდო, ეს მასზე განმამტკიცებლად არ იმოქმედებს. თუ სკოლის მასწავლებელმა შეგატყობინათ, რომ რომელიმე განმამტკიცებელი თქვენს შვილზე არ მოქმედებს, აუცილებლად გადაამოწმეთ, ბავშვს ის მისთვის საყვარელი ფორმით თუ მიეწოდება. საზოგადოდ, თუ ბავშვთან რამდენიმე ადამიანი მუშაობს და, ჩვეულებრივ, ასეც ხდება ხოლმე, განმამტკიცებლების აღწერა ძალზე დეტალურად მოგიწევთ.

თუ ბავშვმა ტირილი ან ყვირილი დაიწყო ან კიდევ განმამტკიცებელს ხელი ჰკრა და თავიდან მოიშორა, აუცილებლად გადაამოწმეთ, მიეწოდა თუ არა მას განმამტკიცებელი სწორი ფორმით და სწორი ნივთის სახით.

განმამტკიცებლების აღრიცხვის კიდევ ერთი გზაა სამუშაო მაგიდაზე პოტენციური განმამტკიცებლების დალაგება და დაკვირვება, რომელს მოიწვდის ბავშვი და რამდენ ხანს გაატარებს მასთან თამაშში ან რომელ მათგანს მიირთმევს პირველად. კიდევ ერთი ვარიანტია ოთახში ან მაგიდაზე ბევრი სხვადასხვა სათამაშოს, აქტივობისათვის საჭირო მასალების, საკვების განლაგება და შემდეგ ბავშვის მათთან ინტერაქციაზე დაკვირვება. ბავშვის საყვარელი აქტივობებისა და საგნების აღრიცხვა შესაძლებელია თქვენი ყოველგვარი ჩარევის გარეშე ან კიდევ თქვენი თანდასწრებითაც. მაგალითად, თუ ქეითი საქანელაზე ბედნიერად ქანაობს, მიდით, ხელით გააქანეთ და მისი რეაქცია ჩაიწერეთ. თქვენმა ჩარევამ ქეითი უფრო გაამხიარულა თუ, პირიქით, გართობა ჩაუშალა? თუ ბობი წიგნს ათვალეირებს და მასში აღწერილი ამბების თხრობა დაიწყეთ, აქტივობით მიღებული სიამოვნება ბობისთვის იმატებს თუ

იკლებს? რომელია მისთვის განმამტკიცებელი – წიგნის ფურცლა თუ წიგნის თქვენთან ერთად თვალთვლება? თუ თვალთვლება მარტოკას ურჩევნია, ესე იგი განმამტკიცებლად ეს უნდა აიღოთ.

თუმცა, საბოლოო ჯამში, თქვენი მიზანია, ასოციაციური ჯაჭვი გააბათ განმამტკიცებელსა და მოზრდილ ადამიანს შორის ანუ გააწყვილოთ ისინი და როგორმე ბავშვს მოანდომოთ, მოზრდილის თხრობას დაუგდოს ყური. იმისათვის, რომ სასუსნავთან თუ ფილმთან ერთად შექებისა და მეტი ბუნებრივი განმამტკიცებლების გამოყენება შევძლოთ, განპირობებულ განმამტკიცებლად ადამიანი უნდა იქცეს და არა ეს სასუსნავი, სათამაშო თუ აქტივობა.

სიის შედგენას რომ მორჩებით, შეგიძლიათ, განმამტკიცებლები გამოსალეგობის მიხედვით დაალაგოთ.

ახლა, როცა იცით, რა მოქმედებს ბავშვზე, უმჯობესია, რაიმე პატარა და კონტროლირებადი განმამტკიცებლით დაიწყოთ. ეს შეიძლება იყოს ისეთი რაღაც, რაც იჭმევა, ან ისმევა, ან კიდევ გამოყენების შემდეგ ქრება. ასეთი ადვილად კონტროლირებადი განმამტკიცებლების მაგალითებია ერთი ცალი კანფეტი, ან კიდევ საპნის ბუშტების გამშვებში ერთი ჩაბერვა.

თუკი შესაჭმელი ან ადვილად მოსაშორებელი განმამტკიცებლის გამოყენება შეუძლებელია (ზოგიერთი ბავშვი უკეთრეაგირებს ისეთ ნივთებზე, რომლის ხელში დაჭერა, ან მისით რაღაცეების კეთებაა შესაძლებელი, მაგალითად, წიგნზე ან ძაფზე), განმამტკიცებლის გამორთმევისას ბავშვს ძალიან რბილად მოექციეთ. დასაწყისისათვის შეიძლება წიგნი გამოართვათ და სამაგიეროდ კანფეტი შესთავაზოთ. შეგიძლიათ ერთდროულად რამდენიმე განმამტკიცებლის გამოყენების ნებაც დართოთ. ძალზე მნიშვნელოვანია, ბავშვმა ინსტრუქტორი თუ მშობელი განიხილოს როგორც განმამტკიცებლის მიმცემი და არა წამრთმევი. საბოლოოდ, მაგრამ პროგრამის საკმაოდ ადრეულ ეტაპზე, ბავშვი ისწავლის განმამტკიცებელი გადაღიანების გარეშე დათმობას, თუ მოზრდილი საგანს რბილად, უხეშობის გარეშე გამოართმევს.

თუ ეფექტური განმამტკიცებლების მიგნება გიჭირთ, სასოწარკვეთას ნუ მიეცემით. უბრალოდ, არიან ბავშვები, რომლებიც, ერთი შეხედვით, არაფრით ინტერესდებიან. მათზე მოქმედი განმამტკიცებლის პოვნა უფრო რთულია. ყველაფრის მიუხედავად,

დარწმუნებული ვარ, რომ ფუნქციონირების დონის მიუხედავად, მოტივატორი ყველა ბავშვსა და მოზრდილს აქვს. ამგვარად, შესაძლებელია პროგრამის დასაწყისში განმამტკიცებლის როლში თავად თვითმსტიმულირებაზე მიმართული ქცევა აღმოჩნდეს. თუ თქვენს შვილს ბზრიალისა და ხელების ქნევის გარდა არაფერი ახალისებს, მაშინ განმამტკიცებელი ამის საფუძველზე უნდა ააგოს. სწორედ ეს თვითმსტიმულირებელი ქცევა უნდა იქცეს იმ საწყის წერტილად, მაგრამ მის საფუძველზე უნდა შეიმუშავოთ ისეთი განმამტკიცებელი, რომელიც მას ჰგავს, მაგრამ რომლის გაკონტროლება თქვენს ხელშია. აქ მთავარი მიზანი რაიმე ისეთის პოვნაა, რაც მისთვის საკუთარ ხელებსა თუ თითებზე უფრო მიმზიდველი იქნება და რისი მიცემაც თქვენ შეგიძლიათ.

ასაკობრივად შესაფერისი განმამტკიცებლების შემუშავება

როგორც ხედავთ, ჩემთვის ტაბუდადებული განმამტკიცებლების სია არც ისე გრძელია. მშობლებისგან ხშირად ვიღებ შეკითხვებს შვილებისა და მათი მოსაწონი ნივთების თუ აქტივობების შესახებ. „ათი წლის შვილი მყავს და განმამტკიცებლად ყველაზე უკეთ მასზე „ტელედიპუცების“ ვიდეოები მოქმედებს და რა ვქნა?“ „ჩემი ხუთი წლის შვილი წლინახევრის ასაკის ბავშვების სათამაშოებით თამაშობს და როგორ მოვიქცე?“ ნუ შეშინდებით. პირველ რიგში, ბავშვის განვითარებით ასაკს შეხედეთ და არა ქრონოლოგიურს. თუ ათი წლის ბავშვის მეტყველების უნარი ორი წლის ბავშვის უნარს უტოლდება, გასაკვირი სულაც არაა, რომ „ტელედიპუცების“ ყურება უნდა. მისი უნარის შესაფერისი სწორედ ეს გადაცემაა და მისი ყურება უნდა აქციოთ საწყის განმამტკიცებლად. შემდგომში კი, უნარისა და თავდაჯერებულობის მატებასთან ერთად, ბავშვი ნელ-ნელა წაიყვანეთ ასაკობრივად მეტად შესაფერისი განმამტკიცებლისკენ. „ტელედიპუცებით“ დაიწყეთ და შემდეგ „სეზამის ქუჩა“ დაამატეთ. მოგვიანებით „სეზამის ქუჩასაც“ დაამორეთ რბილად და „არტურის“ ან „სპანჯ-ბობის“ ყურება დააწყებინეთ.

არც ის მგონია, რომ განმამტკიცებელი შეიძლება მეტისმეტად ბევრი გქონდეთ. მენდეთ, განმამტკიცებლების რაოდენობასაც გაზრდით და მრავალფეროვნებასაც. თუ მაძღრისობა-უკმარისობის წესებს გაიხსენებთ, მიხვდებით, რომ არაფერია იმაში გასაკვირი, თუ ბავშვმა რომელიმე განმამტკიცებელი მოიყირჭა, განსაკუთრებით, თუ მასზე წვდომა არ შეუზღუდეთ.

წვდომის შეზღუდვა-არშეზღუდვის საკითხს შემდეგ თემასთანაც მივყავართ. საჭირო განმამტკიცებლების იდენტიფიცირების შემდეგ ისე მოაწყეთ, რომ ბავშვს მათზე ულიმიტო წვდომა არ ჰქონდეს. შინ ვერბალური ქცევის პროგრამის დაწყებამდე განმამტკიცებლები თერაპიის ოთახში, იატაკზე გვქონდა ხოლმე მიმოფანტული. როგორც გახსოვთ, ერთი წელი ლოჯაასის მიდგომას ვიყენებდით. ჩვენი თერაპევტს შესვენებების მიდგომა ჰქონდა. შესვენებას გამოაცხადებდა და ლუკასს ეტყოდა: „წადი, ითამაშე“. ლუკასიც მიმოიხედავდა და სანამ მაგიდასთან დააბრუნებდნენ, სათამაშოს შეარჩევდა ხოლმე ერთი-ორი წუთით გასართობად. ვერბალური ქცევის მიდგომაში განმამტკიცებლები გამჭვირვალე ყუთებში, ჩანთებში ან თაროზე შემოდებული ინახება. ბავშვმა მათი მოპოვება მოზრდილის დახმარების გარეშე ვერ უნდა შეძლოს. ეს ბუნებრივად იწვევს ბავშვსა და მოზრდილს შორის კომუნიკაციის დამყარებას; ბავშვს მოზრდილი დასჭირდება და, იმედია, მალე დაიწყებს მის, როგორც ყველა კარგი და საინტერესო ნივთის წყაროს, აღქმას.

სასწავლო გარემოს გაწყვილება განმამტკიცებელთან

პროგრამის შემდეგი ეტაპია პროცესი, რომელსაც „გაწყვილება“ ვუწოდებთ. ეს, რეალურად, არის პროცესი, რომლის დროსაც ხდება ერთი მხრივ, გარემოს, ადამიანებისა და მასალების და, მეორე მხრივ, ბავშვის თვალში უკვე დადგენილი განმამტკიცებლების ერთმანეთთან ასოცირება. ამ დროისათვის განმამტკიცებლები უკვე შერჩეული გაქვთ და სამუშაო მაგიდაზე, ბავშვის წვდომის არეალის მიღმა (განმამტკიცებელი თქვენს კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს) გილაგიათ. გაწყვილება მუდმივი პროცესია და მისი ორიოდ დღეში თუ ერთ კვირაში შესრულება შეუძლებელია.

ლია. არადა, სპეციალისტებისგან მსმენია: „აი, ერთი კვირა გაწყვილებოდა ვიმუშავებთ და შემდეგ სწავლას დავიწყებთ“.

ასეთი მიდგომა არაეფექტურია.

გაწყვილება უნდა ხდებოდეს ბავშვთან გატარებული ყოველი წუთის განმავლობაში, თუმცა, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლაში და თერაპიის სესიებზე, სადაც მოთხოვნები მაღალია.

უნდა გახსოვდეთ, რომ მართალია, მშობელი ხართ, ვერბალური ქცევის მიდგომის განხორციელების პროცესში თქვენი შვილის მასწავლებელიც ხდებით და თერაპევტიც. და სწორედ ახლაა საუკეთესო მომენტი, რომ სახლში თერაპიის კუთხის მოწყობაზე დაფიქრდეთ. ამ საქმეს შეგიძლიათ სულაც საბავშვო მაგიდა გამოუყოთ ოთახის კუთხეში ან კიდევ მთელი ოთახი ან სარდაფი დაუთმოთ. ეს, უბრალოდ, უნდა იყოს ის ადგილი, სადაც ბავშვი იმუშავებს და სასწავლო მასალები გექნებათ განლაგებული. ძალიან მნიშვნელოვანია, ეს ადგილი განმამტკიცებლბთან ასოცირდებოდეს.

თქვენი მიზანი უნდა იყოს, თერაპიის კუთხე ისეთ ადგილად აქციოთ, სადაც ბავშვს ყოფნა მოუნდება. მაგიდასთან სამუშაოდ სირბილით უნდა მიდიოდეს. ფლემ-ბარათებისა და სხვა სასწავლო მასალების დანახვაზე ბედნიერებით თვალები უნდა ენთებოდეს და სინარულით იწყებდეს მუშაობას. თერაპიის სესიანზე არასასურველ ქცევებს არ უნდა ავლენდეს. ზღაპარივით ჟღერს, არა?

არადა, ზღაპარი არაა. ნებისმიერი აკადემიური პროგრამის მიზანია, ბავშვი ბედნიერ და მონდომებულ მოსწავლედ აქციოს. სამინაო პროგრამაშიც ეს მიზანი გესახებათ. თქვენს შვილს სამუშაო სივრცეში ყოფნა უნდა უნდოდეს.

თუ იმის ნიშნები არსებობს, რომ ამგვარი გარემოს შექმნა მოახერხეთ, იმის შემჩნევაც შეიძლება, როცა გარემო არაეფექტურია. თუ, მაგალითად, თერაპევტი რომ კარზე ზარს დარეკავს, ბავშვი ტირილს იწყებს და გარბის, უნდა დავფიქრდეთ, როგორ აღიქმება მის თვალში ეს თერაპევტი. თუ ბავშვი სკოლაში წასვლას აპროტესტებს, ეს იმაზე მიანიშნებს, რომ სკოლის გარემო განმამტკიცებლბთან არ არის გაწყვილებული. ასეთ დროს კვლავ პროცესის დასაწყისში ბრუნდებით და იწყებთ განმამტკიცებლისა და გარემო-მასწავლებლის გაწყვილებას.

განმამტკიცებელთან გაწყვილების გზები

ახლა, როცა განმამტკიცებლები მიკვლეულია, უნდა მოიფიქროთ, როგორ უნდა მოახერხოთ თქვენი თავის (ან ბავშვთან მომუშავე სხვა მოზრდილის), სამუშაო ოთახისა და მასალების განმამტკიცებელთან ასოციაციურად მიბმა. ამას „გაწყვილება“ ეწოდება. პროცესი მარტივი და სახალისოა. მოზრდილს თან უნდა ჰქონდეს რამდენიმე მძლავრი განმამტკიცებელი, მივიდეს ბავშვთან და ეს ყველაფერი გადასცეს მოთხოვნის წაყენების გარეშე. თუ ბავშვს მასწავლებელი ან თერაპევტი არ მოსწონს, თავიდან მან შეიძლება განმამტკიცებელი არც გამოართვას. ასეთ დროს მოზრდილმა ჯერ კარტოფილის ჩიფსი ბავშვს გვერდზე დაუდოს ან ტელევიზორი ჩართოს და მაგიდას მოშორდეს. ასე ბავშვი ჩიფსის ჭამას ან ტელევიზორის ყურებას მარტოკა შეძლებს. ამის შემდეგ მასწავლებელმა მზარდი ტემპით უნდა იმუშაოს იმაზე, რომ ბავშვი დაარწმუნოს, განმამტკიცებლით მისი თანდასწრებით ისარგებლოს. ზოგი ბავშვი ამას უფრო ადვილად სწავლობს, ზოგი – შედარებით რთულად. პირადულად ნუ მიიღებთ. ეს უბრალოდ იმას ნიშნავს, რომ ბავშვის ნდობის მოსაპოვებლად მეტი მუშაობა და ტემპის შენელება მოგიწევთ.

თუ ბავშვმა განმამტკიცებელი გამოგართვათ, ჯერ საგანი სიტყვის უთქმელად გადაეცით. როდესაც ნივთების სწრაფად, უპრობლემოდ გამორთმევას დაიწყებს, დაიწყეთ ხმისა და ამ საგნის ერთმანეთთან გაწყვილება – ნივთის ნიშანდება. როდესაც განმამტკიცებელს გადასცემთ, უთხარით: „ჩიფსი, ჩიფსი... აი, ჯიმი, ჩიფსი აიღე“.

ასე გააგრძელეთ, სანამ არ შეამჩნევთ, რომ ბავშვი მშვიდად რეაგირებს იმაზე, რომ უახლოვდებით და ნივთს უწვდით. კომფორტის ამ დონეს რომ მიაღწევთ, შემდეგი ნაბიჯი იქნება განმამტკიცებლების სამუშაო მაგიდაზე განლაგება, ბავშვისგან სულ ცოტათი მოშორებით. დააკვირდით, მოგიახლოვდებათ თუ არა ბავშვი. შეიძლება, უბრალოდ, თავისი სკამიდან ნივთისკენ გადაინხაროს და ხელი გაიწვდინოს. როგორც კი მოახლოებას ეცდება, განმამტკიცებელი აიღეთ და მიაწოდეთ, მხოლოდ ისევ ნურაფერს მოსთხოვთ. ამ ეტაპზე ბავშვს არც რაიმეს თქმა ევალება და არც ხელით მინიშნება.

დროთა განმავლობაში თერაპევტი შეძლებს ნივთები ბავშვისგან სულ უფრო და უფრო შორს გადასწიოს. ახლა მათ მოსაპოვებლად ბავშვი იძულებული იქნება, შეწყვიტოს, რითიც არის დაკავებული და თერაპევტისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგას. კარგი იქნება, ჯიბებიან სამუშაო წინსაფარს თუ შეიძენთ, რომ განმამტკიცებლები ყოველთვის თან იქონიოთ. ამ გზით ბავშვი სწავლობს, რომ მასთან მომუშავე მოზრდილს ხელი მიუწვდება ყველა მისთვის საყვარელ საგანზე და მათ, თხოვნის შემთხვევაში, ბავშვსაც აძლევს – ხშირად მუშაობის მოთხოვნის გარეშე.

განმამტკიცებლების გამოყენება და მათთან მასწავლებლის ასოცირება ვერბალური ქცევის პროგრამის პირველი არსებითი ხასიათის ნაბიჯია. ხომ ლოგიკურია, რომ თუ გვსურს, ბავშვი სამეცადინოდ მზად იყოს, ის მასწავლებელთან სინარულით უნდა მივიდეს. ასეთ საწყის ეტაპზე მართლაც ძალიან ადრეა, რომ ბავშვს რაღაცეების კეთება მოვთხოვოთ. თუ გაწყვილება გიჭირთ, ალბათ, საჭიროა, განმამტკიცებლები გადააფასოთ და დარწმუნდეთ, რომ მათთან გარემოც ასოცირდება.

არიან ბავშვები – და ასეთია ჩემი პრაქტიკიდან დაახლოებით ორმოცდაათი პროცენტი – რომელთა შემთხვევაში წყვილური ბმების შექმნა ძალზე ადვილია და მუშაობასაც სწრაფად ვიწყებთ. როგორც კი დაინახავთ, რომ ბავშვი თქვენთან, მასწავლებელთან თუ თერაპევტთან მოვიდა და ბედნიერი ჩანს, მიხვდებით, რომ დამდგარა მასთან ინტერაქციის დრო. დასაწყისისთვის შეგვიძლია აუხსნათ, რა გადის ტელევიზორში, მოვუღიბინოთ, მუხლზე დავისვათ და ვახტუნაოთ ან ვუმღეროთ. ასევე მნიშვნელოვანია ნაკლებ სასურველი ნივთებისა თუ აქტივობების გაწყვილება ძლიერ განმამტკიცებლებთან. ასე, თუ ქეთის საქანელა უყვარს, მაგრამ დიდად არ მოსწონს, როცა ადამიანი მღერის, ამ ორი აქტივობის ერთმანეთთან გაწყვილებამ შეიძლება განაპირობოს მომავალში მღერის სასურველ აქტივობად ქცევა.

ნელ-ნელა ვაპარებთ მოთხოვნებს

თუ აღმოაჩინეთ, რომ თქვენს შვილთან ასოციაციური ჯაჭვის გაბმა იოლია, გახსოვდეთ, რომ დასაწყისში მოთხოვნების რაო-

დენობა ძალიან მცირე უნდა იყოს. არაერთხელ მინახავს, როგორ უშვებენ ე.წ. „ადვილად გაწყვილებად“ ბავშვებთან მუშაობისას ამ ყველაზე დიდ შეცდომას – მოთხოვნებზე მეტისმეტად მალე გადადიან. მუშაობას რომ დაიწყებთ – და ეს მხოლოდ მაშინ უნდა მოხდეს, როდესაც ბავშვი ხალისით მოდის სამუშაო კუთხეში – მნიშვნელოვანია, განსოვდეთ, რომ მან არ უნდა იცოდეს, რომ მუშაობს. თუ ბავშვმა წმინდა სახის განმამტკიცებელიდან სამუშაოზე გადასვლის ფაქტი შეამჩინა, ესე იგი, ეს გადასვლა ზედმეტად სწრაფად მომხდარა.

მაშ, როგორ გაიგებთ, რომ დროა, მუშაობა დაიწყოთ? როგორ და – როცა მოთხოვნების ნელ-ნელა დაყენებას დაიწყებთ, ბავშვის ქცევას დააკვირდით. მოთხოვნებამდე ბავშვი სამუშაო კუთხეში თავისით უნდა მოდიოდეს და წყნარად იჯდეს რამდენიმე წუთის განმავლობაში მაინც. უნდა იტანდეს თქვენს ან თერაპევტის ხმას, რბილად შეხებას ზურგსა თუ მკლავებზე.

თავდაპირველად ბავშვს თხოვეთ, ისწავლოს, როგორ თქვას ან მიგანიშნოთ, რომ კონკრეტული განმამტკიცებლის ადება სურს. დაიწყეთ ბავშვისათვის ყველაზე ძლიერი განმამტკიცებლით.

ასე ჩაუყრიეთ საფუძველს მენდირებას, რაზეც მუშაობა გარემოსა და განმამტკიცებლის სათანადოდ გაწყვილების შემდგომ იწყება. სამუშაო შეიძლება შეაპართ სათამაშოების, მსგავსი ნივთების შეხამების, მარტივი თავსატეხების სახით. თუ გსურთ, ძალიან ადვილად შესასრულებელი დავალებები მოიფიქროთ, ვერბალური ქცევის შეფასების შედეგებს გადახედეთ. ამ მარტივმა დავალებებმა ბავშვს უნდა დაანახოს, რომ განმამტკიცებლის მოპოვება საკმაოდ ადვილად შეუძლია. შედეგად, იგი სწავლას უფრო მეტი მონდობით მიუდგება.

ცვლადი რაციონით განმტკიცების განრიგი

განმამტკიცებლისა და მცირე მოთხოვნების გაწყვილებაზე მუშაობისას გამოგადგებათ იმის ცოდნა, თუ რა არის განმტკიცების ცვლადი რაციონით განმტკიცების განრიგი. ცვლადი რაციონი არის განმამტკიცებლების მიწოდების შემთხვევებს შორის ბავშვის მიერ გამოვლენილი სწორი რეაქციების საშუალო რაოდენობა. დასა-

წყისში განმამტკიცებელს ვიდრე ვით და მოთხოვნას არ ვაყენებთ. შემდეგ მოთხოვნებს ვზრდით და განმამტკიცებელს ვიდრე ვით ყოველი სწორი რეაქციის შემდეგ. ამას „უწყვეტი განმამტკიცება“ ეწოდება. ამის შემდეგ ვიწყებთ ცვლადი რაციონით განმამტკიცების განრიგს.

უწყვეტი განმამტკიცებისგან განსხვავებით, ცვლადი რაციონით განმამტკიცების შემთხვევაში ბავშვმა არ იცის, განმამტკიცებელს როდის მიიღებს. თუმცა, ძლიერი განმამტკიცებლის მიცემამდე მხოლოდ რამდენიმე მოთხოვნის შესრულება მოუწევს. ნაჩვენებია, რომ დროთა განმავლობაში ასეთი განრიგი ბავშვის მხრიდან ძლიერ, სტაბილურ რეაგირებას განაპირობებს.

ცვლადი რაციონის განრიგს მოზრდილი გეგმავს. დროის გასვლის პარალელურად რაციონი აჩქარებით იზრდება. ორის ტოლი ცვლადი რაციონი ნიშნავს, რომ ბავშვმა ძლიერი განმამტკიცებლის მიღებამდე ერთი, ორი, სამი ან ოთხი დავალება უნდა შეასრულოს და ერთი სუბსტანციის განმავლობაში რეაქციების საშუალო რიცხვი ორი უნდა იყოს. დავალებების თითოეულ კომპლექტს ჰოლი კიბმა და ჩერიმ ტვიგსმა „გარბენი“ უწოდეს (2001 წ.). ორის ტოლი ცვლადი რაციონის გამოყენებისას პირველი გარბენის დროს განმამტკიცებლის მიღებამდე ბავშვს შეიძლება მოვთხოვოთ სამი დავალების შესრულება; შემდგომი გარბენისას კი – მხოლოდ ერთის.

მაგალითად, თუ ბავშვი სამის ტოლი ცვლადი რაციონით მუშაობს, შეიძლება გვქონდეს აქტივობების ერთი გარბენი, რომლის ფარგლებშიც ბავშვი განმამტკიცებლის მიღებამდე შეასრულებს ოთხ დავალებას; შემდგომ გარბენზე კი შეიძლება მოვთხოვოთ მხოლოდ ორი დავალების შესრულება. დავალებათა საშუალო რაოდენობა სამი იქნება.

აი, როგორ გამოიყურება სამის ტოლი ცვლადი რაციონით მუშაობის ნიმუში:

მუშაობის დაწყებამდე ბავშვს განმამტკიცებლის სახით მიეცით კარტოფილის ჩიფსი. ამის შემდეგ უთხარით: „აბა, ცხვირი მიჩვენე“ და ბავშვი მოთხოვნას ასრულებს (პირველი რეაქცია). მიუთითეთ ჭიქაზე და იკითხეთ: „რა არის ეს?“. ბავშვი სათანადოდ გაასუხობთ (მეორე რეაქცია). მიუთითეთ ძაღლის სურათზე და იკითხეთ: „რა არის ეს?“ ბავშვი მოთხოვნას ასრულებს და გაასუხობთ: „ძაღლი“ (მესამე რეაქცია). სთხოვთ: „აღეჭი“. ბავშვი დგება (მეოთხე რეაქ-

ცია). ამის შემდეგ ეუბნები: „წამოდი, ბატუტზე ვიხტუნაოთ“, რაც ბავშვისთვის ძლიერი განმამტკიცებელია. ამ გარბენში რეაქციების რაოდენობა (სწორი რეაქციები განმამტკიცებლებს შორის) იყო ოთხი.

ბავშვი თერაპევტზე ხელჩაკიდებული მიდის ბატუტთან. თერაპევტი მას ბატუტზე ახტუნავებს (განმტკიცება). შემდეგ თერაპევტი იწყებს შემდეგ გარბენს და მღერის: „საქათმეში შეპარულა...“ ბავშვი ამატებს: „მელა“ (პირველი რეაქცია). მოზრდილი ბავშვს ბატუტზე აჩერებს და ეუბნება: „გადმოხტი“ (მეორე რეაქცია); და შემდეგ ბავშვი იღებს განმამტკიცებელს გადმოხტომის სახით. თუ ამ ორ გარბენს გავასაშუალოებთ, მივიღებთ, რომ ამ ბავშვის ცვლადი რაციონი ყოფილა სამი.

რაციონის ზრდა უნდა მოხდეს ნელა და ფრთხილად, თანაც, ბავშვის შედეგების მიხედვით. თუ ბავშვს სამუშაო მაგიდიდან გაქცევის სურვილს შეატყობთ, რაციონი სეანსის დაწყებამდე უნდა შეამციროთ. ზოგი ბავშვი უფრო დაბალ რაციონს ითხოვს ორმაბათობით ან სკოლის არდადეგების შემდეგ. თუ ბავშვი სამუშაო მაგიდასთან არ თანამშრომლობს და აგრესიულ, თვითდაზიანებაზე მიმართულ ქცევებს ან თუნდაც თვითსტიმულირების ქცევებს ამჟღავნებს, ეს თითქმის ყოველთვის მიანიშნებს იმაზე, რომ განმტკიცების განრიგი მეტისმეტად მაღალი რაციონითაა შედგენილი. შესაძლებელია, დაგჭირდეთ უკან დახევა და მხოლოდ გაწყვილებაზე მუშაობა. არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც დიდი ნაბიჯის უკან გადადგმა და შემდეგ მოთხოვნების ძალიან ფრთხილად აწევა გრძელვადიან პერსპექტივაში უკეთეს შედეგს იძლევა.

ისევე, როგორც ვერბალური ქცევის მიდგომის ყველა კომპონენტის შემთხვევაში, ერთსა და იმავე დროს ბავშვთან მომუშავე ყველა მოზრდილმა ერთი და იმავე რაციონით უნდა ისარგებლოს. ასევე გახსოვდეთ, რომ კარგად მუშაობა ჯილდოს იმსახურებს და თუ ბავშვი დავალებაზე კარგად მუშაობს, ის ამავე სეანსზე მომატებული რაციონით არ უნდა „დავსაჯოთ“. რაციონი დღეების, კვირების განმავლობაში თანდათანობით უნდა გაიზარდოს და არა ერთი სეანსის ფარგლებში.

ცვლადი რაციონის განრიგზე დაკვირვებით შეძლებთ იმის შემოწმებას, თუ როდის მუშაობს ბავშვი ყველაზე უკეთ. იგი განსა-

კუთრებით სასარგებლო ინსტრუმენტია სამუშაო მაგიდასთან წარმოქმნილი რთული ქცევების მოსაგვარებლად. მშობლებსა და სპეციალისტებს ხშირად არ ესმით, რომ ზოგჯერ ბავშვს ზედმეტად ბევრ მოთხოვნას უყენებენ. არადა, ინტენსიური სწავლების დროს გამოვლენილი არასასურველი ქცევები თითქმის ყოველთვის სწორედ ამაზე მიანიშნებს. მოზრდილი ზოგჯერ ფიქრობს, რომ ბავშვს ართობს, ეთამაშება, სინამდვილეში კი თამაში სავსეა მოთხოვნებით და განმტკიცება საერთოდ არ ჩანს. ცვლადი რაციონის განრიგი მოზრდილს ყურადღების შენარჩუნებაში ეხმარება, რადგან მისი დახმარებით, ინსტრუქტორი აცნობიერებს, თუ რა მოთხოვნებს უყენებს ბავშვს.

ამრიგად, ამ თავში ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ განვსაზღვროთ და გამოვიყენოთ განმამტკიცებლები ბავშვის სწავლების პროცესში. განმტკიცება ვერბალური ქცევის მიდგომის იმდენად ძირეული ცნებაა, რომ თუ მასწავლებელი, თერაპევტი თუ კონსულტანტი ვერ დაარწმუნეთ, რამდენად ესაჭიროება თქვენს შვილს უფრო მეტი, ვიდრე დროდადრო სიტყვის „ყოჩად“ გაგონება, პროგრამა შედეგს ვერ გამოიღებს.

როგორც აღმოვაჩინე, არიან მასწავლებლები, რომლებიც საკლასო ოთახში განმამტკიცებლის სახით საკვების ან ტელევიზორის გამოყენებას ცუდად უყურებენ. არადა, უნდა გვახსოვდეს, რომ განმამტკიცებელს მოზრდილები კი არ ვირჩევთ, არამედ თავად ბავშვები. მასწავლებლები ჩივიან, რომ სათამაშო თუ ვიდეო სხვა ბავშვებს ხელს შეუშლის და სასკოლო მეცადინეობისას კანფეტის მხოლოდ ერთი ბავშვისთვის მიცემა სხვებს უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს. სამწუხაროდ, ვერბალური ქცევის პროგრამა ისე ვერ განხორციელდება, თუ განმამტკიცებლის ძალა ყველამ არ გაიგო და გაითავისა. რაც შეიძლება მეტი იმუშავეთ მასწავლებლებთან და აღმზრდელებთან; დაეხმარეთ მათ იმის გაგებაში, თუ რა სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ამ განმამტკიცებლებს თქვენი შვილის აკადემიური და პირადი ზრდისთვის.

მძლავრი, ბავშვზე მორგებული განმტკიცების სისტემა ვერბალური ქცევის სასკოლო თუ საშინაო პროგრამის აუცილებელი ელემენტია. როდესაც ამ სისტემას შექმნით, უკვე შეძლებთ პროგრამის ძირითად ნაწილზე გადასვლას: ასწავლოთ ბავშვს, როგორ დაამყაროს თქვენთან კომუნიკაცია.

მენდირება (სასურველის მოთხოვნა)

ორი წლის ასაკში ლუკასი ცოტას ლაპარაკობდა. დიაგნოზის მიხედვით, მას მეტყველების შეფერხება ჰქონდა და მაშინვე თერაპია დავაწყებინეთ. თუმცა, იმ დროს ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ აუტიზმი ჰქონდა, ვცდილობდი, შესაძლებლობის ფარგლებში, საუკეთესო ხარისხის სერვისები და მხარდაჭერა მიეღო და ამ გზაზე მაქსიმალურად დავხმარებოდი.

პირადად ვესწრებოდი მეტყველების ყოველკვირივად გაკვეთილებს. სულ მალე მის ლოგოპედს ვთხოვე, რაიმე ერჩია, რისი მეშვეობით თავადაც შევძლებდი ლუკასთან შინ მუშაობას. ჩემდა გასაკვირად, ერთი წიგნიც კი ვერ მირჩია, მაგრამ გაკვეთილებზე დაკვირვება შემომთავაზა, რათა რასაც იქ აკეთებდნენ, ბავშვთან სახლში გამემორებინა. გამორიცხულია, მშობლებისთვის რესურსები არ არსებობდეს თქო, ვიფიქრე და თავად მოვიძიე წიგნი „საუბრისთვის ორი ადამიანია საჭირო“ (It Takes Two to Talk), სადაც ჰანენის მეთოდია ახსნილი (მენოლსონი, 1992).

სიმართლე ითქვას, იმ ეტაპზე აუტიზმის მქონე ბავშვებისათვის მეტყველების სწავლების მეთოდოლოგია სულაც არ ვეძებდი, რადგან ჯერ კიდევ არ მჯეროდა, რომ აუტიზმის დიაგნოზს რაიმე საფუძველი ჰქონდა. თუ ამ წიგნს კითხულობთ და თქვენს შვილს მეტყველების შეფერხება აქვს, მაგრამ აუტიზმის დიაგნოზი ჯერ არ დასმია (შეიძლება აუტიზმი არც კი აღმოჩნდეს), მშურს კიდევ, რომ სიმამაცე გყოფნით და ბავშვის დახმარების მიზნით ყველა შესაძლებელ წიგნს ეცნობით. იქ აღწერილი კონკრეტული ინტერვენციები ალაპარაკებაში ტიპურ ბავშვებსაც ეხმარება. როცა ლუკასს მეტყველების შეფერხების დიაგნოზი დაუსვეს, მეგობარმა მეც მირჩია, აუტიზმის თერაპიის მიდგომებიც გამომეყენებინა. მე კი ყური არ ვათხოვე, რადგან აუტიზმის პერსპექტივის საშინლად მემიწოდდა. არადა, მხოლოდ მეტყველება რომც ჰქონოდა შეფერხებული, ქვევის გამოყენებითი ანალიზის აუტიზმის მქონე ბავშვისთვის განკუთვნილი თერაპია უფრო უშველიდა, ვიდრე მხოლოდ მეტყველებისა.

ჩემ მიერ მოძიებულ წიგნში „საუბრისთვის ორი ადამიანია საჭირო“ აღწერილია ისეთი მიდგომები, როგორებიცაა, მაგალითად, ნივთების მაღალ, ძნელად მისაწვდომ თაროებზე განთავსება, რუტინის დარღვევა, ნიშანდებისათვის ერთი და იმავე სიტყვების გამოყენება. ლუკასზე ამან ისე იმოქმედა, თითქოს შეულოცესო – ბავშვს ლექსიკა გაუორმაგდა და ნივთებსაც უფრო ხშირად ითხოვდა. ჩვენმა ლოგოპედმა, თავისი ცოდნიდან გამომდინარე, კარგად იცოდა, რომ როდესაც ბავშვმა საგნების მოთხოვნა იცის, ის უფრო სწრაფადაც სწავლობს და უკეთაც იქცევა. მაგრამ ჯერ წარმოდგენაც არ გვქონდა, როგორ უნდა გაგვეწყვილებინა ერთმანეთთან გარემო და განმამტკიცებლები ან, თუნდაც, როგორ უნდა დაგვეწყო მოთხოვნების რბილად, თანდათანობით შეპარება. მე, ცვლადი რაციონით განმტკიცების განრიგი რა იყო, ისიც კი არ ვიცოდი, სანამ ბავშვი ექვსი წლის არ გახდა. არადა, მეტყველების თერაპია უკვე ოთხი წლის დაწყებული ჰქონდა.

მეტყველების გაკვეთილებს თერაპევტი რომელიმე სახალისო აქტივობით, მაგალითად, საპნის ბუშტების გაბერვით იწყებდა და მხოლოდ შემდეგ ცდილობდა, იმაზე ემუშავა, რომ ლუკასს ბუშტებით თამაში მოეთხოვა. მენდირებას ანუ თხოვნას ასე ასწავლიდა. ეფექტური სტრატეგია იყო, მაგრამ ამის შემდეგ მალე გადადიოდა იმის სწავლებაზე, თუ როგორ დალოდებოდა ბავშვი თავის რიგს; უხსნიდა აბსტრაქტულ ცნებებს, მაგალითად, სვამდა დიან-არა პასუხიან შეკითხვებს, იწყებდა თანდებულების, ნაცვალსახელებისა და მრავლობითი რიცხვის გამოყენებას. ლუკასს საპნის ბუშტები და მენდირება ძალიანაც მოსწონდა, მაგრამ როგორც კი გაკვეთილი რთულდებოდა, ქცევა სწრაფად უუარესდებოდა ხოლმე.

მენდირება ვერბალური ქცევის მიდგომის განუყოფელი ნაწილია. მენდირება ეფუძნება მოთხოვნილების დაკმაყოფილების სურვილს და, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, წინ უსწრებს მოტივაციის აღძვრას. ბავშვს რაიმეს მოთხოვნის მოტივაცია შიმშილის ან სხვა სახის სურვილის გამო უნდა გაუჩნდეს. მაგალითად, უნდა წვენი, მენდირებს და წვენს იღებს. მენდირებას მყისიერი და დადებითი შედეგი მოაქვს, რადგან მენდი ყოველთვის დაუყოვნებლივ მტკიცდება – ბავშვი მოთხოვნილ საგანს ან აქტივობას მაშინვე იღებს.

დოქტორ მარკ სანდბერგისა და ვერბალური ქცევის სხვა სპეციალისტების აზრით, რთულ ქცევას თითქმის ყოველთვის იწვევს მენდირების დეფექტი, როდესაც ადამიანს არ შეუძლია, მოთხოვნილებები გაახმოვანოს. ეს ყველა შემთხვევაში ასეა. მიჩვენეთ მცირეწლოვანი ბავშვი, ან თუნდაც, მოზრდილი, რომელსაც არასასურველი ქცევა ახასიათებს და დაგანახებთ, რომ მას უბრალოდ არ უსწავლია, ეფექტურად როგორ მოითხოვოს საგანი, ქმედება თუ ინფორმაცია.

ხმოვანი ენა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ერთადერთი გზა არ არის. ჩვილები ტირილში ისე არიან დახელოვნებული, ბევრი მშობელის თქმით, მოშიების ტირილსა და საფენის გამოცვლის ტირილს შორის განსხვავებას აღვილად ცნობენ. მე, პირადად, ეს არასდროს გამომდიოდა, მაგრამ იმას კი ვხვდებოდი, რომ თუ ჩემი ერთერთი ვაჟი ტიროდა, ეს იმაზე მეტყველებდა, რომ რაღაც უნდოდა. ტირილი ახალდაბადებული ბავშვის პირველი მენდია; მეტიც, ის გადარჩენის საშუალებაა. ბავშვის ზრდასთან ერთად მოთხოვნები კონკრეტდება და პარალელურად იხვეწება მენდირების უნარიც. ექვსი ან რვა თვის ჩვილს უნდება ხელში აყვანა, ითხოვს წვეს რძის ნაცვლად, და ამ ყველაფრის მისაღებად ის იწყებს კომუნიკაციის სისტემის შემუშავებას. ტიპური ბავშვი მიუთითებს, ხელებს იწვდის ან, თუნდაც, სხვა ქესტს იყენებს. აუტიზმისა და განვითარების სხვაგვარი შეფერხების მქონე ბავშვმა ასეთი ქესტები შეიძლება ვერ შეიმუშავოს. შეიძლება ითქვას, რომ 18 თვის ასაკში მითითების უნარის არქონა აუტიზმის ერთერთი მთავარი სასინჯი სიმპტომიც კია. ასეთი ბავშვი მოთხოვნის ნაცვლად კვლავაც ტირის და ასე იწყება ტირილისა და ტანტრუმების სერია ბავშვებში, რომლებმაც უბრალოდ არ იციან, მოთხოვნილებები როგორ გაგაგებინონ. თუ გსურთ, რომ ბავშვმა თქვენთან კომუნიკაცია შეძლოს, მისთვის მენდირების სწავლება აუცილებელია. ამიტომ დროა, ძლიერი განმამტკიცებლებით შეიარაღდეთ და მათთან გაწყვილებული სამუშაო სივრცე მოაწყობთ. შეგახსენებთ, რომ განმამტკიცებლებისა და სამუშაო სივრცის შერჩევა-მოწყობის გზა IV თავშია აღწერილი. გარდა ამისა, გახსოვდეთ, რომ ბავშვს მოტივაციას რაღაც-რაღაცეები ბუნებრივად აღუძრავს. ამაზე ჩვეულებრივ მიუთითებს მაგიდაზე მოთავსებულ ნივთზე (ორცხო-

ბილის, წვენის, ა.შ.) მიწვდომის მცდელობა, ან ხელის ჩაკიდება და სასურველ ნივთთან თუ აქტივობასთან მიყვანა. არიან ბავშვები, რომლებიც სურვილის გამოსახატად საგნისკენ ხელს იშვერენ, ან არასპეციფიურ ბგერებს გამოთქვამენ.

განვიხილოთ ოთხი წლის ტიმის მაგალითი. მას აუტიზმის დიაგნოზი ცოტა ხნის წინ დაუსვეს. მშობლები ძალიან მონდომებულები არიან, ქცევის გამოყენებითი ან ვერბალური ქცევის პროგრამა დაიწყონ. ტიმის რამდენიმე სიტყვის თქმა კი შეუძლია, მაგრამ მენდირებით არაფერს ითხოვს, თუნდაც სასურველი ნივთი მხედველობის არეში ჰქონდეს. რადგან ასეთი საგნების მენდირება უფრო ადვილია, ვიდრე საგნებისა, რაც მხედველობის არის მიღმა, ტიმის, პირველ რიგში, უნდა ვასწავლოთ, როგორ მოითხოვოს ხმით საგნები, რომლებიც მის შორიახლოსაა მოთავსებული. ხმოვანი მეტყველების განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების სწავლების სტრატეგიები შემდეგ თავშია მიმოხილული.

ტიმის შეუძლია ნივთების, მათ შორის ბურთის, წიგნის, საწოლისა და თვითმფრინავის ტაქტირება (ნიშანდება). საყვარელი განმამტკიცებლებია ჩიფსები, კანფეტები, წვენი, წყალი, ბარნის წიგნები და ვიდეოები, საქანელაზე ქანაობა, პატარა ბატუტზე და დიდ სავარჯიშო ბურთზე ხტომა. მშობლებმა შვილს პატარა მაგიდა უყიდეს, ტელევიზორთან ახლოს საერთო ოთახში დადგეს და საკმარისად გამოცდილი თერაპევტიც დაიქირავეს, რომელიც ბავშვთან კვირაში სამჯერ იმუშავებს. ტიმის მაგიდასთან ჯდომა არაფრად ეპიტნავენ და ამაზე თერაპევტსა და დედას წინააღმდეგობას უწევს. თავსატეხებს იატაკზე აწყობს, უყვარს მანქანების ჩამწკრივება და დახარისხება, მაგრამ არ მოსწონს, როდესაც თამაშობს და პროცესში მოზრდილი ერევა. დედა და თერაპევტი დარწმუნებულები არიან, რომ შეუძლიათ ბავშვს მენდირების სწავლა დააწყებინონ.

არადა, ორივე საშინლად ცდება.

ტიმის შემთხვევაში რამდენიმე პრობლემაა, რომლებიც მენდირების დამუშავებაზე გადასვლამდე აუცილებლად უნდა მოგვარდეს. პირველ რიგში, სასწავლო გარემოსა და განმამტკიცებლებს შორის გაწყვილების ხარისხი საკმარისად მაღალი არაა. სწავლებაზე დროზე ადრე გადასვლა ერთერთი ყველაზე გავრცელებული

შეცდომაა, რაც პრაქტიკაში შემხვედრია. მოთხოვნებზე ნაჩქარევად გადასვლას ბავშვი უარყოფითად ხვდება. ეს იმდენად ხშირი პრობლემაა, რომ თითქმის ყველა კლიენტ ოჯახსა და სკოლაში ვხვდები.

დაიმახსოვრეთ: სამუშაო გარემოში ძალიან ბევრი განმამტკიცებელი უნდა იქონიოთ.

სანამ ბავშვს თუნდაც ერთ დავალებას მისცემთ, დარწმუნდით, რომ ის თერაპევტთან სიხარულით გარბის და იატაკზე თუ მაგიდასთან მჯდომი სხვა ადამიანებთან თავს ბედნიერად გრძნობს. უნდა ხედავდეთ, რომ სასურველი ნივთებისკენ ილტვის, რომ იღებს განმამტკიცებლებს, რომლებსაც დავალების გარეშე უწვდით და მენდირებაზე მუშაობა მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაიწყოთ.

დასაწყისისათვის დააკვირდით სიტყვებს, რომელთა წარმოთქმა ტიმის უკვე შეუძლია და დაფიქრდით, რომელი მათგანი გამოდგება მენდირებისათვის. რადგან ბავშვს შეუძლია წიგნისა და ბურთის ტაქტირება (ნიშანდება) და, იმავდროულად, ბურთით თამაში და ბარნის წიგნების დათვალიერება მოსწონს, პირველად ამ ორი საგნის მენდირება უნდა ასწავლოთ. პროგრამის დასაწყისში ბავშვების უმეტესობას სამიდან ხუთამდე მენდის სწავლა უწევს. ვინაიდან ტიმის რამდენიმე სიტყვის წარმოთქმა უკვე შეუძლია, მე, პირადად, მასთან ხუთი მენდით დავიწყებდი.

თითო ჯერზე მხოლოდ ერთ მენდზე არ იმუშავოთ, თორემ ბავშვმა მისი გამოყენება შეიძლება განაზოგალოს. მაგალითად, თუ ბავშვმა ისწავლა „ფილმის“ მენდირება და თითოეული შესაბამისი მენდის შემდეგ ცოტა ხნით ფილმის ყურების საშუალება მიეცა, დროთა განმავლობაში იმასაც ისწავლის, რომ თუ ფილმის ყურება მოუნდა, უბრალოდ უნდა თქვას სიტყვა „ფილმი“. მაგრამ თუ ბავშვს მხოლოდ ერთ მენდს ვასწავლით, შეიძლება ეს სიტყვა „ფილმი“ სხვა საგნებზეც განავრცოს და გამოიყენოს, როდესაც, მაგალითად, წვენი ან ბურთი უნდა. აი, რატომაა მნიშვნელოვანი, რომ ბავშვს ერთდროულად სამიდან ხუთამდე მენდი ვასწავლოთ.

კიდევ ერთი შეცდომა, რასაც მენდირების სწავლების დროს უშვებენ, ისეთი სიტყვების გამოყენებაა, როგორიცაა „მეტი“ და „გეთავსა“. ქვევის გამოყენებით ანალიზში ნაკლებ დახელოვნებული სპეციალისტები ამ სიტყვებს ხშირად ნაადრევად ასწავლიან. ბავ-

შვი სწავლობს, რომ თუ რამე უნდა, შეუძლია თქვას „მეტი“ და სასურველ საგანსაც მიიღებს. სინამდვილეში ის საგნის მენდირებას არ სწავლობს. „გეთაყვა“ და „მეტი“ აბსტრაქტული ცნებებია, რომლებიც მეტყველების შეფერხების მქონე ბავშვს, სავარაუდოდ, არ ესმის. უმჯობესია, ბავშვს რეალური, მხედველობის არეში მყოფი ნივთის მენდირება ასწავლოთ, შემდეგ კი ნელ-ნელა გაიტანოთ ნივთი მხედველობის არიდან და იმედი იქონიოთ, რომ ბავშვი მას მაინც მოითხოვს – მაგალითად, ნაყინს, როდესაც ის მაცივარშია. ეს არასოდეს მოხდება, თუ ტიმის ვასწავლეთ სიტყვა „მეტი“, რადგან ნაყინი შორიახლოს არ იქნება და მოზრდილს წარმოდგენაც არ ექნება, „მეტი“ რა სურს ტიმის.

გარდა ამისა, მეტყველების შეფერხების მქონე ბავშვს არც სრული წინადადებებით მენდირება უნდა მოვთხოვოთ. თუ მას ორცხობილა სურს და ამბობს მენდს „ორცხობილა“, უნდა ავიღოთ და მივცეთ. პროგრესი იმით კი არ იზომება, რა სიგრძის წინადადებებს ამბობს ბავშვი, არამედ იმით, თუ რამდენი საჭიროებისა და სურვილის გამოხატვა შეუძლია სიტყვებისა და ჟესტების გამოყენებით. სიტყვების ფრაზებში გაერთიანება მხოლოდ მას შემდეგ უნდა დაიწყოს, რაც ბავშვი მხედველობის მიღმა არსებული საგნების მოთხოვნაში საკმარისად გაიწაფება. ამას თუ მიაღწიეთ, შეგიძლიათ დაიწყოთ ისეთ ერთ, ორ თუ სამსიტყვიან ფრაზებზე მუშაობა, რომლებიც საგნის იდენტიფიცირებაში დაგეხმარებათ, მაგალითად, წითელი დრაჟე, შოკოლადიანი ორცხობილა თუ შაქრიანი ორცხობილა. თითო ჯერზე თითო სიტყვა დაამატეთ, თანაც, ისე, რომ ბავშვს მოთხოვნის დამატებით დაკონკრეტებაში დაეხმაროს.

ახლა, როდესაც უკვე იცით, რას უნდა მოერიდოთ, ყველაფერი მზადაა იმისათვის, რომ ტიმის მენდირება ასწავლოთ.

რამდენიმე სამიზნე მენდი, მათ შორის, ბურთი და წიგნი, შერჩეული გაქვთ. რადგან უკვე იცით, რომ ტიმის ამ სიტყვების წარმოთქმა შეუძლია და ეს საგნები განმამტკიცებლის როლს ასრულებს, მათი მენდირების სწავლება არ უნდა გაგიძნელოდეთ. გახსოვდეთ, რომ დასაწყისში დავალებები ადვილი უნდა იყოს.

ბურთისა და წიგნის გარდა, საკვების ორი ნაირსახეობაც უნდა აირჩიოთ. როგორც წესი, პირველ მენდებად ერთიორ საკვებსა და ერთიორ აქტივობას ვარჩევთ ხოლმე. ხუთივე მენდად საკვებს ნუ

აიღებთ, რადგან მენდირებაზე მთელი დღის განმავლობაში უნდა ვიმუშაოთ. ყველა საწყისი მენდი საკვები თუ იქნება, მენდირების სწავლას მხოლოდ წახემსების დროს თუ შეძლებთ.

კვლავ გადავხედოთ განმამტკიცებლების სიას. დავფიქრდეთ, რამდენად პრაქტიკულია მისი საყვარელი საკვების გამოყენება დროის სხვადასხვა მონაკვეთში. დასაწყისისთვის არ გამოგადგებათ, მაგალითად, შემწვარი კარტოფილი, ბუკონი ან ნაყინი. მათი სულ თან ქონა ძნელია, რადგან ზოგი სიცივეში უნდა შეინახოთ, ზოგიც – სითბოში. რადგან სიაში კანფეტები და ჩიფსები გვაქვს და ბავშვისთვის მათი მიცემა ადვილია, თქვენს ადგილზე, ამ ორს შევარჩევდი. მეხუთე მენდად წვეწვს დავუმატებდი, რადგან, როგორც ჩანს, ტიმის წყალს წვეწვი ურჩევნია.

საწყისი მენდების არჩევის დროს წარმოიდგინეთ, რომ უცხო ქვეყანაში იმყოფებით და იქაური ენა არ იცით. რა სიტყვები უნდა ისწავლოთ, რომ პირველადი საჭიროებები დაიცვაყოფილოთ? ალბათ, უნდა იცოდეთ, როგორ მოხვდეთ საპირფარეოში, მოითხოვოთ წყალი, პიცა, საჭმელი, ტაქსი, მატარებელი ან სასტუმრო. იგივე ხდება ბავშვის შემთხვევაშიც. მასაც მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ყველაზე პრაქტიკული სიტყვები ესაჭიროება.

ამრიგად, თავდაპირველად სამიზნე მენდები იქნება ბურთი, წიგნი, ჩიფსი, კანფეტი და წვეწვი. სწორედ ამ სიტყვების გამოყენებას ვასწავლით ტიმის, რათა მან საგნების მოთხოვნა შეძლოს.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მაშინ, როდესაც ტიპური განვითარების მქონე ბავშვს მენდირების დასაუფლებლად სულ რამდენიმე ცდა სჭირდება, განვითარების შეფერხების მქონე ბავშვის შემთხვევაში, შეიძლება ასჯერ ან ათასჯერ გამოერებაც კი დაგვჭირდეს. თქვენი ამოცანაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დღის განმავლობაში მას მენდირების უამრავი შესაძლებლობა მისცეთ; ანუ ისეთი ატმოსფერო შექმნათ, რომელშიც ბავშვი მოტივირებული იქნება, სასურველი საგნები მოითხოვოს.

მართალია, მენდირება დღის განმავლობაში ბუნებრივად უნდა ხდებოდეს, ასევე მნიშვნელოვანია, ყოველ დღე მენდირების რამდენიმე სეანსი სპეციალურად დაგეგმოთ. სეანსისათვის დაგჭირდებათ განმამტკიცებლის რამდენიმე პატარა ნაწილად

დაყოფა. აიღეთ ათი ჩიფსი და თითოეული ნაწილი გაყავით ოთხ ნაწილად, ან კიდევ ორცხობილა, რომელიც ათ ნაჭრად გაიყოფა. ამდენად, მენდირების სეანსის ფარგლებში ბავშვს ექნება ორი საყვარელი საგნის ორმოცდაათჯერ მენდირების შესაძლებლობა. სეანსი შეიძლება გაგრძელდეს ორი წუთი ან თუნდაც ნახევარი საათი. ეს დრო მთლიანად ბავშვისთვის მენდირების სწავლებას ეთმობა და თქვენსა და განმამტკიცებელს შორის ასოციაციის დამყარებასაც უწყობს ხელს.

მენდირების სეანსის მოსამზადებლად თავი მოუყარეთ ხუთ განმამტკიცებელს და შეარჩიეთ სასურველი ადგილი. შეგიძლიათ იმუშაოთ იატაკზე ან სამუშაო მაგიდასთან, იმის მიხედვით, თუ თავად ბავშვს რა მოსწონს. იმისათვის, რათა ბავშვმა ჩიფსებისა და კანფეტის დანახვა შეძლოს, ეს განმამტკიცებლები გამჭვირვალე პარკებში ჩაალაგეთ. მაგიდაზე დადგით წვენი კონტეინერი და პატარა ჭიქა. ასე ადვილად შეძლებთ ტიმისათვის წვენი პატარ-პატარა ულუფებად მიცემას.

თუ სეანსისთვის მძლავრი განმამტკიცებლები შეარჩიეთ და სამუშაო სივრცეც განმტკიცებასთან სათანადოდ არის გაწყვილებული, ბავშვი, როცა დაინახავს, რომ წინ მისი ხუთი საყვარელი ნივთი გილაგიათ, თქვენთან თავად უნდა მოვიდეს. ალბათ, მიგანიშნებთ კიდევ, პირველ რიგში, რომელი მათგანი უნდა. შეიძლება ბურთზე დაიწყოს ხტუნაობა ან კიდევ ჩიფსების პარკს სტაცოს ხელი. ვინაიდან ლაპარაკი ჯერ არიცი, იმისათვის, რომ ტიმის მენდირება აიძულოთ, „კულისებიდან“ უნდა იმოქმედოთ. ტიმი ალბათ მენდირების სეანსში თავისი სურვილით ჩაება, რადგან საყვარელი განმამტკიცებლები დაინახა და ბურთზე ხტუნაობა დაიწყო. ამ დროს ხელებში ხელი მოკიდეთ და უფრო მაღლა აახტუნეთ – ხომ იცით, რომ ხტუნაობა უყვარს. როცა შეამჩნევთ, რომ კარგად ერთობა, არც ხელს გკრავთ და ამით განიშნებთ, რომ გააგრძელოთ, სამჯერ, ძალიან მკაფიოდ წარმოთქვით სიტყვა „ბურთი“, თითოეული სიტყვის შემდეგ ერთი-ორი წამის პაუზით.

ნუ შეგაშინებთ, რომ რადგან ბურთზე ხტუნაობს, სიტყვა „ხტუნაობა“ შეიძლება „ბურთში“ აურიოს. უბრალოდ, ტიმის სიტყვა „ბურთის“ წარმოთქმა შეუძლია და ეს ჩვენთვის ამოსავალი წერტილია. ერთი-ორი წუთის ხტუნაობის შემდეგ ხელებით (რომლე-

ბიც ჯერ კიდევ მის ხელებზე გაქვთ მოკიდებული) შეანელეთ, რომ ხტუნვა შეწყვიტოს. ახლა, როცა განმტკიცება შეწყდა, ხტუნვა და სიტყვა „ბურთი“ (სამჯერ წარმოთქმით) სწრაფად დააკავშირეთ ერთმანეთთან და დაიწყეთ ბავშვის კვლავ ახტუნება.

თუ სეანსის დროს ტიმიმ თქვენი ნათქვამი გაიმეორა, ან სიტყვა „ბურთი“ სპონტანურად წარმოთქვა, კიდევ უფრო ძლიერად აახტუნეთ ბავშვი, შეაქეთ, მიეცით განმამტკიცებლები. იმეორეთ: „აი, რა კარგია ბურთი!“ „ბურთი, ბურთი, ტიმიმ თქვა „ბურთი“, და სხვა მსგავსი ფრაზები.

ძალზე მნიშვნელოვანია, დასაწყისში მოთხოვნები ძალიან იოლი და მარტივი იყოს. ნუ ეტყვი: „თუ ბურთზე ხტუნვა გინდა, უნდა მითხრა „ბურთი“... თქვი „ბურთი“. მართალია, თქვენ ეს იოლად გეჩვენებათ, სინამდვილეში, ასეთი მოთხოვნა ბავშვისთვის ძალზე რთულად შესასრულებელია. ტიმის მისი გაგება არ ძალუძს და, თანაც, მიანიშნებს, რომ განმტკიცება დასრულდა, მუშაობა კი დაიწყო. ამ ეტაპზე მენდირების სეანსი გაწყვილების სეანსს უფრო უნდა ჰგავდეს, სადაც განმამტკიცებლის გადაცემას თან ახლავს საგნის ორ-სამჯერ დასახელება მათი ერთმანეთთან გაწყვილების მიზნით.

შეიძლება ბავშვმა ბურთის დასახელება ერთი სეანსის დროს სულაც არ წარმოთქვას და ამასი არაფერია საგანგაშო. ბურთით მუშაობა იქამდე განაგრძეთ, სანამ ტიმი ინტერესს არ დაკარგავს, ან სხვა მენდზე გადასვლას არ მოისურვებთ. არიან ბავშვები, რომელთაც ერთი ყველაზე საყვარელი განმამტკიცებელი აქვთ (ათბალიან შკალაზე ათი ქულით რომ აფასებთ). თუ ასეთ ბავშვთან მუშაობისას სხვა საგანზე გსურთ გადასვლა, ნივთი სამუშაო სივრცეს უნდა განარიდოთ. ცუდი აზრი არაა მენდირების სეანსის ისე დაგეგმვა, რომ ამ დროს ბავშვს შიოდეს. ასე უფრო მოუნდება მისთვის გადანახული სასუსნავების მოთხოვნა.

ერთი საყვარელი საგნის არსებობისას განმამტკიცებლების შესაცვლელად გამოიყენეთ ასეთი სტრატეგია: მიეცით ტიმის ჩიფსი და სამჯერ დაასახელეთ ეს საგანი, სანამ ბავშვი ჯერ კიდევ ბურთზე ზის. შემდეგ მისწიეთ ბურთი მაგიდასთან ახლოს, რომ სხვა საგნებით მუშაობისას ბურთთან განშორება არ მოუწიოს. ამგვარად, ბურთი სწავლისას სკამის მაგივრობას გასწევს. რაც უნდა მოხდეს, ბავშვი ბურთიდან მაგიდასთან ძალით არ გადმოსვათ, რადგან ეს

გაანულებს თქვენთან უკვე დამყარებულ ყველა დადებით ასოციაციურ კავშირს. თუ ბავშვს ბურთი უნდა და არა სხვა სამიზნე მენდები, მათთან ვერ იმუშავებთ. როგორც ვთქვი, მენდირებას წინ ყოველთვის მოტივაცია უნდა უსწრებდეს.

ანალოგიურად გააგრძელეთ მუშაობა სხვა საგნებთანაც. როცა „ბარნის“ წიგნის მენდირებას ასწავლით, იმუშავებთ სიტყვაზე „წიგნი“. როცა ტიმი რამდენიმე მენდს აითვისებს, შეგიძლიათ ორსიტყვიან, შინაარსობრივ ფრაზებზე გადახვიდეთ, როგორებიცაა „ბურთი ახტუნავ“, „ბურთი გააგორე“, „ბარნის წიგნი“ და „სპოტის წიგნი“.

მას შემდეგ, რაც ერთერთ სამიზნე საგანზე სპონტანურ მენდს მიიღებთ, შეგიძლიათ სიას კიდევ ერთი სამიზნე დაამატოთ. არ დაგავიწყდეთ, დამატებითი სამიზნეების შერჩევისას სიაში კვლავაც შეიტანოთ საჭმელი, ნივთი და აქტივობა, და მოითხოვოთ თითოეული მათგანის მხოლოდ ერთი სიტყვით დასახელება.

კი, მაგრამ, როგორ მოვიქცეთ, თუ ამ ყველაფერმა არ იმუშავა? წარმოიდგინეთ, რომ განმამტკიცებლებზე მუშაობთ, მუშაობთ, ტიმი კი მაინც არ მენდირებს? ასეც ხდება ხოლმე, მაგრამ გამოსავალი არსებობს. საჭიროა, სიტყვებს ჟესტური ენა შევუხამოთ; ამაზე ვრცლად შემდეგ თავში ვისაუბრებთ. ნუ იფიქრებთ, თითქოს ბავშვი ლაპარაკს არასოდეს დაიწყებს. ჟესტური ენა ისეთი სტრატეგიაა, რომლის გამოყენების დროსაც დახმარებას აღვიღად შეძლებთ და ზოგჯერ ბავშვს სიტყვასა და თხოვნას შორის ასოციაციური კავშირის დასამყარებლად მეტი არაფერი სჭირდება.

შემიძლია დაგამშვიდოთ: ტიმის მსგავს ბავშვებში, რომლებსაც რამდენიმე სიტყვის ვოკალურად წარმოთქმა შეუძლიათ, წინდახედული გაწყვილებითა და რეგულარული მენდირების სეანსებით ბავშვისგან საგნების მოთხოვნის მიღწევა სავსებით შესაძლებელია. მას შემდეგ, რაც რამდენიმე ათეული თვალთ ხილული საგნის სიტყვიერად მენდირებას ისწავლის, უნდა გადახვიდეთ ისეთი საგნების მენდირებაზე, რომლებიც იმ მომენტში მხედველობის არის მიღმა. ასეთ დროს უმჯობესია მოქმედებებით დაწყება, რომლებიც არასოდეს ჩანს. მაგალითად, „გამოეჩანე“ – საქანელაზე ჯდომისას, ან კიდევ „მომიდიტინე“, „გახსენი“, „გადასწიე“. როცა ფიზიკური ნივთები მხედველობის არიდან გაგვაქვს, არ უნდა ავიქარდეთ. ჯერ ტიმის ვაძლევთ ჩიფსს და ვაღწევთ, რომ ბავშვმა იგი რამდენჯერმე

მოითხოვოს. როდესაც ტიმი ჩიფსს რამდენჯერმე მოითხოვს, მაგრამ კიდევ უნდა, შეგიძლიათ პარკი მაგიდის ქვეშ ან მაგიდაზე რაიმე ნივთის უკან დამალოთ. თუ ტიმიმ ჩიფსი არ მოითხოვა, შეგიძლიათ პარკი სწრაფად დაანახოთ და ისევ დამალოთ, ან კიდევ დაეხმაროთ სიტყვის თქმაში და მხოლოდ ამის შემდეგ გადასცეთ ჩიფსი.

როგორ მივხვდეთ, რომ პროგრესს ვაღწევთ? არ დაგავიწყდეთ მონაცემების აღრიცხვა, რომ სწავლის შედეგებს თვალი მიაღვენოთ. აღრიცხვა არა მხოლოდ ბავშვისთვის, თქვენთვისაც მნიშვნელოვანია. ზოგჯერ ისეთი გრძობა დაგუფლებათ, თითქოს წინ ძალიან ნელა მიიწევთ და აღრიცხული შედეგების გადახედვა რეალურ სურათს დაგანახებთ.

ზოგადად, მონაცემთა აღრიცხვა მნიშვნელოვანია ვერბალური ქცევის პროგრამის ყველა კომპონენტში და პროგრამის გართულების პარალელურად უფრო და უფრო გამოგადგებათ. მონაცემთა აღრიცხვა იმავე მთვლელითაა შესაძლებელი, რასაც რთული ქცევების აღსარიცხად იყენებდით. მთვლელები საიტზე www.difflearn.com იყიდება და ნებისმიერ საკანცელარიო მაღაზიაშიც ნახავთ. დღის განმავლობაში სხვადასხვა პროგრამაზე მუშაობისას რამდენიმე მთვლელი დაგჭირდებათ. მენდირების სეანსებზე მონაცემები უნდა აღრიცხოს – ამისათვის ბავშვის მიერ წარმოთქმულ თითოეულ მენდზე მთვლელის დილაკზე უნდა დააწკაპუნოთ. ამის შემდეგ მიღებული მენდების რაოდენობა მენდირებაზე გატარებული დროის გასწვრივ იწერება. მერე მთვლელი ახალი სეანსის დაწყებამდე ნულზე ბრუნდება.

მას შემდეგ, რაც მენდების დათვლას აითვისებთ, ერთდროულად ორი მთვლელის გამოყენებასაც შეძლებთ, რომ ერთზე დახმარებით გაკეთებული მენდები აღრიცხოთ (მაგალითად, ეუბნებით: „ჩიფსი“ და ბავშვი იმეორებს), მეორეზე კი – დამოუკიდებელი მენდები (ბავშვი ვერბალური დახმარების გარეშე ამბობს: „ჩიფსი“). თავიდან დახმარებით გაკეთებული მენდების რაოდენობა დამოუკიდებლის რიცხვზე სულ მცირე ორჯერ მეტია ხოლმე.

კიდევ ერთი ვარიანტია სათვლელი ცხრილის მომზადება. აქ ხუთი სამიზნე მენდია ჩამოწერილი. მუშაობის განმავლობაში შესაბამისი სიტყვის გასწვრივ ნიშანი კეთდება (იხ. ცხრილი 5.1). ცხრილის დახმარებით, ადვილად შეაფასებთ, რომელ საგნებს მენდირებს თქვენი შვილი უფრო მეტად და რომლებს – ნაკლებად.

ცხრილი 5.1 მენდირების სათვლელი ცხრილი		
თარიღი: 6 ივლისი მენდირების ხანგრძლივობა: 15 წუთი		
	დახმარებით	დამოუკიდებლად / მხედველობის არისეული
ბურთი		
წიგნი		
ჩიფსი		
კანფეტი		
წვენი		

ორივე მეთოდის გამოყენებით იღებთ ინფორმაციას, რომელიც გუუბნებათ, მუშაობს თუ არა პროგრამა და თუ კი, როგორ. თუ გამოწვევები გიყვართ, ეს დამატებით სტიმულს მოგცემთ ყოველდღიურად თუ ყოველკვირეულად მენდების რაოდენობის გასაზრდელად. მათალი დონის მენდირებაზე გადასვლამდე უნდა დარწმუნდეთ, რომ ბავშვს ძლიერი ენობრივი საფუძველი აქვს. იქამდე, სანამ თქვენი შვილი „ყურადღების“ ან „ინფორმაციის“ მენდირებას შეძლებს, შეიძლება წლებიც კი გავიდეს, მაგრამ კომუნიკაციის დამყარებას მალევე შეძლებს. ასე რომ ფარხმალს ნუ დაყრით – ეს პროცესი მთელი ცხოვრება გაგრძელდება.

თუმცა, თუ ბავშვი შემდეგ ნაბიჯზე გადასასვლელად მზადაა, შეძლებთ უფრო რთული ცნებების სწავლებას შეუდგეთ. გახსოვდეთ, რომ ტემპს თავად ბავშვი აწესებს და კვლავ ძლიერი განმამტკიცებლები უნდა შეინარჩუნოთ. როცა ბავშვი შეძლებს ხილული და არახილული საგნების, მოქმედებებისა და აქტივობების მენდირებას, შეგიძლიათ შემდეგ მიზნად ისეთი მენდების სწავლება დაიხსნოთ, რომლებიც ყურადღების მიპყრობას გულისხმობს. ასეთებია ფრაზები „აბა, ამას შეხედე“, „ნახე, რა გავაკეთე“ ან კიდევ „შეხედე, ძროხა!“. ეს რთული პროცესია, რადგან როგორც ზემოთ ვნახეთ, სიტყვა ან ფრაზა რომ მენდად იქცეს, ბავშვი მოტივირებული უნდა იყოს. თუ გვინდა, ნამდვილი მენდი მივიღოთ, ბავშვს თქვენი ყურადღება უნდა დასჭირდეს და მოითხოვოს. რამდენადაც საჭმელზე მოტივაციის შექმნა იოლი პროცესია, ბევრად რთულია ისეთი სიტუაციის შექმნა, სადაც ბავშვი მოისურვებს, რომ ძროხას შეგახედოთ.

კიდევ ერთი მენდი, რასაც ბავშვი დროთა განმავლობაში ისწავლის, ინფორმაციის მენდირებაა. ეს მოიცავს ისეთ შეკითხვებს, როგორებიცაა „ჩემი ფეხსაცმელები სადაა?“ ან „რა დევს ჩანთაში?“

ან „ეგ როგორ გააკეთე?“, ინფორმაციის მენდირების სწავლა ასევე რთული, მაგრამ რეალისტური ამოცანაა. მთავარია, არ აჩქარდეთ. უნდა მოახერხოთ, რომ ბავშვი განმამტკიცებელით აცდუნოთ და რამე ინფორმაციის გაგება მოანდომოთ. მაგალითად, შეგიძლიათ რამდენიმე საყვარელი განმამტკიცებელი გამჭვირვალე პარკში ჩადოთ და პარკი გაანჯღრიოთ. თუ ბავშვმა პარკში ჩაჭყიტვა მოინდომა, რომ ნახოს, შიგ რა დევს (ეს უკვე მოტივაციაა), დაეხმარეთ, რომ იკითხოს: „რა?“ ან „რა არის პარკში?“ და შემდეგ დაუკმაყოფილეთ ცნობისმოყვარეობა – მიეცით პარკი და ნება დართეთ, განმამტკიცებელი ამოიღოს.

რთული ბუნების მენდების სწავლებაზე ვრცელი ინფორმაციაა მოცემული ჰოლი კიბისა და ჩერიშ ტვიგის მიერ შემუშავებულ შესანიშნავ საიტზე www.establishingoperationsinc.com.

წესით, როგორც კი ბავშვი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მენდირებას ისწავლის, ქცევის გაუმჯობესება მაშინვე უნდა დაეტყოს. თუ ამის ნიშნები ჯერ არ ჩანს, სიას დაუბრუნდით და დარწმუნდით, ხომ ნამდვილად მისთვის საჭირო და სასურველი ნივთები გაქვთ შეტანილი. გადახედეთ გარემოს – ხომ ნამდვილად მრავალფეროვან და მდიდარ სივრცეში მუშაობთ. თუ ასეა, შედეგი აუცილებლად დადგება.

ახლა კი დროა, სხვა ვერბალურ ოპერანტებს შევხვით, რომლებიც კომუნიკაციის უნარს კიდევ უფრო გააძლიერებს. ერთი შეხედვით, თითქოს არაფერია, მაგრამ ძალიან სასიხარულოა, როცა ხედავთ, ბავშვი კომუნიკაციას როგორ ამყარებს თუნდაც თითოსიტყვიანი მენდების საშუალებით. ნამდვილად სასიამოვნო მოსასმენია. წარმოიდგინეთ, შვილი გელაპარაკებათ! მაშ, დრო არ დაკარგოთ და შემდეგ საკითხზე გადავიდეთ.

VI ტაკი

მეცხველების გაუმჯობესება ხმოვანი მეცხველების არაქონე ბავშვებში

ისეც ხდება ხოლმე, რომ ყველაფერს სწორად აკეთებთ, ბავშვი კი მაინც არ ლაპარაკობს.

მეხუთე თავში გიჩვენებ რამდენიმე ტექნიკა, რომელთა საშუალებით ბავშვს ასწავლით მენდირებას რამდენიმე ხმოვანი სიტყვის გამოყენებით.

მოდით, ზემოთ უკვე ნახსენებ ტიმის დავუბრუნდეთ და წარმოვიდგინოთ, რომ ბავშვმა რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა, ის პროგრამაზე მთლიანობაში არ რეაგირებს და ხმოვან მენდირებას არ მიმართავს მაშინაც კი, როდესაც სასურველი საგანი მხედველობის არეშია და ხმოვანი მოდელიც (სამი გამეორებით) ასჯერ მაინც აქვს თქვენგან მოსმენილი.

არიან ბავშვები, რომლებიც, რაც უნდა ეცადოთ, რაც უნდა ძლიერი განმამტკიცებელი შესთავაზოთ, მენდირებას არ მიმართავენ. თუ თქვენი შვილი მათ რიცხვშია, ამას საკმაოდ მალე შეამჩნევთ და სხვა გეგმაზე გადასვლა მოგიწევთ. ისეთი ბავშვისათვის, რომელიც არ სწავლობს, მუდმივი განმტკიცების რეჟიმში ყოფნა არ შეიძლება. განმამტკიცებლის მუშაობის მთავარი პრინციპის მიხედვით, განმტკიცებელი ქცევა ძლიერდება. ამდენად, თუ ტიმის იმისათვის დავაჯილდოვებთ, რომ ის არც ლაპარაკობს და არც რაიმე სახის კომუნიკაციას ამყარებს, საბოლოოდ სწორედ დუმილი განმტკიცდება.

ვიცი, რომ ცოტა არ იყოს, უცნაურად ჟღერს, მაგრამ არსებობს სისტემები, რომლებიც დაეხმარება ბავშვს კომუნიკაციის დამყარებაში, თუნდაც არახმოვანი ფორმით. სწორედ ხმოვანი პროგრამით უნდა დაიწყოთ მუშაობა ბავშვთან, თუ ის არასოდეს ლაპარაკობს ან კიდევ იმ შემთხვევაში, თუ ხმოვანი მენდირების სწავლება უშედეგო აღმოჩნდა.

ადამიანის იძულებით ალაპარაკება შეუძლებელია, ამიტომ სიტყვის წარმოთქმაში მის დახმარებას აზრი არ აქვს. თუ ბავშვს უთხარით: „აბა, თქვი „კატა““ და ის არ გაასუხობთ, ვერაფრით შეძლებთ ხმოვან სიმებში ჰაერი ჩაჰბეროთ და სიტყვის

წარმოთქმა აიძულოთ. თუმცა, შეგიძლიათ იმაში დაეხმაროთ, რომ სიტყვა „კატა“ ჟესტიით განიშნოთ ან კიდეც კატის სურათისკენ გაიშვიროს ხელი. არახმოვანი ბავშვის ალაპარაკების შანსის გასაზრდელად რამდენიმე ეფექტური სტრატეგია არსებობს. მათივე დახმარებით ბავშვი სწავლობს უფრო მკაფიო კომუნიკაციას და, შესაბამისად, ხდება ხმოვანი მეტყველების არსებული უნარის განმტკიცება.

მას შემდეგ, რაც 2003 წელს ქცევის სერტიფიცირებული ანალიტიკოსის სტატუსი მივიღე, არახმოვანი ბავშვების ამეტყველების სტრატეგიები ჩემი მთავარი ინტერესი გახდა. ხშირად ვკლებოდი სამუშაოდ უფროსი ასაკის ისეთ ბავშვებთან, რომლებიც, მშობლებისა და სპეციალისტების თქმით, არ ლაპარაკობდნენ. სულ რამდენიმე წუთში ეს ბავშვები უკვე წარმოთქვამდნენ სიტყვასთან მიახლოებულ ბგერათშეთანხმებებს!

სპეციალისტებს, რომლებიც საკლასო ოთახში ჩვენს მუშაობას უყურებდნენ, მიღწეული პროგრესი აოცებდათ, ალბათ, ჯაღოქრობა თუ ეგონათ. სინამდვილეში კი უბრალოდ იმ პროცედურებს მივყვებოდი, რომლებიც ექსპერტებისგან, დოქტორ მარკ სანდბერგისა და დოქტორ ვინსენტ კარბონისგან მექონდა ნასწავლი; პროცედურებს, რომელთა განხორციელება თქვენც შეგიძლიათ შინიდან გაუსვლელად.

ჩემი პროფესიული ცხოვრების მანძილზე აღნიშნული ტექნიკა ნაცადი მაქვს აუტიზმის სპექტრის სხვადასხვა დონის მოსწავლეებთან; ისეთ მოსწავლეებთანაც კი, ვისაც სხვა სახის დარღვევების, მათ შორის, დაუნის სინდრომის დიაგნოზი ჰქონდათ.

გასაოცარია დოქტორ კარბონის ვიდეო-მაგალითებიც. მეტიც, ეჭვიც კი გაგიჩნდება, სინამდვილეს შეესაბამება თუ არა. ენდეთ! შეიძლება აღმოჩნდეს, რომ თქვენს შვილს ხმით კომუნიკაცია შეუძლია. მე 14 წლის მოსწავლეებთანაც კი მიმუშავია, რომელთაც შეძლეს რეალური, ფუნქციურად გამართული მეტყველების განვითარება და ეს მოხდა ვერბალური ქცევის მიდგომაზე გადასვლიდან სულ რამდენიმე თვეში.

მეტყველების თერაპია სასარგებლო ტექნიკაა, განსაკუთრებით, როდესაც მას ბიჰევიორისტულ პრინციპებზე დაყრდნობით იყენებენ; მაგრამ სრულიად არახმოვან ბავშვებთან მეტყველების სტა-

ნდართული თერაპია ხშირად არ მუშაობს. ეს განსაკუთრებით ჩანს ჯოან გრინსერის, ნენსი კაუფმანისა და თამარა კასპერის მიერ სტანდარტულ ტექნიკაში ქცევის გამოყენებითი ანალიზის ჩართვით მიღებული შედეგების ფონზე.

არსებობს რამდენიმე ტექნიკა, რომლებიც, როგორც კვლევებით დასტურდება, ზრდის ბავშვის ამეტყველების ან მეტყველების გაუმჯობესების შანსებს. ჩემთვის საუკეთესო სტრატეგია ჟესტური ენაა და არახმოვანი ბავშვებისათვის მენდირების სასწავლებლად, პირველ რიგში, მას მივმართავ ხოლმე.

ჟესტური ენა თუ სხვა აუგმენტაციური საკომუნიკაციო სისტემები

აუგმენტაციური საკომუნიკაციო სისტემა არის ნებისმიერი სისტემა, რომელიც აუმჯობესებს ან ხელს უწყობს ენობრივ მეტყველებას. მათ შორის, ქცევის გამოყენებითი ანალიზის პრაქტიკოსები, რომლებიც ვერბალური ქცევის ბ.ფ. სკინერისეულ ანალიზს იცნობენ, ყველაზე ხშირად ჟესტურ ენას გვთავაზობენ.

ვერბალური ქცევის პროგრამის დამწყებ ბავშვებში იშვიათად შეხვდებით ისეთებს, ეფექტურ აუგმენტაციურ პროგრამებში რომ ჰქონდეთ ნამუშევარი. მაშინაც კი, როდესაც ბავშვი გარკვეულწილად ჟესტებს იყენებს, ჩემი დაკვირვებით, კომუნიკაცია უმეტესად მიმდინარეობს დახმარებით, ან ზოგადი ჟესტებით; მაგალითად, „გთხოვ“ და „კიდევ“. როდესაც საქმეში ვერთვები და ვხედავ ბავშვს, რომელიც ვერ ლაპარაკობს ანდა აშკარად არაეფექტური აუგმენტაციური პროგრამით მუშაობს, უნდა ჩავთვალო, რომ მუშაობას ცარიელ დაფასთან ვიწყებ.

არსებობს სამი ტიპის ყველაზე გავრცელებული აუგმენტაციური სისტემა: ჟესტური ენა, ხმოვანი მოწყობილობები და სურათების გაცვლით კომუნიკაციის სისტემა (PECS ანუ სგკ სისტემა).

მე, შესაძლებლობის ფარგლებში, ყოველთვის ჟესტურ ენას ვირჩევ. ის მობილურია, ვერბალური ქცევის მიდგომაში გამოიყენება სიტყვების ყველა ოპერანტზე და, კვლევების თანახმად, ხმოვანი სიტყვების თანხლების პირობებში ეფექტიანი ინსტრუმენტია ვოკალიზაციის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

თუ ბავშვს ჟესტების გამოყენება ძალუძს, ეს იმას ნიშნავს, რომ მასთან მუშაობა შეიძლება, მაგალითად, აუზში ან ბატუტზე – ორივე მათგანი ძლიერი განმამტკიცებელია. ხელის გამოყენებაც ადვილია – ბავშვი ერთობა და ხალისობს, ეს კი მენდირებაზე სა-
მუშაოდ ასეულობით ხელსაყრელ შემთხვევას იძლევა.

ჟესტური ენა აგრეთვე იმიტომაცა ეფექტური, რომ მისი მეშვე-
ობით ბავშვი სვდება სიტყვები ერთმანეთისგან განსხვავებულო-
ბას. სიტყვებში „ბურთი“ და „ორცხობილა“ ბგერები სხვადასხვაა;
ერთმანეთისგან განსხვავდება მათი აღმნიშვნელი ჟესტებიც.
ხმოვანი მეტყველების მსგავსად, თითოეული სიტყვა განსაკუთ-
რებული მოძრაობით აღინიშნება. ამრიგად, როცა ბავშვმა უკვე
იცის, ორცხობილაზე როგორ მიგანიშნოთ, მას საკმაოდ ადვილად
ასწავლით, სიტყვა „ორცხობილა“ როგორ განიშნოთ ორცხობი-
ლას სურათის დანახვისას; ან კიდევ, დროთა განმავლობაში, იმავე
ჟესტით როგორ გიპასუხოთ შეკითხვაზე „აბა, რამე დამისახელე,
რასაც ვჭამთ“. ეს ბავშვს საშუალებას აძლევს, ჟესტური ენა სხვადა-
სხვა ოპერანტზე გამოიყენოს.

რა თქმა უნდა, ჟესტურ ენას რამდენიმე გარკვეული ნაკლიც
აქვს. ერთი მხრივ, მოზრდილმა უნდა ისწავლოს მისი გამოყენება.
თანაც, ეფექტიანობის გასაზრდელად, ბავშვთან მომუშავე ყველა
მოზრდილს უნდა ესმოდეს ქცევის გამოყენებითი ანალოზის პრი-
ნციპები, როგორებიცაა გაწყვილება, განმტკიცება, დახმარება,
ფორმირება და დახმარების შემცირება. მეორე მხრივ, ჟესტური
ენა უნივერსალური არ არის. მაგალითად, მაკდონალდსის თანა-
მშრომლები „ჰამბურგერის“ ჟესტს ვერ გაიგებენ. ბავშვის ასაკის
მატებასთან ერთად ეს პრობლემად იქცევა ხოლმე. მაგრამ თუ ის
ჯერ საბავშვო ბაღში ან დაწყებით კლასებში სწავლობს და მეტყვე-
ლების სერიოზული შეფერხება აქვს, საკმარისი დრო გაქვთ, რომ
ჟესტური ენით ისარგებლოთ, სანამ ის დამოუკიდებლად ცხოვრე-
ბას შეუდგება. რა თქმა უნდა, ბავშვისეული ჟესტური ენის სწავლა
ოჯახის ყველა წევრს მოუწევს. ყველაზე ეფექტურია შინ დამზადე-
ბული ჟესტების ლექსიკონი, სადაც შეიტანთ ბავშვის მარაგში არ-
სებულ თითოეული ჟესტის სურათსა და აღწერილობას. შეიძლება
ასევე პროფესიონალის მიერ ჟესტების დემონსტრაციის ჩაწერა
ვიდეოზე.

ხმოვანი სისტემები

ხმოვანი სისტემა არის ისეთი მოწყობილობა, რომელიც ბავშვის მიერ შერჩეულ დილაგზე ხელის დაჭერით გამოსცემს სამეტყველო ფრაზას. არსებობს მარტივი მოდელები, რომლებზეც ბავშვმა მხოლოდ რამდენიმე საყვარელი საგანი უნდა გაარჩიოს და ძალზე რთული სისტემები, რომელთა მოსახმარად ბავშვს განვითარებული რეცეპციული ენობრივი უნარები უნდა ჰქონდეს და ასევე შეეძლოს წინადადებების ფორმირება.

სისტემასთან სამუშაოდ ბავშვთან მომუშავე მოზრდილმა უნდა იცოდეს სურათების ჩამოტვირთვა და სისტემის განახლება, მოწყობილობის სამუშაოდ გამართვა; მოზრდილი უნდა დაეხმაროს ბავშვს, ტექნიკური პრობლემის წარმოქმნის ან მოწყობილობის გაფუჭების შემთხვევაში. საჭიროა სარეზერვო სისტემის ქონაც, იმ შემთხვევისთვის, თუ სისტემა გაფუჭდა და გასაკეთებლადაა წადებული. ხმოვანი მოწყობილობები დიდ მოვლა-პატრონობას მოითხოვს და ბავშვსაც მათ მოსახმარად საკმაოდ განვითარებული რეცეპციული ენობრივი უნარები ესაჭიროება. გარდა ამისა, მათი ფასი 5,000 აშშ დოლარს აღემატება, რის გამოც აუგმენტაციური სისტემის ეს ვარიანტი საკმაოდ ძვირადღირებულია.

PECS – სურათების გაცვლით კომუნიკაციის სისტემა (პექსი)

პექსი, ანუ სურათების გაცვლითი კომუნიკაციის სისტემა (ინგლისურიდან: Picture Exchange Communication System), არის სისტემატური მიდგომა, რომელიც მოიცავს ბავშვისათვის სურათებით მენდირების სწავლებას. მე მისი გამოყენება შემქმნელებმა, დოქტორმა ენდი ბონდიმ და ლორი ფროსტმა მასწავლეს მას შემდეგ, რაც ჩემი ვაჟი ქგა სკოლის პროგრამაზე შევიყვანეთ. ამ პროგრამაში სგ სისტემას ხშირად იყენებდნენ, ხშირ შემთხვევებში მოსწავლეებთანაც კი.

ხმოვანი მოწყობილობებისა და სგ სისტემების ერთი უპირატესობა ისაა, რომ პირველის მიერ გამოცემული ხმოვანი სიტყვები და მეორის სურათები როგორც მოზრდილებისათვის, აგრეთვე სხვა ბავშვებისთვის ადვილად აღსაქმელია.

თუმცა სგ სისტემა ხმოვან მოწყობილობებზე უფრო ხელმისაწვდომია, მასაც თავისი გარკვეული ხარვეზები აქვს. სისტემის ადრეული ეტაპების გავლის შემდეგ მოზრდილთან საგნის მენდირების

მიზნით ბავშვს საკმაოდ აბსტრაქტულ სურათებთან უწევს შეხება. მაგალითად, სიმინდის ჩიფსის მისაღებად ბავშვმა მისი სურათი საკმაოდ ვრცელ გალერეაში უნდა იპოვოს. შემდგომში სურათი შეირჩევა დიდი წიგნიდან, რომლის თან ტარება მოუხერხებელია, მოხმარებას კი დიდი დრო მიაქვს. მახსოვს, როცა ლუკასი სგკ სისტემას იყენებდა, გაუთავებლად ვჩიოდი ხოლმე: „პიცის ახალი სურათი მინდა“; თერაპევტებისგან კი მესმოდა: „თავსატეხის სურათი დაიკარგა... ერთი, დრო რომ გვექნება, ახალი გავაკეთოთ“.

ყველაფერთან ერთად, სურათებით გაცვლის სისტემის წიგნი ბავშვმა, სადაც უნდა წავიდე, ყოველთვის თან უნდა იქონიოს, და, მაგალითად, აუზში ან ბატუტზე გართობისას კი თითქმის გამოუსადეგარია.

მართალია, მე, პირადად, ქესტურ ენას ვუწევ რეკომენდაციას, უნდა ვთქვა, რომ სგკ ან ხმოვანი მოწყობილობის წარმატებით გამოყენების შემთხვევაში, მათი დაუყოვნებლივ გვერდზე გადადება არ ღირს. შეაფასეთ, რამდენად ეფექტურად მუშაობს ამჟამინდელი სისტემა. დაფიქრდით: შეუძლია ბავშვს სისტემით დამოუკიდებლად სარგებლობა დღის განმავლობაში საჭიროებებისა და სურვილების დაკმაყოფილების მიზნით (არა მხოლოდ წახემსებისას, ან როცა მოწყობილობა ან წიგნი მის ახლომანლოს დევს)? ხომ არ აწყობს ბავშვი ტანტრუმებს, ან ხომ არ ავლენს სხვა არასასურველ ქცევებს იმის გამო, რომ სისტემა ზედმეტად მოუხერხებელია, ადვილად ფუჭდება ან რთულად მოსახმარია? ახერხებს თუ არა ბავშვი სისტემის ყველგან გამოყენებას და რეგულარულად მოიხმარენ თუ არა მას აღმზრდელები შინ და სკოლაში?

თუ აღმოაჩინეთ, რომ სისტემას ბავშვი იყენებს მხოლოდ გარკვეულ პერიოდებში და არ მოიხმარს სხვა პერიოდებში, სცადეთ გარკვეულ აქტივობებზე ქესტური ენის დამატება. მაგალითად, თუ ხმოვან მოწყობილობას ან სგკ სისტემას ხმარობთ წახემსებისას, მაგრამ აუზში თუ ბატუტზე – არა, იქნებ, ამ აქტივობებს ქესტური ენა მიახმაროთ?

რამდენიმე წლის წინ რვა წლის ბავშვთან ვმუშაობდი, რომელიც ზოგჯერ ხმოვან მოწყობილობას იყენებდა. გარდა ამისა, იგი სრულყოფილად ამყარებდა კომუნიკაციას სგკ სისტემით და ეს უკანასკნელი სარეზერვოდ ჰქონდა იმ შემთხვევისათვის, როცა ხმოვანი მოწყობილობა უფუჭდებოდა (რაც, მე რომ მკითხოთ, ძალიან

ხშირად ხდებოდა). შემდეგ ქესტური ენაც ვასწავლეთ. არ არის საჭირო, ბავშვი მხოლოდ ერთი სისტემით ამუშავოთ. მიზანი კომუნიკაციაა და არა სისტემის სწავლა.

როგორ ვასწავლოთ ქესტური ენა

თითქმის ყველა ხმოვანი მეტყველების განვითარების დარღვევის მქონე ბავშვის შემთხვევაში ვურჩევ ხოლმე, რომ ქესტური ენა გამოიყენონ არსებულ აუგმენტაციის სისტემასთან ერთად, ან კიდევ, თუ ჯერ ასეთი სისტემა არ აქვთ, ისწავლონ და ბოლომდე დაეუფლონ ქესტურ ენას.

პირველ რიგში, დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეთ რამდენიმე ქესტის თავად სწავლას. ნუ შეშინდებით! ქესტური ენის კურსზე ჩაწერას არავინ გთხოვთ. უბრალოდ, ისწავლეთ ხუთი-ათი განმამტკიცებლის აღმნიშვნელი ქესტი და კიდევ რამდენიმე ქესტი წინასწარ, დროის მოსაგებად.

მას შემდეგ, რაც ამ ქესტებს ისწავლით, უკვე შეგიძლიათ ბავშვსაც ასწავლოთ. ხოლო როცა ის ხუთიდან ორ მენდს დაეუფლება, შეგიძლიათ ისევ ისწავლოთ და მერე ბავშვსაც ასწავლოთ სხვა ორი-სამი საყვარელი საგნის ქესტი (შემდგომი მენდები). ქესტების სწავლა ძნელი ნამდვილად არაა. ბევრად უფრო რთული ბავშვისათვის მათი გამოსახვის სწავლებაა. ერთადერთი, რაც შემიძლია გირჩიოთ, ბევრი ვარჯიშია – სრულყოფილებას თუ ვერ მიაღწევთ, ქესტებს საგრძნობლად გაუმჯობესებთ მაინც. კაცმა რომ თქვას, არც მგონია, რომ ქესტური ენის რაიმე იდეალი არსებობს. სინამდვილეში ეს ოსტატურად ცეკვას უფრო ჰგავს, რომელიც ქცევის გამოყენებითი ანალიზის საფუძვლებზე დაყრდნობით, ბავშვს საშუალებას აძლევს, სულ უფრო მიუახლოვდეს სწორ ქესტიკულაციას.

ჩემი აზრით, ნებისმიერი უნარის სწავლების დასახვეწად (ეს განსაკუთრებით, ეხება ქესტურ ენას) საუკეთესო გზა ზრდასრულებს შორის როლური თამაშია. ერთერთი მათგანი „ბავშვია“, კიდევ ერთი მოზრდილი პროცესს აკვირდება და მონაწილეებს შენიშვნებით ეხმარება. უნდა განსაზღვროთ და ისწავლოთ, როგორ, როდის, რა ოდენობით და კერძოდ რა დააფიქსიროთ, როგორც სწორი რეაქცია. სამწუხაროდ, სწავლების კონკრეტული ფორმულა არ არ-

სებობს, რადგან, ისევე, როგორც ცეკვისას, ყოველ მოცემულ მომენტში მოძრაობას ცვლით და განსხვავებულ რეაქციას იძლევი.

სრულყოფილი პასუხის მოთხოვნასა და შეცდომის მიღებას შორის ბალანსს მაშინ იპოვით, როდესაც ბავშვთან მუშაობას დაიწყებთ. თუ ბავშვი გაღიზიანდა, ესე იგი, ზედმეტი მოითხოვეთ. თუმცა, თუ ბავშვს არასოდეს დაულაპარაკია და უცბად, ორცხობილისკენ იშვებს ხელს და ამბობს, „ორ“, ეს რეაქცია დაუყოვნებლივ უნდა განამტკიცოთ.

თუ შესტურ ენას იყენებთ, ბავშვთან მომუშავე ყველა ადამიანმა უნდა ისწავლოს, რომ ერთი და იგივე სიტყვები ყოველთვის ერთნაირად აღნიშნოს. ეს რომ უზრუნველყოთ, ხშირად ითათბირეთ; იქნებ, ზოგიერთი სესია ვიდეოზე ჩაწეროთ კიდეც. ასე ბავშვი სხვადასხვა აღმზრდელთან ნაკლებად დაიბნევა.

პირველი ხუთი შესტის სწავლება

უპირველეს ყოვლისა, შეიძინეთ შესტების კარგი ლექსიკონი. მე გუსტასონისა და ზავოლკოვის „ინგლისური შესტები“ (Gustason, Zawolkow, 1993) მომწონს. შესტების სურათები ან/და ილუსტრაციები არის ინტერნეტშიც. მე საიტს www.lifeprint.com გირჩევდით.

ძალიან კარგი რესურსია ლოგოპედების, ნენსი კაუფმანისა და თამარა კასპერის მიერ შემუშავებული „კ&კ შესტურ-ვერბალური ენის კომპლექტი“ (K and K Sign and Say Verbal Language Kit). მასში მოცემულია 150 ყველაზე ფართოდ გავრცელებული განმამტკიცებლის ფერადი სურათები, რომლებიც, როგორც ჩანს, აუტიზმისა და განვითარების სხვაგვარი შეფერხების ბავშვებს ძალიან მოსწონთ. თითოეული ბარათის უკანა მხარეს მოცემულია ილუსტრაცია და შესტის ფორმირების ინსტრუქცია. ასევე მოცემულია ელემენტებად დაშლილი სიტყვა, რაც აღმზრდელს, რომელიც არაა მეტყველების თერაპევტი, ასწავლის, თუ როგორ აიძულოს ბავშვი, გაიმეოროს სიტყვა. ტექნიკა მზარდი სირთულისაა – ძალზე პრიმიტიული დონიდან სიტყვის სრულყოფილ ფორმირებამდე.

ელემენტებით სწავლების მაგალითად ავიღოთ სიტყვა „ღივიდი“ (ის თითქმის ყველა აუტიზმის მქონე ბავშვის საყვარელი განმამტკიცებელია!). როგორც კაუფმანი და კასპერი გვეუბნებიან,

სანამ ბავშვი „დივიდის“ წარმოთქმას შეძლებს, მან ჯერ უნდა თქვას „დი-დი“, შემდეგ „დი-დი-დი“, მერე „დი-ბი-დი“ და, ბოლოს, „დივიდი“. ბარათების ხილვა ანდა ყიდვა შეიძლება საიტზე www.northernspeechservices.com.

ქესტების სწავლების შემდეგ ეტაპზე არჩევთ პირველად სასწავლელ ხუთ მენდს და განმამტკიცებლის აღმნიშვნელ ქესტებს. ზოგიერთი ქესტი, მაგალითად, „ვაშლი“ და „კანფეტი“ ე.წ. „გართმულ“ ქესტებად მოიხსენიება, რადგან ინგლისურ მუნჯურ ენაში ხელის მოძრაობა ამ შემთხვევებში მსგავსია. როგორც თქვენთვის, ასევე ბავშვისათვის ქესტის ფორმირების გასაადვილებლად დაიწყეთ ერთმანეთისგან განსხვავებული ხუთი ქესტი. თუ „ვაშლიც“ და „კანფეტიც“ ბავშვის განმამტკიცებელთა შორისაა, ეცადეთ, ერთ მათგანს უფრო კონკრეტული ქესტი უპოვოთ, მაგალითად, აიღოთ არა „კანფეტი“, არამედ „მამალო“ ან „საწუწნი კანფეტი“.

გარდა ამისა, ყურადღება მიაქციეთ, რომ შეარჩიოთ დასახმარებლად ადვილი ქესტები, ისეთები, ბავშვმა დროთა განმავლობაში მათი ფორმირება დახმარების გარეშე რომ შეძლოს. ზოგიერთი ქესტი ძალზე რთულ ნატიფ მოტორულ უნარებს მოიცავს, რაც ტიპური ბავშვებისა და მოზრდილებისთვისაც კი ძნელად შესასრულებელია. ასეთი ქესტები გაამარტივეთ. მაგალითად, „ფილმის“ ქესტი საკმაოდ რთულია, მაგრამ მისი გამარტივება შესაძლებელია: ბავშვს უბრალოდ ხელები ერთმანეთს გაახსუნებინეთ, თითქოს პლასტილინს ზელდეს. უბრალოდ, დარწმუნდით, რომ ბავშვთან მომუშავე ყველა ადამიანი ერთსა და იმავე, გამარტივებულ ქესტებს იყენებს.

ახლა უკვე მზად ხართ, რომ სწავლება დაიწყოთ. პირველი ნაბიჯია ქესტთან და საგანთან ხმიერი სიტყვის გაწყვილება. ბავშვს ჩიფსს ახლოს რომ მიუტანთ, ხელში მიცემამდე და მიცემისას სამჯერ წარმოთქვით და ქესტით ანიშნეთ: „ჩიფსი“. ამ ეტაპზე ბავშვს ხელის ამოძრავება, რაიმეს თქმა ან ქესტით მინიშნება არ მოეთხოვება; მხოლოდ ერთი მხრივ, სიტყვასა და, მეორე მხრივ, ქესტსა და საგანს შორის ასოციაციას ამყარებთ, ისევე, როგორც ხმოვანი მენდირებისას. ერთბაშად ხუთივე სიტყვაზე იმუშავეთ და არა სათითაოდ. ასოციაციური კავშირის დამყარებას შეიძლება რამდენიმე წუთი დასჭირდეს, შეიძლება – კვირები. ეს ბავშვის მიერ დასწავლის სისწრაფეზეა დამოკიდებული. შეგახსენებთ, ბავშვმა

არ უნდა იცოდეს, რომ მუშაობს; სანამ დამოუკიდებლად მინიშნებას არ ისწავლის, მოტივაცია მათალი უნდა იყოს, მოთხოვნები კი – მარტივი. ამდენად, არ აჩქარდეთ და მოთხოვნები გზადაგზა ნელ-ნელა შეაპარეთ.

ამის შემდეგ ბავშვს ჟესტს ფიზიკურად აკეთებინებთ (ეხმარებით). თუ განმამტკიცებელი ორცხობილაა და ბავშვმა მისი მოწვდენა მოინდომა, დედა მას ორცხობილის ჟესტს უჩვენებს და თან ამბობს: „ორცხობილა“. შემდეგ ნაზად იღებს ბავშვის ხელებს, აკეთებინებს ორცხობილის ჟესტს და ხმით იმეორებს: „ორცხობილა“ (დახმარება). ამის შემდეგ ორცხობილას ბავშვს გადასცემს და ბოლოჯერ ამბობს: „ორცხობილა“. პროცესი იგივეა ყველა მენდის შემთხვევაში.

ამ პროცესში რამდენიმე პოზიტიურ სიგნალს უნდა მიაქციოთ ყურადღება. ბევრი ბავშვი მინახავს, სასურველი საგნის დანახვისას ჟესტების დამოუკიდებლად გამოყენებას ძალზე სწრაფად რომ იწყებს. ბევრიც, განმამტკიცებლის სწრაფად მისაღებად, მოზრდილის ჟესტის მოდელირებას იწყებს და მას ფიზიკური დახმარების გარეშე იმეორებს. არიან ისეთი ბავშვებიც, რომლებიც ამ ადრეულ ეტაპზეც კი ჟესტთან ერთად სიტყვის წარმოთქმას შეეცდებიან.

თუ ბავშვი იმიტირებას არ ცდილობს ან სწორ ჟესტების ფორმირებაში დახმარებას ელოდება – ამას მიხვდებით ბავშვის გამომწვევრილი მკლავებითა და ე.წ. „ზომების ხელებით“ (ამ ჟესტს ასე უწოდა პენსილვანიის ვერბალური ქცევის პროექტის უფროსმა ანალიტიკოსმა მაიკლ მიკლოსმა) – ზომების მიღების დროა. უბიძგეთ მას მეტი დამოუკიდებლობისაკენ – შეამცირეთ დახმარებების რაოდენობა და სწორ პასუხად ჩაუთვალეთ ჟესტთან მიახლოებული მცდელობები.

მახსენდება რამდენიმე წლის წინანდელი ერთი რთული შემთხვევა, რომელშიც მაიკ მიკლოსი მეხმარებოდა. მოსწავლე მცირეწლოვანი გოგონა იყო და ჟესტური ენის დამოუკიდებლად გამოყენებაზე ვერ გადადიოდა. გოგონა ჟესტით ბატიბუტს ითხოვდა – ამ დროს ორივე საჩვენებელი თითი ჭერისკენაა აშვერილი და ორივე მკლავი ზემოთ-ქვემოთ მოძრაობს. მაიკმა აღნიშნა, რომ ბავშვს მოსწონდა, როცა მე თითებზე ვექაჩებოდი და მკლავს ასე ვამოძრავებინებდი. გოგონას „ბატიბუტის“ ჟესტიკულირება არ სურდა, რადგან გამოვიდა, რომ განმტკიცება ხდებოდა არა მხოლოდ ბატიბუტით, არამედ ჩემი დახმარებითაც. მაიკმა მირჩია, რომ სწორ მე-

ნდად ჩამეთვალა მხოლოდ მკლავების ზემოთ-ქვემოთ მოძრაობა და ამის მცირედ გამოვლინებაზეც კი ბავშვისთვის ბატიბუტი გადამეცა. სულ რამდენიმე დღეში შევძელით ისეთი ჟესტის ფორმირება, რომელიც „ბატიბუტისას“ მართლაც ჰგავდა. მეტიც, ბავშვმა შეამცირა დახმარებაზე დამოკიდებულება და რამდენიმე თვის შემდეგ ლაპარაკიც დაიწყო.

„ზომბის ხელების“ საპირისპირო პრობლემა დგება, როდესაც ბავშვი სწრაფად მიაყრის ან „ჩამოთვლის“ ყველა ჟესტს, სწორედ ისე, ბეისბოლის მწვრთნელები რომ სწრაფად ანიშნებენ ხოლმე ბეტერს ერთბაშად რამდენიმე სიგნალით. „ზომბის ხელების“ მოძრაობა ჭარბი დახმარების შედეგად ჩნდება, ჟესტების „ჩამოთვლა“ (ეს უკანასკნელი უფრო ხშირია) კი – დახმარების მეტისმეტად სწრაფად შემცირებითა და ნაკლებად ზუსტი პასუხების განმტკიცებით.

არასოდეს განამტკიცოთ ჟესტების „მიყრის“ მცდელობა. თუ ნახეთ, რომ ბავშვმა რამდენიმე ჟესტი „მოგაყარათ“, მაშინაც კი, თუ ამ ჯგუფში სამიზნე ჟესტი ფიგურირებს, ხელები ორიოდ წამით ნეიტრალურ პოზიციაში დაუფიქსირეთ, რომ მცდარი ჟესტი სწორისგან განაცალკევოთ. მერე უჩვენეთ მას სამიზნე ჟესტი და ხელით უბიძგეთ სწორი ფორმის გაკეთებისკენ. ამის შემდეგ უკვე შეგიძლიათ ჟესტი განამტკიცოთ.

მას შემდეგ, რაც ბავშვი რამდენიმე ძლიერი მენდის დამოუკიდებლად შესრულებას შეძლებს, შეგიძლიათ განმტკიცება რამდენიმე წამით შეაყოვნოთ და დაელოდოთ, ხომ არ შეეცდება ბავშვი სიტყვის წარმოთქმას. თუმცა, რამდენიმე წამზე დიდხანს ნუ შეჩერდებით, რადგან ბავშვის მხრიდან ლაპარაკის სურვილს თქვენ ვერ აკონტროლებთ.

ბავშვის ალაპარაკების სხვა მეთოდები

ჩემი გამოცდილებით, მენდის კონტექსტში ჟესტური ენის სწავლება მინიმალურად ხმოვანი ბავშვის დახმარების საუკეთესო გზაა. თუმცა, ლაპარაკის ხელშესაწყობად რამდენიმე სხვა მიდგომაც არსებობს.

პირველ რიგში, შეეცადეთ ბავშვის გარემო რაც შეიძლება მეტად გაამდიდროთ – მაქსიმალურად მიაყარეთ მას ცალკეული სიტყვები.

როდესაც საოჯახო ან სასკოლო პროგრამას ვიწყებ, ვხედავ, რომ ბავშვის გარშემო ბევრს მეტყველებენ, მაგრამ ენობრივი მასალის უდიდესი ნაწილი არახმოვანი ბავშვებისთვის მეტისმეტად რთულია. მოზრდილი სწრაფად ლაპარაკობს და ამას ბავშვი ხშირად მწყობრად ვერ აღიქვამს და იბნევა. წარმოიდგინეთ, რომ უცხო ქვეყანაში ხართ და ვიღაცა სწრაფად, გრძელი წინადადებებით გელაპარაკებათ. თქვენ ენა არ იცით, შესაბამისად, საუბრიდან აზრიც ვერ გამოგაქვთ.

ამიტომ, როცა, ვთქვით, ბავშვთან ერთად კიბეზე აღინართ, ასე კი ნუ იტყვით: „ჯონი მაღლა აღის“. ხმამაღლა და ხალისით უთხარით: „მაღლა, მაღლა, მაღლა“. იმის ნაცვლად, რომ უთხრათ: „ახლა ჯონის მუცელზე მოვუღიტინებ“, უთხარით: „ღიტ, ღიტ, ღიტ“. რამდენადაც ეს შესაძლებელია, იხმარეთ ერთმარცვლიანი და მარტივი სიტყვები, რაც განმამტკიცებლადაც გამოგადგებათ. ყველა სიტყვის შესტის სწავლა არ მოგეთხოვებათ. უბრალოდ, გააწყვილეთ ისინი სამჯერ გარემოში მიმდინარე მოქმედებასთან. ასევე, მნიშვნელოვანია, სიტყვა ასოცირდებოდეს ხმის ხალისიან ტონთან, რაც, თავის მხრივ, მომავალში ასევე განმამტკიცებელი გახდება.

მეტყველების განმტკიცების კიდევ ერთი გზაა ბავშვის ტიტინის, ნებისმიერი ბგერის თუ სიტყვის დამახინჯებით წარმოთქმის ყველა შემთხვევაზე განმამტკიცებლების გადაცემა. გაარკვიეთ, როგორ ხმებს გამოსცემს ბავშვი და რა სიხშირით. ამისათვის განსაზღვრეთ დროის კონკრეტული პერიოდი (15 წუთი საკმარისი ვადაა), აიღეთ ქალაქის ფურცელი და რასაც გაიგონებთ, ჩაიწერეთ. სესიის რამდენჯერმე გამეორება საბაზისო სურათს მოგცემთ. თუ 15 წუთიან პერიოდში გაიგონეთ „მე დე დე“, შემდეგ „ოი“ და ამის მერე „მა მა“, დაინახავთ, რომ თუმცა ბავშვი ხშირად თავისთვის არ ტიტინებს, თურმე, თანხმოვნებისა და ხმოვნების ერთად წარმოთქმა არ უჭირს. გარდა ამისა, გამოცემული ხმები შეიძლება სიტყვად ვაქციოთ. „მე“ შეიძლება იქცეს ცხვრის კიკინად, „დე“ – დედად, „მა მა“ გადაიქცეს „მამად“, „მუ“ – ძროხის ბლავილად. ამის გამო იქნებ ისეთი განმამტკიცებლები შეარჩიოთ, ამავე ხმებს რომ გამოსცემს. შედეგად, უკვე შეძლებთ ამ ბგერების გამოცემა შეგნებულად წაახალისოთ: „მე-მა-მე, რაიან,

აი, როგორ კარგად ლაპარაკობ! მე-მა-მე-ო, ხომ? აი, ჩიფსი აიღე, შენ ხომ მე-მა-მე თქვი“.

მენდირების სესიამდე, მის განმავლობაში და შემდგომ შეიძლება აქტიურად მოძრაობის წახალისება. ზოგიერთი ბავშვის შემთხვევაში, ენერგიული თამაშები და სენსორული აქტივობები მეტყველების სიხშირეს ზრდის ხოლმე. აი, კიდეც ერთი მანსი, რომ აღრიცხვით, რას აკეთებდა ბავშვი, ტიტინი რომ დაიწყო და ნახვით, მსხვილი მოტორული აქტივობებისას მეტს ხომ არ ტიტინებს.

ფიზიკურ დონეზე აგრეთვე შესაძლებელია ბავშვის პირის კუნთებზე მუშაობა. მინახავს მშობლები, რომლებიც იფიცებოდნენ, ბავშვმა ლაპარაკი ხუთი წლის ასაკში, მხოლოდ Talk Tools-ის მიერ შემუშავებული საპნის ბუშტების, საყვირისა და საწრუპის პროგრამის (www.talktools.net) წყალობით დაიწყო. მართალია, პროგრამის ეფექტურობა კონტროლიანი კვლევით ჯერ არ დადასტურებულია, მაგრამ იმაში გარკვეული ლოგიკა უნდა იყოს, რომ პირის კუნთების გამაგრება ბავშვს მეტყველებაში ისევე დაეხმარება, როგორც მკლავის კუნთებისა – მსხვილი მოტორული უნარების განვითარებაში. ეს ინსტრუმენტი, ბავშვის თვალში, პირით ჰაერის შეგნებულად გამოშვებას და ლაპარაკს ერთმანეთთან აკავშირებს. სარა როზენფელდ-ჯონსონი (მეცნიერებათა დოქტორი, მეტყველება-ენობრივი პათოლოგიების სერტიფიცირებული სპეციალისტი), რომელმაც ეს ორალური მოტორული ინსტრუმენტები და თერაპია შექმნა, ამტკიცებს, რომ ბავშვზე მორგებულ რეჟიმში თანდათან უფრო და უფრო წვრილი საწრუპებისა და უფრო რთული საყვირების გამოყენება მეტყველების მოცულობის გაზრდასა და უკეთეს არტიკულაციას იწვევს.

როდესაც ლუკასი ოთხი წლის იყო, მას ცოტა ხნით აკვირდებოდა საქვეყნოდ ცნობილი ლოგოპედი, ჯოან გრინსერი და მან მითხრა, ყველა საბავშვო საწოვარიანი ჭიქა გადამეყარა. დაუნახავს, ლუკასი თერაპიის ოთახში საწოვარიანი ჭიქით როგორ დარბოდა და მითხრა, ასეთი ჭიქები არტიკულაციას აფერხებსო. გამაფრთხილა, არც საწოვარიანი ჭიქა მისცე და არც ბოთლიო და მიჩრია, ბავშვისთვის მიმეცა საწრუპი, წყლის ბოთლი ან ჩვეულებრივი ჭიქა. ჯოანის თქმით, ეს კუნთს ამაგრებს და ბავშვი პირს უკეთ აკონტროლებს.

როგორ გავუმჯობესოთ არტიკულაცია

თუ ბავშვი წარმოთქვამს გარკვეულ ბგერათშეთანხმებებს, დამახინჯებულ სიტყვებს და ზოგიერთ სიტყვას სრულყოფილად ამბობს კიდეც, დროა, სიტყვების მკაფიო გამოთქმაზე დავიწყოთ მუშაობა, რათა მისი გაგება სხვებმაც შეძლონ.

ლუკასთან რომ ვმუშაობდი, იყო შემთხვევები, როდესაც არტიკულაცია უუარესდებოდა. მახსოვს, როგორ აღნიშნა დოქტორმა გერენსერმა, თუ როგორ წარმოთქვამდა ლუკასი სიტყვას „water“. ეს ის დრო იყო, როდესაც ბავშვი სიტყვის „water“ (წყალი) ნაცვლად ამბობდა „wah-yer“. დაახლოებით ისე, ბავშვმა რომ სიტყვის „წყალი“ ნაცვლად თქვას „წაი“. თუ ვაიძულებდით, ამ სიტყვას სწორად კი არტიკულირებდა, მაგრამ როგორც კი იტყოდა: „wah-yer“, ყველა გარშემომყოფი წყალს მისცემდა ხოლმე. თუ ბავშვს სიტყვის მკაფიოდ თქმა შეუძლია, მოზრდილებმა სწორ პასუხად მხოლოდ ზუსტი ვოკალიზაცია უნდა მიიღონ და მხოლოდ ასეთი განამტკიცონ. თამასა ყოველთვის მაღალ დონეზე შეინარჩუნეთ და ნელ-ნელა კიდეც უფრო ზემოთ ასწიეთ. ასე, ბავშვი დროთა განმავლობაში უფრო მკაფიოდ დაიწყებს მეტყველებას და არა – პირიქით.

ლუკასს არტიკულაციის პრობლემები ზრდასთან ერთადაც გაუჩნდა. მაგალითად, სიტყვის „mommy“ ნაცვლად ამბობდა: „mah-ye“ (დაახლოებით „დედას“ ჩანაცვლება „დე-ა-თი“) არტიკულაციის ეს მოულოდნელი გაუარესება მის ქცევის გამოყენებითი ანალიზის თერაპევტთან განვიხილე, მან კი მითხრა, ეს ჩემი სფერო არ არის და ამაზე სკოლის ლოგოპედი იმუშავებსო. ისევ გამოჩნდა, რომ მოზრდილები არასწორ პასუხებზე არ რეაგირებდნენ. ყველაფერთან ერთად, პრობლემის გადასაჭრელად გადაწყვიტე, სიტყვები ხაზგასმით წარმომეთქვა და, რადგან ლუკასს იმიტირება კარგად შეუძლია, თითოეულ გაგონილ სიტყვას ბავშვი ზუსტად იმიორებდა. ვიტყოდ: „mommm“, მას კი ესმოდა „mama“ (დედა), რადგან ბოლო თანხმოვანს მეტისმეტად ვაძლიერებდი და თითქმის ყველა სიტყვის ბოლოში „ა“ ბგერა ისმოდა. ლუკასმაც წარმოთქმულ სიტყვებზე „ა“-ს დამატება დაიწყო და ამბობდა: „cup-a“ (ჭიქა), „spoon-a“ (კოჭი) და ა.შ. თითქოს იტალიელი იყო! დოქტორმა გერენსერმა მიჩნია, სიტყვების ბოლო თანხმოვანი განგებ სუსტად წარმომეთქვა და პრობლემაც მალევე მოგვარდა.

ლუკასთან შედარებით ნაკლებ ხმოვანი ბავშვების შემთხვევაში, აუცილებელია, იქონიოთ თითოეული სიტყვის წარმოთქმული ფორმის მიმდინარე სია, რომლის საშუალებით ბავშვს სიტყვის სწორად ფორმირებაში დაეხმარებით. მე, ჩვეულებრივ, ბარათებს გადავხედავ ხოლმე და ერთ და ორ მარცვლიან, ადვილად წარმოსათქმელ სიტყვებს ვარჩევ, როგორცაა „კატა“ (cat), „დალი“ (dog), „ტკაც“ (pop), „ლეკვი“ (puppy), „დედა“ (mommy), „ვამლი“ (apple), და ა.შ. თუ ბავშვმა რამდენიმე სიტყვა ასე თუ ისე მკაფიოდ თქვა, მაშინ მთელი დღე ამ სიტყვებით ვმუშაობთ.

სიტყვები სამ ჯგუფად დაყავით: მკაფიოდ არტიკულირებული სიტყვები, ცოტა არ იყოს დამახინჯებული, მაგრამ გარკვეული პოტენციალის მქონე სიტყვები და ძალიან რთული სიტყვები. იწყებთ პირველი ჯგუფით და ბავშვს ამ სიტყვებით დღეში რამდენჯერმე ავარჯიშებთ ძლიერი განმტკიცების თანხლებით. ამის შემდეგ შეგიძლიათ საქმეში ლოგოპედიც ჩართოთ და ბავშვს მეორე ჯგუფის სიტყვები მისი დახმარებით წარმოათქმევინოთ. ჯერჯერობით მესამე ჯგუფს თავი დაანებეთ – ბავშვმა ყოველთვის მკაფიო სიტყვებზე უნდა ივარჯიშოს. თუ მან ძალიან რთულ სიტყვებზე ივარჯიშა ტაქტირების (ნიშანდების) სახით, გამოდის, რომ ის შეცდომებს იმეორებს; ეს კი კარგი სულაც არაა.

ბავშვის ალაპარაკება და სწორი არტიკულაცია გუნდური მუშაობით მიიღწევა. ეს ყველას საქმეა. ზემოთ აღწერილი მიდგომების თანმიმდევრულად გამოყენებით თითქმის ყველა ბავშვს ეზრდება შანსი, რომ ალარაპაკდეს და ხალხმა მისი გაგება შეძლოს. მნიშვნელობა არ აქვს, რამდენი წლისაა ბავშვი თუ მოზრდილი – ნუ დაკარგავთ იმედს, რომ ერთ დღეს ის ლაპარაკს შეძლებს. ამასობაში კი ენობრივი უნარის გაძლიერებაში შეგიძლიათ ჟესტური ენის გამოყენებით დაეხმაროთ.

VII ტავი

უხეცდომო სწავლება და ტრანსფერის პროცედურები

ახლა თქვენ უკვე იცით, როგორ დაეხმაროთ შვილს კომუნიკაციაში და, იმედია, თვალნათლივ ხედავთ, თუ რა წარმატება მოაქვს განმამტკიცებლების გამოყენებასა და მენდირების სწავლებას. ახლა კი დროა, შევამოწმოთ პროგრამაში მიღწეული პროგრესი და ვნახოთ, რამდენად ეფექტურად მუშაობთ ბავშვთან.

წინამდებარე თავში უფრო დეტალურად განვიხილავთ დახმარების, დახმარების შემცირების, ოპერანტიდან ოპერანტზე უნარების ტრანსფერისა და შეცდომების გასწორების მიდგომებს. ვერბალური ქცევის პროგრამის წარმატება დიდწილად ამ ცნებების მკაფიო გაგებასა და შესრულებაზეა დამოკიდებული.

დახმარება

დახმარება არის იმგვარი პატარა ბიძგი თუ მინიშნება, რომელიც ზრდის ბავშვისგან სწორი რეაქციის მიღების ალბათობას. სხვაობა ქცევის გამოყენებითი ანალიზის/ვერბალური ქცევის კარგ და ცუდ პროგრამას შორის ხშირად დახმარების სწორი პროცედურების დეტალებში მდგომარეობს.

დახმარებას ზემოთ რამდენჯერმე უკვე შევხე და, ამდენად, ამ ცნებას, ალბათ, უკვე იცნობთ. მაგრამ არსებობს დახმარების, დახმარების შემცირებისა და შესწორების პროცედურების სხვადასხვაგვარი ტიპები და ეს დამატებით განმარტებას მოითხოვს.

აუტიზმის თუ განვითარების სხვა შეფერხების მქონე ბავშვის სწავლებისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქცევის გამოყენებითი ანალიზის, როგორც მეცნიერებისა და ვერბალური ქცევის კონცეპტუალური საფუძვლის ცოდნა, არამედ ზუსტი და სათანადო თერაპიის ჩატარების უნარიც.

როდესაც ლუკასი სამი წლის იყო, ქცევის გამოყენებითი ანალიზის/ლოკაასის პირველი პროგრამის განხორციელება დავიწყეთ.

ქვევითმა კონსულტანტმა ჩვენთან ერთად ორი დღე გაატარა და შემდეგ თვეში ერთხელ მოდიოდა. კონსულტანტს ტრენინგი დოქტორ ლოვაასის ხელმძღვანელობით მომუშავე პროფესიონალებთან ჰქონდა გავლილი და მან დიდი ინფორმაცია მოგვაწოდა დახმარებისა და მისი შემცირების პრინციპების თაობაზე. მე და ლუკასის ყველა თერაპევტი ბავშვთან მისი და მისი გუნდის წევრების დაკვირვების ქვეშ ვმუშაობდით. ის გვაკრიტიკებდა, როცა ლუკასს მეტისმეტად სწრაფად ან ბევრს ვეხმარებოდით და მაშინაც, როცა განმტკიცებას ვაგვიანებდით. მირჩია, იმისათვის, რათა მევარჯიშა და ქვევითი ტექნიკოსის უნარჩვევებს დავუფლებოდი, ლუკასის თერაპევტის როლი კვირაში სამი საათით მაინც შემესრულებინა (ეს იქამდე იყო, სანამ ქვევის ანალიტიკოსის სერტიფიკატის მოსაპოვებლად სწავლას შევუდგებოდი). ამ სფეროში წარმატების მიღწევაში კონსულტანტის შენიშვნები ძალზე დაემხმარა.

დახმარების იერარქია

არსებობს დახმარების რამდენიმე სახეობა და, აგრეთვე, დახმარებათა იერარქია დონეების მიხედვით. მუშაობა უნდა წარიმართოს დახმარების იმ ყველაზე დაბალი დონით, რომელსაც ძალუძს ბავშვს დავალება სწორად შეასრულებინოს.

ფიზიკური პასუხის შემთხვევაში, დახმარების ყველაზე დაბალი დონეა სრულად ფიზიკური კარნახი. ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვს ხელს ჰკიდებთ ხელზე ან სხეულზე და მას გადაადგილებთ, რის შედეგადაც ბავშვი სწორად რეაგირებებს მიცემულ მიმართულებაზე. მაგალითად, თუ ბავშვს სთხოვთ, რომ ცხვირს შეეხოს, მაგრამ ჩანს, რომ ის ვერ ხვდება, რას ეუბნებით და არც იმიტირება შეუძლია, კონსულტანტი იღებს ბავშვის ხელს და ცხვირზე თითს შეახებინებს. აი, ეს არის სრულად ფიზიკური დახმარება.

ნაწილობრივ ფიზიკური დახმარება მსგავსი პროცესია, მაგრამ კონსულტანტის კარნახი შემოიფარგლება იმით, რომ ის ეხება ბავშვის იდაყვს ან ამოძრავებინებს ხელებს სახისკენ, ხოლო ბავშვი ასრულებს თხოვნას და თვითონ ეხება ცხვირს.

ქესტური დახმარება იგივეა, რაც საგნისკენ თითის გამჟვრა. ასეთი დახმარება ნაკლებ ინტენსიურია, რადგან არ გულისხმობს ბავშვის შეხებას. ქესტური დახმარება გამოიყენება როგორც ინტენსიურ საწვრთნელ სესიებში, ასევე ჩვეულებრივი ყოველდღიური აქტივობებისას, მაგალითად, მაშინ, როდესაც ქეითი არ ასრულებს პალტოს ჩაცმის მითითებას. თუ ქეითიმ ინსტრუქცია არ შეასრულა, ჩვენ მას დავეხმარებით – გავიმეორებთ თხოვნას და თითს გავიშვართ პალტოსკენ. თუ ქეითის მოსმენის სუსტი უნარი აქვს და პალტოს ჩაცმასაც ახლა სწავლობს, ალბათ, ფიზიკური დახმარებით დაიწყებთ და რაც შეიძლება მალე დაიყვანთ დახმარებას ნაკლებ ინტენსიურ, ქესტურ დონეზე.

მოდელი, ანუ იმიტაციური დახმარება კიდევ უფრო ნაკლებ ინტენსიურია. თუ მასწავლებელი ბავშვს სთხოვს, ცხვირს შეეხოს, ის შეიძლება ჯერ თვითონ შეეხოს ცხვირს, რომ ბავშვს წარმოადგენა შეუქმნას, თუ რას ითხოვს მისგან. თუ ბავშვმა მოძრაობა გაიმეორა, მაშინ დახმარების ეს სახეობა უნდა შენარჩუნდეს. კიდევ უფრო დაბალი დონეა ნაწილობრივ იმიტაციური კარნახი. ამ დროს მასწავლებელი უბრალოდ იწყებს თითის ცხვირისკენ მიტანას, ბავშვი კი აზრს უხვდება და ემორჩილება.

ვერბალური ქცევის პროგრამებში ასევე გამოიყენება დახმარების ვიზუალური და ტექსტობრივი სახეობები. ტექნიკურ ლიტერატურაში ისინი მოდელირებაზე ანუ იმიტაციურ კარნახზე ნაკლებ ინტენსიურად მიიჩნევა, თუმცა, არის უნარების მთელი რიგი, როგორებიცაა, მაგალითად, რეცეპციული და შეხამების უნარები, სადაც დახმარების ყველაზე დაბალი დონე არის იმიტაცია. ვიზუალური და ტექსტობრივი კარნახის მთავარი უპირატესობა იმაშია, რომ დახმარება ადგილზე თქვენს მუდმივად ყოფნას არ საჭიროებს. მაგალითად, ბავშვს შეგვიძლია ვასწავლოთ, როგორ გამოიყენოს ვიზუალური განრიგი. ამგვარი განრიგის გამოყენება ხშირად აძლიერებს ბავშვის დამოუკიდებელ უნარებს, რაც მას თავისუფალ დროს და თავის მოვლისას წაადგება.

ვიზუალური დახმარება გამოდგება ბავშვთან ერთად მოზრდილის ყოფნის დროსაც. თუ ბავშვი კომუნიაციისათვის ქესტურ ენას იყენებს, მასწავლებელმა ინსტრუქციის მიცემისას სიტყვები ჯერ ქესტებით უნდა უკარნახოს. ეს ვიზუალური დახმარება იქნება. თუ გვინდა, ქესტურ ენაზე მოსაუბრე ბავშვს ვუ-

თხრათ: „ბურთი მოიტანე“, ინსტრუქციის მიცემისას ჟესტით უნდა ვანიშნოთ „ბურთი“.

ტექსტობრივი დახმარება გამოსადეგია წინწასული და ტიპური მოსწავლეების შემთხვევაშიც. ამ დროს, მაგალითად, ბავშვს, ბურთის მოტანის მითითების მიცემისას, ვუჩვენებთ სიტყვას „ბურთი“.

დახმარების ყველაზე ნაკლებ ინტენსიური სახეობაა სიტყვიერი მინიშნება. მას აღმზრდელი მთელი დღის განმავლობაში იყენებს – ჩემი აზრით, ზოგჯერ ზედმეტადაც კი. მეტყველების მწვავე შეფერხებისას ამგვარი დახმარება ხშირად არაეფექტურია. სიტყვიერი დახმარების ერთერთი ფორმაა ინსტრუქციის გამოკრება და შემდგომ შეხსენება, რაც ხშირად ჩიჩინში გადადის ხოლმე. თუ მოსწავლეს არ აქვს იმის ენობრივი თუ შემეცნებითი უნარი, რომ სიტყვიერი ინსტრუქცია გაიგოს, აღმზრდელი რაც არ უნდა ბევრს ეჩიჩინოს, დადებით შედეგს მაინც ვერ მიიღებს. სამწუხაროდ, ზოგი მასწავლებელი დარწმუნებულია, რომ ხმამაღლა ლაპარაკი და თხოვნის ვრცლად აღწერა მოსწავლეს ინსტრუქციას უკეთ გააგებინებს. მაგალითად, ჯიმის უბნებით: „წადი და ფეხსაცმელები მოიტანე“. ჯიმი არ გემორჩილებათ და არასწორი ვერბალური დახმარება იქცევა ფრაზად: „ჯიმი, ხომ გითხარი, წადი და ფეხსაცმელები ამოიტანე-თქო. წასასვლელები ვართ!“ როგორც ახლა უკვე იცით, ნაკლები ჩარევა სინამდვილეში მეტ შედეგს იძლევა და რაც უფრო ცოტა სიტყვას ვინმართ, ბავშვი თხოვნას უფრო ადვილად გაიგებს.

მოზრდილები სიტყვიერ დახმარებას ასევე მიმართავენ წინადადებაში ერთი კონკრეტული სიტყვის ხაზგასმის გზითაც, მაგალითად, „აბა, მაჩვენე ცხვირი“. ბავშვი, რომელსაც ინსტრუქცია „მაჩვენე ცხვირი“ საერთოდ არ ესმის, სიტყვის „ცხვირი“ ხმამაღლა თქმით მას მაინც ვერ გაიგებს. ამ უნარის ასათვისებლად ასეთ ბავშვს მეტი ინტენსივობის დახმარება ესაჭიროება (ვიზუალური ან ფიზიკური). გახსოვდეთ, შეარჩიეთ დახმარების ისეთი სახეობა, რომელიც პირველივე ჯერზე ეფექტური გამოდგება. სხვაგვარად, გადახვალთ ყვირილზე, პასუხად კი მიიღებთ არასწორ რეაქციებს და, საბოლოოდ, ფიზიკური ან იმიტაციური დახმარების ჩართვა მოგიწევთ. ამას ბევრად სჯობს, უფრო ინტენსიური დახმარებით დაიწყოთ და შემდეგ დახმარების მოცულობა სწრაფად შეამციროთ.

მე, პირადად, მალევე ვისწავლე, რომ მოთხოვნა მარტივი და მკაფიო უნდა იყოს, თანაც, მხოლოდ ერთი წინაპირობით. თუ ბავშვს მივცემთ მითითებას: „შეეხე ცხვირს/მაჩვიე ცხვირი“, წინაპირობაც ეს იქნება, შემდეგ ველოდებით ქცევას და ამის მერე ვიძლევი შედეგს. ბავშვის მორჩილების მისაღწევად წინაპირობის მდგომარეობაში ყველაზე ნაკლებ ინტენსიური დახმარება უნდა გამოვიყენოთ და თხოვნას დამატებითი დავალებები თუ სიტყვები არ უნდა დავუმატოთ. ხშირად მინახავს მოზრდილები, რომლებიც მოთხოვნას გაუთავებლად იმეორებენ, დახმარებას კი არ მიმართავენ.

ლუკასს ქცევის გამოყენებითი ანალიზის თერაპია ახალი დაწყებული ჰქონდა, როცა ჩემმა მეუღლემ სთხოვა, დისტანციური პულტი მომიტანეო. პულტი რა იყო, ბავშვს მაშინ წარმოდგენაც არ ჰქონდა და ვერც დავალებას ასრულებდა და ვერც თითით მინიშნების არსს ხვდებოდა. ჩემი მეუღლე სიტყვით აგრძელებდა თხოვნას და ნაწილობრივ ეხსტურ დახმარებას.

დავალებაში მეტისმეტად ბევრი წინაპირობა იყო, დახმარება კი – არასაკმარისი. ამდენად, ლუკასმა დავალება ვერ შეასრულა, თავი მიანება და უფრო სასიამოვნო რაღაცის კეთებაზე გადაერთო. სამწუხაროდ, რადგან დავალება შეუსრულებელი დარჩა და ისეთი რაღაცის კეთება დაიწყო, რაც თავად მოსწონდა, ეს დაუმორჩილებლობა განმტკიცდა კიდევ.

ინსტრუქციის მიცემისას, უმჯობესია, მხოლოდ ერთი წინაპირობა გქონდეთ, მხოლოდ ერთ ქცევას მოელოდეთ და, შედეგად, ბავშვმა მხოლოდ ერთი რამ მიიღოს. ზედმეტად ბევრი ინფორმაციის გაცემა ან გაცემული ინფორმაციის მოცულობის გაზრდა განამტკიცებს არასწორ პასუხებს და შეიძლება ისიც კი ასწავლოს, რომ თქვენი რეაქციის მისაღებად, შეუძლია იგნორირებას ან დაუმორჩილებლობას მიმართოს.

თავიდან ბავშვს ისეთი მოთხოვნები წაუყენეთ, რომელთა შესრულება უკიდურესად მარტივია, მინიმალურად ინტენსიური დახმარებითაა შესაძლებელი და რომლებიც დაუყოვნებლივ შეიძლება დაჯილდოვდეს. შესაძლებელია, ბავშვს კალათბურთის კალათში ბურთის ჩაგდება ვთხოვოთ და ეს მან მუშაობად სულაც არ აღიქვას, მაგრამ როდესაც ამის გამო დავაჯილდოვებთ, ის ისწავლის, რომ მითითებების შესრულება მას სასურველ რაღაცას

მოუტანს. სიტყვით დაეხმარეთ ბუნებრივად და რაც შეიძლება რბილად. თუ ბავშვმა ბურთი კალათისკენ არ ისროლა, მიუახლოვდით და თხოვნა გაუმეორეთ. მერე ხალისით აიღეთ მისი მკლავები, მიეხმარეთ ბურთის სროლაში და ამის შემდეგ ჯილდო გადაეცით.

ასე ბავშვი ისწავლის, რომ მითითების შესრულებით ჯილდოს იღებს.

მას შემდეგ, რაც ბავშვი დახმარებაზე რეგულარულად რეაგირებას ისწავლის, დროა, დახმარება შევამციროთ. თუ ასე არ მოიქცევით, ბავშვი მასზე დამოკიდებული განდება და დამოუკიდებლობას ვერ ისწავლის.

უშეცდომო სწავლება და ოპერანტებს შორის ტრანსფერის ცდის პროცედურა

ბავშვისათვის ახალი უნარის სწავლება ძალიან სახალისო პროცესია, განსაკუთრებით, როდესაც თქვენი ძალისხმევის შედეგები თვალსაჩინოა. ბოლო წლებია, ვისწავლე, რომ ახალ უნარზე ან ახალ ბავშვთან მუშაობისას ძალზე მნიშვნელოვანია დახმარება ნულოვანი დაყოვნებით. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ თქვენი აზრით, არსებობს იმის მცირე შანსიც კი, რომ ბავშვმა არასწორი პასუხი გაგცეთ ან მიცემული დავალება არ შეასრულოს, დაუყოვნებლივ უნდა დაეხმაროთ. როცა გამოჩნდება, რომ ბავშვს უკვე ესმის დავალების არსი, შეგიძლიათ, დახმარებით მიღებული პასუხების შემდეგ დაუყოვნებლივ ტრანსფერზე გადახვიდეთ და დახმარების დონე შეამციროთ

ტრანსფერის ცდის პროცედურას ოთხიოდე წლის წინ გავაცანი და, თითქოს, გონება გამინათდა. ლუკასი უკვე ექვსი წლისა იყო და ქვევის გამოყენებითი ანალიზის საშინაო პროგრამა უკვე სამი წლის დაწყებული ჰქონდა, როდესაც ტრანსფერის ცდის შესახებ ჰოლი კიბისა და ჩერიმ ტვიგის პრაქტიკულ სემინარზე პირველად გავიგონე. მანამდე ზოგჯერ ვფიქრობდი, ლუკასს აფაზია ხომ არ აქვს თქო. ეს მდგომარეობა ხშირად გვხვდება ინსულტის შემდეგ – ადამიანი სიტუაციის შესაბამის სიტყვებს ვეღარ პოულობს. აფაზია ექთნად მუშაობისას ნანახი მქონდა და, თითქოს, ლუკასს რაღაც

ამდაგვარი სჭირდა. თუ კარადიდან ორცხობილის აღება უნდოდა, ხელით მანიშნებდა, კარი გამეღო. თუმცა ორცხობილები და კრეკერები კარის გაღების შემდეგ თვალნათლივ ჩანდა, არაფრით იტყოდა „ორცხობილაო“, რომ ენიშნებინა, კერძოდ, რა სურდა. ამ დროს მე თავად ვიტყოდი: „ორცხობილა“, ლუკასიც გაიმეორებდა: „ორცხობილა“. მე ორცხობილას ვაძლევდი და სიტუაციაც ასე მთავრდებოდა.

თუმცა, როცა ტრანსფერის ცდის პროცედურებს გავეცანი, ცხადი გახდა, რომ ლუკასს აფაზია არ ჰქონდა. პრობლემა მე ვიყავი! ყველა რეაქციას დახმარების დონეზე ვტოვებდი და ტრანსფერის ცდას არ ვასრულებდი. როგორც კი სემინარიდან შინ დავბრუნდი, გადავწყვიტე, ახალი გეგმა მაშინვე გამომეცადა. იმის ნაცვლად, რომ სიტყვიერი დახმარებით მიცემული პასუხის გამეორების შემდეგ ორცხობილა დაუყოვნებლივ გადამეცა, შევჩერდებოდი და მხრებს ავიჩეჩავდი ან კიდევ (თუ აუცილებელი იყო), ვიტყოდი: „რა გინდა?“ ლუკასსაც, ორცხობილის მისაღებად, კიდევ ერთხელ უნდა ეთქვა სიტყვა „ორცხობილა“.

ახალი მიზანი ჩამოვაყალიბე – ლუკასს „ორცხობილა“ დამოუკიდებლად ან შემცირებული დახმარების პირობებში უნდა ეთქვა. ამ ცნებაზე ბევრი ვიმუშავე და ლუკასზე ჩატარებული კონტროლირებული კვლევის შედეგები 2005 წელს, ჟურნალში „ვერბალური ქცევის ანალიზი“ გამოვაქვეყნე.

ახლა ამ უნარს ორი მიმართულებით განვიხილავ: არსებობს ტრანსფერის ცდა ოპერანტის ფარგლებში და ტრანსფერის ცდა ოპერანტებს შორის. ოპერანტის ფარგლებში ტრანსფერის ცდა არის დახმარებით განხორციელებული ცდიდან სტიმულის კონტროლის გადატანა შემცირებული დახმარებით დაბრუნებულ პასუხზე და, ბოლოს, დაუხმარებლად დაბრუნებულ პასუხზე. ამაში შედის ლუკასსა და მის ორცხობილებზე ზემოთ აღწერილი შემცირებული დახმარებით წარმართული სცენარი.

აი, ერთი უნარის ან ერთი ოპერანტის ფარგლებში ტრანსფერის ცდის კიდევ ორი მაგალითი. მინდა, სუზიმ რომელიმე რეცეპციული უნარი აითვისოს, მაგალითად, სათანადოდ უპასუხოს მითითებას: „ტაში დაუკარი“. თუმცა, ამ ეტაპზე სუზის არავითარი რეცეპციული უნარი არ აქვს და თხოვნას ვერ ასრულებს. მე, პირადად, დაუყოვნებლივ გამოვიყენებდი სრულად ფიზიკურ დახმარებას, ანუ ავი-

ღებდი სუზის ხელებს და ფიზიკურად შემოვაკვრევინებდი ტაშს. თუ ეს უნარი M&M-ის კანფეტით დაუყოვნებლივ დაჯილდოვდა (M&M ძალიან ძლიერი განმამტკიცებელია), დახმარების მაღალი დონე ნარჩუნდება და ტრანსფერის ცდა არ ხორციელდება. ამის ნაცვლად, ჩემი რეკომენდაცია იქნებოდა, დახმარება შემცირდეს ან მოიხსნას განმამტკიცებლის მიცემამდე. ამდენად, თუ სუზიმ ტაში ჩემი დახმარებით შემოკრა, M&M-ის მიცემის ნაცვლად, მე ბავშვს უბრალოდ შევაქებდი (სუსტი განმამტკიცებელი) და შემდეგ გავიმეორებდი მოთხოვნას: „კარგია... აბა, ტაში დაუკარი“. ვნახავდი, გააკეთებდა თუ არა ბავშვი ამას თვითონ. შექებას იქამდე გავაგრძელებდი, სანამ სუზი უფრო სუსტი დახმარებით არ იმოქმედებდა და მხოლოდ ამის შემდეგ გადავცემდი მას უფრო ძლიერ განმამტკიცებელს M&M-ის სახით.

აი, როგორ გამოიყურება მთელი პროცესი:

ინსტრუქტორი: „აბა, ტაში დაუკარი“. მაშინვე იღებს სუზის ხელებს და ტაშს შემოკრავს.

სუზი: უკრავს ტაშს ინსტრუქტორის სრულად ფიზიკური დახმარებით.

ინსტრუქტორი: „კარგია!... ტაში დაუკარი...“ ეხება სუზის იდაყვებს და წინამხრებს.

სუზი: ტაშს უკრავს

ინსტრუქტორი: სუზის ღიმილით აძლევს M&M-ს და ეუბნება: „ყოჩაღ, რა კარგად დაუკარი ტაში!“

აი, ტაქტის (ნიშანდების) ტრანსფერის ცდის მაგალითი. სემი მეტყველების განვითარების მხრივ საშუალო დონის ხმით მეტყველი მოსწავლეა. იცის ასეულობით ტაქტი, მაგრამ „ბულდოზერის“ ტაქტირება არ შეუძლია. აი, მისთვის ამ ტაქტის სწავლების ტრანსფერის ცდა:

ინსტრუქტორი: „ეს რა არის? ბულდოზერი.“

სემი: „ბულდოზერი.“

ინსტრუქტორი: „მართალია... ეს რა არის?“

სემი: „ბულდოზერი.“

ინსტრუქტორი: სემს აქებს და მოკლე ხნით ურთავს საყვარელ ვიდეოს.

აგრეთვე შესაძლებელია ტრანსფერის ცდის წარმართვა ოპერანტებს შორის.

ოპერანტებსშორისი ტრანსფერის ცდის პროცედურების კვლევით 2001 წელს დავინტერესდი. ექვსი-შვიდი წლის რომ იყო, ლუკასი ქცევის გამოყენებითი ანალიზის სკოლაში მივიყვანეთ, რომელიც სახლიდან ერთი საათის სავალზე იყო. ოთხიოდე თვის შემდეგ შევამჩნიე, რომ მასწავლებლების სახელები ერეოდა. როცა მისი თერაპევტი, ემბერი, მოდიოდა ხოლმე, წასვლისას ეუბნებოდა: „ნახვამდის, ლუკას“. ლუკასი კი პასუხობდა: „ნახვამდის, ჰეილი“ (ჰეილი სკოლის მასწავლებელი იყო). ემბერი შეუსწორებდა: „არა, მე ჰეილი არ ვარ. მითხარი: „ნახვამდის, ემბერ“. მაშინ ლუკასიც სწორად პასუხობდა: „ნახვამდის, ემბერ“. ემბერი წავიდოდა და ტრანსფერის ცდას აღარ ასრულებდა (სამწუხაროდ). იმ დროს ქცევის ანალიტიკოსის სერტიფიკატის ასაღებად ნაშრომს ვასრულებდი და მალევე გავიაზრე, რა ხდებოდა. იმასაც მივხვდი, რომ რაღაც უნდა გვექნა. თავის დროზე მისალმებაზე ბევრი გვექონდა ნამუშევარი და ადამიანის სახელების ტაქტირება მისი ერთერთი ძლიერი უნარი იყო. მახსოვს, საბავშვო ბაღში რომ მივიდა, თექვსმეტივე ჯგუფელის სახელები ვასწავლეთ. როგორც ჩანს, ქცევის გამოყენებითი ანალიზის სკოლაში ლუკასმა აღმზრდელებისა და მოსწავლეების სახელები ვერ ისწავლა. განზოგადების პრინციპით, მისასალმებელ სიტყვებს ამატებდა და შეცდომებს უშვებდა, რაც, თავის მხრივ, დიდ არეულობას იწვევდა. ეს აშკარად პროგრამის შეცდომა იყო და მის აღმოსაფხვრელად დაუყოვნებლივ ზომები მივიღეთ. როცა ამგვარ შეცდომებს ვხედავ ხოლმე, აუცილებლად ვამოწმებ, აქვს თუ არა ბავშვს წინარე უნარები. რამდენად მყარია საფუძველი? როგორ ელემენტებად უნდა დაიშალოს ეს უნარი, იმისათვის რომ ბავშვი წინ წავიდეს?

მოცემულ შემთხვევაში, ის დრო გავიხსენე, როდესაც ლუკასმა წარმატებით ისწავლა კლასელების სახელები. მახსოვდა, რომ ბავშვების სახელების ტაქტირებას კლასელების სურათების გამოყენებით ვასწავლიდით – თითოეულ სურათზე – თითო ბავშვი – წვრთნის მეთოდით.

ქცევის გამოყენებითი ანალიზის სკოლის მასწავლებელს ვთხოვე, ჩვენთვის ათი პერსონალის ანდა ლუკასის კლასელების ფოტო გამოეგზავნა. სწორედ ორკვირიანი არდადეგები იწყებოდა და მასწავლებელს ვუთხარი, მიზნად გვაქვს, სკოლაში რომ დაბრუ-

ნდება, ლუკასმა ათივე სახელი იცოდესთქო. ყოველ დღე ვიღებდი სურათების დასტას და სათითაოდ ვეკითხებოდი: „ეს ვინ არის?“

ამგვარად სასინჯი შეფასების საფუძველზე შევარჩიე სამი სამიონზე სურათი. სამივეს მაგიდაზე ვდებდი და ბავშვს ვუბნებოდი: „აბა, ემბერს თითი დაადე“. ლუკასი ემბერის სურათს შეეხებოდა და, ჩვეულებრივ, იმეორებდა: „ემბერი“. ამის შემდეგ ეს რეცეპციული უნარი დაუყოვნებლივ გადამყავდა ტაქტში და ვამბობდი: „მართალია...ვინ არის ეს?“ ლუკასი მპასუხობდა: „ემბერი“.

ლუკასს სახელებს ყოველ დღე, ხუთი-ათი წუთის განმავლობაში ვასწავლიდი. უშუალოდ გაკვეთილის დაწყებამდე ათივე სურათით მოვსინჯავდი ხოლმე, რამდენად იძენდა ტაქტირების უნარს და შემდეგ, თუ სასინჯი შეფასებისას ვნახავდი, რომ სამიონზე ტაქტებს თავს ართმევდა, სამ ახალ სამიონზე სურათს ვარჩევდი. ორ კვირაში ლუკასმა ათივე სახელი ისწავლა და ყველა მათგანს გამართულად, დაყოვნების გარეშე იყენებდა. სკოლაში რომ დაბრუნდა, არა მხოლოდ კლასელებისა და პერსონალის სახელები იცოდა, უკვე სახელებთან ერთად მისალმების ფრაზებსაც იყენებდა.

ამან დამიმტკიცა, რომ ლუკასისათვის ეს სწავლების საუკეთესო გზა იყო. სწორედ ამის გამო იყო ლუკასისა და სხვა ბავშვების მონაწილეობით დავგეგმე რამდენიმე სტრუქტურირებული კვლევა, რათა სხვადასხვა ოპერანტს შორის სტიმულის გადაცემის საკითხი შემესწავლა. მინდოდა, გამეგო, თუ რამ განაპირობა ლუკასის წარმატება ამ ორი კვირის მანძილზე. აღმოვაჩინე, რომ ლუკასის რეცეპციული ენის უნარიდან – იგი სიძლიერით ყოველთვის წინ უსწრებდა მის ექსპრესიულ უნარს – სტიმულის ზემოქმედება (კლასელების სახელები) რეცეპციული ოპერანტიდან ტაქტირების ოპერანტზე გადამქონდა. როდესაც ჩემ მიერ გამოყენებული პროცესი გამოვიკვლიე, ვნახე, რომ ტაქტირებაზე გადამქონდა აგრეთვე ექოსებრი (გამეორების) უნარი.

ოპერანტებს შორის ტრანსფერის ცდას ბავშვებთან ყოველდღიურად ვიყენებ, იმის მიუხედავად, ბავშვს აქვს ხმით მეტყველების უნარი თუ არა (ასეთი მუშაობის დროს, არახმოვანი ბავშვების შემთხვევაში, ჟესტური ენა ძალზე გამოსადეგი ინსტრუმენტია).

აი, ოპერანტებს შორის ტრანსფერის ცდის რამდენიმე მაგალითი:

ტრანსფერის ცდა რეცეპციულიდან ტაქტირებაზე

ინსტრუქტორი: „აბა, დაადე თითი ბულდოზერს“.

მოსწავლე: თითს ადებს ბულდოზერის სურათს (რეცეპციული)

ინსტრუქტორი: „რა არის ეს?“

მოსწავლე: „ბულდოზერი“ (ტაქტი)

ტრანსფერის ცდა ექოსებრიდან ტაქტირებაზე

ინსტრუქტორი: „აბა, თქვი „ბურთი““.

მოსწავლე: „ბურთი“ (ექოსებრი).

ინსტრუქტორი: იღებს ბურთის სურათს და ამბობს: „ეს რა არის?“

მოსწავლე: „ბურთი“ (ტაქტი).

ტრანსფერის ცდა ნიმუშთან შეხამებიდან რეცეპციულზე

ინსტრუქტორი: „შეუხამე კატა“ და მოსწავლეს კატის სურათს აძლევს.

მოსწავლე: კატას ნიმუშთან შეხამებს .

ინსტრუქტორი: „აბა, თითი დაადე კატას“.

მოსწავლე: თითს ადებს კატას (რეცეპციული).

ტრანსფერის ცდა ტაქტიდან ინტრავერბალურზე

ინსტრუქტორი: „ეს რა რიცხვია?“ და 9-იანის ამსახველ ბარათს უჩვენებს.

მოსწავლე: „ცხრა“ (ტაქტი).

ინსტრუქტორი: „რამდენი წლის ხარ?“ თუ ეს შესაძლებელია, ვიზუალური მასალა მხედველობის არიდან გააქვს.

მოსწავლე: „ცხრა“ (ინტრავერბალური).

თუ გვსურს, სუსტ უნარებზე სამუშაოდ ბავშვის ძლიერი უნარები გამოვიყენოთ, ოპერანტებს შორის ტრანსფერის ცდის პროცედურა ძალზე გამოსადეგი ინსტრუმენტია.

შეცდომების გასწორება

შეცდომებზე რეაგირებისთვის შერჩეული მიდგომა ბავშვს ან დაეხმარება, ან პირიქით, შეაფერხებს მის წინსვლას. შეიძლება

ცოტა შეგეშინდეთ, მაგრამ შეცდომების გასწორების ტექნიკა ბავშვის გარშემო ყველა მოზრდილს უნდა ასწავლოთ.

სამწუხაროდ, ეს ყოველთვის ვერ მოხერხდება, ამიტომ, უბრალოდ, დაუშვით, რომ ბავშვის ზოგიერთი შეცდომა თავისდაუნებურად განმტკიცდება. ხშირად ვხვდები საშუალო დონის მოსწავლეებს, რომლებიც აუზის სურათზე „საცურაო“ ამბობენ ან კიდევ „დაფის“ ნაცვლად „მასწავლებელს“ გპასუხობენ. საქმე ის კი არაა, რომ მათ პასუხი არ იციან ან რაიმე ისეთი კოგნიტიური პრობლემა აქვთ, რაც სწორი ტაქტების ათვისებაში უშლის ხელს. საქმე ისაა, რომ ამ შეცდომის განმტკიცება წარსულში ბევრჯერ მოხდა.

აი, როგორ უნდა გავასწოროთ შეცდომა:

მაგალითისთვის, ავიღოთ რვა წლის ბავშვი, სახელად ენდრიუ. მას აუტიზმი აქვს, ხშირ მეტყველია და შეუძლია მენდირება, ასევე რამდენიმე განმამტკიცებლის გამოსახულების ტაქტირება. ახლა მას ვასწავლით ყოველდღიური ნივთების სურათების ტაქტირებას. სამიზნე ტაქტია საწოლი. ეს ტაქტი აუცილებლად სასწავლებელია, რადგან როდესაც ენდრიუ საწოლის სურათს ხედავს და მას ეკითხებიან: „ეს რა არის?“, მისი პასუხია „საბანი“.

ბავშვისათვის ტაქტის სწავლება ბევრად უფრო ძნელია იმ შემთხვევაში, როცა არასწორ პასუხს გიბრუნებთ, ვიდრე ისეთ შემთხვევებში, როდესაც ბავშვი საერთოდ არ რეაგირებს. თუმცა, სიტყვები „საბანი“ და „საწოლი“ ან „დაჯექი“ და „სკამი“ მნიშვნელობით ერთმანეთთან ახლოსაა, მშობლებისა და ბავშვის გარემოში მყოფი სხვა მოზრდილების მხრიდან მათი განმტკიცება ხდება, როდესაც არასწორ პასუხს სწორ პასუხად თვლიან. თუ ინსტრუქტორი ბავშვს სკამის გამოსახულებას უჩვენებს და იგი პასუხობს: „დაჯექი“ და თუ მასწავლებელი შეცდომების გასწორების მართებულ პროცედურას არ იცნობს, მან შეიძლება ბავშვს უთხრას: „ჰო, მართალია, სკამზე დაჯექი. ეს სკამია“. მაგრამ ბავშვს ხომ სიტყვა „სკამი“ არ წარმოუთქვამს. ჰოდა, ხდება სიტყვის „დაჯექი“ განმტკიცება.

ამგვარი შეცდომების გასასწორებლად, საჭიროა, საწოლის სურათი ისევ ასწიოთ, ან ბავშვს ნამდვილ საწოლზე მიუთითოთ და შეკითხვა გაიმეოროთ: „რა არის ეს?“ სანამ ენდრიუ მოასწრებს და იტყვის: „საბანი“, დაუყოვნებლივ მიეხმარეთ და თქვით: „საწოლი“. ამას ექოსებურად ენდრიუც გაიმეორებს. ამის შემდეგ შეგვიძლია ტრანსფერს მივმართოთ და ექოური ოპერანტიდან გადა-

ვიყვანოთ ტაქტზე – ვეტყვი: „მართალია. რა არის ეს?“ ამჯერად კითხვის დასმისას შეგიძლიათ დახმარების ხარისხი შეამციროთ (მაგალითად, დაიწყეთ სიტყვის წარმოთქმა: „საწ...“. თუმცა, ნაწილობრივ ვერბალური დახმარებისას ფრთხილად უნდა იყოთ, რადგან ორივე სიტყვა ერთნაირი ბგერებით იწყება) ან დაელოდოთ – იქნებ, ენდრიუმ სიტყვა დაუხმარებლად წარმოთქვას.

ასე გამოიყურება შეცდომების გასწორება ენდრიუს შემთხვევაში:

ინსტრუქტორი: იღებს საწოლის სურათს და ბავშვს ეკითხება: „ეს რა არის?“

ენდრიუ: „საბანი“

ინსტრუქტორი: ისევ იღებს საწოლის სურათს, სვამს იმავე კითხვას და მაშინვე ეხმარება: „საწოლი“.

ენდრიუ: ინსტრუქტორის ვერბალური დახმარების საფუძველზე იმეორებს: „საწოლი“.

ინსტრუქტორი: „სწორია... ეს რა არის?“

ენდრიუ: დაუხმარებლად ამბობს: „საწოლი“.

შეცდომები ბუნებრივ გარემოშიც ხდება. ერთერთი გავრცელებული პრობლემა, რასაც აუტიზმის თუ მეტყველების სხვა შეფერხების მქონე მცირეწლოვან ბავშვებში ვხვდებით, ისაა, რომ ისინი ნაცვალსახელებს ხშირად შებრუნებით ხმარობენ. მაგალითად, თუ ბავშვს ვეტყვი: „ბურთი მე გამომიგორე“, მან, ბურთის თქვენკენ გამოგორებასთან ერთად, შეიძლება გაიმეოროს: „ბურთი მე გამომიგორე“. ან კიდევ, თუ ვთხოვეთ: „თმა დაივარცხნე“, ბავშვმა შეიძლება დაგიბრუნოთ: „თმა თვითონ დაივარცხნე“, არადა, შეიძლება მითითება სწორად შეასრულოს. ამ პრობლემის მარტივად გადასაწყვეტად, პირის ნაცვალსახელები უბრალოდ ხმარებიდან ამოიღეთ, განსაკუთრებით, თუ ბავშვი თქვენს ნათქვამს ხშირად იმეორებს ექოსებურად. უთხარით: „ბურთი გავაგოროთ“ ან „თმა დავივარცხნოთ“. როდესაც ბავშვი მოძლიერდება, შეგიძლიათ დამხმარე ფრაზაში შესაბამისი ნაცვალსახელი გამოიყენოთ. ყოველთვის ბავშვის გადმოსახედიდან ილაპარაკეთ. ასე, მაგალითად, როდესაც ის გეტყვი: „ორცხობილა მოგეცი“, მიეხმარეთ: „ორცხობილა მომეცი“, გაამეორებინეთ და შემდეგ გააკეთეთ ტრანსფერის ცდა: „სწორია! ახლა შენ მთხოვე.“ მას შემდეგ, რაც ის დაუხმარებლად გეტყვი: „ორცხობილა მომეცი“, განმამტკიცებლის სახით გადაეცით ორცხობილა.

იმ შემთხვევაში, თუ ბავშვმა პირი არასწორად აღნიშნა, განმამტკიცებელს ნუ მისცემთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეცდომების რაოდენობა გაიზრდება, ისევე, როგორც ნებისმიერი ქცევის სიხშირე – მისი განმტკიცების შემთხვევაში.

დახმარების, მისი შემცირების, შეცდომების გასწორებისა და ოპერანტებს შორის უნარების ტრანსფერის ცდის მეთოდები თქვენი მთავარი იარაღია ბავშვის სწავლების გზაზე. თანაც, მათი გამოყენება ნებისმიერ ადგილას არის შესაძლებელი. იცოდეთ, რომ განმტკიცება თქვენც გსიამოვნებთ. ნახეთ, როგორ კარგად იგრძნობთ თავს, როგორც კი ბავშვისგან სწორ პასუხებს მოისმენთ.

VIII ტაკვი

რეცეპციული ენობრივი უნარებისა და სხვა არავერბალური ოპერანტების სწავლება

1999 წელს, როდესაც ლუკასმა ლოვასის ქცევის გამოყენებითი ანალიზის პროგრამა დაიწყო, პირველ რიგში, რეცეპციულ, იმიტაციისა და შეხამების უნარებზე მუშაობას შევუდექით. თუმცა, ლუკასმა ასამდე სიტყვა იცოდა, და მათ შორის შეეძლო რამდენიმე საგნის მენდირება და ფრაზის ინტრავერბალურად შევსება, პროგრამა დავიწყეთ არავერბალური უნარებით, ანუ იმ წერტილიდან, რომელიც ლოვასის პროტოკოლით იყო მითითებული. სვინერი რეცეპციულ ენას განსაზღვრავს როგორც მოსმენის უნარს, ხოლო იმიტაციისა და შეხამების უნარებს საერთოდ არ ეხება, რადგან მათ „ვერბალურ ქცევად“ არ მიიჩნევს.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს უნარები არსებითი არ არის. ვერბალური ქცევის პროგრამაში ბავშვებისათვის არავერბალურ ოპერანტებზე რეაგირების სწავლება სწორედაც რომ მნიშვნელოვნად მიიჩნევა და ამაზე მუშაობა ადრეულ ეტაპებზე იწყება. თანამედროვე პროგრამები დამწყებებისათვის ძალზე მოსახერხებელია, რადგან დახმარება ადვილად გამოდის (ბავშვის მხრიდან ლაპარაკი გათვალისწინებული არ არის) და, თანაც, ვერბალური ქცევის პროგრამაში რომ ჩაერთოს, ბავშვმა მითითებების შესრულება (რეცეპციული უნარები) უნდა ისწავლოს. ბავშვისთვის მიცემული პირველი მითითებები შესასრულებლად ადვილი უნდა იყოს – ან ისეთი, რომელსაც, თქვენი შეფასებით, არ ასრულებს. რეცეპციული უნარების მთელი სილამაზე იმაში მდგომარეობს, რომ ეს უნარები ბავშვისგან ლაპარაკს არ მოითხოვს და, ამიტომ, განსახორციელებლად ადვილია. ყველაფერთან ერთად, რეცეპციული უნარები პროგრესისთვის კარგ პირობებს ქმნის, რადგან ბავშვის უმცირესი რეაქციაც კი ჯილდოვდება.

აღნიშნული უნარების სწავლება ხშირად წყალგამყოფის როლს ასრულებს და ბავშვი მუდმივი დაუმორჩილებლობისა და გაღიზიანების მდგომარეობიდან აქტიური სწავლის ეტაპზე გადადის!

რეცეპციული ანუ მოსმენის უნარების სწავლება

ცოტა ხნის წინ დოქტორ მარკ სანდბერგს მოვუსმინე. მან ტერმინი „რეცეპციული უნარები“ ტერმინით „მოსმენის უნარები“ ჩაანაცვლა. აგრეთვე, აღნიშნა, რომ უკვე წლებია, ბ.ფ. სკინერის ქალიშვილი, ჯული ვარგასი, ცდილობს, ტერმინოლოგია შეაცვლევინოს, რადგან სკინერის აზრით, ტერმინი „რეცეპციული“ მეტისმეტად კოგნიტური იყო. სწორედ ასეთივე აზრი ჰქონდა მას სიტყვის „ექსპრესიული“ თაობაზე და ფიქრობდა, რომ ეს სიტყვა, ბუნდოვანების გამო, სათანადოდ ვერ აღწერს მენდირებას, ტაქტირებას, ინტრავერბალურ და ექოსებრ ოპერანტებს. მას მიაჩნდა, რომ ფრაზა „მოსმენის უნარების განვითარება“ უკეთ განსაზღვრავს ამ უნარის შეფასება-განვითარების პროცესს.

რეცეპციული ენა ანუ მოსმენის უნარები გულისხმობს ადამიანის უნარს, უპასუხოს სხვა პირის მითითებებს. რეცეპციული უნარებით აღჭურვილ ბავშვს სათანადო რეაქცია ექნება თქვენს სიტყვებზე: „აბა, ტაში დაუკარი“, „რიგში ჩადექი“ ან კიდევ „ფეხსაცმელი ჩაიცვი“. ალაპარაკებამდე, ტიპურ ბავშვს შეუძლია მითითებით ხელსახოცის მოტანა, ტელევიზორის პულტის მოტანა, თითის გაშვებით დედის ჩვენება. ტიპური ბავშვების განვითარების ეტაპებს თუ დავაკვირდებით (შესაბამისი სია იხილეთ საიტზე www.firstsigns.org), ვნახავთ, რომ ერთ წლამდე ბავშვსაც კი ძლიერი რეცეპციული ენობრივი უნარი გააჩნია.

აუტიზმის მქონე ბავშვებს, დიაგნოსტირებისას, მოსმენის ძლიერი უნარები არ აღენიშნებათ, რადგან, როგორც წესი, ისინი ძალზე შეფერხებულია ან, ზოგჯერ ერთი წლის ასაკიდან მოყოლებული, რეგრესს განიცდიან. ალბათ, შეგიძინევიათ, რომ შვილი სახელის დაძახებაზე უმალ არ რეაგირებს და არ გპასუხობთ, როცა ფეხსაცმელის ჩაცმას სთხოვთ; ზოგ შემთხვევაში, არ შეუძლია მარტივი ბრძანებების შესრულება, როგორებიცაა „ტაში დაუკარი“ და „აბა, თავი მაჩვენე“.

ქვევის გამოყენებითი ანალიზის პროგრამის დაწყებამდე ლუკასი ძალიან სუსტი რეცეპციული ენობრივი უნარით ხასიათდებოდა. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი მას შემდეგ გახდა, რაც მეორე ვაჟი, სპენსერი მეყოლა. მაშინ ლუკასი 18 თვისა იყო. მასსოვს, მეგობრებს ვუბნებოდი, ლუკასი უბრალოდ „აზრზე

ვერ მოდის“ და ოჯახში ახალი ბავშვის გამოჩენას ვერ აღიქვამს თქო. სპენსერთან ერთად კლინიკიდან დაბრუნების შემდეგ შინ ფოტოგრაფი გვეწვია სურათების გადასაღებად. მან ლუკასს ფირის კოლოფი მისცა და სთხოვა, ნაგავში გადაეგდო. ლუკასმა კოლოფი იატაკზე დააგდო და მის გარშემო წრეზე სირბილი დაიწყო.

სულ რამდენიმე თვეში – ლუკასს ორი წელი შეუსრულდა – ცხადი გახდა, რომ ბავშვს მეტყველების თერაპია ესაჭიროებოდა. შეფასების ანკეტაში ჩავწერე, რომ შეეძლო თხოვნისამებრ შეხებოდა და ეჩვენებინა საკუთარი სხეულის სხვადასხვა ნაწილი. ცოტა მოგვიანებით კი გავაცნობიერე, რომ ამას მხოლოდ მაშინ აკეთებდა, როცა ბარნის წიგნს ვკითხულობდით, სადაც სხეულის ნაწილები იყო აღწერილი. მე ვკითხულობდი, ის კი მოსმენილს მიჰყვებოდა და სათითაოდ ეხებოდა თავს, ცხვირს, მუხლებს, ფეხის თითებს – ზუსტად აღწერილი თანმიმდევრობით. ბარნის წიგნის გარეშე კი სხეულის ნაწილების იდენტიფიცირება უჭირდა.

თუმცა, მათთვის, ვინც პროგრამას ახლა იწყებს, კარგი ამბავიც მაქვს: როგორც კი ლუკასი ქცევის გამოყენებითი ანალიზის პროგრამაში ჩაერთო, მისი რეცეპციული ენა სწრაფად გაუმჯობესდა და ახლა მითითებების შესრულება და სხვა რეცეპციული უნარები მის ძლიერ მხარეებს შორისაა.

რეცეპციული ენობრივი უნარის გაუმჯობესება ბუნებრივ გარემოში

როდესაც ბავშვს მითითებების შესრულებას ვასწავლით, დახმარებას (რომელიც VII თავში განვიხილეთ) ინტერვენციის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

როგორც წინა თავებში უკვე აღვნიშნე, ეცადეთ, ბავშვის სახელი მოთხოვნებს არ დაუკავშიროთ. აუტიზმის მქონე ბევრ ბავშვს საკუთარ სახელზე რეაგირების უნარი არ აქვს. შესაბამისად, როცა სახელის გამოყენებას ვზღუდავთ, ამით ბავშვს უფრო ვეხმარებით, რომ დაძახებას გამოეხმაუროს, რადგან ბავშვი თავის სახელს, როგორც მოთხოვნების უშველებელი სიის ნაწილს, არ უგულებელჰყოფს.

აი, როგორი სტრატეგიით ვსარგებლობ, როცა მინდა, ბავშვმა სახელის დაძახებაზე რეაგირება დაიწყოს:

დენისი საკუთარ სახელზე თითქმის არასოდეს რეაგირებს. პირველ რიგში, გარშემო ყველას უთხარით, რომ შეწყვიტონ ან შეზღუდონ ბავშვის სახელის გამოყენება დღის განმავლობაში. შემდეგ აიღეთ დენისის ყველაზე საყვარელი საჭმელი ან კონტროლირებადი განმამტკიცებელი (მაგალითად, ჩიფსები და საპნის ბუშტები) და როდესაც რაიმეთი იქნება დაკავებული, მას ზურგიდან მოუარეთ და ერთი მეტრით მის უკან შეჩერდით. დაუძახეთ სახელი, მაშინვე შეეხეთ მხარზე, მოატრიალეთ და ჩიფსი გადაეცით. ყოველ ჯერზე თანდათანობით დაშორდით ბავშვს და ერთი-ორი წამით დააყოვნეთ მხარზე შეხება. ასე დახმარებას შეამცირებთ. დენისი ისწავლის, რომ როდესაც სახელით მიმართავენ, კარგი რადაცეები ხდება. სახელზე რეაგირებაზე ასე მუშაობა შეიძლება დღის ნებისმიერ მომენტში, როდესაც ბავშვის განმამტკიცებლით დაჯილდოვება შეგიძლიათ.

მოსმენის უნარებზე მუშაობისას, მითითებები მხოლოდ მაშინ მიეცით, თუ დახმარებაც შეგიძლიათ მიაყოლოთ. ნურც მოთხოვნებს მიაყრით გაუთავებლად. ეს პროგრამა დასაწყისში გამიზნულადაა მარტივი, რათა ბავშვსაც და თქვენც თვითრწმენის გაძლიერებაში დაგეხმაროთ. ამავე მიზნით, როგორც დოქტორი გლენ ლეითემი (Dr. Glen Latham) გვთავაზობს, ბავშვს თითოეულ ნეგატიურ შენიშვნასა თუ შესწორებაზე ბევრი პოზიტიური კომენტარი უნდა გავუკეთოთ. დოქტორი ლეითემი თითო უარყოფით კომენტარზე რვა დადებითი კომენტარის რეკომენდაციას იძლევა. თანაც, ამ პროგრამით ყველამ – თქვენმა მეუღლემ, ძიძამ თუ დედა-მთილმა უნდა იმუშაოს.

თუ შეთანხმებულად იმუშავებთ, მოკლე დროში ნახავთ, რომ ბავშვმა მარტივი მითითებების შესრულება დაიწყო. თუ არა, მალე აღმოაჩენთ, რომ შიგადაშიგ ადგილი აქვს რთული ქცევების და დაუმორჩილებლობის შემთხვევების პერიოდულ გამძაფრებას. თუ ასე მოხდა, დააკვირდით, როგორ ურთიერთქმედებს ბავშვი სხვა მოზრდილებთან, დაითვალეთ პოზიტიური კომენტარები ერთ მთვლელებზე, უარყოფითი კომენტარები – მეორეზე და ნახეთ, რომელი მოზრდილი არ იცავს პროტოკოლს. აჩვენეთ შეგროვილი მონაცემები იმ მოზრდილს და სთხოვეთ, ახლა ის დააკვირდეს თქვენი

და ბავშვის ურთიერთქმედებას და თან კომენტარები ითვალის. საზოგადოდ, ვფიქრობ, რომ ადამიანები თავს უფრო პოზიტიურად აღიქვამენ, ვიდრე სინამდვილეში არიან და ვერ ამჩნევენ, თუ რა რაოდენობით მოდის მათგან ნეგატიური კომენტარები.

მოსმენის უნარების სწავლება ინტენსიური სწავლების სესიებით

ინტენსიური სწავლების სესიების შემთხვევაში, გირჩევდით, დაწყებამდე საკმარისი რაოდენობით სამიზნე უნარები შეარჩიოთ. კარგი იქნება, თუ ინტენსიური სწავლებისას ერთდროულად რამდენიმე რეცეპციულ პროგრამას დაიწყებთ. ასეთებია, მაგალითად, მითითებების შესრულება, რეცეპციული სხეულის ნაწილები და რეცეპციული იდენტიფიკაცია.

თითოეულ პროგრამაში, სულ მცირე, ორი სამიზნე უნდა გქონდეთ, რათა მიხვდეთ, არჩევს თუ არა მათ ბავშვი ერთმანეთისგან. როდესაც კონსულტირების პრაქტიკას, ის-ის იყო, ვიწყებდი, ერთმა ქალმა ჩემთან სახლში თავისი ორი წლის ვაჟი, დანიელი მოიყვანა. დედა ძალიან ამაყობდა, რომ ახლა დანიელს თხოვნისამებრ შეეძლო ტაშის დაკვრა და ეს უნარი უკვე მის შესანარჩუნებელ უნართა სიაში ირიცხებოდა. ამ სამიზნის შესასწავლად დანიელს თვეები დასჭირდა. ამიტომ იყო, რომ დედამ განსაკუთრებით განიცადა, როცა ვუთხარი, უნარი ნამდვილად დაუფლებულად რომ ჩაითვალოს, დანიელმა ორი ან მეტი სამიზნის გარჩევა უნდა შეძლოსო.

მთავარი, აი, რა არის: როდესაც აუტიზმის მქონე ბავშვს ერთი დავალების შესრულებას განყენებულად ასწავლით და განმამტკიცებელს ამ ერთ დავალებაზე დიდი რაოდენობით გაცემთ, მეორე და მესამე დავალების სწავლება ძალიან გაგიძნელებათ. როცა თერაპევტი ამბობდა: „ტაში დაუკარი“, დანიელს, სავარაუდოდ, ესმოდა „ტა-ტა“. შემდეგ, როცა სამიზნე გახდა ფრაზა: „ადექი“, მას ისევ „ტა-ტა“ ესმოდა. ეს ორი სამიზნე რომ ერთად წარუდგინეთ, დანიელს პასუხის სწორად გაცემისა და განმამტკიცებლის მიღების შანსი გაუნახვრდა. მას ფრაზა „ტაში დაუკარი“ სინამდვილეში არ

უსწავლია. თუ თითო პროგრამაზე თავიდანვე სულ მცირე ორ სამიზნეს შევარჩევთ, ბავშვი მათ სწორად დიფერენცირებას თავიდანვე შეეჩვევა.

ტაში დაუკარი, ფეხები დააბაკუნე, ადექი, დაჯექი, მაგიდაზე დააკუნე, ახტი, დატრიალდი, ხელები ასწიე, გულხელი დაიკრიფე – ყველა ეს მითითება მშვენიერი სამიზნეა ინტენსიური სწავლების სესიის პირობებში. ყოველი მათგანი, რომლის შესრულება ბავშვს უკვე შეუძლია, შეიტანეთ კარტოთეკაში და სწავლის პროცესში უცნობ ინსტრუქციებს უკვე ნაცნობი მითითებები შეურიეთ.

როცა დასწავლილი სამიზნეების სია ხელში გექნებათ, შეგიძლიათ თითოეული გაკვეთილის წინ მოსინჯოთ, თუ როგორ ართმევს ამ მითითებებს თავს ბავშვი (შესაბამისი ანკეტა იხილეთ დანართში 4).

ვთქვათ, ცდილობთ, ბავშვს ასწავლოთ, როგორ უნდა მოიქცეს შემდეგი თხოვნის შემთხვევაში: „ტაში დაუკარი“, „ფეხები დააბაკუნე“ და „ადექი“.

სანამ ბავშვს რაიმეს ასწავლით, იღებთ რომელიმე სამიზნეს (ყოველთვის ერთსა და იმავეს – არა; თანმიმდევრობა შეცვალეთ ხოლმე) და აფასებთ, შეუძლია თუ არა მას მითითებაზე სწორად რეაგირება დახმარების გარეშე. წინადადების „ფეხები დააბაკუნე“ წარმოთქმისას, ეცადეთ, თვალი მისი ფეხებისკენ არ გაგექცეთ, რადგან ეს დახმარებაა. ფრთხილად უნდა იყოთ სასინჯი შეფასების დროსაც, რომ შემთხვევით როგომე არ მიეხმაროთ. ხმას არ აუწიოთ, არც მითითებისას „ტაში დაუკარი“ ბავშვის ხელებისკენ არ გაიხედოთ, არც სხეულზე შეეხოთ. ბავშვის პასუხი აღრიცხეთ ანკეტაში „დიახ“ ან „არას“ შემოხაზვით. „დიახ“ პასუხი უნდა შემოიხაზოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის რეაქცია სათანადო იყო შეხსენება-დახმარების გარეშე. ამის შემდეგ შეაფასეთ დანარჩენი ორი სამიზნე.

აი, იმის მაგალითი, თუ როგორ ტარდება რეცეპციული უნარის სასინჯი შეფასება:

ინსტრუქტორი: „ტაში დაუკარი“ – ნეიტრალური ტონით, დახმარების გარეშე.

ბავშვი: ხელს მაგიდას ურტყამს.

ინსტრუქტორი: ანკეტაში ხაზავს პასუხს „არა“.

მოცემული სამიზნეების მოსინჯვის შემდეგ შეგიძლიათ მათი სწავლება დაიწყოთ. მიზნის მისაღწევად გამოიყენეთ კარნახის შემცირებისა და ტრანსფერის ცდის პროცედურები. როდესაც ვერბალური ქცევის უკვე დაწყებულ საშინაო ან სასკოლო პროგრამაში საკონსულტაციოდ მიწვევენ და ანექტაში ბევრი „არა“ პასუხს ვხედავ, ყოველთვის ვეკითხები, სასინჯი შეფასების შემდეგ სწავლების პროცესს რა დრო დაეთმო. ამის შემდეგ გაკვეთილებს ვაკვირდები ხოლმე, რომ ვნახო, ხომ არ არის რაიმე პრობლემა ტრანსფერის ან დახმარების შემცირების თვალსაზრისით.

როგორც VII თავში უკვე აღვნიშნე, როდესაც ახალი უნარის სწავლებას იწყებთ, შეიძლება თავიდან სრულად ფიზიკური დახმარება გამოიყენოთ, შემდეგ ეს დახმარება შეამციროთ სრულად იმიტაციურ ტიპამდე და ბოლოს ნაწილობრივ იმიტაციურ დახმარებაზე გადახვიდეთ. იმისათვის, რათა მეორე დღეს სასინჯი შეფასებისას ბავშვისგან სამიზნეზე სწორი პასუხის მიღების იმედი გქონდეთ, გაკვეთილის განმავლობაში თითოეული სამიზნე რამდენჯერმე უნდა ასწავლოთ. სასინჯი შეფასება მნიშვნელოვანი იარაღია, მაგრამ თითოეული სამიზნის სასწავლად მასზე ყოველდღე საკმარისად დიდი დროის გატარება მოგიწევთ.

აი, როგორ უნდა ვასწავლოთ რეცეპციული ბრძანება, როგორიცაა „ფეხები დააბაკუნე“. სანამ რაიმე მითითებას, მაგალითად, „ფეხები დააბაკუნე“ ან „აღექი“ ასწავლით, სჯამზე მჯდომმა ბავშვი წინ დაისვით. ეს მნიშვნელოვანია: თუ ბავშვი მაგიდასთან იჯდება და „ფეხები დააბაკუნე“ მითითების მიცემისას სჯამი მაგიდისგან გაუწიეთ, გამოვა, რომ ეხმარებით. განსოვდეთ: თქვენ ახლა მოსმენის უნარზე მუშაობთ და არა ფიზიკური მოძრაობების გაგებაზე. ასე რომ ვიზუალური დახმარებისგან თავი შეიკავეთ.

ინსტრუქტორი: „ფეხები დააბაკუნე“. მაშინვე ხელებს რბილად ადებს ბავშვს მუხლებზე და ფეხებს აბაკუნებინებს – ბაკუნის ქმედების სრულად ფიზიკური დახმარება.

ბავშვი: ფეხებს აბაკუნებს ინსტრუქტორის სრულად ფიზიკური დახმარებით.

ინსტრუქტორი: „სწორია... ფეხები დააბაკუნე“. ბავშვის მუხლებს ოდნავ ეხება.

ბავშვი: ფეხებს აბაკუნებს შემცირებული დახმარებით.

ინსტრუქტორი: ბავშვს აძლევს M&M-ის კანფეტს, უდიდის და უუბნება: „ყოჩად, აი, ფეხებს როგორ აბაკუნებ!“

ინსტრუქტორი: „ტაში დაუკარი“.

უნარი, რომელზეც შემდეგ უნდა გადახვიდეთ ან თუნდაც, იმავდროულად იმუშაოთ, რადგან მოსმენის უნართან ძალიან ახლოს დგას, არის რეცეპციული სხეულის ნაწილების პროგრამა. თუ პროგრამებს გააერთიანებთ, შეძლებთ სამი სამიზნის შერჩევას, როგორებიცაა „ტაში დაუკარი“, „ფეხები დააბაკუნე“ და „მიჩვენე თავი“. სხეულის ნაწილების პროგრამის წყალობით, ბავშვი ისწავლის მითითებისამებრ სხეულის სხვადასხვა ნაწილის ჩვენებას ან მათ შეხებას. დაიწყეთ სხეულის ზომით დიდი ნაწილებით და ისეთები შეარჩიეთ, რომლებიც ერთმანეთთან ახლოს არ არის განლაგებული. კარგია, მაგალითად, ერთდროულად თავისა და მუცლის სწავლება, მაშინ, როდესაც ერთად ცხვირი და თვალები საწყის სამიზნეებად ნაკლებად გამოგადგებათ, რადგან ერთმანეთთან მეტიმეტად ახლოსაა.

ისევე, როგორც რეცეპციული ბრძანებებისას, აქაც სწავლების დაწყებამდე სამიზნეების სასინჯი შეფასება ჩაატარეთ.. ასევე, მოსმენის უნარების მსგავსად, სხეულის ნაწილების ცნობის უნარზე მუშაობისას გამოიყენეთ დახმარების, მისი შემცირებისა და ტრანსფერის პროცედურების გონივრულად შერჩეული ნაკრები.

აი, როგორ ვასწავლოთ სხეულის ნაწილების რეცეპციულად ცნობა ბავშვს, რომელსაც იმიტაციის უნარი აქვს:

ინსტრუქტორი: „მაჩვენე თავი“ და მაშინვე ეხება საკუთარ თავს.

ბავშვი: ეხება თავს ინსტრუქტორის მოდელის შესაბამისად.

ინსტრუქტორი: „ყოჩად, რომ თავი მაჩვენე“, იმავდროულად ხელი თავიდან ჩამოაქვს და გადააქვს ნეიტრალურ პოზიციაში.

ინსტრუქტორი: „მაჩვენე თავი“, დახმარების გარეშე.

ბავშვი: ეხება თავს.

ინსტრუქტორი: „მაჩვენე მუცელი“ და მაშინვე ეხება საკუთარ მუცელს.

ორივე მაგალითი გვიჩვენებს, რომ სწავლებისას ძალზე მნიშვნელოვანია სამიზნეების შენაცვლება. ნუ სთხოვთ ბავშვს თავის ჩვენებას ზედიზედ ათჯერ და შემდეგ ნუ გადახვალთ მუცელზე. ბავშვს თავიდანვე უნდა ასწავლოთ, რომ თქვენს სიტყვებს უსმინოს და ერთი მეორისგან გაარჩიოს.

მესამე რეცეპციული პროგრამა, რომელიც ქვემოთაა აღწერილი, არის რეცეპციული იდენტიფიკაცია. თუ ბავშვს რეცეპციული უნარი საერთოდ არ აქვს, იწყებთ იმით, რომ მაგიდაზე დებთ ერთ ნივთს და ბავშვს მასზე შეხებას სთხოვთ. მაგალითად, მაგიდაზე დებთ ფაჩუჩს და ეუბნებით: „მოკიდე ხელი ფაჩუჩს“. შემდეგ ფაჩუჩს მაღლა სწევთ და ბავშვს ისევ სთხოვთ, ხელი მოკიდოს. შეიძლება ბავშვმა ჯერ არ იცის და ახლა უნდა ისწავლოს, რას ნიშნავს „ხელის მოკიდება“.

მას შემდეგ, რაც ნახავთ, რომ ბავშვს იდენტიფიკაცია უპრობლემოდ გამოსდის (ან პროგრამის დაწყების მომენტში მას გარკვეული რეცეპციული უნარები აქვს), ასწავლეთ, როგორ გაარჩიოს ერთმანეთისგან ორი ნივთი ან ორი სურათი და შემდეგ თანდათანობით გაზარდეთ ნივთების ან სურათების რაოდენობა მაგიდაზე. ზოგ ბავშვს რეალური ნივთების ცნობა უკეთ გამოსდის, მაგრამ ისეთებზე მინახავს, რომლებზეც თავიდან სურათებით უკეთ აღწევენ წარმატებას. დროთა განმავლობაში ერთდროულად სურათებით და საგნებითაც იმუშავებთ.

თუ გახსოვთ, შეფასებისას (III თავი) მოგიწოდეთ, გამჭვირვალე ყუთში ჩაგეყარათ ნივთები, რომლებიც შეხამებისა და რეცეპციული იდენტიფიკაციისათვის დაგჭირდებოდათ. სწავლების მოცემულ ფაზაში დგება ამ ნივთების გამოყენების დრო.

გარდა ამისა, დაგჭირდებათ კონტეინერი, რომელშიც ჩაყრით მენდირებისათვის გამოსადეგ განმამტკიცებლებს, და თითოეული ამ საგნის ორ იდენტურ ფოტოს. ნივთს სურათი შეგიძლიათ თავად გადაუღოთ ან მისი დასახელება ჩაწეროთ www.google.com-ზე, სურათების განყოფილებაში. დააწკაპუნეთ სურათებზე, იპოვეთ და ჩამოწერეთ საჭირო სურათი. ამ ნივთებისა და სურათების გამოყენება შეგიძლიათ ყველა ოპერანტის სწავლებისას.

მოდით, რობერტის მაგალითზე ვნახოთ, თუ როგორ უნდა დავიწყოთ სწავლება. რობერტს შეუძლია ხელი მოჰკიდოს ხელში სხვადასხვაგვარად დაჭერილ ნივთს, აგრეთვე მაგიდაზე დადებულ საგნებს. მაგრამ მას განმამტკიცებელი საგნების შეხება და თამაში ისედაც სიამოვნებს, ასე რომ სჯობს, მასთან მუშაობა დავიწყოთ მაგიდაზე ორი ან სამი ჩვეულებრივი (არაგანმამტკიცებელი) ნივთის დალაგებით და დაკვირვებით, რომელ მათგანზე ხელის მოკიდებას შეძლებს ბავშვი დაუხმარებლად.

სამუშაოდ სულ მცირე სამი საგანი დაგჭირდებათ. თუნდაც რობერტი მითითებებზე „ხელი მოკიდე ფენსაცემელს“ და „ხელი მოკიდე ჭიქას“ სწორად პასუხობდეს, დარწმუნებული ვერ ვიქნებით, რომ ის ამ სამიზნეებს ფლობს. თუ მაგიდაზე მხოლოდ ორი საგანია, ალბათობა იმისა, რომ სწორ პასუხს მიიღებთ, ორი ერთზეა. თუ სამი ან, სასურველია, მეტი ნივთი დევს, უკეთ მიხვდებით, რამდენად კარგად აქვს ბავშვს სამიზნე ათვისებული.

მუშაობის პროცესში თანდათან შემოიჭანეთ ერთმანეთის მსგავსი ნივთები, მაგალითად, სანდლები და ფენსაცემლები, ჭიქა და ბოთლი. თუ ბავშვს კარგად შეძლია ნივთის სამეულში ამოცნობა, ნელ-ნელა გაზარდეთ ნივთების რაოდენობა მაგიდაზე, სანამ ის ნივთის ცნობას ექვსი ან მეტი საგნის გარემოცვაში არ შეძლებს.

რეცეპციული ილენტიფიკაციის (ამოცნობის) სწავლების პროცედურა რეალურად არის ტრანსფერის ცდებისა და დახმარების ძალზე ფრთხილად შემცირების კომბინაცია.

რობერტი რეცეპციულ ილენტიფიკაციას სწავლობს სამსაგნიანი ჯგუფის საფუძველზე. ამ უნარზე სამუშაოდ ნამდვილ, სამგანზომილებიან ნივთებს გამოვიყენებთ. ასეთ დროს ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ ბარათები თუ საგნები ერთნაირად არ დავალაგოთ ხოლმე და გაკვეთილის პროცესში ბარათები კარგად ავრიოთ. დააკვირდით, რომელ ბარათებს ირჩევს ბავშვი – ნახეთ, ხომ არ იღებს ის მხოლოდ შუაში ან მარჯვნივ თუ მარცხნივ მდებარე ბარათს. ყურადღება იმასაც მიაქციეთ, რომ ბარათები მოწესრიგებულად არ დაალაგოთ, რადგან ამან ბავშვში შეიძლება ობსესია გამოიწვიოს და არასასურველი ქცევებისკენ უბიძგოს.

ინსტრუქტორი: მაგიდაზე ალაგებს ფენსაცემელს, ჭიქას ან ავტომანქანას, ამბობს: „დაადე ხელი მანქანას“ და მაშინვე ხელით აჩვენებს ან ხელს ადებს მანქანას (ქესტური დახმარება).

რობერტი: ხელს ადებს მანქანას.

ინსტრუქტორი: „სწორია. დაადე ხელი მანქანას.“

რობერტი: მანქანას დაუხმარებლად ეხება.

ინსტრუქტორი: „თავი სად არის?“ (უკვე ათვისებული უნარი)

რობერტი: თავზე იკიდებს ხელს.

ინსტრუქტორი: „კარგია. მანქანა სად არის?“ დახმარების გარეშე.

რობერტი: მანქანას კიდებს ხელს.

ინსტრუქტორი: ცოტა ხნით ურთავს ბავშვს ფილმს DVD-ზე და აქებს მას.

სწავლების პროცესში უკვე ნაცნობი უნარების (ზემოთ მოყვანილ მაგალითში: „სად არის თავი?“) შერევას ყურადღების გადატანის ცდა ეწოდება. შეიძლება ბავშვმა ყურადღების გადატანის ცდებისათვის მზაობა უკვე გაკვეთილების ადრეულ ეტაპზე გამოავლინოს. ეს დახმარებით შესრულებული რეცეპციული იდენტიფიკაციისა და დამოუკიდებელი ცდების ერთმანეთისგან განსხვავებაში გვეხმარება. აქ ჩვენი მიზანი ის იქნება, რომ ხვალ, სასინჯი შეფასებისას რობერტმა სწორი რეაქცია ყოველგვარი დახმარების გარეშე მოგვცეს. ამასი მას დავეხმარებით, თუ გაკვეთილის დროს ნაცნობი უნარების შერევით ბავშვს მეტი დამოუკიდებელი პასუხის საშუალებას მივცემთ.

იმიტაციის უნარების სწავლება

ტიპურად განვითარებადი ბავშვი იმიტირებას ადვილად ახერხებს და მისთვის ამ უნარის სწავლებას დიდი ძალისხმევა არ სჭირდება. თუმცა, აუტიზმის მქონე ბავშვებს სხვა ადამიანების მიბაძვა, ჩვეულებრივ, ძალიან უჭირთ და, როგორც წესი, იმიტაციის სუსტი უნარი აქვთ. იშვიათად თუ ნახავთ, როგორ ბაძავენ ისინი მოთამაშე ბავშვებს ან სახლის საქმეებით დაკავებულ მშობლებს ან თუნდაც საბავშვო ბაღში, წრის აქტივობისას სხვა ბავშვების ხელის შესტებს.

იმიტაციის უნარის არმქონე ბავშვებისათვის მისი სწავლება ძალიან მნიშვნელოვანია. ლოვაასის ქცევის გამოყენებითი ანალიზის პროგრამაში, პირველ რიგში, ისწავლება სწორედ მსხვილი მოტორული იმიტაცია, რაც მოძრაობას, მაგალითად, ფეხების ბაკუნს და ტამის დაკვრას გულისხმობს. ლოვაასის კონსულტანტები გვიჩვენებენ ხოლმე, ამის შემდეგ ნატიფ მოტორულ იმიტაციაზე გადავიდეთ, რასაც ორალური მოტორული იმიტაცია და ბოლოს ხმოვანი იმიტაცია მოჰყვება. სწორედ ამ თანმიმდევრობით ვასწავლიდით ლუკასსაც, რომელსაც თავიდან არც იმიტაციის უნარი გააჩნდა, არც მითითებით სიტყვის გამეორება შეეძლო. ამ თანმიმდევრობამ ეფექტურად იმუშავა, თუმცა, ვერბალური იმიტაციის ვარჯიშებზე გადასვლას რამდენიმე თვე დასჭირდა.

ვერბალური ქცევის მიდგომის პროგრამებში იმიტაციას მეც ძალზე სერიოზულად ვუდგები. თუმცა, ექოსებრი თუ ვერბალური

იმიტაციის უნარებზე მუშაობაზე დასაწყებად მოტორული იმიტაციის უნარის გამყარებას ნუ დაელოდებით. ექოსებრ ოპერანტს შემდეგ თავში შევხებით. ახლა კი მოტორული იმიტაციის უნარის სწავლებას შევეხეთ.

დამწყებებთან, როგორც წესი, იმიტაციის ორი პროგრამით ვმუშაობ: სათამაშოთი ან ობიექტით იმიტაცია და მსხვილი მოტორული იმიტაცია. როგორც ვერბალური ქცევის, აგრეთვე ლოკაასის პროგრამებს, ჩვეულებრივ, იმიტომ აკრიტიკებენ, რომ მათში თამაშის უნარს ნაკლები ყურადღება ეთმობა. კრიტიკოსების თქმით, ჩვენ ენის წვრთნით უფრო ვართ დაკავებულნი, მცირეწლოვანი ბავშვები კი ყველაფერს, მათ შორის, ენას, თამაშით სწავლობენ. თუმცა, მე, როგორც ქცევის ანალიტიკოსი, ვფიქრობ, რომ ყველა ბავშვს სათამაშო სულაც არ უყვარს, არც კი იცის, როგორ ითამაშოს და, საერთოდ, თამაში არ აინტერესებს. ვიცი, რომ თამაშის უნარის სწავლებაზე ისევე უნდა ვიმუშავო, როგორც ენობრივ უნარებზე ვმუშაობდი. ამ დროს ისევე ვიქცევი, როგორც ყველა სხვა გაკვეთილზე – ბავშვს მისთვის უინტერესო სათამაშოებს ვუწყვილებ ძლიერ განმამტკიცებლებთან.

დასაწყისისათვის ძალიან კარგია სათამაშოთი იმიტირება. ის გამოგვადგება დამწყების შემთხვევაშიც და ადვილად გამოიყენება მენდირების პროგრამასთან ერთად. სათამაშო კარგი ინსტრუმენტიც ასევე იმიტომ, რომ ბავშვები ხედავენ, როგორ ერთობით და ამ დროს წარმოდგენაც არ აქვთ, რომ სინამდვილეში მუშაობენ.

დაიწყეთ ჩვილებისათვის განკუთვნილი სათამაშოებით, თუ, რა თქმა უნდა, ბავშვს ასეთები მოსწონს. მოიმარჯვეთ ჩაქუჩი და ბურთი, ბზრიალები, გამოსახტომი სათამაშოები. ასევე მოსახერხებელია ჭიქებისა და კოვზების, „ფიშერ ფრაისის“ პატარა ფიგურების, ფერმის შენობებისა თუ თოჯინების სახლის, ავტომანქანების გამოყენება. პროგრამა დაიწყეთ ორ-ორი იდენტური კომპლექტით, ერთი თქვენთვის, ერთი – ბავშვისთვის. როდესაც რაიმეს გააკეთებთ, მაგალითად, ხალიჩაზე ავტომანქანას გაატარ-გამოატარებთ ან ჭიქას კოვზით მოურევთ, იმავდროულად მიეცით ბავშვს მითითება: „ასე გააკეთე“. მაშინვე აიღეთ ბავშვის ხელი და მოქმედება შეასრულებინეთ (დაეხმარეთ) მის სათამაშოზე. ამის შემდეგ ნელ-ნელა შეამცირეთ დახმარება, როგორც აქამდე იქცეოდით.

დაიწყეთ მარტივი სამიზნით. მაგალითად, უთხარით: „ასე გააკეთე“, მოურიეთ ჩაის ჭიქას კოვზით, ბავშვს მოქმედების შესრულებაში მიეხმარეთ და დახმარება შეამცირეთ. მერე ისევ მიუთითეთ: „ასე გააკეთე“ და თოჯინას კოვზი პირთან მიუტანეთ, თითქოს აჭმევთ. ასეთი მიდგომა ბავშვს ასწავლის, რომ კოვზს სხვადასხვა გამოყენება აქვს. თუ კოვზით მხოლოდ ერთი სამიზნე მოქმედებას შეასრულებთ და ჭიქას მოურევთ, მომავალში, როცა ბავშვი ჭიქასა და კოვზს დაინახავს და მითითებას „ასე გააკეთე“ გაიგონებს, ის ყოველთვის კოვზს აიღებს და ჭიქას მოურევს.

კელის მაგალითზე ვნახოთ, როგორ სრულდება ეს პროცედურა:

ინსტრუქტორი: „ასე გააკეთე“, ავტომანქანას აქეთ-იქით აგორავებს და შემდეგ სრულად ფიზიკურად ეხმარება კელის მისი ავტომანქანის აქეთ-იქით გატარებაში.

კელი: ავტომანქანას დახმარებით აქეთ-იქით აგორავებს.

ინსტრუქტორი: „სწორია. ასე გააკეთე“ და ავტომანქანას აქეთ-იქით აგორავებს (კელის ავტომანქანისკენ მიუთითებს ან, საჭიროების შემთხვევაში, ნაწილობრივ ფიზიკურად ეხმარება ბავშვს).

კელი: ჟესტური დახმარებით ავტომანქანას აქეთ-იქით აგორავებს.

ინსტრუქტორი: „ყოჩაღ... აი, შენ ფერადი ფანქრები და სახატავი ფურცლები“ (კელის საყვარელი საგნები).

სათამაშოთი იმიტაციის პროგრამასთან ერთად, გირჩევთ, მოტორული იმიტაციის პროგრამა დაიწყოთ. კარგი იქნება ისეთი რეაქციების შერჩევა, რომლებიც ასევე გაქვთ რეცეპციული, მითითებებისა და სხეულის ნაწილების პროგრამების სამიზნეთა რიგებში. ეს უნარები ადვილად ტრანსფერდება ოპერანტებს შორის და სამიზნეთა დაუფლებას უწყობს ხელს. ასეთ დროს დიდი ყურადღება დაუთმეთ სასინჯი შეფასების სიზუსტეს. ვერბალური ქცევის ერთერთ პირველ გაკვეთილზე, რომელსაც მე დავესწარი, ვაკვირდებოდი, როგორ აფასებდა ერთერთი მასწავლებელი ბავშვის შესაძლებლობებს. მასწავლებელი თავად ტაშის დაკვრისას ბავშვს ეუბნებოდა: „ტაში დაუკარი“. მე იგი შევაჩერე და ვკითხე, რომელ ოპერანტს აფასებდა. თუ რეცეპციული უნარი ფასდებოდა, მაშინ მოქმედების ვიზუალური მოდელი არ უნდა მიეცა. თუ იმიტაციის უნარი ფასდებოდა, მაშინ ვერბალური დახმარება („ტაში დაუკარი“) არ უნდა მიეშველებინა. თითოეული უნარი ცალ-ცალკე უნდა შეფასდეს.

იმიტაციის უნარები ყოველთვის ფასდება მითითებით „ასე გააკეთე“. თუმცა, ერთი და იმავე სამიზნეების შერჩევის ნამდვილ უპირატესობას სასინჯი შეფასების დასრულების შემდეგ დაინახავთ. სწავლების დროს შეგიძლიათ ოპერანტებს შორის ტრანსფერის ცდის პროცედურებს მიმართოთ და, ალბათ, მალე დაინახავთ, რომ ბავშვი სამიზნეებს უფრო სწრაფად ითვისებს და განზოგადებასაც უკეთ ახერხებს.

აი, მაგალითი, რომლის ფარგლებში ინსტრუქტორი ჯულის მოტორული იმიტაციის უნარს ასწავლის:

ინსტრუქტორი: უკრავს ტაშს, ამბობს: „ასე გააკეთე“ და ბავშვს ნაწილობრივ ფიზიკურად ეხმარება.

ჯული: უკრავს ტაშს.

ინსტრუქტორი: „სწორია... ასე გააკეთე“, უკრავს ტაშს.

ჯული: დაუხმარებლად უკრავს ტაშს.

ინსტრუქტორი: „ასე გააკეთე“ და თავზე ორივე ხელს იკიდებს.

ჯული: თავზე ორივე ხელს იკიდებს (დახმარების გარეშე, რადგან ეს უნარი უკვე ათვისებული აქვს).

ინსტრუქტორი: „ყოჩაღ! ასე გააკეთე“ და ტაშს უკრავს.

ჯული: ტაშს უკრავს დახმარების გარეშე.

ინსტრუქტორი: „ძალიან ყოჩაღი ხარ“, ჯულის დიდი ბუმბულით უღიტინებს.

ვიზუალური ანუ შეხამების უნარების სწავლება

ბოლო არავერბალური ოპერანტი არის ვიზუალური უნარი. მის სწავლებას ვიწყებთ თავსატეხების აწყობის, აგრეთვე იდენტური საგნებისა და სურათების შეხამების სწავლებით.

დროა, იდენტური საგნების კრებულები და იდენტური ბარათების ორი კომპლექტი მოიმარჯვოთ. არიან ბავშვები, რომლებიც ვიზუალურ დავალებებს უკეთ ასრულებენ, როდესაც ისეთ საშუალებებს (ნამდვილ საგნებსა თუ სურათებს) ვიყენებთ, რომლებიც, იმავდროულად, ძლიერი განმამტკიცებლები არიან.

შეხამების უნარის შეფასებისას ვიყენებთ ფრაზებს: „შეუხამე“ ან „ერთნაირთან დადე“, ან საერთოდ არაფერს ვამბობთ და ბავშვს ბარათებს სათითაოდ ვაძლევთ.

თუმცა, ამ უნარს რომ ვასწავლი, სიტყვის „შეუხამე“ ნაცვლად ან მასთან ერთად ყოველთვის ვასახელებ საგანს და ვქვსტიკულირებ, თუ ბავშვი ქვსტიკურ ენას იყენებს. ეს პროგრამაში ენისა და მარტივი სიტყვების შეტანას ემსახურება. შესაძლებელია, ბავშვმა თავისით ისწავლოს საგნის დასახელება და თუ სიტყვას ხშირად გაიგონებს, უკეთ შეძლოს მისი რეცეპციულად იდენტიფიცირება. შეხამების აქტივობასთან რეგულარულად გაწყვილების წყალობით, მან შეიძლება თქვენ მიერ ნათქვამი სიტყვების გამეორებაც დაიწყოს.

აი, როგორ ისწავლება აღნიშნული უნარი ჯოშისა და მაგიდაზე დალაგებული სამი ნივთის მაგალითზე:

ინსტრუქტორი: მაგიდაზე ალაგებს კოვზს, ბარნის პლასტიმასის ფიგურასა და პატარა, რბილ სათამაშო კატას. შემდეგ ჯოშს აძლევს მეორე, იდენტურ ბარნის ფიგურას და წარმოთქვამს: „ბარნი“, თან ჯოშს ქვსტიკით ანიშნებს, მისი ბარნის ფიგურა მაგიდაზე მოთავსებული ბარნის ფიგურის გვერდით დადოს.

ჯოში: ბარნის მეორე ბარნის გვერდით დებს.

ინსტრუქტორი: „სწორია“. იღებს ბარნის მეორე ფიგურას და ჯოშს უბრუნებს. „ბარნის შეუხამე“.

ჯოში: ბარნის დახმარების გარეშე უხამებს მეორე ბარნის.

ინსტრუქტორი: ჯოშისთვის უშვებს საპნის ბუშტებს.

შეხამების უნარების სწავლებისას ბავშვს უფლება არ მისცეთ, სამუშაო ნივთებით თამაში დაიწყოს. თუ გგონიათ, რომ ბარნის ფიგურების შეხამებას ჯოში ისე ვერ შეძლებს, თავიდან რომ არ წაეთამაშოს, სჯობს, შესახამებლად სხვა ნივთები აიღოთ ან ფიგურების ნაცვლად სურათები გამოიყენოთ. სურათების შეხამებისას იგივე პროცედურა გამოიყენება, რაც რეალური ნივთების შემთხვევაში. მას შემდეგ, რაც ჯოში სურათების სურათებთან და საგნების საგნებთან თავისუფლად შეხამებას ისწავლის, შეგიძლიათ პროცედურა გაართულოთ და სურათები საგნებთან შეახამებინოთ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება, თუ სამომავლოდ სურათებიანი განრიგის გამოყენებას გეგმავთ.

თავსატეხები მეტად სახალისო აქტივობაა, რადგან ბევრი აუტიზმის მქონე ბავშვი ძალზე ვიზუალურად ორიენტირებულია და თავსატეხი შეიძლება კარგი განმამტკიცებელი აღმოჩნდეს. თუ ბავშვი

მოწადინებულა, თავსატეხი დაასრულოს, ან კონკრეტული თანმიმდევრობით ააწყოს, ეს თქვენს მიზანს ძალიან წაადგება, რადგან უბიძგებს, თავსატეხი ან მისი ნაწილები მენდირებით მოითხოვოს. სხვა შემთხვევების მსგავსად, თავსატეხის აწყობაში გართულ ბავშვს რაც შეიძლება მეტი ელაპარაკეთ.

უნარზე მუშაობას მაშინაც შეძლებთ, თუ თქვენი შვილი მათ რიგებშია, ვისაც თავსატეხები არ უყვარს. ამისათვის თავსატეხი ძლიერ განმამტკიცებელთან უნდა იყოს გაწყვილებული. შეგიძლიათ ტელევიზორი დატოვოთ ჩართული. იმავდროულად შეიძლება ბავშვს თავსატეხის ნაწილი სწორი მიმართულებით სულ ცოტათი მაინც გააჩოჩებინოთ, რომ სათანადო ადგილზე დაჯდეს და ამ დროს დამატებითი განმამტკიცებელი გადასცეთ. ეფექტურია ჯაჭვის უკუაგების ტექნიკა; მაგალითად, როდესაც მოსწავლეს აწყობილ თავსატეხს მისცემთ, რომელსაც მხოლოდ ერთი ნაწილი აკლია და ბავშვი მის აწყობას ასრულებს. მას შემდეგ, რაც ამ დავალებას თავს გაართმევს, შემდეგ ჯერზე შეუვსებლად ორი ნაწილი დაუტოვეთ.

როცა თავსატეხის აწყობის უნარზე სამუშაოდ მზად იქნებით, მცირეწლოვანი ასაკისთვის განკუთვნილი ისეთი თავსატეხები იყიდეთ, რომლებშიც საყოფაცხოვრებო ნივთების ან შინაური ცხოველების სურათებია. მაგალითად, ბავშვს თავსატეხის ნაწილს მისცემთ, სადაც ღორი ხატია და ამბობთ: „ღორი, ღორი, ღორი“. ბავშვი ღორს თავსატეხის სათანადო ადგილას დებს თქვენი დახმარებით ან დაუხმარებლად.

აი, როგორ ვასწავლით კონორს შინაური ცხოველების თავსატეხის აწყობას, რომელშიც ძაღლის სურათის გარდა ყველა ნაწილი თავის ადგილას დევს:

ინსტრუქტორი: კონორს აძლევს თავსატეხის ძაღლიან ნაწილს და ამბობს: „ძაღლი, ძაღლი, ძაღლი“, თან ეხმარება, რომ ძაღლიანი ნაწილი სწორ ადგილას დადოს.

კონორი: ძაღლს ინსტრუქტორის დახმარებით თავსატეხში დებს.

ინსტრუქტორი: ძაღლს თავიდან იღებს და კონორს უბრუნებს. თან ამბობს: „კარგია... ძაღლი, ძაღლი, ძაღლი“.

კონორი: ძაღლიან ნაწილს თავსატეხში დებს დახმარების გარეშე.

ვერბალური ქცევის პროგრამის ფარგლებში რეცეპციული, იმიტაციისა და ვიზუალური უნარების ადრეულ ეტაპზე სწავლება ბავშვის ქცევაზე შესანიშნავ ეფექტს იქონიებს. თუ ამ უნარებზე რეგულარულად ვიმუშავებთ, ბავშვი უკეთ დაიწყებს მითითებების შესრულებას, თქვენ კი უკეთ შეძლებთ მისთვის დახმარებასა და მის შემცირებაზე ვარჯიშს. ძალზე ხშირად, შედეგად, ბავშვის ენობრივი უნარიც ძლიერდება ხოლმე.

შემდეგ თავში გავცნობით ბავშვისათვის თითოეული ვერბალური ოპერანტის სწავლების პრინციპებს და ვნახავთ, რომ თითოეული ოპერანტის სწავლების საბაზისო პროცედურა ამ თავში აღწერილი პროცედურის მსგავსია. განსხვავება დახმარებაშია. ვინაიდან ბავშვს ლაპარაკს ვერ აიძულებთ, მნიშვნელოვანია, ისეთ უნარებზე ვიმუშაოთ, სადაც დახმარება შესაძლებელია და ბავშვს წარმატების მიღწევა შეუძლია. ასე ის ხვდება, რა უნდა გააკეთოს, რომ განმამტკიცებელი მიიღოს. ეს კი ახალისებს, რომ უფრო რთული უნარების სწავლების დროსაც თქვენს მითითებებს დაემორჩილოს.

გარდა ამისა, ამ უნარებზე მუშაობით ვერბალური ქცევის უკეთ სწავლებასაც შეძლებთ. დახმარებასა და მის შემცირებაში ვარჯიშით ამ უნარებს სრულად დაუფლებით და წარმატებას თავადაც დაინახავთ.

ეს ის თავია, რომელსაც უნდა დაუბრუნდეთ, თუ მომავალში იგრძენით, რომ პატარა განმამტკიცებელი თვითონაც გჭირდებათ.

ვერბალური ოპერანტების სწავლება

ყველაზე მთავარი, რაზეც უნდა იმუშაოთ, ისაა, რომ უზრუნველყოთ, ერთი მხრივ, თერაპევტსა და ბავშვს შორის დადებითი ურთიერთობის არსებობა და, მეორე მხრივ, ის, რომ ბავშვმა შეძლოს მის თვალთახედვაში არსებული რამდენიმე საგნის მენდირება.

რაკი ეს ორი ბარიერი გადალახეთ, დროა, დანარჩენი ვერბალური ოპერანტების – ტაქტირების, ექოსებრი და ინტრავერბალური უნარების სწავლება დაიწყოთ.

VIII თავში განხილული არავერბალური ოპერანტები, მათი მნიშვნელობის მიუხედავად, პროგრამის მთავარი სამიზნე არასოდეს უნდა იყოს. თქვენი ამოცანაა, რაც შეიძლება სწრაფად აიძულოთ ბავშვი კომუნიკაცია დაამყაროს, იქნება ეს ხმით, ჟესტებით თუ რაიმე სხვა სისტემით.

ვერბალური ქცევის გაკვეთილებზე ბავშვს მაქსიმალური შესაძლებლობა მიეცით, ვერბალურად რეაგირებაში ივარჯიშოს. ნუ გადაიტანთ მთელ ყურადღებას არავერბალურ ოპერანტებზე, რომლებითაც ასე დატვირთულია სტანდარტული ქცევის გამოყენებითი ანალიზის პროგრამები.

ქცევის გამოყენებითი ანალიზის / დისკრეტული სწავლების პროგრამებში არავერბალური ოპერანტების მნიშვნელობა იმიტომაა ხაზგასმული, რომ ამ ოპერანტებში დახმარება ადვილია და, გარდა ამისა, მათი სწავლება ხმით არამეტყველი ბავშვებისთვისაც შეიძლება, რაც მიღწეული წარმატების განმამტკიცებლად გვევლინება. საშინაო თუ სასკოლო პროგრამებზე კონსულტირებისას თუ დაგეგმილი პროგრამებისა და ინტენსიური სწავლების პროცესის შეფასებისას მე ყოველთვის ვცდილობ, პროგრამაში წარმოდგენილი იყოს ყველა ვერბალური ოპერანტის კარგად დაბალანსებული ნაკრები. ეს ხდება ჯერ არახმოვან ბავშვებთანაც კი. კარგია, როდესაც გაკვეთილზე დაგეგმილი ყველა ცდის 50% მაინც ვერბალურ პასუხს (ჟესტებით ან ხმით მეტყველება) მოიცავს. ვერბალური ოპერანტების სწავლება უფრო ძნელია, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ ჩვენი მიზანი კომუნიკაციის შემძლე ბავშვია, ვნახავთ, რომ ეს დამატებით ძალისხმევად ნამდვილად ღირს.

ჩვენ უკვე ვნახეთ, როგორ უნდა ვასწავლოთ მენდირების უნარი. დანარჩენ ოპერანტებზე გადასვლამდე ბავშვს რამდენიმე საგნის მენდირება უნდა შეეძლოს. ბავშვს მენდირება უნდა შეეძლოს ვერბალური ნიშნის ან ქესტის ფორმირებაში დახმარების გარეშეც. სამწუხაროდ, ხშირად ვხვდები თერაპევტებს, რომლებიც სიჩქარეში სხვა ოპერანტებს მანამდე ასწავლიან, სანამ ბავშვი მენდირებას დაუფლდება. ეს კი უმეტესწილად პროგრამის ჩავარდნისკენ მიმავალი გზაა.

ბავშვს მენდირების უნარი იმიტომ უნდა ჰქონდეს, რომ ბევრი საწყისი ტაქტი, ექსპერტი და ინტრავერბალური ოპერანტი სწორედ მენდის ფარგლებში ისწავლება. ეს იმას ნიშნავს, რომ ვიღებთ უკვე ათვისებულ მენდებს და ეს უნარი სხვა ვერბალურ ოპერანტებში გადაგვაქვს. თუ ბავშვს სიტყვის არც წარმოთქმა შეუძლია და არც ქესტით მინიშნება, არადა, აშკარად მოტივირებულია, რაიმე საგანი მიიღოს, მაშინ ვერც ამ საგნის ტაქტირებას ასწავლით და ვერც ექსპერტი ოპერანტის დაუფლებაში დაეხმარებით. მენდირება ყველაფერ დანარჩენს ყოველთვის წინ უნდა უსწრებდეს.

ტაქტირების უნარების სწავლება

„ტაქტი“ არის ისეთი რაიმეს ნიშანდება თუ სახელდება, რაც შეიძლება დავინახოთ, გავიგონოთ, დავყნოსოთ, დავაგემოვნოთ ან შევეხოთ. ტაქტის წინაპირობა არის რაიმე სახის სტიმული (თავად ეს საგანი, სურათი, ხმიანობა ან სუნი), ხოლო ტაქტის შედეგი არის არაპირდაპირი განმამტკიცებელი, მაგალითად, შექება.

ტექნიკურად, წმინდა სახის ტაქტის წინაპირობა საერთოდ არ უნდა გულისხმობდეს ინსტრუქტორის მიერ დასმულ შეკითხვას: „რა არის ეს?“. წინაპირობა უნდა იყოს ბავშვის მიერ გარემოში არსებული რაღაცის შემჩნევა და მასზე კომენტირება. „ნახე, ძროხა!“ ან „ბეკონის სუნია“. ამგვარი სპონტანური, წმინდა სახის ტაქტი ჩვეულებრივ თქვენი ყურადღების მენდირებაა. აუტიზმის მქონე ბავშვები სწორედ ამაში მოიკოჭლებენ. მაგრამ ყურადღების მენდირება პროგრამის გვიანდელ ეტაპზე შემოდის; ასე რომ არარეალისტური მოლოდინი იქნებოდა, ბავშვს ტაქტირება ისე ვასწავლოთ, რომ მას არ დაუუსვათ შეკითხვა: „რა არის ეს?“

კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ინსტრუქტორები ტაქტირების უნარის განვითარებას სწორედ ამ გზით უწყობენ ხელს, ისაა, რომ გარემოში სტიმულის ცვლილება ბევრი სხვადასხვა სასწავლო საშუალების შექმნაში გვეხმარება. აუტიზმის მქონე ზოგიერთი ბავშვის შემთხვევაში, უნარის საბოლოო დაუფლებამდე ერთ საგანზე ასეულობით ცდის ჩატარებაა საჭირო. ტიპური ბავშვი ხშირად ახალ სიტყვას ერთი გაგონებისთანავე ითვისებს, მაგრამ აუტიზმის მქონე ბავშვებში, როგორც წესი, ასე არ ხდება.

მოკლედ, სწორედ ამიტომაც, რომ ტაქტის წინაპირობა სტიმულსაც (მაგალითად, სურათი ან ხმიანობა) მოიცავს და ინსტრუქტორის მიერ დასმულ შეკითხვასაც (რა არის ეს? რისი ხმა გესმის?).

ვერბალური ქცევის მიდგომის გამოყენების პროცესი შავ-თეთრი არაა და ამას მხოლოდ ტაქტირების უნარის სწავლებისას არ ვხედავთ. ხშირად ხდება ისე, რომ ბავშვი ან მოზრდილი რაიმეს იტყვის და უცბად ხვდება, რომ ეს ნაწილობრივ მენდია, ნაწილობრივ კი – ტაქტი; ან ნაწილობრივ – ტაქტი და ნაწილობრივ – ინტრავერბალური ოპერანტი. ამაზე ფიქრით თავს ნუ გადაიღლით, რადგან თქვენი მიზანი ბავშვის ამეტყველებაა. რეალობაში მეტყველების დიდი ნაწილი მრავალფაქტორულია, რაც იმას ნიშნავს, რომ მასში ერთზე მეტი ოპერანტი მონაწილეობს. წარმატებული სამუშაოს საიდუმლოც ესაა – ოპერანტებს ერთმანეთში ვურევთ და ერთი მათგანიდან კონტროლი სხვა ოპერანტებზე გადაგვაქვს.

რასაკვირველია, ტაქტირება დანახულის სახელდებაა, მაგრამ ის იმის სახელდებაცაა, რის სუნსა და გემოსაც ვგრძნობთ, რაც გვესმის, რასაც ვეხებით. ამ თავში ვიზუალური და ხმოვანი სტიმულების ტაქტირების სწავლების პრინციპებს განვიმარტავთ.

ვიწყებთ იმით, რასაც ვხედავთ, შემდეგ კი გადავდივართ იმაზე, რაც გარემოში გვესმის (აქ ერთ-ერთი სამიზნე ცხოველთა ხმებიცაა). სუნის, გემოსა და ტექსტურის ტაქტირება უფრო აბსტრაქტულია და მოგვიანებით ისწავლება. ასევე უფრო მაღალი დონეა ფერები, შემადგენელი ნაწილები (კომპიუტერის ეკრანი), ზედსართავი სახელები (ცხელი და ცივი) და თანდებულები (ფისო ყუთ-ზეა და ფისო ყუთ-შია). ამ ეტაპზე ეს მაღალი დონის უნარები არ გვანტერესებს. მათ სწავლებას იქამდე მაინც არ დავიწყებთ, სანამ ბავშვი ასეულობით მარტივი საგნის ტაქტირებას არ ისწავლის.

მინახავს ბავშვები, რომელთაც აუტიზმის დიაგნოზი სულ ცოტა ხნის დასმული აქვთ და, მაგალითად, აკეთებენ ყვითელი სკამის სახელდებას, სახანძრო მანქანას კი „წითელს“ უწოდებენ. მათ მშობლებსა და თერაპევტებს კარგი მიზნები ამოძრავებთ და ისინიც ბავშვს ასწავლიან ფერებს, ნაწილებს, ფუნქციებს, თანდებულებსაც კი; არადა, ბავშვს ჯერ მყარი საფუძველი არ აქვს. როდესაც ფერებსა და უფრო მაღალი დონის უნარებს ნაადრევად ვასწავლით, ბავშვი იბნევა, იწყებს სიტყვების არასწორად დაჯგუფებას, უჭირს ზმნის თურმეობითი სერიის სხვადასხვა სახეობის გარჩევა.

თუ ბავშვს ვასწავლით „ყვითელ სკამს“ ან ფრაზას „სახანძრო მანქანა წითელია“, მან შეიძლება ჩათვალოს, რომ ყველა სკამი ყვითელია, სახანძრო მანქანას კი „წითელი“ ეწოდება. ბევრად სჯობს, ბავშვი ჯერ თავისუფლად დაეუფლოს საბაზისო ტაქტებს და ფერების სწავლა მოგვიანებით დაიწყოს. რეკომენდებულია ფერისა და ტაქტის კომბინირებას მხოლოდ მას შემდეგ მოჰკიდოთ ხელი, რაც ბავშვი ამ ცნებებში ცალ-ცალკე გაიწაფება. ენის, მეტყველების სწავლება პირამიდის მშენებლობას ჰგავს – ყოველი შემდგომი სართული მხოლოდ მყარ საფუძველზე უნდა აღიმართოს.

გახსოვდეთ: თუ ბავშვს ჰკითხეთ: „ეს რა არის?“ და სკამზე მიუთითეთ, მისი პასუხი უნდა იყოს „სკამი“. ხოლო თუ იმავე სკამზე მიუთითეთ და ჰკითხეთ: „რა ფერისაა?“ პასუხად უნდა მიიღოთ „ყვითელი“. ამ ორიდან რომელიმე შეკითხვაზე პასუხად „ყვითელი სკამის“ გაცემა სერიოზული შეცდომაა, რომელიც მაშინვე უნდა გასწორდეს. სანამ ბავშვი 100 ან მეტ მარტივს ტაქტს არ დაეუფლება, ფერების, ნაწილებისა და სხვა აბსტრაქტული ცნებების ტაქტირების სწავლებას მოერიდეთ.

როცა ბავშვს საფუძველები ეცოდინება, მუშაობას უფრო მაღალი დონის უნარებზე მსგავსი პრინციპით გააგრძელებთ და ტაქტირების სწავლების ტექნიკა, სტიმულის მიუხედავად, იგივე დარჩება.

მამ ასე, უკვე იცით, რომ ბავშვს შეუძლია თვალთახედვაში არსებული ათი საგნის მენდირება. ერთად მოაგროვეთ ის ნივთები, რასაც ის განმამტკიცებლად აღიქვამს (და რომელთა მენდირება შეუძლია), აგრეთვე ყველა იმ საგნის სურათი, რომელთა მენდირება უკვე ნასწავლი აქვს.

მენდის ტაქტზე ტრანსფერის ცდის ტექნიკა უკეთ იმუშავებს, თუ განმამტკიცებლის ნაცვლად სურათებით ისარგებლებთ, რადგან რეალური ნივთების ახლომანლო ქონა მოტივაციას გააჩენს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბავშვი დაიწყებს ნივთის მენდირებას და არა – ტაქტირებას. თუ ბავშვს უყვარს კანფეტის კონკრეტული სახეობა და დანახვისას მას ითხოვს (მენდირებს), სავარაუდოდ, ტაქტირების ნაცვლად მის მენდირებას შეეცდება. ჩვეულებრივ, უფრო ეფექტური მიდგომაა, ვასწავლოთ განმამტკიცებელი საგნის სურათის ტაქტირება მას შემდეგ, რაც იგი რეალური საგნის მენდირებას შეძლებს.

სურათების გამოყენება აგრეთვე აადვილებს ვერბალური ქცევის შერეულ გაკვეთილს. ასი ნივთის სურათების თავმოყრა უფრო მარტივია, ვიდრე – ამ ასი ნივთისა. თუმცა, იქონიეთ ზოგიერთი რეალური ნივთიც, რადგან ფუნქციურად უფრო გამართულია, როდესაც ბავშვი რეალურ ფეხსაცმელს ტაქტირებს, ვიდრე ამ ნივთების ფოტოებს. არიან ბავშვები, რომლებიც ადვილად აკეთებენ განზოგადებას და როცა ჭიქის სურათის ტაქტირებას ისწავლიან, ბუნებრივ გარემოში რამდენიმე სხვადასხვაგვარი ჭიქის ტაქტირებასაც აითვისებენ ხოლმე. არიან ისეთებიც, რომლებსაც სპეციალურად უნდა ასწავლოთ არა მხოლოდ განსხვავება რეალურ ჭიქასა და ჭიქის სურათს შორის, არამედ ჭიქის განსხვავებულ სახეობებს შორისაც კი. ტაქტირებაზე მუშაობისას ეს ყველაფერი გაითვალისწინეთ, რომ პროგრამა შესაბამისად ააგოთ.

ისევე, როგორც ყველა ოპერანტის შემთხვევაში, ჯერ საწყისი შეფასება კეთდება, რათა ნახოთ, რომელი საგნების ტაქტირება შეუძლია ბავშვს დანმარებით თუ დაუნმარებლად. თუ ბავშვმა რამდენჯერმე უკვე შეძლო განმამტკიცებელი საგნების რამდენიმე სურათისა და საყოფაცხოვრებო ნივთების ტაქტირება, შეადგინეთ ამ საგნების სია და შეამოწმეთ, რომელთა ტაქტირება იცის ბავშვმა. ასეთი სიტყვები პლუსით მონიშნეთ, მინუსი კი დაუსვით სიტყვებს, რომლებსაც ის შეცდომით ან საერთოდ ვერ ამბობს. პლუსიანი სიტყვები უკვე დაუფლებულ ტაქტებად ითვლება და მათი შეფასება ან სწავლება საჭირო აღარაა.

ვერბალური ქცევის პროგრამაში არცთუ იშვიათად გვხვდებიან ბავშვები, რომლებსაც ტაქტირების უნარი არ აქვთ. თუ თქვენი შვილი მათ შორისაა, პოტენციური სამიზნეები უკვე დაუფლებული

მენდების სიიდან შეარჩიეთ. გამოიყენეთ ის სიტყვები, რომელთა მენდირება ბავშვს შეუძლია (ორცხობილა, საქანელა, კატა, რძე, ბზრიალა) და ეს სიტყვები იხმარეთ ყველა ვერბალურ და არავერბალურ ოპერანტში. ჩვეულებრივ, აუტიზმის მქონე ბავშვების უმეტესობას ტაქტირება უფრო უჭირს, ვიდრე არავერბალური ოპერანტები, ამიტომ თავდაპირველად აუცილებლად მოსინჯეთ ბავშვის მზადყოფნა. დაუშვებელია, ფრაზით „დაადე თითი ორცხობილას“ ჯერ რეკვაციული სამიზნე მოვსინჯოთ და შემდეგ ტაქტის წინასწარ შეფასებაზე გადავიდეთ და ვკითხოთ „ეს რა არის?“. თქვენ ხომ ბავშვს ამ წუთას უკვე დაეხმარეთ და უთხარი, რომ ეს საგანი ორცხობილაა!

აი, როგორ მიმდინარეობს ტაქტირების სასინჯი შეფასება რაიანის შემთხვევაში:

ინსტრუქტორი: მალლა სწევს ორცხობილის სურათს (გამოსახულებად და ჰგავდეს იმ ბრენდის ორცხობილას, რომელსაც რაიანი იცნობს და რომლის მენდირება შეუძლია) და ამბობს: „ეს რა არის?“

რაიანი: შესტით „ორცხობილა.“

ინსტრუქტორი: „ყოჩად“, უშვებს საპნის ბუშტებს (საყვარელი საგანი / ნაცნობი განმამტკიცებელი) და წინასწარი შეფასების ანკეტაში მონიშნავს პასუხს „დიახ“.

ინსტრუქტორი: მალლა სწევს რაიანის საქანელის სურათს და ეკითხება: „ეს რა არის?“

რაიანი: შესტით „ხტუნვა“ (შეცდომა)

ინსტრუქტორი: რაიანს ხელს ჩამოაწევიანებს, საქანელის სურათს ისევ მალლა სწევს, ეკითხება: „რა არის ეს?“ და ხელით მაშინვე აკეთებინებს შესტს „საქანელა“, თან წარმოთქვამს „საქანელა“.

რაიანი: შესტით „საქანელა“ სრულად ფიზიკური დახმარებით.

ინსტრუქტორი: „მართალია. ეს რა არის?“ და ისევ საქანელის სურათს სწევს მალლა.

რაიანი: შესტით „საქანელა“.

ინსტრუქტორი: „მართალია. ეს არის საქანელა!“ თან შესტით ანიშნებს „საქანელა“. წინასწარი შეფასების ანკეტაში ინიშნავს პასუხს „არა“.

ანკეტაში „დიახ“ პასუხის აღრიცხვა რომ შეძლოთ, ბავშვმა სამი წამის განმავლობაში უნდა გიპასუხოთ და სწორს რაიმე სხვა პასუხი არ მოაყოლოს. არც შეცდომის თვითონ გამოსწორება ეთვლება. ასევე მკაფიო უნდა იყოს პასუხი ქესტური ენის გამოყენებისას. რამდენიმე სიტყვის ერთმანეთის მიყოლებით სწრაფად მოყრა, თუნდაც მათ რიგებში სწორი ტაქტი ერიოს, შეფასების ანკეტაში ნიშნავს პასუხს „არა“.

რაიანის მაგალითში ინსტრუქტორს პასუხის აღრიცხვამდე შეცდომა უნდა გაესწორებინა, რადგან ეს სასინჯი შეფასების დროსაც კი აუცილებელია. რაიანი რომ ხმით მეტყველი ბავშვი იყოს, ერთადერთი სხვაობა ის იქნებოდა, რომ სწორი პასუხის ჩასათვლელად მას სიტყვა კი არ უნდა ენიშნებინა, არამედ ეს სიტყვა წარმოეთქვა. შეცდომა კი მაინც უნდა გასწორებულიყო.

ის სამიზნეები, რომლებიც ბავშვმა წინასწარ შეფასებაში ვერ გამოიცილა, გაკვეთილზე ისწავლება. ამ შემთხვევაში, ჩანს, რომ რაიანმა საქანელას სურათის ტაქტირებაზე მეტი უნდა იმუშაოს.

ჯონი ექვსი წლის, ხმით მეტყველი ბავშვია. მისი ამჟამინდელი სამიზნეებია ავტომანქანა და წვენი – ორივე მათგანი განმამტკიცებელია. ბავშვს ორივე სიტყვის თქმა შეუძლია და, როდესაც მათ ხედავს, მენდირებასაც ახერხებს. მენდის ტაქტში გადასაყვანად ინსტრუქტორი დამხმარე საშუალებად ამ საგნების ფოტოსურათებს იყენებს.

ინსტრუქტორი: ხელთ აქვს პატარა ავტომანქანა და ნამდვილი წვენი, აგრეთვე ამ საგნების ფოტოები.

ჯონი: მენდირებს წვენს, ამბობს „წვენი“ და ხელს იწვდენს ასაღებად.

ინსტრუქტორი: მაღლა სწევს წვენის სურათს და ამბობს: „ეს რა არის?... წვენი“.

ჯონი: იმეორებს „წვენი“.

ინსტრუქტორი: „მართალია... ეს რა არის?“ და წვენის ფოტო კვლავ ხელში უჭირავს.

ჯონი: „წვენი“.

ინსტრუქტორი: ჯონს აძლევს განმამტკიცებელს ანუ წვენს.

ზოგი პრაქტიკოსი წარმატებით იყენებს უკვე დაუფლებულ მენდებს და „ნიმუშთან შეხამებიდან“ უნარი ტრანსფერის ცდით

ტაქტზე გადააქვს. ეს განსაკუთრებით კარგად გამოხდით დამწყებ, ჟესტებით მოსაუბრე ბავშვებს, რადგან ამ დროს ინსტრუქტორს საშუალება ეძლევა, სიტყვასა და ჟესტს შორის ასოციაციური კავშირი გააბას. იგი ბავშვს აძლევს სურათს და თუ მან ანალოგიურ სურათთან წარმატებით მოახერხა შეხამება, იღებს მხოლოდ ერთ სურათს და ბავშვს ეკითხება: „ეს რა არის?“ იმის გამო, რომ ბავშვმა ჟესტი დაინახა და სიტყვა გაიგონა სულ რამდენიმე წამის წინ, სწორი პასუხის წარმოთქმის თუ ჟესტით მინიშნების აღბათობა იზრდება.

აი, როგორ გამოიყურება ეს პროცედურა:

ინსტრუქტორი: მაგიდაზე უწყვია კანფეტის, საქანელისა და ჩიფსების სურათები. აარონს აძლევს კანფეტის იდენტურ სურათს და ამბობს: „კანფეტი“.

აარონი: კანფეტის სურათს მსგავს სურათს ადებს.

ინსტრუქტორი: იღებს კანფეტის ზედა სურათს და ეკითხება: „ეს რა არის?“

აარონი: წარმოთქვამს: „კანფეტი“.

შესაძლებელია რეცეპციულიდან ტაქტზე ტრანსფერის ცდის პროცედურის გამოყენებაც. ამგვარი მიდგომა ძალიან დაგვეხმარა ლუკასის შემთხვევაში და ჩემი კვლევისა და 2005 წელს ჟურნალში „ვერბალური ქცევის ანალიზი“ გამოქვეყნებული პუბლიკაციის მთავარი თემაც იყო.

აი, როგორ ხდება ტრანსფერის ცდა:

ინსტრუქტორი: მაგიდაზე უწყვია სატვირთო მანქანის, ღუმელისა და კბილის პასტის სურათები. ამბობს: „აბა, ღუმელს თითი დაადე“.

სემი: ეხება ღუმელის სურათს.

ინსტრუქტორი: იღებს ღუმელის სურათს და ეკითხება: „ეს რა არის?“

სემი: „ღუმელი“.

სწავლებას აღწერილი წესით მანამდე აგრძელებთ, სანამ ბავშვი წარმატებით არ დაეუფლება ყველა იმ საგნის ტაქტირებას, რომელთა მენდირება უკვე შეუძლია. ამის შემდეგ კი გადადინართ იმ ყოველდღიურ ნივთებზე, რომლებიც იმავდროულად არ არის განმამტკიცებელი და მუშაობას წარმართავთ ტრანსფერის ცდისა და დახმარების უკვე აღწერილი პროცედურებით.

ექოსებრი უნარების სწავლება

ხშირად ბავშვი ლაპარაკს სწორედ მას შემდეგ იწყებს, რაც ნათქვამის გამეორებას ისწავლის. ექოსებრ დახმარებაზე სწორად რეაგირების შანსი ბევრად უფრო მაღალია ისეთ ბავშვებში, რომლებსაც გამეორება შეუძლიათ და ამას აკეთებენ კიდეც. გამეორება ერთგვარი ხილია ოპერანტებს შორის უნარების გადასატანად.

ექოსებრი ოპერანტის წინაპირობა მხოლოდ ვერბალური სტიმულია. ამდენად, ბავშვის ნამდვილ ექოსებრ რეაქციას მაშინ იღებთ, როდესაც ბავშვი საგანს ან სურათს ვერ ხედავს. იმისათვის, რომ ამ უნარის შეფასება შეძლოთ, როდესაც ფრაზას „თქვი: „ბურთი““ იტყვი, ბურთი იქვე არ უნდა გეღოთ.

თუ ბავშვს ექოსებრი უნარი არ აქვს, მის გასავითარებლად სისტემატური მუშაობა დაგჭირდებათ. პროცესი იგივეა, რაც სხვა ოპერანტების შემთხვევაში – დახმარებით, დახმარების შემცირებითა და შეცდომების გასწორებით. საბოლოო მიზანი ნამდვილი ექოსებრი რეაქციაა, მაგრამ დამწყებებში უმჯობესია, სწავლება დაიწყოს არსებული მენდების ფარგლებში. ალბათ, განმამტკიცებლის მოთხოვნის პროცესში მან რამდენჯერმე უკვე წარმატებით გაიმეორა კიდეც თქვენ მიერ ნათქვამი სიტყვები.

დაუშვებელია ბავშვის დასმა და ექოსებრ უნარებზე ვარჯიში განმამტკიცებელი საგნების გარეშე – ეს, დიდი ალბათობით, გამოიწვევს რთულ ქცევასა და სამუშაოს მიმართ კეთილგანწყობის დაკარგვას. უმჯობესია, ამის ნაცვლად ტრანსფერის ცდის პროცედურას მიმართოთ.

აი, ექოსებრი უნარის ტრანსფერის ცდის მაგალითი:

ინსტრუქტორი: წინ უღვეს საპნის ბუშტების გამშვები.

უბი: „ბუშტი“ (მენდი).

ინსტრუქტორი: ბუშტებს უშვებს და ამბობს: „ბუშტი... ბუშტი... თქვი ბუშტი“. მაგიდის ქვეშ დებს ან სხვაგვარად მაღავს ბუშტების გამშვებს. ამის შემდეგ მას ბავშვს წინ გაუქნევს და თუ პასუხს მაშინვე არ იღებს, კვლავ იწყებს სიტყვა „ბუშტის“ წარმოთქმას.

უბი: ინსტრუქტორის კვალდაკვალ იმეორებს: „ბუშტი“ (ბუშტების გამშვები არ ჩანს).

ტრანსფერის ცდის პროცედურა შეიძლება ასევე ჩატარდეს არა-განმამტკიცებელი საგნების სურათების მეშვეობით. ასეთ დროს

თავიდან ბავშვი საგნის სურათს ხედავს და სიტყვას იმეორებს, შემდეგ კი ბარათს მაგიდაზე პირქვე ვლებთ და ვცდილობთ, ბავშვს იგივე სიტყვა ვიზუალური სტიმულის გარეშე გავამეორებინოთ.

ექსპერტი უნარის განვითარება კარგად მოქმედებს არტიკულაციაზე, განსაკუთრებით, თუ ვარჯიშის დროს ბავშვი ისე გვიზის, რომ სახეში, კერძოდ კი, პირზე გვიყუროს. სიტყვები წარმოთქვით ნელა ან კიდევ დამარცვლით, გაძლიერებული მიმიკით, რადგან ეს უკანასკნელიც, თავის მხრივ, სიტყვის გამოთქმის ხარისხს აუმჯობესებს.

ინტრავერბალური უნარების სწავლება

ბოლო ვერბალური ოპერანტი, რომლის სწავლებასაც ახლა შევხებით, არის ინტრავერბალური ოპერანტი, რაც გულისხმობს შეკითხვაზე პასუხის გაცემის უნარს და საუბრის ერთ-ერთი არსებითი კომპონენტია. აუტიზმის მქონე ბავშვების მშობლები, ჩემი ჩათვლით, ნატრობენ, რომ როგორმე შვილთან გასაუბრება შეძლონ. ახლა უკვე ვიცი, რომ საუბრის უნარი ჯადოსნური ჯოხის ერთი გაქნევით არ მიიღწევა. ის სისტემატური პროცედურების საფუძველზე იგება. მე მართლაც მჯერა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ლუკასთან ჩვეულებრივად საუბარს შევძლებ. უკვე ახლა, მინი-დიალოგები გვაქვს ხოლმე, რადგან მარტივ შეკითხვებს პასუხობს, მაგრამ ჯერ კიდევ დახმარება სჭირდება კითხვითსიტყვიანი შეკითხვების დასმასა და მათზე პასუხის გაცემაში (კითხვითი სიტყვების – ვინ, რომელი, რატომ, როდის, სად – გამოყენებით).

აი, როგორ გამოიყურება სტანდარტული დიალოგი ორ მოზრდილს შორის ოპერანტების მითითებით:

ანა: აქ არასოდეს მინახავხარ (ტაქტირება/ყურადღების მენდირება). აქაური არ ხარ (ინფორმაციის მენდირება)?

ჯიმი: ჰო, ნიუ ჯერსიდან ცოტა ხნის წინ გადმოვედი (ინტრავერბალური).

ანა: ჰოო? ნიუ ჯერსიში სად ცხოვრობდი (ინფორმაციის მენდირება)?

ჯიმი: ვენტნორში – ატლანტიკ-სიტიისთანაა (ინტრავერბალური).

ანა: როგორ მიყვარს ატლანტიკ-სიტი (ინტრავერბალური/ყურადღების მენდირება)!

ჯიმი: კაზინოში დადიხარ ხოლმე (ინფორმაციის მენდირება)?

ანა: ჰო (ინტრავერბალური)!

როგორც ხედავთ, სტანდარტული დიალოგი სამი ვერბალური ოპერანტის გამოყენებას გულისხმობს. რთული ტაქტები თუ კომენტარები, ჩვეულებრივ, ყურადღების მენდირების იარაღია და ხშირად გამოიყენება დიალოგის გასაბმელად. მათ რიცხვშია ისეთი ფრაზები, როგორებიცაა „რა კარგი მაისური გაცვია“ ან კიდევ „რა მშვენიერი ამინდია“. დიალოგის მეორე ნაწილი ეთმობა ინფორმაციის მენდირებას, ისეთი შეკითხვების დასმას, როგორებიცაა: „სად ცხოვრობ?“ „იქ როგორ მივიღე?“ ან კიდევ „ეგ რატომ გააკეთე?“ ამგვარი მაღალი დონის მენდირების უნარები აუტიზმის მქონე ბავშვებს ცალკე ესწავლება და აუცილებლად მას შემდეგ, რაც ბავშვი აჩვენებს, რომ საგნებისა და მოქმედებების მენდირება შეუძლია. ზოგჯერ მათ სწავლას თვეებისა და წლების შემდეგაც კი შეუდგებიან ხოლმე.

საუბრის ბოლო ნაწილი ეთმობა ინტრავერბალურ რეაქციებს (კითხვითი სიტყვიან შეკითხვებზე პასუხის გაცემას).

ინტრავერბალური ოპერანტის წინაპირობად მხოლოდ ვერბალური სტიმული გვევლინება, მაგრამ ექოსებრი ოპერანტისგან განსხვავებით, რომლის ფარგლებში მოსწავლე ინსტრუქტორის მიერ ნათქვამ სიტყვას იმეორებს, ინტრავერბალურ პასუხში მოცემულია ინსტრუქტორის მიერ მიწოდებული სიტყვებისგან სრულებით განსხვავებული სიტყვები.

ინტრავერბალური უნარების სწავლება შეიძლება რთულად გეჩვენებოდეთ, მაგრამ სინამდვილეში, საწყის ეტაპზე ეს პროცესი საკმაოდ მარტივად მიმდინარეობს, რადგან ამ დროს სახალისო აქტივობებს ვიყენებთ, მაგალითად, ვიღებთ საბავშვო ლექსებს ან სიმღერებს და ვსვამთ გამოტოვებულ სიტყვებს. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, ჩემმა მეუღლემ აღმოაჩინა, რომ ლუკასს ჯერ კიდევ ორი წლის ასაკში შეეძლო რამდენიმე ნაცნობ სიმღერაში აქა-იქ წინადადებების თითო სიტყვით დასრულება. მე თავად ბევრი ბავშვის შეფასებაზე მიმუშავია, რა დროსაც ბავშვი წარმატებით სვამდა სიტყვებს ტექსტში, არადა, მშობლების თქმით, მას ეს არ გამოსდიოდა.

ინტრავერბალური უნარების სწავლების საწყის ეტაპზე ისეთი სიმღერები შეარჩიეთ, რომელთაც ბავშვი იცნობს და ხშირად

ისმენს; მაგალითად, „საქათმეში შეპარულა მელა“. შესანიშნავად მუშაობს სიმღერები ცნობილი მულტიფილმებიდან. კარგი ვარიანტია, აგრეთვე Old MacDonald Had a Farm, განსაკუთრებით მინიმალურად ხმოვანი ბავშვებისათვის, რადგან ბავშვს ბოლოს ერთი ბგერის, „ო“-ს დამატებალა უწევს. ადვილია, ასევე, ცხოველის ხმების, მაგალითად, „მუ“-ს იმიტირება.

ინტრავერბალური შემავსებლების გამოყენება ძალზე ფუნქციონალური უნარია. თანაც, მისი სწავლება შეიძლება დღის ნებისმიერ მონაკვეთში, რადგან სიმღერები ხშირად შედის აღმზრდელობით დაწესებულებებისა და საბავშვო ბაღის აქტივობებში. შედარებით უფროს ბავშვებსა და ზრდასრულებში შეიძლება ასევე ლოცვების, ეროვნული ჰიმნისა და პოპულარული სიმღერების გამოყენება.

თუ ბავშვი ხმით მეტყველებს, ისეთი ინტრავერბალური შესავსებელი დავალება შეარჩიეთ, რომ ჩასასმელი სიტყვა ბავშვმა იცოდეს. კარგია, თუ მისთვის საყვარელ სიმღერას აიღებთ, რაც მას ახალისებს და მოტივაციას უძლიერებს. ნელა, მკაფიოდ, გამოთქმით დაიწყეთ მღერა, მაგალითად, „აჩუ, აჩუ, ცხენო“. შემდეგ ბოლო სიტყვის ნაცვლად ორიოდ წამით გაჩუმდით. აი, ასე: „აჩუ, აჩუ, ———“. თუ ბავშვი პასუხს არ გცემთ, იმღერეთ ბოლო სიტყვა რაც შეიძლება მეტი ხაზგასმითა და არტისტიზმით. შემდეგ თავიდან დაიწყეთ მღერა.

აი, როგორ ისწავლა ნათანმა ეს უნარი:

ინსტრუქტორი: „აჩუ, აჩუ, ——— (ორწამიანი პაუზა)... ცხენო!“

ნათანი: ზის და ილიმის.

ინსტრუქტორი: „აჩუ, აჩუ, ც——“.

ნათანი: „ცხენო“.

ინსტრუქტორი: „აი, ყოჩად, „ცხენო“ თვითონ რომ თქვი... მოდი, კიდევ ვიმღეროთ... აჩუ, აჩუ, ———.“

ნათანი: „ცხენო“.

ინსტრუქტორი: საით ——— (ორწამიანი პაუზა) გაგაჭენო!“

თითო სიმღერაზე ორ-სამ სამიზნე სიტყვაზე მეტს ნუ აიღებთ. მაგალითად, ამ სიმღერაში სამიზნედ აიღეთ „ცხენო“ და „გაგაჭენო“; ვთქვათ, სიმღერაში „საქათმეში შეპარულა მელა“ კი – „მელა“ და „ნელა“. სამიზნე სიტყვები ამ სიმღერებში ბევრჯერ გვხვდება და ბავშვებს მათი მღერა ძალიან სიამოვნებთ.

როგორც კი ნათანი ოთხივე სამიზნეს აითვისებს, ამავე სიმღერებიდან სხვა სამიზნე სიტყვები აიღეთ, ან ახალი სიმღერები შეარჩიეთ.

როცა ნახავთ, რომ ბავშვმა რამდენიმე ტაეპის ბოლო სიტყვა უკვე არაერთ სიმღერაში ისწავლა, დაიწყეთ უკუაგება და უკვე ორ-ორი სიტყვა დაუტოვეთ ბავშვს ჩასამატებლად. თუ, ვთქვათ, ბავშვი „მელას“ დაუფლა, შემდეგი ეტაპი უნდა იყოს „შეპარულა მელა“.

ფრაზის დასასრულებლად ორ-სამ წამზე მეტს ნუ მისცემთ, რადგან ასე ბავშვს სიტყვებს ვერ წარმოათქმევინებთ. თუ ამ ტექნიკამ არ იმუშავა, შეგიძლიათ, დახმარების სახით, მელას ან ცხენის სურათი აჩვენოთ და ტაქტიდან ინტრავერბალურზე ტრანსფერი გააკეთებინოთ.

აი, როგორ გამოიყურება ეს პროცედურა:

ინსტრუქტორი: მაღლა სწევს მელას სურათს. „ეს რა არის?“

ნათანი: „მელა.“

ინსტრუქტორი: „სწორია“. სურათს მაგიდაზე დებს. „საქათმეში შეპარულა —“ თავიდან იღებს სურათს და ხმამაღლა მღერის: „მელა“. „მოდი, კიდევ ერთხელ. საქათმეში შეპარულა —“ მელას სურათს მაღლა სწევს.

ნათანი: „მელა“

ინსტრუქტორი: „აი, ყოჩაღ, მელა რომ თქვი... საქათმეში შეპარულა —“. სურათს არ უჩვენებს.

ნათანი: „მელა“.

ინსტრუქტორი: „ქათმებს ეჩურჩულებოდა ნელა...“

პროცესი იგივეა საბავშვო ლექსების შემთხვევაშიც („ფისუნია, კატა, მაგიდაზე —“ ან კიდევ „ზაფხულია, ცხელა, ცხელა, ბული ასდის —“), ასევე ჩვეულებრივი საქმიანობის დროსაც (აბა, „დავლიოთ —“ ან „დაიბანე —“). მთელი დღის განმავლობაში ინტრავერბალური შემავსებლების გამოყენება ბავშვს უნის გამოყენების ფორმებს გონებაში უბეჭდავს და, თანაც ისე, რომ სახალისო თამაშის ფარგლებს არ გაცდება. ბავშვს, რომელიც ჟესტებს იყენებს, ძალიან წაადგება, თუ მათთვის უკვე ცნობილ ჟესტებს გამოიყენებთ (ათვისებულ მენდებს). თუ ბავშვს ბურთით თამაში უნდა და შეუძლია განიძნოთ „ბურთი“, კარგი იქნება, თუ თავიდანვე ამუ-

შავებთ ფრაზაზე „ვანტუნაოთ —“. თუ საპნის ბუმბები მოსწონს, შეგიძლიათ უთხრათ: „გავუმვით —“, ბავშვმა კი შესტით დაამატოს: „ბუმბები“.

აღბათ, ფიქრობთ, ეს ყველაფერი აზრიან საუბარში როგორ გადავა. თავიდანვე ეს არ მოხდება. ეს მხოლოდ დასაწყისია. როცა ბავშვი სიმღერაში ფრაზების წამღერებას შეძლებს და შევსების ტექნიკას სათანადო ღონეზე აითვისებს, შემდეგ ღონეზე გადახვალთ და შემავსებლების შემდეგ სერიას დაუფლებული ტაქტების სიიდან აირჩევთ.

ტაქტების სიაში უკვე ათეულობით ცნობილი ტაქტი უნდა შედიოდეს, მათ შორის საწოლი, კატა, ფანქარი თუ პიცა და, ამდენად, დასაწყისისთვის დახასიათების ან ფუნქციის აღმწერ სიტყვებზე სამუშაოდ, სწორედ მათ იყენებთ. ამ ტაქტებით უნდა ასწავლოთ საგნის მახასიათებლის, ფუნქციის თუ კლასის გამოხატვა ისეთი აღმწერი ფრაზების საშუალებით, რომლებიც სამიზნე არსებითი სახელით ბოლოვდება. მაგალითად, ეუბნებით, „სასეირნოდ ჩავდივართ —“, ბავშვი კი გასუხობთ: „ეზოში“. ან კიდევ: „მიაუ, მიაუ, ამბობს —“ და პასუხად ელოდებით სიტყვას „კატა“.

ამ ფაზის დასაწყისში ვიყენებთ არსებით სახელებს, რომელთა გამოთქმაში დახმარება სურათითაა შესაძლებელი. ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან თუმცა შესაძლებელია, დახმარებას ჰქონდეს ფორმა: „იმას, რითიც ვწერთ, ჰქვია —“ და სურათის ჩვენება, ბევრად ძნელია ისეთი ფრაზის მიშველება, როგორცაა, მაგალითად, „ფანქარი არის საგანი, რომლითაც —“.

კითხვითსიტყვიან შეკითხვებს, როგორცაა „სად ვსეირნობთ?“ ბავშვების უმეტესობა პასუხს იქამდე ვერ სცემს, სანამ არ ისწავლის, როგორ უნდა დაასრულოს ფრაზა „ვსეირნობთ —“. მას შემდეგ, რაც ბავშვი მარტივი ფრაზების დასრულებაში დახელოვნდება, შეგიძლიათ ვიზუალური დახმარება მოაშოროთ და ეს უნარი მოგვიანებით უფრო რთულ, კითხვითსიტყვიან შეკითხვაზე გადაიტანოთ.

აი, როგორ გადააქვს ინსტრუქტორს მარტივი ფრაზის შევსების უნარი კითხვითსიტყვიან შეკითხვაზე კოლინის შემთხვევაში. იმისათვის, რომ დავალება ნამდვილად ინტრავერბალური იყოს, პასუხის გაცემაში ბავშვს ინსტრუქტორი ვიზუალური მასალით არ ეხმარება.

ინსტრუქტორი: „ვსეირნობთ —“.

კოლინი: „ეზოში“.

ინსტრუქტორი: „სწორია... სად ვსეირნობთ?“

კოლინი: „ეზოში“.

ინსტრუქტორი: „წყალს ვსვამთ —“.

კოლინი: „ჭიქიდან“.

ინსტრუქტორი: „სწორია... წყალს საიდან ვსვამთ?“

კოლინი: „ჭიქიდან“.

აუცილებლად იმუშავეთ მხოლოდ იმ სიტყვებით, რომელთა ტაქტირება ბავშვს თავისუფლად შეუძლია; მაგალითად, თუ ბავშვმა არ იცის სიტყვის „მანქანა“ ტაქტირება, ალბათ შეკითხვაზე „ბორბლებიანი არის —“ გაურკვეველ პასუხს ან კიდევ საერთოდ დუმილს მიიღებთ.

ეს ყველაფერი ლუკასსთან გამოვიარე სულ რამდენიმე წლის წინ, როცა შეკითხვაზე: „რას აქვს ფრთები“ პასუხად ისწავლა „თვითმფრინავს“. რამდენიმე თვის თავზე, მიხვდი, რომ პროგრამის შეცდომასთან გვექონდა საქმე. ერთხელაც როცა ნამდვილი თვითმფრინავის ფრთებზე ვანიშნე და ვკითხე, რა არის-მეთქი, ბავშვმა ფრთების სახელდება ვერ შეძლო.

ზერი არ აქვს, ბავშვს ისეთი ფრაზები აზეპირებიანოთ, რაც მისთვის უაზროა და თავის სამყაროში არ ადგება. ამიტომ, სანამ რეალური ნივთის დაუნახავად ინტრავერბალურ შეკითხვებზე პასუხის გაცემას ასწავლიდეთ, აუცილებლად ასწავლეთ ამ ნივთის ტაქტირება და მისი მახასიათებლები.

მქონდა ასეთი შემთხვევა: ერთხელ კლასში მოსწავლეებს დავალება მისცეს, დაესრულებინათ ფრაზა: „ჯაგარი აქვს —“, პასუხი კი იყო „ღორს“.

ბავშვებმა სურათზე ჯაგრის ტაქტირება ვერ შეძლეს. მეტიც, კლასში ძალიან ცოტა ტიპური ბავშვი აღმოჩნდა, რომელსაც საერთოდ ჯაგრის ტაქტირება ძალუძდა.

თუ ათი წლის ბავშვთან მუშაობთ, ის კი ენობრივი განვითარებით სამი წლის ბავშვის დონეზეა, ისეთი ტაქტები და ინტრავერბალური შეარჩიეთ, საბავშვო ბაღის აღსაზრდელს რომ შეეფერება. ინტრავერბალური პასუხების პარალელურად აუცილებლად ივარჯიშეთ ტაქტზეც, რადგან სხვაგვარად ტაქტები შეიძლება ერთმა-

ნეთში აერიოს. თუ ბავშვმა კატას „მიაუს“ დაძახება დაუწყოს, პიცის სურათზე კი ამბობს, პიცა ვჭამოთო, ესე იგი ტაქტები სათანადოდ არ გამჯდარა. ასეთ დროს კარგს იზამთ, თუ იმ ინტრავერბალურ სამიზნეებს შეაჩერებთ, რაც ტაქტებს ასუსტებს, უკან დაბრუნდებით და მარტივ ტაქტებზე იქამდე იმუშავებთ, სანამ ბავშვი მათ გამოყენებას თავისუფლად არ შეძლებს.

ბევრად უფრო რთულად და ძნელად სასწავლებელია მაღალი დონის ინტრავერბალური უნარები, მაგალითად, პასუხის გაცემა კითხვაზე „შაბათ-კვირას რა ჰქენი?“ ან კიდევ „დღეს სკოლაში რას აკეთებდი?“ თუ ბავშვმა ამ დონეს მიაღწია, გირჩევთ, გაითვალისწინოთ:

1. ნუ დასვამთ ისეთ შეკითხვებს, რომელზე პასუხიც არ იცით. სთხოვეთ ბავშვის მასწავლებელს, შეგატყობინოთ, რას აკეთებდა თქვენი შვილი სკოლაში იმ დღეს, რომ თუ საჭირო გახდა, ბავშვს პასუხის გაცემაში დაეხმაროთ.
2. თუ ბავშვმა ყველა საბაზისო ინტრავერბალური უნარი აითვისა, ამ უნარებზე ავარჯიშეთ მისი საყვარელი ფილმებისა და წიგნების გამოყენებით. დააპაუზეთ ფილმში სცენა, ან დახურეთ წიგნი და დაუსვით რამდენიმე კითხვითსიტყვიანი შეკითხვა, მაგალითად, „სად არის ვუდი?“ ან კიდევ „რას აკეთებს ვუდი?“.
3. როგორც დოქტორ კარბონის კლინიკაში ვისწავლე, მაღალი დონის ტაქტიკებისა და ინტრავერბალური უნარების სწავლების პრინციპი ასეთია: პირდაპირი დახმარებისგან თავი შეიკავეთ. ხომ გსურთ, ბავშვმა პრობლემის გადაწყვეტა და მოქნილი პასუხების გაცემა თავად დაიწყოს. ამდენად, თუ „სათამაშოების ისტორიაში“ ვუდი საწოლის ქვეშაა, ბავშვი კი პასუხს არ გცემთ, ან ამბობს: „არ ვიცი“, დახმარების სახით კი ნუ ეტყვით, „საწოლის ქვეშ“, არამედ მიუთითეთ საწოლზე და ჰკითხეთ: „ეს რა არის?“. ის გეტყვიან: „საწოლი“. თქვენ მიუგებთ: „სწორია. ესე იგი, ვუდი სად არის?“ და საწოლქვეშ მიუთითებთ. მას შემდეგ, რაც ბავშვი სწორად გაგცემთ პასუხს შეკითხვებზე ჩართული ვიდეოს ფონზე, დროა, ინტრავერბალური შეკითხვები ვიზუალური სტიმულის გარეშე დასვათ. ეს განსაკუთრებით რთული უნარია.

სანამ ბავშვი თანდებულების გამოყენებას არ ისწავლის და ფილმსა თუ წიგნში ყველა ნივთის, ქმედებისა და პერსონაჟის ტაქტირებას არ დაუფლება, მაღალი ტაქტირებისა და ინტრავერბალური უნარების დაწყება კატეგორიულად დაუმზებელია.

ახლა, როცა ვერბალური ქცევის პროგრამის საფუძვლებს იცნობთ, დრო მოვიდა, ყველაფერი ერთად შეკრათ და მხოლოდ თქვენს ბავშვზე მორგებულ გეგმაში გარდასახოთ.

X თავი

პროგრამის აზება

ახლა, როცა ქვევის გამოყენებითი ანალიზისა და ვერბალური ქვევის პრინციპებს უკვე იცნობთ, თავადაც შეგიძლიათ თქვენს შვილზე ან, თუ პროფესიონალი ხართ, ყველა თქვენს მოსწავლეზე საგანგებოდ მორგებული პროგრამა შეადგინოთ.

როგორც აქამდე ხდებოდა, ახლაც გირჩევთ, ტექნიკის აღწერილი სახეობები ჯერ ბუნებრივ გარემოს მოარგოთ და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგეთ ინტენსიურ სასწავლო პროცესს.

ქვევის გამოყენებითი ანალიზის / ვერბალური ქვევის პროგრამების განხორციელება ბუნებრივ გარემოში

მშობლები არცთუ იშვიათად ჩივიან, რომ არ უნდათ, შვილის თერაპიაში ინტენსიურად ჩაერთონ. ხშირად მესმის: „მინდა, ვიყო უბრალოდ მშობელი. არ მინდა, ვიყო საკუთარი შვილის თერაპევტი ან მასწავლებელი“. მე კი ვპასუხობ, რომ ბავშვის მშობლობა, პირველ რიგში, სწორედ სწავლებაა. მშობელი ტიპური ბავშვის პირველი და საუკეთესო მასწავლებელია და ეს მოსაზრება სინამდვილეს განსაკუთრებით შეეფერება აუტიზმის თუ სხვა მნიშვნელოვანი დარღვევის მქონე ბავშვების შემთხვევაში. ასეთი ბავშვი, თუ მას საგანგებო პროგრამა არ მივაწოდებთ, სხვაგვარად უბრალოდ ვერ სწავლობს. ამდენად, სავარძელში მყუდროდ მოკალათებისა და „უბრალოდ მშობლობის“ ფუფუნება არ გაქვთ.

ნასწავლის ასჯერ მაინც გამეორება და შეცდომის გასწორების პროცედურები მხოლოდ გაკვეთილის კი არა, ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილია. თუ შეცდომა ან არასასურველი ქვევა როგორმე გამტკიცდა, ასეთი ქვევების რიცხვი გაიზრდება და ბავშვი წინსვლას შეწყვეტს. ამდენად, იმისათვის, რათა ბავშვმა სწავლა შეძლოს, აუცილებელია, პროგრამა თანმიმდევრული იყოს.

სწორედ ამიტომაც, რომ როცა მეკითხებიან, დღეში რამდენი საათი უნდა დაეთმოს ქვევის გამოყენებითი ანალიზის თუ ვერბალური ქვევის პროგრამას, მე ყოველთვის ვპასუხობ: „მთელი დღე“.

ნუ შეშინდებით! ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ აუცილებლად ვინმე უნდა დაიქირავოთ, ვინც სახლში 24 საათი გეყოლებათ, ან ბავშვი სამუშაო მაგიდასთან კვირაში 100 საათი ამყოფოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველკვირეულად ინტენსიურ საგაკვეთილო პროცესს საკმარისად დიდი დრო უნდა გამოუყოთ. არანაკლებ მნიშვნელოვანია, ორივე მშობელსა და თითოეულ აღმზრდელს ქცევის გამოყენებითი ანალიზისა და ვერბალური ქცევის პრინციპები ესმოდეს. ასე, სურსათის საყიდლად გასვლაც კი გაკვეთილად გადაიქცევა და მისთვის ისეთივე მნიშვნელოვანი თერაპია იქნება, რასაც ქცევის სპეციალისტთან თუ ლოგოპედთან გაივლიდა.

არსებობს სწავლების კონკრეტული მეთოდოლოგია, რომელსაც ბუნებრივ გარემოში სწავლებას უწოდებენ. ეს არის წინასწარ მოფიქრებული და დაგეგმილი სავარჯიშო, რომელიც მონაცემთა შეგროვების კომპონენტსაც მოიცავს. უბრალოდ, ასეთი სწავლება ბავშვის ბუნებრივ გარემოში მიმდინარეობს და არა – თერაპიის ოთახში. ბუნებრივ გარემოში ვერბალური ქცევის მიდგომას როცა ვწერგავთ, სხვაობა მხოლოდ იმაშია, რომ სწავლება ყოველდღიურად მიმდინარეობს, როგორც ბავშვის ყოფაცხოვრების ნაწილი. კარგი იქნება, თუ თქვენს პროგრამაში გამოიყენებთ როგორც სწავლებას ბუნებრივ გარემოში, აგრეთვე საგაკვეთილო სწავლებას.

პირველ რიგში, საჭიროა ვერბალური ქცევის ინტეგრირება მთელ საოჯახო მეურნეობაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში.

აქ მოცემული სტრატეგიების გამოყენება შეუძლია ყველა ზრდასრულს, ვინც ბავშვთან მუშაობს, რადგან რაც უფრო მეტად თანმიმდევრულები იქნებიან მოზრდილები, მით უფრო კარგი იქნება ბავშვის მოსწრებაც. შერჩეული სტრატეგიები ზედმიწევნით უნდა აუხსნათ ყველას, ვინც ბავშვის გარშემო ტრიალებს, იქნება ეს მშობლები, ბებიები და ბაბუები, ძიძები, თერაპევტები თუ მასწავლებლები.

წინა თავებში ძირულ ცნებებს სიღრმისეულად უკვე გავაცანით, მაგრამ რამდენიმე გასათვალისწინებელ საკითხს ქვემოთ კიდევ ერთხელ გთავაზობთ:

1. იყავით ბავშვის მიმართ მეტად პოზიტიურები. ერთ ნეგატიურ ან კონსტრუქციულ უკუკავშირზე გაცეით რვა პოზიტიური უკუკავშირი.
2. გაამარტივეთ მოთხოვნები. მიეცით ბავშვს იოლად შესასრულებელი, ადვილად საკარნახებელი მითითებები; ისეთი – რომლის შესრულებასაც ბოლომდე მიაღწევთ თვალყურს.

3. ბავშვს ყოველთვის თბილად მოექცეით. მორჩილების მისაღწევად ნუ აუწევთ ხმას და ნურც ფიზიკურ ძალას გამოიყენებთ.
4. შეზღუდეთ ბავშვისათვის სახელით მიმართვის შემთხვევები, განსაკუთრებით, მოთხოვნის დაყენების ან თხოვნაზე უარის თქმის დროს.
5. იპოვეთ პოტენციური განმამტკიცებლები. ყოველთვის, როდესაც მათ ბავშვს გადასცემთ, თითოეული მათგანი ორ-სამჯერ მაინც დაასახელეთ (ხმით ან, თუ ბავშვი ჯერ არ ლაპარაკობს, ხმითა და წამღერებით).
6. დღის განმავლობაში საგნების სახელდება აკეთეთ ერთი ან ორსიტყვიანი ფრაზებით გაზვიადებული, შენელებული და ხაზგასმით ხალისიანი ტონით („მადლა, მადლა, მადლა“ – როცა ბავშვთან ერთად კიბუზე აღიხართ).
7. რთული ქცევის შემთხვევაში, მიცემული დავალება უკან არ წაიღოთ და ბავშვი განმამტკიცებლამდე არ დაუშვათ. ასწავლეთ, რომ არასასურველი ქცევით სასურველს ვერ მიიღებს.
8. შეცდომების გასწორება, კარნახი და ტრანსფერის ცდები უნდა მიმდინარეობდეს მთელი დღის განმავლობაში. როგორც კი ბავშვს პასუხისკენ კარნახით უბიძგებთ ან შეცდომას გაუსწორებთ, აუცილებლად დაუსვით იგივე შეკითხვა კიდევ ერთხელ, რომ ამჯერად უფრო დამოუკიდებლად შეძლოს პასუხის გაცემა.

ეს რვა რჩევა მთელი დღის განმავლობაში გამოიყენეთ. შემოდგომა გითხრათ, რომ ბავშვი ცვლილებას მალევე შეამჩნევთ. როცა ნახავთ, რომ შვილი უფრო ბედნიერი და მორჩილია, განწყობა თქვენც გამოგიკეთდებათ. ეს რვა პრინციპი დასაწყისისათვის ძალიან მოსახერხებელია, რადგან მონაცემთა შეგროვებას არ მოითხოვს, მაგრამ მათი ეფექტურობა კვლევებით სარწმუნოდ არის დამტკიცებული.

თუ მოახერხებთ, ზემოთ აღწერილი სტრატეგიები ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩართოთ, დიდ ნაბიჯს გადადგამთ ქცევითი მიდგომით სწავლების დაწყების გზაზე.

ვიწყებთ თერაპიის სესიებს

თქვენ, ამ წიგნის მკითხველი, ალბათ, მშობელი ხართ, რომელსაც უნდა, დღეში ერთი საათი ინტენსიურ სწავლებას დაუთმოს, ან კიდევ ქცევითი თერაპევტი და დღეში სამი საათის განმავლობაში ვერბალური ქცევის პროგრამით სამუშაოდ დაგიქირავეს. შეიძლება ლოგოპედი ხართ, რომელიც ბავშვს კვირაში ერთხელ, ნახევარსაათიან სესიებზე ხვდება. ყველა შემთხვევაში, სანამ დარწმუნდებით, რომ უშუალოდ ვერბალური ქცევის მიდგომის გამოყენებას თავისუფლად მოახერხებთ, ინტენსიური სწავლების სესიების დაგეგმვაში დახმარება დაგჭირდებათ.

პირველ რიგში, განსაზღვრეთ ბავშვის ზოგადი ფუნქციონირების დონე. ამაში დაგეხმარებათ ვერბალური ქცევის შეფასების ფორმის (დანართი 2) შევსება და იმ ნივთებისა და აქტივობების დადგენა, რომელთაც ბავშვი განმამტკიცებლად აღიქვამს. მაქსიმალურად დაიხმარეთ ბავშვთან მომუშავე ყველა პირი, რათა ზოგადი ფუნქციონირების დონის ზუსტად შეფასება და პოტენციური განმამტკიცებლის პოვნა შეძლოთ.

მას შემდეგ, რაც ეს მონაცემები ხელთ გექნებათ, დაიწყეთ განმამტკიცებელ ნივთებთან და აქტივობებთან გაწყვილების პროცესი. ნუ აჩქარდებით. წარმოიდგინეთ, რომ ბებია ხართ და შვილიშვილს ანებივრებთ. (გაწყვილების სტრატეგიებს შეგიძლიათ IV თავში გაცნოთ).

პირველი დაბრკოლება, რამაც, სავარაუდოდ, თავი უნდა იჩინოს, როგორც კი სწავლებას შეუდგებით, რთული ქცევა იქნება. ეს მოსალოდნელიცაა, რადგან დამწყები ბავშვების უმეტესობა მენდირებას სათანადოდ ვერ ფლობს და კომუნიკაციას ფიზიკური ქცევით ამყარებს. დააკვირდით და აღრიცხეთ მონაცემები არასასურველი ქცევის შესაფასებლად და მოსაგვარებლად (აუცილებლობის შემთხვევაში, გადახედეთ II თავს) და შეადგინეთ ქცევითი ინტერვენციის გეგმა. რთულ ქცევებზე დაკვირვება და მათ შესამცირებლად II თავში ახსნილი სტრატეგიების განხორციელება ვერბალური ქცევის სესიების დროსაც მოგიწევთ. თუ არასასურველი ქცევები სესიების დროს სისტემატურად ვლინდება, კარგი იქნება, კონსულტაცია გაიაროთ სერტიფიცირებულ ანალიტიკოსთან. იქნებ, მან მოახერხოს და აღწერილი ტექნიკების გამოყენებაში დაგეხმაროთ. ქცე-

ვის შეფასება მუდმივი პროცესია, რადგან წინსვლის კვალდაკვალ, შესაძლებელია, ახალი ტიპის რთულმა ქცევებმა იჩინოს თავი.

გარდა არასასურველი ქცევების შემცირების სტრატეგიებისა, დაიწყეთ მენდირების პროგრამა. მენდირების საკითხი V თავში დაწვრილებითაა მიმოხილული, მაგრამ ვერბალური ქცევის პროგრამაში მენდირების ჩასართავად რამდენიმე დამატებითი რჩევა დაგჭირდებათ. დღის განმავლობაში ბავშვს მენდირების ასეულობით შესაძლებლობა უნდა შეუქმნათ და თანაც, ისე ნელა და ფრთხილად, რომ ბავშვს წარმოდგენა არ ჰქონდეს, რომ ამ დროს ის მუშაობს. თუმცა, მენდირებას ინტენსიური სწავლების სესიების დროს არ ვიყენებთ. მენდირება ბუნებრივ გარემოში ისწავლება.

კერძოდ რას ნიშნავს ეს? მართალია, ამ საკითხზე ვერბალური ქცევის კონსულტანტებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ, მაგრამ ჩემი აზრით, თუ სესიის დროს სახეზეა მოტივაცია, მაშინ ეს ბუნებრივ გარემოში სწავლებად შეიძლება ჩაითვალოს, თუნდაც, ამ დროს თერაპიის მაგიდასთან ვისხდეთ (სადაც, როგორც წესი, მიმდინარეობს ინტენსიური სწავლება). თავისი ბუნებიდან გამომდინარე, მენდირება ბუნებრივ გარემოში ხდება, რადგან თავის თავში გულისხმობს მოტივაციის არსებობას.

ინტენსიური სწავლების სესია ადვილად საცნობია, რადგან ის ჩვეულებრივ მაგიდასთან მიმდინარეობს, სწრაფად, აქტივობების ხშირი ცვლილებით, მკაფიო მიზნებით, მონაცემთა შეგროვებისა და განმამტკიცებლების ცვლადი გრაფიკის თანხლებით. თუმცა, ინტენსიური მცდელობებით სწავლება ასევე შეიძლება ხდებოდეს იატაკზე, უზოში პიკნიკის მაგიდასთან, სამზარეულოში, ნებისმიერ ადგილას, თუ, რა თქმა უნდა, სწავლების სტილი კრიტიერიუმებს აკმაყოფილებს. ინტენსიური სწავლების სესიის დროს ინსტრუქტორს თან აქვს ძლიერი განმამტკიცებელი ნივთები (აქტივობები) და მათ ბავშვს გადასცემს მენდირების გარეშე.

ვერბალური ქცევის პროგრამაში ჩართულ ბავშვს ორივე ტიპის სწავლება ესაჭიროება, თუმცა, სხვადასხვა დოზით. თუ ბავშვი პროგრამას ახლა იწყებს, თითქმის მთელი სწავლება ბუნებრივ გარემოში უნდა მიმდინარეობდეს. თუმცა, ეს რთულია მოზრდილი ბავშვების შემთხვევაში, რომლებიც სკოლაში დადიან, რადგან ასეთ დროს სწავლა ხდება არასათამაშო გარემოში. თუ ბავშვი სწავლისათვის განკუთვნილ დროს მეტწილად მაგიდასთან ატარებს,

აუცილებლად სთხოვეთ თერაპევტს ანდა მასწავლებლებს, თან ისეთი განმამტკიცებლები იქონიონ, რასაც მას მაგიდასთანვე გადასცემენ. ჩვენ ხომ არ გვინდა, ბავშვი მუდმივად დგებოდეს და განმამტკიცებელთან მიდიოდეს. ჩემი რჩევაა, სამუშაო მაგიდასთან ვიქონიოთ პატარა ტელევიზორი, DVD ან ვიდეო-ფლეიერი. ვიდეოს გამშვები მოწყობილობების, ისევე, როგორც სხვა ნივთების, საკვებისა და აქტივობების მიმზიდველობის წყალობით, მაგიდა ძლიერ განმამტკიცებლად იქცევა. გახსოვდეთ, რომ ბავშვი სამუშაო სივრცეში სიხარულით უნდა მივიდეს, რაც არ უნდა იყოს იგი და სადაც არ უნდა მდებარეობდეს.

ბუნებრივ გარემოში სწავლება გეგმაზომიერი და მიზანსწრაფული პროცესია და მოტივაციის დაჭერასა და აღძვრას ეფუძნება. იგი ასევე მოიცავს მენდირებას, მარტივი ინტრავერბალური შემაჯავებლების ჩასმასა და ზოგად ტაქტირებას. მაგალითად, თუ სათამაშო პლასტელინები გაქვთ, იქნებ, ბავშვმა ქილის გახსნა მოგთხოვოთ; თუ პლასტელინით ბაჭიას დაუმზადებთ, მას შეუძლია წარმოთქვას სიტყვა (ტაქტირება): „ბაჭია“; ასევე შეგიძლიათ, სთხოვოთ, რომ გამოტოვებული ადგილები შეავსოს ლექსში ბაჭი-აზე. „ერთს რომ ერთი მივუმატოთ, რამდენია, ბაჭია?...“ და ა.შ.

ბუნებრივ გარემოში სწავლება ჩემ მიერ მომზადებული თერაპევტების უმეტესობას უძნელდება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სპეციალისტი ვერბალური ქცევის საფუძვლებს კარგად არ იცნობს. მართალია, სწავლება თამაშს ეფუძნება, სიზუსტე მაინც აუცილებელია. აგრეთვე, მნიშვნელოვანია შემოქმედებითობა, რადგან თუ ყოველ დღე ერთსა და იმავე პლასტელინს გამოიღებთ და ერთსა და იმავე გველს დაამზადებთ, ბავშვს მობეზრდება და პასუხის გაცემას მექანიკურად დაიწყებს.

ბუნებრივ გარემოში სწავლების აქტივობები აგრეთვე ეფუძნება მოტივაციასა და განმტკიცების ცვლადი რაციონის გამოყენებას. როდესაც ბუნებრივ გარემოში სწავლება სათანადოდ მიმდინარეობს, გაუთვითცნობიერებელი ადამიანი იფიქრებს, მოზრდილი და ბავშვი თამაშობენ და ერთობიანო. მაგრამ თუ ბავშვი თოჯინების სახლით მარტო თამაშს არის მიჩვეული და უცბად გვერდზე დაუჯექით და მოთხოვნები და კითხვები დააყარეთ, თქვენთან ყოფნა არ ესიამოვნება. ეს კი პროცესზე ცუდად იმოქმედებს, რადგან განმამტკიცებლის სტატუსს თოჯინების სახლიც დაკარგავს.

ინტენსიური სწავლების სესიები

ვერბალური ქცევის თერაპიის შესახებ რომ ესმით, უმეტესობას სწრაფი, ინტენსიური სასწავლო სესია წარმოუდგენია ხოლმე. ასეც არის, მაგრამ საქმე ისაა, რომ ინტენსიური სწავლების დაწყებას მხოლოდ მაშინ შეძლებთ, თუ ვერბალური ქცევის მიდგომები გქვინებათ ათვისებული. ქცევის გამოყენებითი ანალიზისა და ვერბალური ქცევის შესახებ საბაზისო ინფორმაციის გარეშე ინტენსიური სწავლების სესიების სწორად წარმართვა რთულია, თუ შეუძლებელი არა.

ინტენსიური სწავლება მნიშვნელოვანია. თუ გსურთ, ხელშესახებ პროგრესს მიაღწიოთ, საჭიროა, ბავშვმა ამ მეთოდით მუშაობაში ყოველდღიურად დიდი დრო გაატაროს. ცხადია, შეგიძლიათ პროგრამა თავადაც წარმართოთ. თუმცა, ეს ის სფეროა, სადაც სჯობს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, დაქირავებულ სპეციალისტს მიმართოთ. ვერბალური ქცევის მიდგომის ეს ნაწილი აუცილებლად ბავშვზე ინდივიდუალურად მორგებული უნდა იყოს და, თანაც, დროდადრო, პროგრესის პარალელურად, განახლდეს.

ინტენსიური სწავლების სესიების დაწყება

ჯერ მოიფიქრეთ, რამდენი დრო უნდა დაუთმოს ბავშვმა ყოველდღიურად ინტენსიურ სწავლებას მაგიდასთან (თუ ეს საერთოდ საჭიროა). როდესაც ლუკასი 2000 წელს ლოვაასის/ქცევის გამოყენების ანალიზის პროგრამიდან ვერბალური ქცევის პროგრამაზე გადმოერთო, მას თითქმის მთელი სამუშაოს მაგიდასთან შესრულება უკვე შეეძლო. თანაც, უკვე ორი წელი იყო, რაც საბავშვო ბაღში დადიოდა – ერთ ადგილას გაჩერება შეეძლო, და მაგიდასთან მუშაობა სიამოვნებდა კიდევ.

ინტენსიური სწავლების დაწყებამდე აუცილებლად დარწმუნდით, რომ სამუშაო მაგიდა განმამტკიცებლებთან სათანადოდაა ასოცირებული. მოიტანეთ ტელევიზორი ან DVD და სხვა განმამტკიცებლები. მაგიდისა და განმამტკიცებლების გაწყვილების პროცესში შეგიძლიათ რეცეპციულ, იმიტაციისა და ვიზუალურ დავალებებზე იმუშავოთ. არიან ბავშვები, რომლებთანაც საჭიროა, თავსატეხის აწყობის პროცესში ტელევიზორი ან მუსიკა ჩართული

იყოს – ასე ისინი ვერ გრძნობენ, როდის მთავრდება გართობა და იწყება დავალებები. ზოგადად, განმამტკიცებლების უეცრად მოშორება და დავალებების მოსმენა ცოტას თუ სიამოვნებს.

კანფეტს რომ გადასცემთ, ჩუმად გამორთეთ ტელევიზორი და შემდეგ ისევ ჩართეთ. მერე ტელევიზორი თავიდან გამორთეთ, რომ ბავშვმა მისი მენდირება მოახერხოს. ისევ ჩართეთ ტელევიზორი. შემდეგ თავიდან გამორთეთ და იმიტაციის ერთი მარტივი დავალება შეასრულებინეთ. ამის მერე ტელევიზორი ჩაურთეთ.

ასე ცვლად რაციონს ნელ-ნელა გაზრდით და ინტენსიურ სწავლებებზე გადასვლას შეძლებთ.

ინტენსიური სწავლების პროგრამის სათანადოდ განხორციელებას კარგი ორგანიზება სჭირდება – სამიზნეებით, მასალებით, მონაცემთა აღრიცხვით. ერთი სიტყვით, კარგი ორგანიზატორი უნდა გახდეთ.

სამიზნეების, მონაცემებისა და მასალების ორგანიზება შედარებით მარტივი ამოცანაა, რადგან ამ ყველაფრის გაკეთება ღამით შეიძლება, როდესაც ბავშვს სძინავს (ან, თუ სპეციალისტი ხართ, მანამდე, სანამ ბავშვი მიღებაზე მოვა).

ვნახოთ, როგორ მიმდინარეობს ორგანიზების პროცესი:

I ნაბიჯი

პროგრამის აწყობა დაიწყეთ ბავშვის შეფასებით. ამის გარეშე, შეუძლებელია, იცოდეთ, რა მასალები, სამიზნეები თუ მონაცემთა ფორმები დაგჭირდებათ. შეფასებაში ვერბალური ქცევის შეფასების ფორმა დაგეხმარებათ (დანართი 2).

შეფასებისას მნიშვნელოვანია, თითოეულ პროგრამაში როგორმე აღრიცხოთ, თუ რისი კეთება იცის, ან ჯერ არ იცის ბავშვმა (უნარების ფორმა – დანართი 3). შეფასება და აღრიცხვა ერთდროულად კეთდება. კონსულტანტის როლში, ხშირად მინახავს ისეთი სიტუაცია, როდესაც თერაპევტს საბაზისო ენობრივი და სასწავლო უნარების შეფასების ფორმაში აღრიცხული აქვს, რომ ბავშვი 50 ტაქტს ფლობს, მაგრამ არსად წერია, რისი ტაქტირება შეუძლია და რისი – არა. თუ ამ ინფორმაციას შეფასების პროცესში მოაწესრიგებთ, პროგრამის შედგენა ბევრად გაგიადვილებათ.

მე გირჩევდით, თითოეული უნარი ცალკე ფორმით აღრიცხოთ და თარიღის გრაფაში, იმის აღსანიშნად, რომ ეს უკვე დაუფლუ-

ბული უნარია, მიაწეროთ „ა“ (ათვისებული). იმავე ფორმაში უნდა ჩამოთვალეთ ის უნარები, რაც ჯერ ბავშვს ათვისებული არ აქვს – ეს სამიზნეების შერჩევაში დაგეხმარებათ. კარგი იქნება, თუ უნარების აღრიცხვის ფორმებს დიდ, ჯიბეებიან საქაღალდეებში მოათავსებთ, რომ რეცეპციული პროგრამების, ტაქტირების სფეროების, ინტრავერბალური უნარებისა და სხვათა მიგნება ადვილად შეძლოთ. ვერბალური ქცევის საქაღალდეში ასევე უნდა შეინახოთ ბავშვის შეფასების, განმამტკიცებლის შეფასების, ქცევების აღრიცხვისა და ძველი სასინჯი შეფასების ფორმების ასლები.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე პროგრამა, რომელსაც მე ვერბალური ქცევის პროგრამის დამწყებს ვურჩევდი. თითოეულ მათგანს უნარების აღრიცხვის თითო ფორმა ეთმობა:

რეცეპციული ინსტრუქციები (ტაში დაუკარი);

რეცეპციული სხეულის ნაწილები (თავზე ხელი მოიკიდე);

რეცეპციული იდენტიფიკაცია (მიჩვენე ძროხა);

იმიტაცია სათამაშოებით (მანქანა აქეთ-იქით გააგორე);

მოტორული იმიტაცია (ასე გააკეთე... უკრავთ ტაშს – ფრაზას „ტაში დაუკარი“ არ წარმოთქვამთ);

სამგანზომილებიანების შეხამება (სამგანზომილებიანი ასეთ-სავესთან... ღორი);

ორგანზომილებიანების შეხამება (ორგანზომილებიანი ასეთ-სავესთან... კანფეტი);

ტაქტირება (სამგანზომილებიანი და ორგანზომილებიანი ობიექტები);

ექოსებრი (თქვი „ბურთი“);

ინტრავერბალური შემავსებელი (საქათმეში შეპარულა —).

II ნაბიჯი

თითოეულ პროგრამაზე შეარჩიეთ ორი-სამი სამიზნე და აღნიშნეთ სამიზნეები ყოველკვირეული შეფასების ფურცელზე (მაგალითი იხილეთ დანართში 5). ჩემი აზრით, უმჯობესია, ყოველკვირეული შეფასების ფურცლები და ყოველდღიური მონაცემები (მენდირების აღრიცხვის ფურცელი, ცხრილი 5.1 და ცხრილი 2.1) პლანშეტზე დაამაგროთ. ასე მუდმივად ახლოს იქონიებთ და მონაცემთა ძებნაც გაგიადვილდებათ. სამიზნის შერჩევისას მიუთითეთ თარიღი, როდესაც სამიზნეები უნარების აღრიცხვის ფორმაში შევიდა.

III ნაბიჯი

ჩემი პრაქტიკის განმავლობაში სხვადასხვაგვარი საორგანიზაციო სისტემით მიმუშავია და, ჩემი აზრით, ბარათების სისტემა ორგანიზების საუკეთესო ხარისხს უზრუნველყოფს. თუ სისტემას პროგრამის დასაწყისშივე დანერგავთ და თითოეული სამიზნის ათვისებას ბარათის დამატებით გააფორმებთ, მგონია, იგი თქვენც გამოგადგებათ. დასაწყისისათვის ინდექსირებულ ბარათებზე დაწერეთ ბავშვის ყველა უნარი. ზოგიერთი კონსულტანტი გვირჩევს, ოპერანტებს ცალკეული ფერი მივანიჭოთ. რეცეპციული მითითებები, მათ შორის, სხეულის ნაწილები, იწერება ვარდისფერ ბარათებზე, იმიტაციის უნარები – მწვანე ბარათებზე, ყველა ინტრავერბალური უნარი კი – იისფერ ბარათებზე. ან კიდევ შესაძლოა დასაწყისში თეთრი ბარათების აღება და შემდეგ მარჯვენა კუთხეში ფერებით მათი მონიშვნა გერჩიოთ.

ბარათების სისტემა იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ რაც უფრო მეტ უნარს ითვისებს ბავშვი, მით უფრო ჭირს უკვე დაუფლებული უნარების მხოლოდ გონებით დამახსოვრება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეიძლება რომელიღაც უნარებზე ვარჯიში გამოგრჩეთ, და ისეთი ადვილი დავალებების მიცემას შეეჩვიოთ, როგორცაა „თავზე ხელი მოიკიდე“ და „ცხვირი სად გაქვს?“ მაშინ, როდესაც ბავშვისთვის სჯობს, უფრო რთულ უნარებზე ივარჯიშოს, მაგალითად, შემავსებლებზე: „ჩვენ საწოლში ... [გვძინავს]“

ეს უნარი ბევრად უფრო რთულია და წინ უსწრებს სხვა უნარებს, როგორებიცაა „რომელია ავეჯი?“, ან „დამისახელე რამე, რაც რბილია“.

სურათებიანი ბარათები მარტივი ტაქტირებისათვის გამოიყენება. მათ ორგანიზებასა და სამუშაოდ გამზადებას ადვილად შეძლებთ. ვინაიდან მოკარნახის როლს თავად სურათი ასრულებს, ინსტრუქტორი მხოლოდ მითითებას იძლევა და კითხულობს: „ეს რა არის?“

ისეთ უნარებში ვარჯიში, როგორებიცაა „ტაში დაუკარი“ და „ასე გააკეთე“ (თავზემთ ორივე ხელის აწევით) უფრო მარტივია, თუ ათვისებული უნარები ინდექსირებულ ბარათებზე გაქვთ განთავსებული. თითოეულ ბარათზე მხოლოდ ერთი უნარი დაიტანეთ (იხილეთ ცხრილი 10.1). ასევე მარტივია სამგანზომილებიანი საგნების ტაქტირება, რადგან ინსტრუქტორს, მაგალითად, რეალური ტე-

ლევინზორი, შეიძლება ოთახშიც ჰქონდეს და ამდენად, მხოლოდ ტაქტირების ინდექსიანი ბარათი ესაჭიროება, სადაც მითითება იქნება მოცემული, ამ შემთხვევაში: „ეს რა არის?“ (ნამდვილი ტელევინზორი).

ცხრილი 10-1 სამიზნის ნიმუშები ნასწავლი უნარების ინდექსირებულ ბარათებზე დასატანად		
ხელი მოიკიდე ცხვირზე	ტაში დაუკარი	თქვი „ბანანი“
ეს რა არის? (ყური)	რა მისამართზე ცხოვრობ? მთავარი ქუჩა #123	ასე გააკეთე (ტამის დაკვრა)
რას ვაკეთებ? (კაკუნი)	საქათმეში შეპარულა (მელა)	ეს საწყალი (კურდღელი)

ნასწავლი უნარების ბარათები პლასტმასის ან მუყაოს ყუთში მოათავსეთ. იქვე ჩადეთ ის სურათები, რომელთა ტაქტირება ბავშვს უკვე შეუძლია და ყუთს დააწერეთ: „ნაცნობი“.

ამის შემდეგ თითო ინდექსირებულ ბარათზე დაწერეთ თითო სამიზნე (თითოეული პროგრამიდან ორი-სამი შესასწავლი უნარი). სამიზნე უნარები განათავსეთ ნაცნობი უნარების ბარათისგან განსხვავებული ფერის ბარათებზე და შესასწავლი ინდექსირებული ბარათები მოათავსეთ სხვა ყუთში.

ყველა მასალა ჩადეთ გამჭვირვალე, უჯრებიან სათავსში და უჯრებსა და მასალებს გაუკეთეთ მკაფიო აღნიშვნა. ასე თქვენი პროგრამით სარგებლობას შეძლებს ნებისმიერი თერაპევტი, რომელსაც ვერბალური ქცევის პროგრამით მუშაობს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ შვილთან ძირითადად თავად მუშაობთ, დიდი ალბათობით, ბავშვთან სასწავლო სესიებს ერთზე მეტი სპეციალისტი წაიყვანს და მასალების კარგად ორგანიზება ნამდვილად წაგადგებათ.

IV ნაბიჯი

სამიზნეების ათვისება ყოველკვირეულ საფუძველზე მიმდინარეობს და ეს პროცესი როგორმე უნდა აღირიცხოს. უმეტეს შემთხვევაში უნარი ათვისებულად ითვლება, თუ ბავშვი სასინჯი შეფასებისას ერთი მეორის მიყოლებით სამჯერ გაგცემთ სწორ პასუხს. როგორც კი ეს მოხდება, შეფასების ფურცელზე გააკეთეთ აღნიშვნა, რათა გამოჩნდეს, რომ ბავშვმა სამიზნე აითვისა (ყოველკვირეული

სასინჯი შეფასების ფურცლის ნიმუში იხილეთ დანართში 4). ამის შემდეგ განაახლეთ უნარების აღრიცხვის ფურცელი და შესაბამისი უნარის გვერდით აღნიშნეთ მისი ათვისების თარიღი. სულ ბოლოს დაუფლებული სამიზნე ჩაიწერეთ ნასწავლი უნარებისთვის გამოყოფილ ბარათზე და ჩადეთ ის „ნაცნობი“ უნარების ყუთში. სამიზნეთა სასინჯი შეფასების ფურცელი ყოველ კვირას გადაწერეთ, რადგან ასე, ათვისებული სამიზნეების სიიდან ამოღებასა და ახალი სამიზნეების ჩამატებას შეძლებთ.

მასალების ორგანიზებას ყოველდღე დაუთმეთ რამდენიმე წუთი. ეს საქმეს საგრძნობლად ამარტივებს. გარდა ამისა, ყოველკვირეულად, მაგალითად, ყოველ პარასკევს ნაშუადღევს, ან ორშაბათს დილით გამოყავით თითო საათი (შეიძლება ნაკლებიც), რომელსაც სასინჯი შეფასების ფურცლების გადაწერას, ახალი სამიზნეების შეჩვენებასა და ახალი მასალების მოგროვებას დაუთმობთ.

სამუშაოს ამგვარად ორგანიზებას თუ შეძლებთ, სწავლება უფრო მწყობრად წარიმართება და თქვენც სწავლების უნარებზე კონცენტრირებას შეძლებთ.

ინტენსიური სწავლების სესიებს რომ დაიწყებთ, ნახავთ, რომ თითოეული მათგანი მენდირების სესიას ჰგავს, სადაც ბავშვს დრო-გამოშვებით რამდენიმე მარტივი დავალება ეძლევა. მომავალში შემოსატანი სამიზნეების სასინჯი შეფასების ფურცლები შეავსეთ მაშინაც კი, როდესაც სწავლება ბუნებრივ გარემოში მიმდინარეობს. ამის გაკეთება შეიძლება, სანამ ბავშვი საქანელაზე ზის და ქვიშაში თამაშობს და სადილობის დროსაც კი.

თანდათანობით შეიტანეთ დამატებითი მოთხოვნები და ცვლადი რაციონის გრაფიკი ისე გაზარდეთ, რომ სანამ განმამტკიცებელს მისცემდეთ, ბავშვმა მეტი დავალება მიიღოს. თუმცა, ნუ აჩქარდებით და თუ მაინც აჩქარდით, ამას თავადვე მალე მიხვდებით, რადგან ასეთ დროს რთული ქცევები ხშირად იჩენს ხოლმე თავს.

მარტივი და რთული დავალებების შერევა

როგორც ბევრჯერ უკვე აღვნიშნე, დასაწყისისათვის ცოტა და მარტივი დავალებები უნდა გასცეთ. მაინც, რას ნიშნავს ეს? დაიწყეთ

ნაცნობი სამიზნეების ყუთით. ამოიღეთ ერთი დასტა ნაცნობი სამიზნეების ყუთიდან, ერთი დასტა – შესასწავლი სამიზნეების ყუთიდან. ჯერ ნაცნობი სიტყვები გამოიყენეთ და აქა-იქ საცდელად უცნობი სიტყვები შეურიეთ. ყველა ახალი სამიზნის შემთხვევაში დაიწყეთ მყისიერი კარნახით, შემდეგ გადადით ტრანსფერის ცდაზე კარნახის მაქსიმალურად შემცირებით. მარტივისა და რთულის ფარდობა შეიძლება მერყეობდეს 80/20-დან 50/50-მდე. ამაზე უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ დაბალი ცვლადი რაციონის გრაფიკი შეინარჩუნოთ.

ოპერანტების შერევა და ვარირება

ინტენსიური სწავლების სესიებში მოცემული უნდა იყოს სხვადასხვა ვერბალური და არავერბალური ოპერანტების (შეხამების უნარების გამოკლებით) ძალზე მოქნილი ნაკრები. ვთქვათ, დაიწყეთ მოთხოვნით „ხელი მოიკიდე ცხვირზე“, შემდეგ მაგიდაზე უკვე დალაგებულ სურათებზე ბავშვს თხოვეთ გიჩვენოთ სატვირთო მანქანა. ამის შემდეგ შეგიძლიათ უჩვენოთ სკამის სურათი და ჰკითხოთ: „ეს რა არის?“. ეს გარბენი შეიძლება დამთავრდეს იმიტაციის უნარით, რაც გულისხმობს ნიმუშის კარნახს, შემდეგ ბავშვის დამოუკიდებელ პასუხს და ბოლოს განმტკიცებას.

სწავლება სწრაფი ტემპით

ვერბალური ქცევის სესიის ბევრ მაყურებელს უკვირს, რომ იგი ძალზე სწრაფად მიმდინარეობს. საშუალო დონის შემსწავლელთან მომუშავე ვერბალური ქცევის თერაპევტი, როდესაც ცვლადი რაციონი ათის ტოლია, წუთში ჩვეულებრივ 20-25 პასუხს იღებს. სწრაფი ტემპისა და შერეული და მრავალფეროვანი სამიზნეების კომბინირება, ამას დამატებული მარტივისა და რთულის მონაცვლეობის კონტროლი, აგრეთვე ყველა შეცდომის აღკვეთა და გასწორება, ერთი შეხედვით, შეუსრულებელ მისიას ჰგავს, მაგრამ დამერწმუნეთ, ეს ასე არ არის. თუ ივარჯიშებთ, ამ ყველაფრის შესრულებას ნამდვილად შეძლებთ.

ყველა კომპონენტის კომბინირებაში რომ გაიწაფოთ, ვარჯიშის დროს ვერბალურ ქცევაში გაწაფული ადამიანი დაიხმარეთ, რომელიც დაგაკვირდებათ და შენიშვნებით დაგეხმარებათ სრულყოფაში. თუ ასეთს არავის იცნობთ, შეგიძლიათ ორ-სამ მოტივირებულ ადამიანს, ვთქვათ, ბავშვის მომვლელებსა და თერაპევტებს, თხოვოთ, სანამ თქვენ ყველაფერი სათანადოდ გამოგივათ, ერთმანეთს დააკვირდნენ და უკუკავშირით დაეხმარონ.

აი, როგორ გამოიყურება ინტენსიური სწავლების გარბენების ხუთწუთიანი ტიპური სესია ვერბალური ქცევის გამოცდილი თერაპევტის ხელმძღვანელობით. თითოეული გარბენი დანარჩენებისგან გამოიყოფა განმტკიცების მცირეხნიანი პერიოდით.

მეგანი ხუთის ტოლი ცვლადი რაციონით მუშაობს, რაც იმას ნიშნავს, რომ განმამტკიცებლებს შორის მას საშუალოდ ხუთი დავალება უნდა მიეცეს (შეცდომების აღსაკვეთად ან გასასწორებლად განხორციელებული ტრანსფერის ცდა ერთ მცდელობად ითვლება). მოცემული სესიის სამიზნე უნარებია მანქანისა და ფეხსაცმლის ტაქტირება, ტამისკვრისა და ხელების აწევის იმიტაცია და სიმღერის „ეს საწყალი კურდღელი“ სიტყვა „კურდღლით“ შევსება. დანარჩენი უნარები მეგანს უკვე ათვისებული აქვს.

I გარბენი

ი (ინსტრუქტორი): ეს რა არის? მ (მეგანი): ჭიქა (ნაცნობი)

ი: ეს რა არის? მ: ბუმტები (ნაცნობი)

ი: კარგი, ეს რა არის? ფეხსაცმელი (მცდელობა მყისიერი კარნახით). მ: ფეხსაცმელი (სწორი პასუხი კარნახით). ი: კარგი, ეს რა არის? (ტრანსფერის ცდა, კარნახის გარეშე). მ: ფეხსაცმელი (სწორი პასუხი კარნახის გარეშე, განმამტკიცებელი კანფეტისა და შექების სახით სამი სწორი პასუხის შემდეგ).

II გარბენი

ი: ვიმღეროთ... ეს საწყალი კურ... (მყისიერი ნაწილობრივ ვერბალური კარნახი). მ: კურდღელი (სწორი პასუხი კარნახით). ი: კარგია, მოდი, კიდევ ერთხელ... ეს საწყალი— (ტრანსფერის ცდა, კარნახის გარეშე) მ: კურდღელი.

ი: მშვენიერია! ეს რა არის? მ: საწოლი (ნაცნობი უნარი)
ი: ეს რა არის? მ: ფეხსაცმელი. ი: მაგარია, აჰა, შენ ბუმბუტები (გან-
მამტკიცებელი ოთხი სწორი პასუხის შემდეგ).

III გარბენი

ი: აბა, თქვი „ბურთი“. მ: ბურთი (ნაცნობი ექოსებრი უნარი)
ი: ეს რა არის? მ: სკამი (ნაცნობი)
ი: ასე გააკეთე (ტაშს უკრავს და მეგანს იდაყვებში უბიძგებს).
მ: (ტაშს უკრავს – სწორი პასუხი ნაწილობრივ ფიზიკური კარნა-
ხით). ი: კარგია. აბა, ტაში დაუკარი. მ: (ტაშს უკრავს – ტრანსფე-
რის ცდა, კარნახის გარეშე) (ტაშს უკრავს – სწორი პასუხი კარნა-
ხის გარეშე).
ი: ეს რა არის? მ: კანფეტი (ნაცნობი).
ი: აბა, თქვი კატა. მ: კატა (ნაცნობი ექოსებრი).
ი: აბა, ასე გააკეთე (უკრავს ტაშს). ტაშს უკრავს (სწორი პასუხი
დისტრაქტორების (ანუ აღვილი დავალებების) შემდეგ). ექვსი
სწორი პასუხის შემდეგ მეგანი განმამტკიცებლის სახით 30 წამის
განმავლობაში უყურებს სპანჯობის ვიდეოს.

IV გარბენი

ი: ეს რა არის? მა——? (მყისიერი ვერბალური კარნახი) მ: მან-
ქანა (სწორი პასუხი ნაწილობრივი კარნახით). ი: მართალია. ეს რა
არის? მ: სატვირთო (შეცდომა ტრანსფერის ცდისას). ი: ეს რა არის?
მანქანა (შეკითხვას იმეორებს სრული ვერბალური კარნახით) მ:
მანქანა (სწორი პასუხი სრული ვერბალური კარნახით). ი: მართა-
ლია. ეს რა არის? მანქა——? (ტრანსფერის ცდა ნაწილობრივი ვერ-
ბალური კარნახით). მ: მანქანა (სწორი პასუხი ნაწილობრივი ვერბა-
ლური კარნახით).
ი: ასე გააკეთე (უკრავს ტაშს). მ: უკრავს ტაშს (კარნახის გარეშე).
ი: ძალიან კარგია, ასე გააკეთე (ხელებს თავს ზევით სწევს და
მაშინვე კარნახობს სრული ფიზიკური კარნახით). მ: (ხელებს თავს
ზევით სწევს) (სწორი პასუხი მყისიერი კარნახით). ი: კარგია, ასე
გააკეთე (ხელებს თავს ზევით სწევს). მ: ხელებს თავს ზევით სწევს
(სწორი პასუხი კარნახის გარეშე). ი: მაგარია! (ოთხი სწორი პასუხის
შემდეგ განმამტკიცებლის სახით ურთავს სპანჯობის ვიდეოს).

ამ ხუთწუთიანი სესიის განმავლობაში ცვლადი რაციონის გამოსათვლელად ვაჯამებთ თითოეული გარბენის ბოლოს დაფიქსირებულ სწორ პასუხებს და ჯამს ვყოფთ ოთხზე (გარბენების რაოდენობა). ამ შემთხვევაში გვექნება სამი, ოთხი, ექვსი და ოთხი სწორი პასუხი, ანუ 17. ამ რიცხვის 4-ზე გაყოფით ვიღებთ რაციონს – 4.2. ნუ იღარდებთ, თუ ცვლადი რაციონი ზუსტად ხუთი არ გამოვიდა, რადგან ეს მოცემული სესიის მხოლოდ ერთი პატარა ნაწილია. უბრალოდ ცვლადი რაციონის დროდადრო გამოთვლა გაჩვენებთ, სწორ გზაზე დგახართ თუ არა. ერთხელ ერთ სესიას ვაკვირდებოდით, სადაც განმტკიცებამდე ბავშვმა ინსტრუქტორისგან 25 დავალება მიიღო, არადა ცვლადი რაციონი 7 უნდა ყოფილიყო. ამდენად, ეცადეთ, ცვლადი რაციონი შიგადაშიგ აკონტროლოთ – ამაში სხვა ადამიანის დაკვირვება, ან თუნდაც სესიის გადაღება დაგეხმარებათ. მნიშვნელოვანია, ზუსტად იცოდეთ, რომ დადგენილ ცვლად რაციონს ძალიან არ ცდებით, ამდენად, მონაცემთა აღრიცხვა-შემოწმება ნამდვილად ღირს.

თავიდან სიჩქარეზე ნუ იღარდებთ. ჯერ შეცდომებზე მუშაობა და კარნახისა და მისი შემცირების უნარები უნდა დახვეწოთ და ინტენსიური სწავლების უფრო რთულ უნარებზე მერე გადახვიდეთ. გახსოვთ, მანქანის ტარებას ან გიტარაზე დაკვრას რომ სწავლობდით? ხომ თითოეულ მოძრაობას უფიქრდებოდით და ცოტა მოუქნელად ან ნელა გამოგდიოდით?! წარმოიდგინეთ, საჭესთან რომ იჯდეთ, სანამ მანქანის ყველა ღილაკისა და ბერკეტის დანიშნულებაში არ გაერკვევით და მათ გამოყენებას არ ისწავლით, საათში 110 კილომეტრის სისწრაფით ხომ არ ივლით? ინტენსიური სწავლებაც იგივეა. რაც უფრო მეტს ივარჯიშებთ და დამკვირვებლებისგან მეტ შენიშვნას მიიღებთ, მით უფრო სწრაფად შეძლებთ მუშაობას.

აღსანიშნავია, რომ ინტენსიურ სწავლებაში გაწაფვა შეცდომებისგან არ დაგიცავთ. ნუ დაიძაბებით, რომ ინტენსიური სწავლების იდეალურ უნარებს თავიდანვე არ ფლობთ. ეს უნარები თანდათან ვითარდება. ასე რომ, რეალისტური მიზნები დაისახეთ და თუ რაიმეში ეჭვი შეგეპარათ, ივარჯიშეთ სხვა ადამიანთან ერთად, რომელიც ბავშვის როლში გამოვა; აგრეთვე ჩაიწერეთ და გააანალიზეთ სესიები შესაძლო შეცდომების თვალსაზრისით.

ნახავთ, სწავლა-სწავლების უნარებს ორივე თანდათანობით როგორ დახვეწავთ.

ახლა, როდესაც, ვიმედოვნებ, უკვე ისწავლეთ, როგორ განუვითაროთ ბავშვს ენობრივი უნარები და შეამციროთ არასასურველი ქცევა გამოყენებითი ანალიზის/ვერბალური ქცევის პროგრამის მეშვეობით, გადავიდეთ ბიჰევიორისტულ მიდგომებზე, რომლებიც ბავშვის თვითმოვლის ისეთი უნარების განვითარებაში დაგეხმარებათ, როგორებიცაა ტუალეტის მოხმარება და ტანსაცმლის ჩაცმა.

XI თავი

ტუალეტის მოხმარებისა და თვით-მოვლის სხვა მნიშვნელოვანი უნარების სწავლება

განვითარების პრობლემების მქონე ბავშვების მშობლებს მხოლოდ მეტყველების დაგვიანება როდი აშფოთებთ. ასეთი ბავშვები ძნელად ან ნელა ითვისებენ თვით-მოვლის ისეთ უნარებს, როგორებიცაა ტუალეტის მოხმარება და ტანსაცმლის ჩაცმა. თუმცა, ამ სასიცოცხლო უნარების სწავლება იმავე მიდგომითაა შესაძლებელი, როგორც მას კომუნიკაციის დამყარებას ვასწავლით.

ტუალეტის მოხმარების სწავლება

ნებისმიერი მშობელი აგინხნით, რატომღაც ტუალეტზე ბავშვის დასმა აუცილებელი. ეს კიდევ უფრო ცხადი ხდება, როდესაც ბავშვი სამ წელს გადააბიჯებს, ტუალეტის მოხმარება კი არ იცის. ჩასვლება და ჩასვრა მშობელს ძალიან ბევრ დროს, ენერგიასა და რესურსებს აკარგინებს. ტიპური ბავშვის ოჯახიც კი სამი წლის განმავლობაში საფენებსა და სველ ხელსახოცებზე უზარმაზარი ხარჯს სწევს, მე კი 12 წლის მოსწავლეებიც კი მყოფია, რომელთაც ტუალეტის მოხმარება ჯერ არ იციან. ეს იმხელა თანხაა, რომ ნებისმიერი ოჯახის ბიუჯეტზე აისახება, არადა, ეს ფული შეიძლება მეტყველებისა და აკადემიური უნარების განვითარებას მოხმარებოდა. გარდა ამისა, უფროსი ასაკის ბავშვების ერთჯერადი და სპეციალური საცურაო საფენები ხშირად ძნელი საშოვნელიცაა, ხოლო დრო, რაც მათ გამოცვლაზე მიდის, რეალურად, სხვა სასიცოცხლო უნარებზე მუშაობას აკლდება.

ბოლო, მაგრამ ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა კი ისაა, რომ ტუალეტის მოხმარების არცოდნა ბავშვს სასურველ სკოლასა თუ ბაღში მოხვედრას ურთულებს. როგორც წესი, სტანდარტული საბავშვო ბაღის მოთხოვნაა, ბავშვს ტუალეტით სარგებლობა შეეძლოს და ბევრ ბავშვს ჩვეულებრივ სკოლებსა თუ კონკრეტულ კლასებშიც კი მიღებაზე უარს ეუბნებიან, რადგან უბრა-

ლოდ მათ ეს უნარი პატარაობისას არ უსწავლიათ. წარმოიდგინეთ, როგორ მძიმდება სიტუაცია ასაკის მატების პარალელურად.

ასეთი ბავშვისათვის სოციალური სიტუაციებიც პრობლემად გადაიქცევა ხოლმე. წარმოიდგინეთ, როგორ მიიღებენ თანატოლები ოთხი-ხუთი წლის ტუალეტზე უწვრთნელ ბავშვს, მათი თანდასწრებით შარდი უნებლიედ რომ გაეპაროს ან ჩაისვაროს. ეს კი მთლიანად ოჯახის თავსატეხი ხდება, რადგან არცთუ იშვიათად, უხერხულობას ბავშვის და-ძმაც გრძნობს ხოლმე.

რა ხანია, ექსპერტები ამტკიცებენ, რომ აუტიზმის მქონეთათვის ტუალეტის მოხმარების სწავლება ყველაზე ძნელია, რადგან ქოთანზე დასმის ტრადიციული ტექნიკა, მათ შემთხვევაში, უბრალოდ, არაუეფექტურია. ჩემი აზრითაც, აუტიზმის მქონე ბავშვებისათვის ტუალეტის მოხმარების სწავლება ძნელია, მაგრამ შეუძლებელი სულაც არაა. 1974 წლის წიგნში „ტუალეტის მოხმარების სწავლება ერთ დღეში“, ავტორები ნეითან ეზრინი და რიჩარდ ფოქსი (Toilet Training Less Than a Day, by Drs Nathan Azrin and Richard Foxx) ირწმუნებიან, რომ ხუთი წლის ასაკამდე შესაძლებელია 30-ის ტოლი ინტელექტის კოეფიციენტიანი, მძიმე ჩამორჩენის ბავშვების გაწვრთნაც კი.

აღნიშნულ თემას ბევრი წიგნი მიეძღვნა, მაგრამ აუტიზმის მქონე ბავშვებში ბიჰევიორისტული (ქცევითი) მიდგომის გამოყენებას კონკრეტულად არც ერთი ეხება. ტუალეტის მოხმარების სწავლების ჩემუელი პროგრამა ექვსი სხვადასხვა წიგნის საფუძველზე ავაწყე. მათ შორისაა სამი ჩემი საყვარელი წიგნი: ზემოთ აღნიშნული „ტუალეტის მოხმარების სწავლება ერთ დღეში“, იმავე ფოქსისა და ეზრინის „ტუალეტის მოხმარების სწავლება განვითარების შეფერხების მქონე პირებისათვის“ (1973) და დანლეჰის, კიოგელისა და კიოგელის „ტუალეტის მოხმარების სწავლება მძიმე ნაკლის მქონე ბავშვებში“ (1984) (ნომერზე +1-304-696-2332 თუ დარეკავთ, ამ წიგნს 5 დოლარამდე ფასად შეიძენთ).

პირველ რიგში, უნდა განსაზღვროთ, არის თუ არა ბავშვი მზად, ამ დავალებას თავი გაართვას. ასეთ დროს მხედველობაში ვიღებთ არა უბრალოდ მის კალენდარულ ასაკს, არამედ განვითარების დონის შესაბამის ასაკსაც. თუ ბავშვი სამი წლისაა, მაგრამ განვითარების დონით წლინახევრის ბავშვის ტოლია, ალბათ, ქოთანზე

დასმა ძალიან ადრეა. თუმცა, თუ ბავშვი უკვე ხუთი წლის არის და განვითარებით ისევ წლინახევრის ტოლია, დროა, სწავლება დაიწყოს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია შემდეგიც: თუ ამჩნევს ან განიშნებთ ბავშვი, რომ საფენი აქვს გამოსაცვლელი? ინტერესდება თუ არა სააბაზანოს ტუალეტით, ხელის ბანითა თუ ჩაცმით? გარბის ან გემალეობთ კუჭის მოქმედების შემდეგ? და ბოლოს, აქვს თუ არა მას კუჭის რეგულარული მოქმედება მხოლოდ დღის განმავლობაში (და ღამით მშრალი რჩება)? თუ ამ კითხვების უმეტესობაზე დადებითი პასუხი გაქვთ, მაშინ, სავარაუდოდ, ბავშვი ქოთანზე დასასმელად მზადაა.

მნიშვნელოვანია დროის კარგად შერჩევაც. თუ ბავშვს დიაგნოზი ეს-ესაა დაუსვეს, ტუალეტის სწავლებით ნუ დაიწყებთ. ენობრივი მეტყველება, კერძოდ, მენდირების სწავლება ყოველთვის უფრო პრიორიტეტულია. ჯერ, კარგი დადებითი ქცევის პროგრამა ჩამოაყალიბეთ, სადაც არ იქნება უარყოფითი განმტკიცება თუ დასჯა და ტუალეტის მოხმარების სწავლებას მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგებით.

ამ მნიშვნელოვან ეტაპზე ნურც მაშინ გადახვალთ, როცა ბავშვს ელოდებით, სხვა სახლში გადასვლას გეგმავთ ან რაიმე სხვა დიდ ცვლილებას ელით. სტრესულ დროს ტუალეტის მოხმარების სწავლება ნებისმიერ ბავშვს უძნელდება და ხშირად, თუ დრო არასწორადაა შერჩეული, პროცესი ჭიანჭურდება ხოლმე.

ერთი სიტყვით, ტუალეტის მოხმარების სწავლებას მაშინ უნდა შეუდგეთ, როდესაც ზუსტად გეცოდინებათ, რომ საქმის ბოლომდე მიყვანას შეძლებთ. მთელ პროცესს სჭირდება სულ მცირე ორი კვირა, თანაც, უმეტესად სახლში უნდა დარჩეთ და მზად იყოთ, რომ თითქმის მთელი დრო სწავლებას დაუთმოთ. ნახეთ, ხომ არ გეგმავთ რაიმე დიდ ცვლილებას მომავალი სამი თვის განმავლობაში. რამდენი ოჯახი მინახავს, აჩქარებით საქმე რომ გაფუჭებია, მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ გაითვალისწინეს, ქოთანზე ბავშვის წარმატებით დასმას რა დრო სჭირდება. თუ პროგრამას დაიწყებთ, აღარ უნდა გაჩერდეთ. თუ გიჭირთ (ეს მართლაც რთული პროცესია), იცოდეთ, რომ ერთ-ორ წელიწადში მიზნის მიღწევა კიდევ უფრო გაგიჭირდებათ.

მაშინაც კი, როცა საკუთრივ ტუალეტის მოხმარების პროგრამის დაწყება შეუძლებელია, არსებობს რამდენიმე წინასწარი ზომა,

რომელთა მიღება დაგეხმარებათ, როდესაც პროგრამის განხორციელებას შეუდგებით. პირველ რიგში, ბავშვს საფენი ხშირად გამოუცვალეთ, რათა სიმშრალეს თავიდანვე შეეჩვიოს. იყიდეთ პატარა ქოთან-სკამი, ან ტუალეტზე ქოთნის სადგამი (სამ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის). თუ ბავშვი ასაკით ან ზომით დიდია, ჩვეულებრივი ტუალეტი გამოიყენეთ. ყოველ დილით და ბანაობისას ბავშვი ქოთანზე დასვით და დააკვირდით, რა მოხდება. თან განმამტკიცებლები იქონიეთ, რადგან ზოგ ბავშვს, უბრალოდ ქოთანზე დასაჯდომიდან კი, წახალისება დიდი დოზით სჭირდება. წარმოიდგინეთ, რომ ქოთანს განმამტკიცებლებთან ასოციაციურად აკავშირებთ. თუ გაგიმართლათ და ბავშვა მოისაქემა, ამისათვის ძალიან სერიოზულად უნდა დაჯილდოვდეს. ბიჭი მოსაშარდად აუცილებლად ქოთანზე დასვით. ფეხზე დგომით მოშარდვა არ უნდა განვამტკიცოთ, სანამ კუჭის მოქმედებისთვის ტუალეტზე ჯდომას არ ისწავლის. ზოგჯერ, როდესაც ბავშვი ტუალეტზე ჯდომას შეჩვეულია, კუჭის მოქმედება „შემთხვევითად“ ხდება. აუტიზმის მქონე ზოგი ბავშვი შარდვას ფეხზე დგომით, მამის წაბადვით იწყებს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, კუჭის მოქმედებისათვის ტუალეტზე ჯდომას ვერასოდეს სწავლობს.

ახლა კი დროა, ის სიტყვები შევარჩიოთ, რომელთა საშუალებით ბავშვს ფიზიოლოგიური ფუნქციებს აუხსნით. შეიძლება სულელურადაც მოგეჩვენოთ, რომ ბავშვის ძიძას ან მასწავლებელს ამ შეკითხვით მიმართოთ, მაგრამ თანმიმდევრულობის დაცვა აქაც საჭიროა. გაითვალისწინეთ, რომ ამ სიტყვების გამოყენება დიდი ხნის განმავლობაში დაგჭირდებათ – იხმარეთ სიტყვები „ტუალეტი“ და არა „ქოთანი“, „ფისი“ და არა, მაგალითად, „ფისები“, „ფისი-ფისები“ და სხვა.

ბოლო ეტაპზე, სანამ პროგრამის განხორციელებას უკვე „ოფიციალურადაც“ შეუდგებით, რამდენიმე დღის განმავლობაში დოკუმენტურად აღრიცხეთ მოშარდვისა და კუჭის მოქმედების შემთხვევები. საქმე ისაა, რომ ზოგი ბავშვი რეგულარულად ისაქმებს. გარდა ამისა, არსებობს რეფლექსები (ორთოკოლიკი, გასტროკოლიკი), რომლებიც დილით ადგომიდან 15 წუთში ან საკვების მიღებიდან 15 წუთში კუჭში გასვლისათვის საჭირო ატმოსფეროს ქმნის. მოსაქმების შემთხვევებთან ერთად ჭამისა და გაღვიძების დროც აღრიცხეთ და დააკვირდით, შეიმჩნევა თუ არა დღის განმავლობაში რაიმე რეგულარობა.

დღისით შარდვის სწავლება

ტუალეტის მოხმარების სწავლებას დღისით შარდვის სწავლებით ვიწყებთ. არიან ბავშვები, რომლებიც, მოშარდვის სურვილს წინასწარ არ გამოხატავენ, მაგრამ თუ ტუალეტზე დასვამენ, შარდავენ; როცა განრიგს შეუჩერებენ, შეიძლება ჩაისველონ. ეს აბსოლუტურად ნორმალურია. პირველი ნაბიჯი სწორედ განრიგის მიხედვით მოშარდვის სწავლაა. ჩამოაყალიბეთ და დაწერეთ ტუალეტში გასვლის გეგმა, რომელსაც ბავშვის ყველა მომვლელი (მასწავლებელი, საბავშვო ბაღის აღმზრდელი, მშობლები) თანაბრად დაიცავს, იქნება ეს განმტკიცება, ჩასვრა-ჩასვლებზე რეაგირება თუ ტუალეტში გასვლის აღრიცხვა.

ტუალეტის მოხმარების გეგმის ფარგლებში ვირჩევთ განმამტკიცებლებსაც. გაითვალისწინეთ, რომ დაგვჭირდება მყარი და სახალისო საგნები, თანაც ისეთი, რომელთა ბავშვისთვის მიცემა დიდ ღროს არ მოითხოვს. ასეთ ღროს გრძელვადიან განმამტკიცებლებს ნუ გამოიყენებთ. ფრაზა „თუ ერთი კვირა ფისის ქოთანში იზამ, მატარებელს გიყიდი“, აუტიზმის მქონე ბავშვებისთვის, როგორც წესი, დიდი ვერაფერი მოტივატორია.

შეიძლება გამოგადგეთ სტიკერებიანი ცხრილი. ასეთ ღროს ტუალეტში თითოეული წარმატებული გასვლის შემდეგ ბავშვი ცხრილში სტიკერს თვითონ აწებებს, ხოლო გარკვეული რაოდენობის დაგროვების შემდეგ სათამაშოს ან რაიმე განსაკუთრებულ ჯილდოს იღებს. თუ დარწმუნებული არ ხართ, რომ ბავშვი ამგვარ სისტემას კარგად მიიღებს, მაშინ ნუ გამოიყენებთ და ამის ნაცვლად მყისიერი, მარტივად მოსახმარი განმამტკიცებლები მოიხმარეთ.

ქცევის გამოყენებითი ანალიზის სხვა ელემენტების მსგავსად, განმამტკიცებელი ძალზე მძლავრი იარაღია. ბავშვი საფენს ასე მარტივად, მხოლოდ შექების სანაცვლოდ ვერ შეეღევა. თუ ქცევის გამოყენებითი ანალიზის ან ვერბალური ქცევის პროგრამით უკვე სარგებლობთ, ტუალეტის მოხმარებას ცალკე განმამტკიცებელი გამოუყავით, მაგალითად, კონკრეტული სახეობის კანფეტი ან რომელიმე ვიდეო კლიპი. ადრე ერთ ბავშვთან ვმუშაობდი, რომელთანაც განმამტკიცებლად დასაკეც ქოლგას ვხმარობდით, რადგან პერსონალის თქმით, მას ძალიან უყვარდა წვიმიანი დღეები – ამ ღროს კლასში ყველას ქოლგები მოჰქონდა და ბავშვი გაშლილ

ქოლგას თავს ზემოთ სიამოვნებით აბზრიალებდა ხოლმე. ტუალეტის მოხმარება რთული დავალებაა, ამიტომ ისეთი აქტივობა ან საგანი შეარჩიეთ, რაც ბავშვს ძალიან უყვარს, მაგრამ რაც ხელში არცთუ ხშირად უვარდება.

ბავშვის ტუალეტზე გაწვრთნით დაკავებულ ყველა მშობელს ერთდოლარიან მაღაზიაში სტუმრობას ვურჩევ ხოლმე. შეარჩიეთ იქ სხვადასხვა საგანი, ჩაალაგეთ „საქოთნე აბგამი“ და ნება მიეცით ბავშვს, თვითონ ამოიღოს რამე, როდესაც ტუალეტში გასვლა წარმატებით დასრულდება. თავიდან პროცესს ძლიერი განმტკიცებით ვიწყებთ და ბავშვს სასურველი ნივთის ამოღების საშუალებას თითოეულ წარმატებულ გასვლაზე ვაძლევთ, მაგრამ დროთა განმავლობაში, შეიძლება განმტკიცება შევასუსტოთ კიდეც და ნივთი წარმატებული დღის ან კვირის ბოლოს ამოვადებინოთ.

როდესაც ტუალეტზე წვრთნას დაიწყებთ, ბავშვს საცვლები უნდა ეცვას. ჩემი გამოცდილებით, ჩვეულებრივი საფენისა თუ სავარჯიშო ელასტიური საფენის რეგულარულად გამოყენება წვრთნის პროცესს აფერხებს, რადგან ბავშვი სისველეს ვერ გრძნობს და თქვენც ჩასვრა-ჩასვკვლების დროულად აღმოჩენაში ხელი გეშლებათ.

წესით, როდესაც ტუალეტის მოხმარების პროგრამას დაიწყებთ, სახლში უნდა იყოს, ამიტომ თავისუფლად შესაძლებელია, შვილს მხოლოდ საცვალი ჩააცვათ, შარვლის გარეშე. ასე, ადვილად მიხვდებით როდის ჩაისვლა ან ჩაისვარა ბავშვმა. თუ აუცილებელია, რომ საცვლის ზემოთ შარვალი ეცვას, მაშინ ისეთი შეარჩიეთ, ელასტიური ზორტი რომ ჰქონდეს, ღილების, ლითონის ჩამკეტებისა თუ ქამრების გარეშე. თუ ბავშვი სკოლაში დადის, ან რესტორანში ან მაღაზიაში მიდიხართ, ჩვეულებრივი საცვლის ზემოთ სავარჯიშო საფენი ან ცელოფნის ტრუსი ჩააცვით, რომ თუ მოშარდა, სისველე იგრძნოს.

თუ, რაიმე მიზეზით, აუცილებელია, პროგრამის მიმდინარეობისას ბავშვს საფენი ეკეთოს, შეგიძლიათ ტუალეტის სასიგნალო სენსორი იყიდოთ. ის საფენის შიგნით იდება და როდესაც ბავშვი ისველებს, ხმას გამოსცემს. სასიგნალო სენსორები www.thepottystore.com-ზე იყიდება. დღისით დაძინებისას და ღამის განმავლობაში კვლავაც საფენები იხმარეთ, რადგან ძილისას შარდის კონტროლს ჯერ ბავშვი ვერ შეძლებს. თუმცა, საფენს დაძინებამდე დიდი ხნით

ადრე ნუ ჩააცმევთ, რადგან ასე ბავშვს საშუალება მიეცემა, საფენში მოშარდოს. ბავშვს საფენი ადგომისთანავე გახადეთ და მაშინვე ტუალეტზე დასვით, რადგან ეს ტუალეტში წარმატებით გასვლისათვის საუკეთესო დროა.

მას შემდეგ, რაც ბავშვი ქოთანს მოიხმარს (თუნდაც, მოსაქმების გარეშე), აიძულეთ, ქალაღლით სწორად მოიხოცოს, შარვალი აიწიოს და ხელიც დაიბანოს, თუნდაც, დახმარებით. ასწავლეთ ბავშვს, რომ შარვალი კოჭებამდე უნდა ჩამოიწიოს, მაგრამ მთლიანად არ გაიხადოს, რადგან ამ ჩვევის თავიდან მოშორება მომავალში გაგიჭირდებათ. ზოგადად, ეცადეთ, ტუალეტის მოხმარების მთელი პროცესის განმავლობაში დამოუკიდებლობისკენ უბიძგოთ.

როგორც ეს სპეციალურ თემატურ წიგნებშია (მათ შორისაა „ტუალეტის მოხმარების სწავლება ერთ დღეში“ და „ტუალეტის მოხმარების სწავლება მძიმე ნაკლის მქონე ბავშვებში“) ნაჩვენები, ტუალეტის მოხმარების სწავლების პროგრამა ხუთი ძირითადი კომპონენტისგან შედგება. ესენია:

- 1. ბევრი სასმელი:** იმისათვის, რათა ბავშვს დღის განმავლობაში მოშარდვა ბევრჯერ მოუნდეს, მიეცით მას მარილიანი საკვები და ბევრი სასმელი (დღეში რვა-ათი ჭიქა). თვალი ადევნეთ, რომ ბავშვმა სითხე მთელი დღე თანაბრად სვას, ვთქვათ, საათში 120 მლ. ასე უფრო მარტივად განსაზღვრავთ, როდის დასჭირდება მას ტუალეტში გასვლა. აქაიქ ნახევარ-ნახევარ ლიტრს თუ მისცემთ, ტუალეტის საჭიროება რეგულარული აღარ იქნება.
- 2. გაწერეთ ტუალეტის მოხმარების დრო:** ტუალეტში გადით სულ მცირე საათში ერთხელ ან ორჯერ. უთხარი: „ქოთანის დროა“ (ან ნებისმიერი სხვა სიტყვა, რასაც მასთან ხმარობთ). სიტყვით ან ჟესტით ათქმევინეთ: „ქოთანი“ და ტუალეტში წაიყვანეთ. თუ ასეთ დროს მოშარდა ან კუჭში გავიდა, გულუხვად დააჯილდოვეთ. განრიგით მანამდე ისარგებლეთ, სანამ ტუალეტის მოხმარებას თავად არ მოგთხოვთ.
- 3. შეამოწმეთ, მშრალი აქვს თუ არა საცვალი:** ამას ორი მიზანი აქვს. ჯერ ერთი, ამოწმებთ, ბავშვმა ხომ არ ჩაისველა ან ჩაისვარა. თანაც, საშუალება გეძლევათ, ბავშვი სიმშრა-

ლისთვის დააჯილდოვოთ. ჰკითხეთ: „ტრუსი მშრალია?“ და სთხოვეთ, საცვალი გარედან მოისინჯოს. სიმშრალის შემოწმება სხვადასხვა სიხშირით – ხუთწუთიანიდან საათამდე ინტერვალით – შეიძლება. გააჩნია, რამდენად წარმატებით უმკლავდება ბავშვი დავალებას. სიმშრალეც ჯილდოს იმსახურებს. თუ აღმოაჩინეთ, რომ ბავშვს გაეპარა, მაშინვე სთხოვეთ, შეამოწმოს, კვლავაც მშრალი აქვს თუ არა ტრუსი.

4. **პოზიტიური პრაქტიკა ჩასვლება-ჩასვრის დროს:** ტუალეტის მოხმარების ექსპერტების, მათ შორის რიჩარდ ფოქსის თქმით, „პოზიტიური პრაქტიკა“ ტუალეტის მოხმარების სწავლების ძალზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. პოზიტიური პრაქტიკა იმას ნიშნავს, რომ ბავშვი გაპარვის აღმოჩენისთანავე ტუალეტში მიგვყავს, შემდეგ უკან ვაბრუნებთ, მერე ისევ ტუალეტში მიგვყავს და ამ პროცედურას ხუთ-ათჯერ ვამეორებინებთ.
5. **მონაცემთა აღრიცხვა:** აღრიცხეთ ყოველი წარმატებული გასვლის, ჩასვლებისა თუ ჩასვრის შემთხვევები. ასე ადვილად გამოითვლით, რა სიხშირით შარდავს ბავშვი ან როდის აქვს მას კუჭის მოქმედება. მონაცემთა აღრიცხვა პროგრესის შეფასებაშიც დაგეხმარებათ.

დარწმუნებული ვარ, რომ არიან ბავშვები, რომლებიც ტუალეტის მოხმარებას პოზიტიური პრაქტიკის გარეშეც სწავლობენ, თუმცა, ხშირად, მაგალითად, ლუკასის შემთხვევაში, ეს პროცედურა ძალზე ეფექტურია. პოზიტიური პრაქტიკა, რეალურად, შეცდომების გასწორების ერთ-ერთი ფორმაა და ხშირად, ეფექტურ სასჯელადაც გამოდგება. თუმცა, პროგრამის დასაწყისში მის გამოყენებას მოერიდეთ. ჯერ ნახეთ, იქნებ განრიგის აწყობამ და დადებითმა განმტკიცებამ ისეთი შედეგი მოგცეთ, რომ უარყოფითი შედეგების, მათ შორის პოზიტიური პრაქტიკის გამოყენება არც დაგჭირდეთ. მის გამოყენებას ისედაც ვერ შეძლებთ, თუ ბავშვი დიდია ან გეწინააღმდეგებათ. ასევე საფრთხილოა ისეთი სიტუაცია, როდესაც ის სკოლაში დადის და მუდმივმა დასჯამ შეიძლება მეგობრების თვალში მისი დაკნინება გამოიწვიოს.

გეგმის შედგენისას აუცილებლად აღწერეთ, კერძოდ რა პროცედურებს მიმართავთ სასწავლელად, მაგრამ აუცილებლობის

შემთხვევაში, გეგმა შეცვალეთ ხოლმე. მნიშვნელოვანია, ბავშვის ყველა მომვლელმა ერთი და იგივე პროცედურები თანმიმდევრულად გამოიყენოს. თუ პოზიტიურ პრაქტიკაზე უარს ამბობთ, მაშინ ჩასვრა-ჩასვლელბაზე რეაგირებისას ილაპარაკეთ მშვიდად, თუმცა, მტკიცედ და ემოციის გარეშ. ნუ გაიცინებთ თუ გაიღიმებთ. ნუ აფიქრებინებთ, რომ ეს ფაქტი გესიამოვნათ. უთხარით, ტანსაცმელი გამოიცვალოს, მაგრამ ზედმეტ ყურადღებასაც ნუ დაუთმობთ.

ზოგიერთი სხვა ტექნიკა

ზოგიერთ ბავშვთან, ტუალეტში გასვლის შესახსენებლად, კარგად მუშაობს სურათებიანი განრიგის გამოყენება. თუ ასეთით სარგებლობთ, ტუალეტის კიდეც ერთი სურათი იქონიეთ, რათა ბავშვმა შეძლოს, რომ ტუალეტში გასვლა არაგეგმიურ დროსაც გთხოვოთ.

თუ ბავშვი სხეულს კარგად ვერ ფლობს, ასწავლეთ, რომ უნიტაზზე ჯდომისას წინ გადაიხაროს ან კიდეც კუჭში გასვლისას მუცლის ქვედა ნაწილი ნაზად დაუზილეთ.

თუ ბავშვი საფენში ფეხზე დგომით ან ჩაცუცქვით მოსაქმებასაა მიჩვეული, მას უნიტაზზე ჯდომისას ძალიან დაეხმარება ფეხქვეშ პატარა სკამის შედგმა. იგივე ითქმის ისეთ ბავშვებზე, რომლებიც ტუალეტზე ჯდომისას ფეხებს იატაკს ჯერ ვერ აწვდენენ.

არიან ისეთი ბავშვებიც, რომლებზეც კარგად მოქმედებს საყვარელი გმირების ნახატებიანი საცვლების ტარება, რადგან არ უნდათ დაასველონ. თუ ბავშვისთვის სულ ერთია, როგორი ტრუსი აცვია, მაშინ სჯობს, თეთრი იაფფასიანი საცვლები ახმაროთ. ასეთი საცვლების გამოთეთრებაც და გადაგდებაც უფრო ადვილია.

თუ ბავშვი უნიტაზზე დიდი ხნის განმავლობაში ზის ხოლმე, დრო დაინიშნეთ. თუ ტუალეტზე ხუთი წუთის განმავლობაში ჯდომას კუჭის მოქმედება ან მომარდვა არ მოჰყვია, ბავშვი უნდა ააყენოთ.

ყველაფერთან ერთად, ტუალეტის ოთახში სასიამოვნო გარემოც უნდა შექმნათ. თუ ტუალეტის მოხმარების დროს ბავშვს

რთული ქვევები აღენიშნება, ეს, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ საპირფარეშო განმტკიცებასთან სათანადოდ არ არის გაწყვილებული. თუ ეს ასეა, დაიხიეთ ერთი ნაბიჯით უკან და კვლავ დააჯილდოვეთ ბავშვი გულუხვად, თუ ის განრიგით ტუალეტში შევიდა და უნიტაზზე დაჯდა.

მოსაქმების სწავლება

სავსებით შესაძლებელია, ბავშვმა, რომელსაც ტუალეტში მომარდვა ნასწავლი აქვს, ტუალეტშივე, მომარდვის პარალელურად, სპონტანურად კუჭში გასვლაც დაიწყოს (აი, რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ მოსაშარდად ტუალეტზე ბიჭებიც დასვით, სანამ მოსასაქმებლად უნიტაზის მოხმარებას ისწავლიან). ბავშვი, რომელიც სპონტანურად თუ საგანგებოდ მოისაქმებს უნიტაზზე, განსაკუთრებით ძლიერი განმამტკიცებლებით უნდა დაჯილდოვდეს, რადგან მოსაქმების სწავლების დროს მისთვის საფენის გაკეთება არ მოგიწევთ.

თუ ჩასვრის შემთხვევები გაგრძელდა მას შემდეგაც, რაც ბავშვი ტუალეტში მომარდვას სრულყოფილად დაეუფლა, განმტკიცების ფორმას უნდა გადახედოთ – ხომ არ არის განმტკიცება საჭიროზე უფრო სუსტი? გირჩევთ, ტუალეტის მოხმარების სწავლებისას ბავშვის ყველაზე სასურველი განმამტკიცებლები გამოიყენოთ. ასეთ შემთხვევაში, სწავლება უფრო მარტივად წარიმართება. თუმცა, თუ არაფერმა გაამართლა, იქნებ პოზიტიურ პრაქტიკას მიუბრუნდეთ? ამ დროს ბავშვს ჩვეულებრივად ვასუფთავებთ და შემდეგ ხუთჯერ-ათჯერ მაინც ჯერ ტუალეტში მიგვყავს, შემდეგ კი ჩასვრის ადგილას ვაბრუნებთ.

ჩვენს ოჯახში პოზიტიური პრაქტიკა რომ გამოვიყენეთ, ლუკასი ოთხნახევარი წლისა იყო და ტუალეტში მომარდვას სწავლობდა. ერთ-ორ თვეში ლუკასმა ისწავლა განრიგით მოსაშარდად ტუალეტში გასვლა და ამით ძალიან ბედნიერები ვიყავით. თუმცა, ყოველ დღე ან ორ დღეში ერთხელ მაინც ჩაცმული გადიოდა კუჭში. დაიჭერდა მომენტს, როდესაც არ ვუყურებდი, მოეფარებოდა დივანს, ჩაიცუცქებოდა და ტრუსებში ისაქმებდა. ცხადია, ძალიან ვწუწვნილობდი.

ეს ამბავი სამი-ოთხი თვე გაგრძელდა და არავითარი ცვლილება რომ არ ჩანდა, რიჩარდ ფოქსს ტელეფონით დაუკავშირდი. ჩვენ ერთმანეთს რამდენჯერმე შევხვედროდით და დიდი იმედი მქონდა, ჩვენს დახმარებას შეძლებდა. მირჩია, ისეთი განმამტკიცებელი შემერჩია, რის ხელში ჩასაგდებადაც ლუკასი „ყველაფერზე წავიდოდა“ და ჩასვრის შემთხვევების დროს პოზიტიური პრაქტიკა გამომეყენებინა.

ასე მოხდა, რომ როცა ლუკასი ტუალეტში კუჭში გავიდოდა ხოლმე, ბავშვს მანქანაში ვისვამდი და მაკლონალდსში მიმყავდა. თან მთელი გზა ვუბნებოდი, რა ბედნიერი ვარ, ქოთანში რომ მოისაქმე-მეთქი. პოზიტიურ პრაქტიკას სულ ერთი-ორჯერ თუ მივმართე, რადგან დოქტორ ფოქსთან საუბრიდან ორ დღეში ლუკასმა სრულყოფილად ისწავლა, როგორ ესარგებლა ტუალეტით როგორც მოსამარდად, ასევე მოსასაქმებლად.

ღამის ჰიგიენა

მას შემდეგ, რაც ბავშვი სრულყოფილად ისწავლის ტუალეტში მომარდვასა და კუჭში გასვლას, უკვე შეგვიძლია ღამით მარდვა-მოსაქმების კონტროლი ვასწავლოთ. თუ გაგიმართლათ, ამას ბავშვი თავისითაც შეძლებს და ყოველ დილას მშრალი საფენით გაიღვიძებს.

თუ ბავშვმა შეძლო და ხუთი დილა მშრალად გაიღვიძა, კარგი იქნება, თუ საცვლებში დააძინებთ. ალბათ, აქა-იქ ღამით ჩასველების რამდენიმე ეპიზოდი კიდევ იქნება, მაგრამ უსაფენოდ დაძინება სწავლების პროცესში აუცილებელი ნაბიჯია.

თუმცა, თუ არ გაგიმართლათ და დამატებითი ჩარევის გარეშე ბავშვი ღამით სიმშრალის შენარჩუნებას ვერ ახერხებს, რამდენიმე სტრატეგიას გირჩევთ. რამდენადაც ნაშუადღევს სითხის მიღება უნდა წაახალისოთ, დაძინებამდე ორი საათით ადრე სასმელი შეზღუდეთ და პატარა ყლუპებზე მეტი არ მისცეთ. იზრუნეთ, რომ ბავშვმა რეგულარულ დროს დაიძინოს და გაიღვიძოს. ეს განსაკუთრებით ძნელია აუტიზმის მქონე ბავშვის შემთხვევაში, რომელსაც კარგად ისედაც არ სძინავს. ამდენად, თუ ბავშვმა ღამით გაიღვიძა, მაშინვე ტუალეტში წაიყვანეთ.

თუ ღამით ჩასვლები შემთხვევები შენარჩუნდა, დაელაპარაკეთ ბავშვის ექიმს და გადაამოწმეთ, ხომ კარგადაა ყველაფერი ფიზიკური თვალსაზრისით. ღამით უნებლიე შარდვისათვის ბავშვს ნუ დატუქსავთ, ნუ შეარცხვენთ და ნუ დასჯით, რადგან მძინარე ბავშვი შარდის ბუშტს ვერ აკონტროლებს. თუ ის ათ წელზე უფროსი ასაკისაა და ღამით მაინც ისვლებს, არადა სამედიცინო პრობლემა უკვე გამორიცხეთ, სასიგნალო სენსორი გამოიყენეთ და საქმეში ტუალეტის მოხმარების ექსპერტიც ჩართეთ.

ტუალეტში გასვლა საკუთარი ინიციატივით

სამწუხაროდ, როცა ბავშვი ტუალეტში განრიგით სიარულს ათვისებს ხოლმე, ბევრი მშობელი ტუალეტის მოხმარების სწავლებას თავს ანებებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბავშვი ვერ სწავლობს, რომ ტუალეტით შეხსენების გარეშეც უნდა ისარგებლოს. თუ იძულებული ხდებით, შვილს საათში ერთხელ ჰკითხოთ, ტუალეტი ხომ არ სჭირდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვი ტუალეტით სარგებლობას ჯერ არ დაუფლებია და სწავლების პროცესი ჯერ არ დასრულებულა.

ისევე, როგორც ქცევის გამოყენებითი ანალიზისა თუ ვერბალური ქცევის სხვა პროგრამების შემთხვევაში, ბავშვს დამოუკიდებლობის მიღწევაში კარნახის შემცირებისა და განრიგის მოშორებით ვეხმარებით. ჯერ კიდევ განრიგით სარგებლობის პერიოდში ასწავლეთ მას, რომ როცა ეტყვი: „ტუალეტის დროა“, მან საპასუხოდ უნდა განიშნოთ (თუ ის სურათებით ან ჟესტებით მეტყველებს), ან გითხრათ (თუ ბავშვი ვერბალურია) „ტუალეტი“, „ქოთანი“ თუ ნებისმიერი სხვა სიტყვა, რაც პროგრამის დასაწყისში შეარჩიეთ.

ტუალეტში მიმავალმა ორ-სამჯერ შეაჩერეთ ბავშვი, გაზვიადებით აიჩეჩეთ მხრები და კიდევ ერთხელ ჰკითხეთ: „სად უნდა გახვიდე?“ აიძულეთ, გიპასუხოთ – იქნება ეს ჟესტით თუ სიტყვა „ქოთანის“ წარმოთქმით. თქვენ ახლა მას ტუალეტის მენდირებას ასწავლით და ყოველთვის, როდესაც ტუალეტს წარმატებით მოითხოვს (კარნახით თუ კარნახის გარეშე), ეს ქცევა სათანადოდ უნდა დაჯილდოვდეს განმამტკიცებლით.

როგორც კი ნახავთ, რომ ბავშვი წარმატებით გადის ტუალეტში მოსაშარდად საათში ერთხელ, როგორც ამას განრიგი ითხოვდა და ჩასვლების ეპიზოდები ორი-სამი დღეა რაც არ ჰქონია, ტუალეტში გასვლის ინტერვალი 90 წუთამდე გაზარდეთ. არ დაგავიწყდეთ ტაიმერის გამოყენება, რადგან ბავშვი ტუალეტში ბოლოს როდის შევიდა, ყველა მომვლელმა უნდა იცოდეს. თუ ბავშვმა სიმშრალის შენარჩუნება ორი-სამი დღის განმავლობაში შეძლო, ინტერვალი ისევ გაზარდეთ, ამჯერად ორ საათამდე. თუ ინტერვალის გაზრდასთან ერთად ჩასვრა-ჩასვლების შემთხვევებმა მოიმატა, შეეცადეთ, ინტერვალები უფრო ნელ-ნელა გაზარდოთ.

იმისათვის, რათა ტუალეტში თავისი ინიციატივით გავიდეს, ბავშვმა უნდა იგრძნოს, რომ მოშარდვა უნდა. ამისათვის კი ინტერვალი უნდა იყოს გრძელი. სწავლების დროს აუცილებლად ათქმევინეთ ხოლმე ბავშვს, რომ ტუალეტით სარგებლობა უნდა, რადგან შემდეგ ჯერზე, როცა ტუალეტში გასვლას სახლის გარეთ მონიღომებს, საპირფარეშოს მონახვაში ისევ თქვენ უნდა დაეხმაროთ.

ჩასვრა-ჩასვლების შემთხვევებზე რეაგირება სწავლების დასრულების შემდეგ

უნებლიე შარდვა თუ კუჭის მოქმედება თითქმის ყველა ბავშვს ემართება და ეს სანერვიულო სულაც არაა. თუმცა, თუ ჩასვრა-ჩასვლების შემთხვევები გახშირდა, აუცილებელია, ამის გამომწვევ მიზეზს მიაგნოთ. სხვაგვარად, მთელი მიღწეული პროგრესი დაიკარგება.

პირველ რიგში, გამოირცხეთ ჯანრმთელობის პრობლემები – კუჭნაწლავის ვირუსები და საშარდე ტრაქტის ინფექციები. ჩასვრას ხელს უწყობს დიეტის ცვლილებაც – მაგალითად, როდესაც ბავშვი მეტ მზა საკვებს მიირთმევს ან, უბრალოდ, იმაზე მეტს ჭამს, ვიდრე წარსულში. უნებლიე შარდვასა და კუჭის მოქმედებას ხშირად იწვევს სხვადასხვა სახის წამალი და საკვები დანამატიც.

აუცილებლად გადაამოწმეთ მასწავლებელთან, როგორ მიდის ტუალეტის მოხმარების საქმე სკოლაში. თუ ბავშვს ტუალეტში

თავისით გასვლა შეუძლია სახლში, სკოლასა თუ სხვა ნაცნობ სივრცეში, მაშინ განრიგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიყენოს. განრიგს ხშირად იყენებენ, როცა ბავშვი ახალ სკოლაში ან საკლასო ოთახში ხვდება, ხოლო იქ მოქმედი წესებით, ყველა მოსწავლე მოვალეა, სკოლაში მოსვლისას, წახემსებისას, სადილის დროს და სახლში წასვლამდე ტუალეტით ისარგებლოს. ამგვარ გარემოში ტუალეტში გასვლას მიჩვეული ბავშვი ინიციატივას დაკარგავს, რადგან მომარდვის სურვილი ნაკლებად გაუჩნდება. შეიძლება თავი ისევ იჩინოს ჩასვრა-ჩასვლებების ინიციატივებმა, თუ, ვთქვათ, კუჭი აეშალა ან სადილზე ორი ჭიქა წვენი დალია და ტუალეტით სარგებლობა არაგეგმიურად დასჭირდა. ასეთ დროს, ვინაიდან განრიგი რუტინაში მას შემდეგ გამოჩნდა, რაც ბავშვი ტუალეტზე სრულად გაიწვრთნა, ბავშვი თავისი ინიციატივით აღარ იმოქმედებს და მოზრდილის მხრიდან შეხსენებაზე დამოკიდებული გახდება.

სწორედ ასევე, არ არის საჭირო, ბავშვს მთელი დღის განმავლობაში კითხვები აყაროთ, ტუალეტში ხომ არ უნდა. სჯობს, ეს შეკითხვა ისე დაუსვათ, როგორც ტიპურ ბავშვს, მაგალითად, როდესაც მანქანით ხანგრძლივი მგზავრობა გელოდებათ ან საცურაოდ აპირებთ წასვლას.

თუ დაკვირვების დროს აღმოაჩინეთ, რომ ჩასვრა-ჩასვლებების შემთხვევები რაიმე მკაფიო მიზეზის გარეშე, ყოველ დღე ერთსა და იმავე დროს ხდება, კვლავ შემოიტანეთ დღის წესრიგში ტუალეტით სარგებლობის განრიგი დღის ამავე მონაკვეთებში.

შარშან ზაფხულში პრობლემა ლუკასსაც გაუჩნდა. მან აუზში ცურვისას რამდენჯერმე ჩაისვარა და საცურაო კოსტიუმის ქვეშ ტრუსის ჩაცმა მოგვიწია, რომ გარკვეული ბარიერის როლი შეესრულებინა. ამასთან ერთად, გადავწყვიტეთ, განრიგით სარგებლობა დაგვენერგა მხოლოდ აუზზე ყოფნის დროს. ჯერ ტუალეტზე ვსვამდით და შემდეგ ტრუსებზე საცურაო კოსტიუმს ვაცმევდით. გარდა ამისა, საათში ერთხელ აუზიდან ამოგვყავდა და ტუალეტში გაგვყავდა და მხოლოდ ამის შემდეგ ვაძლევდით აუზში ხელახლა ჩასვლის უფლებას. მთელი დანარჩენი დროის განმავლობაში არც განრიგით ვსარგებლობდით და არც ზედმეტად ვეკითხებოდით, ტუალეტში გასვლას ხომ არ გჭირდებათქო.

რამდენ ხანს გრძელდება ტულეტიის მოხმარების სწავლება?

ტულეტზე წვრთნის ხანგრძლივობა, ისევე, როგორც ტიპური ბავშვების შემთხვევაში, თქვენს შვილზეა დამოკიდებული. შეიძლება ამას დღეები, კვირები ან თვეებიც კი დასჭირდეს, მაგრამ არა – წლები. თუ გსურთ, პროცესი წარმატებით დაგვირგვინდეს, ქმედებები ფაქტობრივ მონაცემებს უნდა ეფუძნებოდეს და კოორდინირებული უნდა იყოს. რაც არ უნდა მოხდეს, არ დანებდეთ! თუ საჭიროა, გეგმა გადაამუშავეთ კიდევ, მაგრამ ფარ-ხმალი არავითარ შემთხვევაში არ დაყაროთ. ეს ჩვევა ბავშვს ყველა სასიცოცხლო უნარზე უფრო ესაჭიროება და მიზნის მიღწევაში მისი დახმარება სწორედ თქვენ შეგიძლიათ.

თვითმოვლის სხვა უნარების სწავლება

ტულეტის მოხმარებასთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანი უნარებია ხელის ბანა და ჩაცმა. ზოგადად, თვითმოვლის უნარები, იქნება ეს ხელის დაბანა თუ სკოლის გარდერობში პალტოს ჩამოკიდება, ქათმის ხორცის ჩანგლით ჭამა თუ პერანგის ჩაცმა, ენობრივი უნარებისგან განსხვავებულად ისწავლება. რეალურად, ეს უნარები რამდენიმე, ერთმანეთზე გადაბმული უნარის კომბინაციაა.

ლუკასს ხელის დაბანას პრაქტიკულად წლების განმავლობაში ვასწავლიდით! უფრო ზუსტად, ეს პროცესი ოთხი წელი გაგრძელდა. ჯერ იყო და სიტყვით შევახსენებდით ხოლმე, რის შემდეგ რა უნდა ექნა. შემდეგ ნიჟარის თავზე ლამინირებული სურათები ჩამოვკიდეთ თვალსაჩინოებისათვის, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ბავშვი ხელის დაბანას ვერ სწავლობდა, სანამ ექვსი წლის არ გახდა და ქვევის გამოყენებითი ანალიზის სკოლაში არ შევიყვანეთ. როგორც აღმოჩნდა, სიტყვიერი შეხსენება და თუნდაც გრაფიკული სურათების სერია ამგვარი კომპლექსური უნარის სასწავლებლად ეფექტური მეთოდები სულაც არაა. ასეთი უნარები უკეთ ისწავლება ე.წ. დავალების ანალიზის გამოყენებით. ბავშვს უკან დავუდგებით და ფიზიკურად ვეხმარებით თითოეული ნაბიჯის შესრულებაში. შემდეგ კი, ნელ-ნელა ვუმცირებთ დახმარებას და დავალების და-

მოუკიდებლად შესრულებას მოვითხოვთ. მას შემდეგ, რაც სიტყვიერად მიუთითებთ, „ხელი დაიბანე“, პროცედურის განმავლობაში ნულარ ილაპარაკებთ – თქვენი მიზანია, ბავშვმა შესაბამისი ნაბიჯები დამოუკიდებლად შეასრულოს; სიტყვიერი კარნახის შემცირება კი ძნელია.

როცა ლუკასი სკოლაში ხელების დაბანას სწავლობდა, მე ქცევის გამოყენებით ანალიზში საკურსო ნაშრომს ვამთავრებდი და სწორედ დავალების ანალიზის გამოყენებას ვსწავლობდი. დავალების ანალიზი მეტად გამოსადეგი ინსტრუმენტია ისეთი უნარების სასწავლებლად, რომლებიც რამდენიმე საფეხურს მოიწირებს. ამ თემაზე საუკეთესო წიგნი, რომლის მოძიებაც შევძელი, არის დოქტორ ენდი ბონდისა და მისი კოლეგების „პირამიდისებრი მიდგომა განათლებაში: გაკვეთილის გეგმები მცირეწლოვანი ბავშვებისათვის“ (The Pyramid Approach to Education: Lesson Plans for Young Children, 2002).

დავალების ანალიზის გასაწერად რთული უნარის ყოველი ნაბიჯი ცალკე იწერება. კარგი იქნება, თუ ტიპურ ბავშვს დააკვირდებით ან, თუნდაც, თავად შეასრულებთ დავალებას და თითოეულ საფეხურს ჩაიწერთ.

აი, როგორია, მაგალითად, ხელის დაბანის დავალების ანალიზი:

ხელი მოჭკიდე ორივე ონკანს და მოუშვი წყალი.

მარჯვენა ხელი დაადე საპნის ბოთლის ტუმბოს, მარცხენა შეყავი ბოთლის ტუჩქვეშ.

ბოთლის ტუმბოს ორჯერ დააწევი.

ხელები ერთმანეთს ხუთი-ათი წამის განმავლობაში გაუსვ-გამოუსვი.

ხელები ონკანქვეშ შეყავი და საპონი ჩამოირეცხე.

მოჭკიდე ხელი ორივე ონკანს და დაკეტე წყალი.

აიღე პირსახოცი და ორივე ხელი გაიმშრალე.

პირსახოცი საკიდზე დააბრუნე.

მნიშვნელოვანია, რომ ამ დავალებაზე მუშაობისას გამოიყენოთ ყოველთვის ერთი და იგივე ტიპის საპონი (მყარი თუ თხევადი) და ის ნიჟარაზე ერთსა და იმავე ადგილას იდოს. ასე პროცედურა თანმიმდევრული იქნება. თუ სასაპნე მარცხენა მხარეს დევს, ბავშვს უნდა ვასწავლოთ, რომ ბოთლის ტუჩქვეშ მარჯვენა ხელი შეყოს,

მარცხენათი კი ტუმბოს დააწვეს. აქ მთავარი თანმიმდევრულობაა. ეს შესაძლებლობას მოგცემთ, რომ დახმარება შეამციროთ.

დავალება უკვე გააანალიზეთ. ახლა შეაფასეთ, რამდენად შეუძლია ბავშვს თითოეული ამ საფეხურის გავლა. დაავალეთ, ხელი დაიბანოს და დააკვირდით, რას იზამს. ცივ წყალს უშვებს? ნიჟარასთან უბრალოდ ხომ არ დგას? საპონს იქამდე ტუმბავს, სანამ თქვენ არ მოსთხოვთ, გაჩერდით? შეფასება დაგანახებთ, სად დგახართ, მუშაობა რითი უნდა დაიწყოთ.

თითოეულ უნარს ცალ-ცალკე კი ნუ ასწავლით, არამედ უჩვენეთ, რომ ეს ერთი მწყობრი, გამართული აქტია. ბავშვმა პროცესი მთლიანობაში უნდა შეიგრძნოს და მასში შემავალი საფეხურების სწორი თანმიმდევრობაც დაიმახსოვროს. თქვენც დაეხმარეთ: ბავშვს უკან ამოუდევით და ხელებსა და მკლავებზე ოდნავი შეხებით ერთი ნაბიჯიდან მეორეზე უშეცდომოდ გადასვლაში მიუშველეთ.

დავალების ანალიზი გამოგადგებათ ყოველდღიური საქმეების შესრულების სწავლების დროსაც: სუფრის გასაშლელად ან, თუნდაც, სათამაშოების ასაკრეფადაც კი. მნიშვნელოვანია, ანალიზისას საფეხურების ისეთი თანმიმდევრული სერია შექმნათ, რომლის დასწავლაც შესაძლებელია და ბავშვი მათ აუცილებლად დაიმახსოვრებს. ერთ დროს დაუნის სინდრომიან 14 წლის გოგონასთან ვმუშაობდი. ბავშვი სკოლაში სუფრის გაშლას სწავლობდა. პირველი კითხვა, რომელიც მასწავლებელს დავუსვი, ეს იყო: „რითი გინდათ, ბავშვმა დაიწყოს სუფრის გაშლა? თეფშები სათითაოდ მოიტანოს თუ ოთხ-ოთხად? დანა-ჩანგალზე ცალკე უნდა მიბრუნდეს თუ პირველივე გზაზე თეფშებზე დაილაგოს?“

როგორც მასწავლებელმა აღიარა, პროცესზე კარგად არ დაფიქრებულა და, უბრალოდ, უნდოდა, გოგონას „სუფრა გაეშალა“. პასუხად ავუხსენი, რომ საჭირო იყო ისეთი პროცედურის აწყობა, რომლის ფარგლებში ბავშვს უკნიდან რბილად უბიძგებდა საჭირო მოქმედებისკენ და დახმარების შემთხვევებს იქამდე შეამცირებდა, სანამ ბავშვი დავალების შესრულებას დამოუკიდებლად არ შეძლებდა.

იმავე პროცედურების გამოყენება შეიძლება მაშინაც, როცა ბავშვს თვითმოვლის სხვა უნარებს, მაგალითად, ჩაცმა-განდას ვასწავლით. ამავე დროს გამოგადგებათ ე.წ. პირუკუ ჯაჭვის ტექნიკა, როდესაც ბავშვს ვავალებთ, მას შემდეგ, რაც სერიაში მოცემულ

ქმედებებს ბოლომდე მიიყვანთ, უკანასკნელი ქმედება თვითონ შეასრულოს. თუ ამას შეძლებს, შემდეგ ეტაპზე ბოლო ორი ქმედების შესრულებას სთხოვთ.

ამგვარად, თუ გსურთ, ბავშვმა ფეხსაცმელი და წინდები გაიხადოს, უბრალოდ გახსნით და ისე მოუშვებთ თასმებს, რომ როცა ეტყვი, „ფეხსაცმელი გაიხადე“, ამის გაკეთება ადვილად შეძლოს.

იგივე უნდა წინდების გახდას. წინდები ბოლომდე ჩამოუშვით, რომ ფეხიდან ადვილად მოიძროს და შემდეგ ბავშვს დავალების დასრულება სთხოვეთ.

ჩაცმა-განდის უნარების სწავლებისას კარგია დიდი ზომის ტანსაცმლის გამოყენება. ასე შარვლისა თუ წინდების აწევა ნაკლებ ძალისხმევას მოითხოვს. არ დაგავიწყდეთ, საჭიროებისამებრ, ბავშვს უკნიდან უბიძგოთ. ასე მიხვდებით, რეალურად რა სამუშაოს ასრულებს ბავშვი და ხომ არ არის საჭირო, დახმარების სხვაგვარ ფორმაზე გადასვლა. ტუალეტის მოხმარებისა და თვითმოვლის უნარების სწავლება მნიშვნელობით ენობრივი უნარების სწავლებას უტოლდება. ასეთ დროს ბიჰევიორისტული მეთოდის ეფექტურობას მეცნიერული მტკიცებულებები უჩვენებს. რაც უფრო მეტის გაკეთებას შეძლებს ბავშვი თავის მოსავლელად, მით უკეთესი იქნება მისი სამომავლო პერსპექტივები. გარდა ამისა, ტუალეტის მოხმარებისა და თვითმოვლის პროცედურებისგან თავადაც განთავისუფლებით და შეძლებთ მეტი დრო ენობრივი და აკადემიური უნარების განვითარებას დაუთმოთ.

XII ტავი

რამდენიმე დასკვნითი მოსაზრება

ამ წიგნით მსურდა, თქვენთვის გამეცნო, თუ როგორ იგება ვერბალური ქცევის პროგრამა, რომელიც თქვენს ბავშვს დანარჩენ სამყაროსთან თანაცხოვრებაში დაეხმარება. მაგრამ როგორც, ალბათ, უკვე მიხვდით, პროგრამის აწყობა არცთუ ისე რთული საქმეა. ჯერ-ჯერობით აუტიზმის წამალი არ არსებობს და უნდა გესმოდეთ, რომ აუტიზმი ახლო მომავალში კვლავაც თავად თქვენი, თქვენი შვილისა და ოჯახის რეალობის ნაწილი იქნება.

თუმცა, აუტიზმი არამც და არამც არ არის ტრაგედია. ამ თავში შევეცდები, რამდენიმე რჩევა მოგცეთ. მინდა, იცოდეთ, თუ როგორ უნდა გაუმკლავდეთ დიაგნოზით გამოწვეულ დარტყმას და რაც შეიძლება სწრაფად დაიწყოთ ბავშვთან მუშაობა. ამისათვის „სერტიფიცირებული ქცევითი ანალიტიკოსის“ მანტიის მოხსნა და მშობლის როლში დაბრუნება მომიწევს.

ეს თავი საგანგებოდ მშობლებს ეძღვნებათ, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ მას პროფესიონალებიც წაიკითხავენ. ოჯახთან ურთიერთობას, მათი ემოციების გააზრებას ბავშვთან ეფექტური კლინიკური მუშაობისათვის დიდი როლი ეკისრება.

აი, რას გეტყოდით, ჩემი საუკეთესო მეგობარი რომ იყოთ და თქვენი შვილისთვის რომელიმე მძიმე დარღვევის, აუტიზმის თუ დაუნის სინდრომის დიაგნოზი რომ დაესვათ.

დაუყოვნებლივ გაუსწორეთ თვალი დიაგნოზს

რაც უფრო მალე გააცნობიერებთ, რომ თქვენი შვილი უნარშეზღუდულია, მით უფრო მალე შეძლებთ მის დახმარებას. ჩათვალეთ, რომ ცხოვრება სამუდამოდ შეგეცვალათ და აღარასოდეს იქნება ისეთი, გონებაში რომ წარმოიდგენდით ხოლმე. მაგრამ აუცილებლად უნდა გჯეროდეთ, რომ თქვენს შვილს შეუძლია ბედნიერი და ნაყოფიერი ცხოვრება ჰქონდეს.

დიდი ხნის წინ ერთმა მეგობარმა მითხრა, როცა შენს შვილს აუტიზმის დიაგნოზს უსვამენ, თითქოს სრულიად სხვა სამყაროში

გადინაცვლებ, სადაც ყველაფერი აუტიზმის გარშემო ტრიალებსო. ამ ნათქვამის სიმართლე მეც აღმოვაჩინე – მოვლენების ლუკასის დიაგნოზის მიხედვით „დათარილება“ დავიწყე. მახსოვდა, მაგალითად, რომ რაღაც მოხდა დიაგნოზის დასმამდე ერთი წლით ადრე, ან თერაპიის დაწყებიდან ექვს თვეში. კარგად ვიცი, რა რთულია უცებ იმის მიღება, რომ შენი ცხოვრება სამუდამოდ შეიცვალა. მაგრამ ამას რაც უფრო მალე მოახერხებთ, მით უკეთესი იქნება. ის, რომ აუტიზმის დიაგნოზი მთელი ოჯახის დინამიკას თავდაყირა აყენებს, უბრალოდ ცხოვრებისეული ფაქტია.

თუმცა, თუ მკვეთრი ცვლილებების უცბად მიღება გაგიჭირდათ, იცოდეთ, რომ მარტო არ ხართ. მახსოვს, ლუკასის დიაგნოზი ახალი მიღებული გვექონდა, როცა ფსიქოლოგმა მითხრა, იგლოვე – ლუკასი ჩვეულებრივი ბავშვი არ არის, არც არასოდეს იქნება და, ამიტომ, არც ცხოვრება გექნებაო ჩვეულებრივი. მე ვუპასუხე, რომ ჩვეულებრივ ცხოვრებაზე ხელს ასე უცბად ვერ ავიღებდი და თუკი რამე საგლოვი იყო, საბავშვო ბაღის წლებს ეხებოდა. ბავშვი სამი წლის იყო და მთელი ცხოვრების გამოგლოვებას არ ვაპირებდი.

დარწმუნებული ვიყავი, რომ ინტერნსიური თერაპიის წყალობით ლუკასი სრულად განიკურნებოდა. ოპტიმიზმი ჩემთვის ძალიან საჭირო კი იყო, მაგრამ ჩემმა მეუღლემ ჩარლზმა სულ სხვა გზა აირჩია. ლუკასის დიაგნოზი განვითარებითა პედიატრმა გაგვაცნო. უკან რომ ვბრუნდებოდით, ჩარლზი გაუთავებლად ამბობდა, „აღბათ, ცოლს ვერასოდეს მოიყვანს, ვერც კოლეჯში ისწავლის“, „მთელი სიცოცხლე ჩვენთან ერთად ცხოვრება მოუწევს“ და ა.შ. ავტირდი და ვუთხარი, გაჩუმდითქო. ამ ყველაფერზე ფიქრი ჯერ არ შემეძლო. არც იმ დღეს; არც იმ წელს. ჩემთვის მთავარი იყო, ბავშვი ქცევის გამოყენებითი ანალიზის თერაპიის პროგრამაში ჩამერთო და ყოველდღიური მიზნები დამესახა და იმაზე მკითხაობას, ოცი წლის თავზე რა იქნებოდა, არ ვაპირებდი.

იმ დღეს, როცა ლუკასს დიაგნოზი დაუსვეს, მისი განკურნება შავ-თეთრ ფერებში წარმომედგინა და იმასაც კი ვფიქრობდი, რამდენიმე წელიწადში რომ გამოჯანმრთელდება, ამის აღსანიშნავად წვეულებას გავუმართავთქო. ვფიქრობდი, ჩარლზი როგორ პესიმისტურად მსჯელობს-მეთქი. აღმოჩნდა, რომ ძალიან განსხვავებული თავდაპირველი რეაქციები გვექონდა.

აუტიზმის დიაგნოზთან გამკლავება ორმშობლიან ოჯახებში ამგვარ რეაქციას არცთუ იშვიათად იწვევს. ხშირად ერთი მშობელი, ჩემსავით, სრულებით ოპტიმისტურად და ზოგჯერ არარეალისტურადაც აზროვნებს. მეორე კი მის საპირისპიროს ფიქრობს. საბოლოო ჯამში, როდესაც მე და ჩარლზმა იმედების, ოცნებებისა და შიშების გაზიარება და მოსმენა დავიწყეთ, ჩემმა ოპტიმიზმმა და ჩარლზის პესიმიზმ-რეალიზმმა ერთგვარად ერთმანეთი გააწონასწორა.

მართალია, ლუკასმა დიდ პროგრესს მიაღწია, მაგრამ ჩვენი ცხოვრება მაინც სამუდამოდ შეიცვალა. როცა დიაგნოზი დაუსვეს, მე ექთანი ვიყავი. ახლა, შვიდ წელიწადში, სერტიფიცირებული ქცევის გამოყენებითი ანალიტიკოსი და ბერკსის ოლქის აუტიზმის საზოგადოების დამფუძნებელი პრეზიდენტი ვარ. სულ რამდენიმე წელიწადში აუტიზმის კონსულტანტად, ექსპერტად, ავტორად და სპიკერად ვიქეცი.

რა არის „მარცხი“

თუ თქვენი ბავშვი აუტიზმისგან ვერ „გამოჯანმრთელდა“, ან თუ სკოლაში დამატებითი დახმარება სჭირდება, ან თუნდაც, ლაპარაკი ვერ დაიწყო, ნუ იფიქრებთ, რომ ან თქვენ ან ის დამარცხდით. ჩემს მეგობარ ქეროლს ვაჟი ჰყავს, აუტიზმის საშუალო სიმძიმის ფორმით. ქეროლი ჩემი პირველი „აუტიზმის გამო შექნილი“ მეგობარი იყო. ვიდაცამ მისი ტელეფონის ნომერი მომცა და მეც სახლში ვესტუმრე, რომ მისი შვილის, ენტონის თერაპიის სეანსს დავსწრებოდი. შემდგომ წლებში მე და ქეროლი ერთად უამრავ დროს ვატარებდით. სწორედ ქეროლი გაფრინდა 2000 წელს ფლორიდაში დოქტორ ვინსენტ ქარბონის სანახავად და პირველმა მიაგმო ვერბალური ქცევის შესახებ. ვერც წარმომიდგენია, ქეროლის გარეშე ჩემი გზა როგორი იქნებოდა. მისი მხარდაჭერისა და რჩევა-დარიგებების, ჩემი ძალისხმევის და მისი ძალისხმევის პირობებშიც კი, ჩვენი შვილები თანატოლებისგან ჯერ კიდევ ძალიან განსხვავდებიან. ჩვენ ერთად აღმოვაჩინეთ, აუტიზმისგან „განკურნება“ რომ უბრალოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვდეს, შვილები ახლა ორივეს დიდი ხნის გამოჯანმრთელებულები გვეყოლებოდა.

ყველაფერთან ერთად კი, ჩვენი მეგობრობის წყალობით, იმასაც ვაცნობიერებთ, რომ ქვევის გამოყენებითი ანალიზისა და ვერბალური ქვევის დამსახურებით, ჩვენი შვილები თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმალურ დონეზე ფუნქციონირებენ. და, თუმცა ბავშვები უკვე ათი წლისანი არიან, ჯერ ბევრი საქმე გვაქვს გასაკეთებელი – სწავლა გრძელდება, ამიტომ ჩვენც, მათი მშობლები, მუშაობას ვაგრძელებთ.

რაც კი აუტიზმზე მშობლების ავტორობით შექმნილი წიგნი წამიკითხავს, მათი უმეტესობა იმ მშობლების დაწერილია, ვის შვილებმაც თერაპიით დიდ პროგრესს მიაღწიეს. ზოგიერთი მათგანი იმასაც ამტკიცებს, რომ მისი შვილი აუტიზმისგან სრულად „გამოჯანმრთელდა“. თუმცა, ქვევის გამოყენებითი ანალიზის საუკეთესო, ყველაზე თანამედროვე პროგრამის პირობებშიც კი, აუტიზმის მქონე ბავშვების უმრავლესობა სრულად გამოჯანმრთელებას ვერასოსდეს მოახერხებს. აუტიზმით დაავადებული ასეულობით ბავშვი მინახავს და მათგან მხოლოდ რამდენიმეზე თუ ვიტყვოდი, რომ ის აუტიზმისგან „განიკურნა“, ან სხვა ბავშვებისგან არაფრით განსხვავდება. სწორედ ამიტომ მგონია, რომ გამოჯანმრთელება თქვენი ერთადერთი ან მთავარი მიზანი არ უნდა იყოს.

თუმცა, ქვევითი თერაპია თითქმის ყველა ბავშვზე დადებითად მოქმედებს და შესაძლებელია, აუტიზმი თქვენმა შვილმაც დაძლიოს ან მთლიანად სხვა ბავშვების მსგავსი გახდეს. სწორედ ესაა საკმარისი მიზეზი, რომ მუშაობა გააგრძელოთ. ვიღაცეები სხვებზე უფრო წინ წავლენ; სწორედ ასე ზოგიერთი ტიპური ბავშვი სხვებზე მეტს აღწევს ხოლმე. თქვენი შვილის განვლილი გზა სხვა ბავშვისას არ შეადაროთ. სჯობს, მის ძლიერ მხარეებს დააკვირდეთ და სისუსტეების აღმოფხვრა სწორედ მათი გამოყენებით სცადოთ.

არავითარი „მაღალფუნქციონირებადი“ და „დაბალფუნქციონირებადი“. ეს მახვია

ზოგჯერ ყველაზე სწორი საქციელი სხვათა რჩევა-დარიგებების იგნორირებაა. აუტიზმის თემში ბევრი პროფესიონალი თუ ოჯახის წევრია, რომლებიც მიზნად ისახავენ, დაგარწმუნონ, რომ ქვევის გამოყენებითი ანალიზი თუ ვერბალური ქვევა თქვენს შვილს არ

გამოადგება, რადგან ბავშვი მეტისმეტად მაღალფუნქციონირებადი ან პირიქით, დაბალფუნქციონირებადია. გამოცდილება სულ სხვა რამეს მკარნახობს. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, სპექტრის რა ნაწილში ხვდება ბავშვი – ქცევის გამოყენებითი ანალიზი და ვერბალური ქცევა ყოველთვის ეფექტურია.

მშობლებისგან ხშირად გამიგია, „ჩემს შვილს განვითარების დაუზუსტებელი პერვაზიული აშლილობა აქვს“, ან კიდევ „აუტიზმის დახმარების ჯგუფში არ გაწვევრიანდები. ბავშვს ასპერგერის სინდრომი აქვს, იქ კი დაბალფუნქციონირებადი ბავშვების მშობლები არიან.“ ეს იმას ჰგავს, ერთმანეთს სხვადასხვა ტიპის კიბო შეუდაროთ. კი, შესაძლებელია, კიბოს სხვადასხვა ფორმა განსხვავებული შედეგით სრულდებოდეს, მაგრამ კიბოს ნებისმიერი დიაგნოზი ადამიანის სიცოცხლეს თავიდან ბოლომდე ცვლის ხოლმე.

სიმართლე რომ ვთქვა, კარგად არც კი მესმის, რა არის მაღალფუნქციონირებადი აუტიზმი. ადრე ვფიქრობდი, ლუკასი მაღალფუნქციონირებადი ბავშვიათქო, რადგან ჩვილობის ასაკში ჩვეულებრივ ბაგა-ბაღში დადიოდა და „ტიპურ“ ბავშვს ჰგავდა. არ ჩვეოდა სტერეოტიპული მანერები – ხელის უაზროდ ქნევა და რჩევა. არ იყო აგრესიული და თვითდაზიანებებს არ იყენებდა. ყველაფრის მიუხედავად, მას საშუალო სიმძიმის აუტიზმის დიაგნოზი დაუსვეს და მეც ტერმინ „მაღალფუნქციონირებადის“ გამოყენებას შევეშვი.

სამაგიეროდ, ახლა ლუკასს ერთგვარ საზომად ვიყენებდი სხვა აუტიზმის მქონე ბავშვების შესაფასებლად. ლუკასი სადღაც შკალის შუაში განვათავსე და მის მიხედვით ბავშვებს მაღალ და დაბალფუნქციონირებადებად ვყოფდი. მაგრამ ერთ დღესაც მივხვდი, რომ ეს კატეგორიები არაფრის მომცემია. ეს მაშინ მოხდა, როცა ბავშვისათვის შესარჩევად ქცევის გამოყენებითი ანალიზის ერთ სკოლას ვესტუმრეთ და ჯგუფურ მუშაობას ვაკვირდებოდი. იქ ერთი ბიჭი იყო, რომელიც ვერაფრით ჩერდებოდა. წამდაუნუმ იატაკზე წვებოდა და აღმზრდელებს ძალიან აწვალებდა. ამგვარ ქცევასთან სამუშაოდ მასწავლებლებს სათანადო პროცედურა კი გააჩნდათ, მაგრამ ისე განვიცადე, ჯგუფური მუშაობა რომ დამთავრდა, გონება უკვე ძალიან არეული მქონდა.

ვშიშობდი, ამ სკოლისთვის ლუკასი ძალიან მაღალფუნქციონირებადი ხომ არ არის-მეთქი. სკოლის დირექტორმა მთხოვა, უკეთ

ამეხსნა, რას ვგულისხმობდი და მეც ვუთხარი, ჯგუფური მუშაობისას რაც ვნახე, მაფიქრებინებს, ამ კლასში ლუკასი უფრო არ ჩამორჩეს თუ.

როგორც დირექტორისგან შევიტყე, ბავშვი, რომელიც ჯგუფური მუშაობისას ცუდად იქცეოდა, თურმე გრძელ წიგნებს კითხულობდა, სკოლის დონის მათემატიკა იცოდა და ლუკასზე უკეთეს ლაპარაკობდა.

სწორედ იმ მომენტში გადავწყვიტე, „მაღალფუნქციონირებადი“ და „დაბალფუნქციონირებადი“ ლექსიკონიდან საერთოდ ამომეღო. ეს ტერმინები ძალზე სუბიექტურია და, შესაბამისად, საბოლოო ჯამში – სრულიად გამოუსადეგარი. მასწავლებელს რომც მოუნდეს კიდევ, მოსწავლეები განვითარების მიხედვით ჩაამწკრივოს, ეს ძალიან გაუჭირდება, რადგან სხვადასხვა ბავშვს ამა თუ იმ სფეროს უნარები სრულიად განსხვავებულად აქვს განვითარებული. შეიძლება ბავშვს მაღალი აკადემიური უნარები ჰქონდეს, სოციალური უნარები კი – მწირი; შეიძლება არასასურველი ქცევები ჰქონდეს და, ამავდროულად, შესანიშნავად მეტყველებდეს.

სამწუხაროდ, რაც უფრო „ჩვეულებრივად“ გამოიყურება ბავშვი, მით უფრო სჭირდება მას თქვენი მხრიდან დაცვა. ზოგი მშობელი დიაგნოზს მალავს და ეს პრობლემას ამძიმებს, რადგან ხშირად სხვა მოსწავლეები კარგად ამჩნევენ, რომ ბავშვი მათგან განსხვავებულია. სწორედ ამ ე.წ. „მაღალფუნქციონირებადი“ მოსწავლეებს დასცინიან და არ ემეგობრებიან უფრო ხშირად. როგორც წესი, მათ არც ინდივიდუალური სწავლებით უზრუნველყოფენ ხოლმე, რომ მასწავლებელმა ენაზე, აკადემიურ თუ სოციალურ უნარებზე იმუშაოს და ამით დაეხმაროს სხვა ბავშვებთან დაახლოებაში. ამიტომაც, რომ ხშირად პროფესიონალების სწავლებაც მოგიწევთ, მათი ერთგვარად რბილად იძულებაც კი, რომ თქვენმა შვილმა (რომელიც, ერთი შეხედვით, ტიპური ბავშვივით გამოიყურება) ის სერვისები მიიღოს, რაც მას აუცილებლად სჭირდება.

ამ ყველაფრის გამო ღრმად დავრწმუნდი იმაში, რომ ბავშვების მაღალ და დაბალფუნქციონირებადად დაყოფა დაუშვებელია. სამაგიეროდ, აუცილებელია მათი ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების შეფასება და საგანმანათლებლო სამუშაოს იმგვარად დაგეგმვა, რომ ეს მას რეალურად წინსვლაში დაეხმაროს.

თერაპია: რაც შეიძლება ბევრი, რაც შეიძლება სწრაფად

ლუკასს რომ დიაგნოზი დაუსვეს, დარწმუნებული ვიყავი, საქმე მსუბუქ შემთხვევასთან გვექონდა. ამიტომ ველოდი, გამოჯანმრთელება და ხანგრძლივი მკურნალობა არ დაგვჭირდება-მეთქი. როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ვცდებოდი.

დოქტორ გლენ დანლეუპის ერთ სემინარს დავესწარი. დოქტორს მევხვდი და ვუთხარი, ალბათ, ლუკასს ბევრი მკურნალობა არ დასჭირდება-მეთქი. მან კი მიპასუხა, სჯობს, ისე მიუდგე, თითქოს საქმე აუტიზმის ყველაზე მძიმე ფორმასთან გაქვსო. თქვა, რომ თავისი ხანგრძლივი გამოცდილების ფარგლებში უნახავს სამი წლის ასაკში ლუკასის მსგავსი ბავშვები, რომლებიც რვა წლის ასაკისათვის აუტიზმის სიმპტომებისგან სრულიად გათავისუფლებულან. უნახავს ისეთებიც, რომლებმაც ეს ვერ მოუხერხებიათ. მეორე მხრივ, ისეთი მძიმედ აუტისტური ბავშვებიც ენახა, რომელთა გამოჯანმრთელების არავითარი იმედი არ არსებობდა, არადა, რვა წლის ასაკისთვის ტიპური ბავშვებისგან სრულიად განურჩევლნი გამხდარან.

დოქტორმა დანლეუპმა მითხრა, ისეთი შემთხვევები მინახავს, მსუბუქი და ზომიერი აუტიზმის მქონე ბავშვები მძიმედ აუტისტურს ჩამორჩენილან, რადგან თავის დროზე ასერიგ აუცილებელი ინტენსიური თერაპია არ გაიარესო. თქვა, არასოდეს ინანებ, შვილს ზედმეტი თერაპია რომ გაატარე, სამაგიეროდ, ყოველთვის ინანებ, რომ საკუთარი ინტერპრეტაციებით დაკმაყოფილდი, მოეპვი და საკმარისი აგრესიულობით არ მკურნალობდიო.

ბავშვისთვის აუცილებელი სერვისების მოპოვება შეიძლება ადვილი საქმე არ იყოს, მაგრამ აბსოლუტურად აუცილებელია. პროფესიონალებს სიტყვაზე არასოდეს ენდოთ. ერთი ორწლინახევრის ბავშვის დედამ მითხრა, რომ მეტყველების თერაპია მის შვილს თვეში ერთ საათამდე შეუმცირეს (თუმცა, ჩემთვის ცხადი იყო, რომ ბავშვი ერთი წლით მაინც იყო ჩამორჩენილი). ქალმა დაასკვნა, ალბათ, წინსვლა აქვს, თორემ ასე არ მოიქცეოდნენო. არადა, სჯობდა, ენის სტანდარტიზებული შეფასება და სხვა ობიექტური მონაცემები ენახა. აუცილებელი თერაპიის არარსებობა

და სერვისების ნაადრევი შემცირება, ჩვეულებრივ, უფრო პერსონალისა და დაფინანსების ნაკლებობით არის ხოლმე გამოწვეული, ვიდრე ბავშვის წინსვლით. თუ რამეში ეჭვი შეგეპარათ, აუცილებლად ობიექტური მონაცემები მოიძიეთ, რომ ბავშვი ინტენსიური თერაპიით უზრუნველყოთ.

მზად იყავით, შვილის ინტერესებისთვის იბრძოლოთ

ყველაზე რადიკალური რჩევა, რასაც ჩემგან მიიღებთ, ისაა, რომ დიდი ალბათობით, ბრძოლა დაგჭირდებათ, რათა ბავშვი მაღალი ხარისხის განათლებითა და სერვისებით უზრუნველყოთ. იმედი მაქვს, ერთ-ერთი იმათგანი ხართ, ვისაც გაუმართლა და ამისათვის ბრძოლა არ უწევს (ალბათ, იმიტომ, რომ ვიღაცამ თქვენამდე ეს საქმე უკვე შეასრულა). მაგრამ თუ ეს ასე არ არის, იცოდეთ, რომ არის რამდენიმე გზა, რაც საქმეს გაგიოოლებთ. მთავარია, კარგად გქონდეთ აღრიცხული და ორგანიზებული ჩანაწერები, რაც დაამტკიცებს, თუ რა სჭირდება ბავშვს და რა სერვისებს იღებს იგი რეალურად.

როგორც კი ლუკასი სამი წლის გახდა და აუტიზმის დიაგნოზი დაუსვეს, ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს ყველა კუთხე-კუნჭულში მისი ინტერესებისთვის ბრძოლა მიწევდა. მაღე შევიტყე, რომ საგანმანათლებლო სერვისები იდეალურისგან ძალიან შორს იყო და, თანაც, ჩემთვის, ყოვლად მიუღებელი. სულ რამდენიმე თვეში ჩავერთე სამართლებრივ დავაში, რომელიც ორ წელიწადს გაგრძელდა იურისტების, სასამართლოს რეპორტიორების, მოწმეების მონაწილეობით. გასაოცარი ამბავი იყო, რადგან ქაღალდზე ყველაფერი ჩემს სასარგებლოდ იყო. მაგისტრის ხარისხი მქონდა, მანამდე პერსონალის განვითარების კოორდინატორად ვმუშაობდი და ექთნებს მიზნების სწორად წერას ვასწავლიდი. თვითონ ექთნებს ვხელმძღვანელობდი და, ამდენად, მონაცემთა კარგად აღრიცხვა და საჭიროების შემთხვევაში, თამამად მოქმედება კარგად გამომდიოდა.

ჩემი ოჯახი იქვე ახლოს ცხოვრობდა. ამიტომ ბავშვების მიმხედავი არ მაკლდა. ფინანსური რესურსები მქონდა, ინტერნეტს კარგად ვიყენებდი და გადასაადგილებლად მანქანაც მყავდა. ასევე

ვიცოდი, როგორ უნდა მომეპოვებინა კერძო საექსპერტო შეფასებები და სისტემაში ორიენტირებას მალევე ავუღე ალღო.

დარწმუნებული ვიყავი, განათლების სასამართლო სისტემას, სათანადო სამართლებრივ პროცედურას რომ უწოდებენ, ადვილად გავუმკლავდებოდი. ისევ და ისევ, ვცდებოდი. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: იმისათვის, რომ ლუკასს მისთვის აუცილებელი და დამსახურებული მომსახურება მიეღო, ცხარედ მიწევდა ბრძოლა. ყველაფერთან ერთად, ძვირიც ღირდა, რადგან სპეციალური საჭიროების ბავშვების მშობლებს უფასო სახელმწიფო დამცველი არ ეკუთვნით.

ის ოლქი, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, ოლქების უმეტესობის მსგავსად, 90-იანი წლების ბოლოს, ღროს ათი წლით მაინც ჩამორჩებოდა და ქვევის გამოყენებითი ანალიზის თერაპია უზრუნველყოფილი არ იყო, მაგრამ მე ვიცოდი, რომ სასწოროზე ჩემი შვილის სიცოცხლე იდო და სწრაფად ვმოქმედებდი. ახლა უკვე სიხარულით შემიძლია გავიხსენო, რომ რამდენიმე მეგობრის დახმარებით, რომლებმაც იმავდროულად სათანადო სამართლებრივი პროცედურის დაწყებას მიაღწიეს, განათლების სისტემა გარკვეულწილად დაიძრა და სერვისები მარტო ჩემი შვილისთვის კი არა, ოლქში მცხოვრები ყველა ბავშვისთვის გაუმჯობესდა.

არის ხალხი, რომელიც მიზნისთვის საჯაროდ ბრძოლისგან თავს იკავებს და ურჩევნია, აიყაროს და უფრო კარგი სკოლის რაიონში გადავიდეს, პრაქტიკულად, კარგი პროგრამის დევნაში. ჩემი აზრით კი, გადასვლას სჯობს, პროგრამების გამრავალფეროვნებას ადგილზე მივადწიოთ, რადგან თუ რა სერვისები აქვს სკოლას, ამას მეტწილად სკოლის ადმინისტრაცია და სამეურვეო საბჭოს წევრები წყვეტენ, ისინი კი შეიძლება ნებისმიერ მომენტში სხვამ შეცვალოს. უბრალოდ, შეიძლება სხვაგან გადახვიდეთ, რადგან ეს ადგილი აუტიზმზე მორგებულად გეჩვენებათ, ერთ წელიწადში კი ახლად არჩეულმა სამეურვეო საბჭომ სწორედ თქვენს პროგრამებზე დაფინანსება შეამციროს. ან კიდევ, წარმოიდგინეთ, ყიდიტ სახლს, მთელი ოჯახით იყრებით და უცბად აღმოაჩენთ, რომ ის შესანიშნავი მასწავლებელი, ვის გამოც გადასვლა მოგიწიათ, ჯანრმთელობის პრობლემის გამო იქ უკვე აღარ მუშაობს. საგანმანათლებლო პოლიტიკა და პროგრამები – ცუდი თუ კარგი – ქვაში გამოკვეთილი კი არ არის, მათი შეცვლა შესაძლებელია.

ბოლო რამდენიმე წელია, ვთანამშრომლობ ჩვენს სასკოლო რაიონთან, ოლქთან და შტატთან, რომ ისეთი სისტემები შევიშავეთ, რომლებიც ყველა აუტიზმის მქონე ბავშვის საჭიროებას დააკმაყოფილებს. „პენსილვანიის ვერბალური ქცევის პროექტისა“ და კერძო კონსულტირების საშუალებით, პატივი მქონდა, ასეულობით პროფესიონალთან მემუშავა, რომლებიც აუტიზმის მქონე მოსწავლეებისთვის ქცევის გამოყენებითი ანალიზისა და ვერბალური ქცევის პროგრამებს საჯარო სკოლებში ახორციელებენ. ისინი თავად ხელავენ, რომ ეს ორივე მიდგომა აუტიზმისა და მსგავსი დარღვევების მქონე ბავშვებში მართლაც ეფექტურია. ერთმა მასწავლებელმა, ამას წინათ, ჩემთან საუბრისას აღნიშნა, წარმოდგენა არ მაქვს, წარსულში აუტიზმის მქონე ბავშვებს სხვაგვარად როგორ ვასწავლიდიო. ის ისე მოხიბლულია ქცევის გამოყენებითი ანალიზის/ვერბალური ქცევის შედეგებით, რომ სულ ცოტა ხნის წინ თავადაც მოიპოვა სერტიფიკატი ქცევის ანალიზში.

ასე რომ სანამ ბავშვის ინტერესებისთვის იბრძვით, გახსოვდეთ, რომ მის სკოლასთან ერთადაც უნდა იმუშაოთ შესაბამისი პროგრამის შესაქმნელად. ეს ერთ დღეში ვერ მოხდება და უზარმაზარი სამუშაოს ჩატარება და დიდი შეუპოვრობის გამოჩენა მოგიწევთ. უფლებებისთვის ბრძოლამ პირადული ან უხამსი ელფერი არ უნდა შეიძინოს. თამამად იმოქმედეთ, თუმცა, არა – აგრესიულად. ცხადია, თქვენი შვილისთვის საუკეთესო შესაძლებლობების შექმნა გსურთ, მაგრამ ისიც უნდა გესმოდეთ, რომ მნიშვნელოვანი სერვისების მისაღებად ზოგიერთ საკითხში კომპრომისზე წასვლაც მოგიწევთ.

შეერთებულ შტატებში სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებს უფლება აქვთ, მიიღონ „უფასო, სათანადო, საჯარო განათლება“ (Free, Appropriate, Public Education – FAPE). ლამაზად ჟღერს, მაგრამ ეს სულად არ ნიშნავს, სკოლის ადმინისტრაცია ყოველთვის მოწადინებული იქნება, ის მოგცეთ, ამ ტერმინის ქვეშ თქვენ რაც გესმით.

ასე რომ მზად იყავით. ყველა საბუთი ერთ საქაღალდეში შეინახეთ, რომ საჭიროებისამებრ ანგარიშების აღვილად მონახვა შეძლოთ. გარდა ამისა, ასე უფრო ორგანიზებული სთაბეჭდილებას დატოვებთ და თუ აუცილებელი გახდა, მზად იქნებით, პროგრამის ხარვეზებზე ისაუბროთ.

ინდივიდუალური სწავლების გეგმისა თუ პროგრამის ყოველ განხილვაზე აუცილებლად წაიყვანეთ მეგობარი ან ოჯახის წევრი. სთხოვეთ, მნიშვნელოვანი საკითხები ხელით ჩაიწეროს ან შეხვედრის აუდიო ჩანაწერი გააკეთოს (თუ ამის გაკეთებას აპირებთ, სკოლის ადმინისტრაცია რამდენიმე დღით ადრე უნდა გააფრთხილოთ). ასეთ შეხვედრებზე მარტო ჯდომა ზოგჯერ ძალზე დამაფრთხობელია, რადგან, როგორც წესი, მეორე მხარე ექვსი-შვიდი ადამიანითაა წარმოდგენილი. ამიტომაც მნიშვნელოვანი, ყოველთვის გვერდზე ვინმე ახლობელი გყავდეთ.

ადრეულ ეტაპზე უფლებადამცველის შეგულებაც კარგი აზრი იქნება. მე უფასო დამცველს ადგილობრივ გონებრივი ჯანმრთელობის ასოციაციაში მივაგენი, როცა ლუკასი სამი წლის იყო და მისი რჩევა და მხარდაჭერა ფასდაუდებელი აღმოჩნდა. როცა გზადაგზა უფრო კონკრეტული იურიდიული ინფორმაცია გვჭირდებოდა, უფლებადამცველებსა და ადვოკატებს ვქირაობდი კიდევ. კარგი დამცველები შეიძლება ადგილობრივ აუტიზმის მხარდაჭერის ჯგუფშიც მიგასწავლონ.

როცა კი შესაძლებელია, საქმის წარმოება ქალაქში გადაიტანეთ. თუ, მაგალითად, ბავშვის თაობაზე ვინმესთან სატელეფონო საუბარი გქონდათ, ჩაიწერეთ მისი სახელი და მისამართი და წერილით თხოვეთ თქვენი საუბრის შინაარსის დადასტურება. უკვე ჩატარებულ შეხვედრებს გამოეხმაურეთ წერილით, სადაც აღნიშნავთ, რა გაიგონეთ ან ნახეთ შეხვედრაზე, რა გაფიქრებთ და რა ინფორმაცია გესაჭიროებათ კვლავაც (ასევე, შეხვედრიდან გამომდინარე, ვინ დაგპირდათ ამ ინფორმაციის მოწოდებას).

საქმის გაძლოლაში დაგეხმარებათ გერი მეიერსონის 2004 წლის წიგნი „როგორ მივალწიოთ კომპრომისის სასკოლო რაიონთან ბავშვის საჭიროებების კომპრომეტირების გარეშე“ (Gary Mayerson How to Compromise with Your School District without Compromising Your Child) (ავტორს თავად ჰყავს აუტიზმის მქონე შვილი). ასევე გამოსადეგია ვებ-საიტი www.wrightslaw.com.

სასამართლო დავების თავიდან ასაცილებლად, რაც შეიძლება კარგად შეისწავლეთ სპეციალური განათლების კანონი; დაესწარით უფლებების დაცვის სემინარებს და დაუკავშირდით შესაბამისი გამოცდილების მქონე სხვა მშობლებს.

გარდა ამისა, პროფესიონალებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან ურთიერთობისას ყოველთვის განსოვლეთ ქცევის გამოყენებითი ანალიზის პრინციპები. ისევე, როგორც ბავშვთან მუშაობისას, ეცადეთ, მიაღწიოთ, რომ მათ თვალში განმტკიცებასთან ასოცირდებოდეთ (შეხვედრაზე მიიტანეთ ფუნთუშები), მოთხოვნები ნელ-ნელა შეაპარეთ (ყველაფერს ერთბაშად ნუ მოითხოვთ) და თუ საქმე კარგად მიდის, დადებითი განმტკიცებაც არ დაგავიწყდეთ!

თითო ჯერზე – თითო პროგრამა

ერთ-ერთი შეცდომა, რასაც ახლად დიაგნოზდასმული ბავშვის მშობლები ხშირად უშვებენ, ისაა, რომ რამდენიმე პროგრამას ერთდროულად იწყებენ. რა თქმა უნდა, კარგად მესმის, რომ გსურთ, ბავშვს რაც შეიძლება მეტი მხარდაჭერა აღმოუჩინოთ, მაგრამ აუტიზმის შემთხვევაში, უფრო პრაგმატული მიდგომა მეტის მომტანია ხოლმე.

რაც შეიძლება მალე დაიწყეთ ქცევის გამოყენებითი ანალიზის/ვერბალური ქცევის რომელიმე პროგრამა და დააკვირდით, როგორ რეაგირებს მასზე ბავშვი. მათ გარდა უამრავი სხვა თერაპია არსებობს, მათ შორის სპეციალური დიეტები, მედიკამენტური მკურნალობა, ბიომედიცინა, სენსორული ინტეგრაციის თერაპია თუ ურთიერთობაზე დამყარებული თერაპიები. თუ ყველაფერს ერთდროულად მიადგებით, მალე აღარ გეცოდინებათ, სინამდვილეში რა მუშაობს და რა – არა.

ლუკასს დიაგნოზი დოქტორმა ჯეიმს კოპლანმა დაუსვა, რომელიც განვითარების პედატრია. მან მითხრა, რომ აუტიზმის სამკურნალოდ მედიკამენტებს იყენებს, თუმცა, მხოლოდ კარგი ქცევითი პროგრამის თანხლებით.

ჩვენს შემთხვევაში, ლუკასის ქცევის გამოყენებითი ანალიზის პროგრამამ ისეთი სასწაული მოახდინა, რომ იმავდროულად წამლებისთვისაც რომ მიგვემართა, არც კი გვეცოდინებოდა, რამხელა ეფექტი შეიძლება კარგ ქცევით პროგრამას ჰქონდეს.

ბოლო შვიდი წლის განმავლობაში უამრავი მედიკამენტი მოვსინჯეთ, მაგრამ მათ სრულ უმრავლესობას ცუდი გვერდითი მოვლენები ჰქონდა. თითოეულის კონკრეტული ეფექტი რომ გვენახა,

ყველა წამალს ცალ-ცალკე ვცდიდით. არის ერთი რამ, რაც მე არ გამიკეთებია, მაგრამ თქვენ კი გირჩევდით: გააკეთეთ ყველა წამლის (თავისი დოზებით), საკვები დანამატებისა და მკურნალობის სხვა ფორმების მიმდინარე სია. მიუთითეთ, როდის დაიწყეთ ან შეწყვიტეთ ამა თუ იმ წამლის მიცემა და ჩამოწერეთ ყველა ის დადებითი თუ უარყოფითი გვერდითი მოვლენა, რაც ბავშვს გამოუვლინდა ამ წამლის მიღებისას.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, იცოდეთ, როდის უნდა შეწყვიტოთ მკურნალობა ან როდის დაამატოთ ახალი ელემენტი უკვე არსებულ კომბინაციას. მინახავს თინეიჯერები, რომლებიც წლებია, უგულუტენ-უკასეინო დიეტაზე არიან, მაგრამ მძიმე ქცევითი პრობლემები კვლავაც აღენიშნებათ, რადგან ქცევის გამოყენებითი ანალიზის პროგრამას არ გადიან. მშობლები კი მუდმივად ისეთი დაძაბულები არიან, ბავშვმა შემთხვევით მისთვის აკრძალული საკვები არ მიიღოს, რომ ვერ ამჩნევენ, რამხელა კვლევებს ეფუძნება ქცევის გამოყენებითი ანალიზის/ვერბალური ქცევის პროგრამები.

აღნიშნული იმას სულაც არ ნიშნავს, რომ არატრადიციულ ან ბიომედიცინის თერაპიებზე ყველამ კატეგორიული უარი უნდა თქვას. ამგვარი მკურნალობა ბევრ ბავშვს დახმარებია. უბრალოდ, ჩემი აზრით, ჯერ ქცევითი პროგრამა უნდა დაიწყოს და შემდეგ სათითაოდ დაემატოს ყველა სხვა თერაპიული ჩარევა. სხვაგვარად მათი ეფექტის შეფასება გაგიჭირდებათ.

სიდრმისეულად შეისწავლეთ მკურნალობის თითოეული ფორმა

როცა ლუკასმა ლოვაასის ქცევის გამოყენებითი ანალიზის პროგრამა დაიწყო, კონსულტანტმა მირჩია, მე, ან ჩემს მეუღლეს გვესწავლა, თერაპიას როგორ გავძლოლოდით. მისი რეკომენდაცია იყო, რომ სპენსერისთვის (ჩემი ტიპური ვაჟი) კვირაში ხუთი საათით ძიძა აგვეყვანა და მე ლუკასსთან თერაპიის სეანსებით დავკავებულებიყავი. ჩემს შემთხვევაში, ეს რჩევა ნამდვილი მისწრება აღმოჩნდა, რადგან ეს საქმე ისე ძალიან მომეწონა, რომ სწავლა გავაგრძელე და ქცევის სერტიფიცირებული ანალიტიკოსიც კი გავხდი. მთლიანობაში კი ლუკასსთან მაგიდასთან მუშაობა, მისი

ძლიერი და სუსტი მხარეების აღნიშვნა ძალიან სასარგებლო იყო. კონსულტანტი როცა მოდიოდა, მე ლუკასთან სამუშაოდ ვჯდებოდი და ბოლოს კონსულტანტის კონსტრუქციულ კრიტიკას ვისმენდი. საბოლოო ჯამში, სწორედ ამან მომცა შესაძლებლობა, სხვა თერაპევტებისთვის მესწავლებინა, ჩვენთან შინ რომ მოდიოდნენ.

თუ პროფესიონალი ხართ და აუტიზმის ან სხვა დარღვევის მქონე ბავშვთან მუშაობთ, მუშაობის პროცესში აუცილებლად ჩართეთ მშობლები. მიეცით საკითხავი მასალა, აყურებიანთ, როგორ ატარებთ თერაპიის სეანსს. თუ ისეთ ოჯახთან მუშაობთ, რომლის წევრები თერაპიის ჩატარებაში უკვე დახელოვდნენ (აუტიზმის თემში ეს ხშირი მოვლენაა), ნება მიეცით, გაჩვენონ, რა მოქმედებს ყველაზე უკეთ მათ შვილზე. რაც შეიძლება მეტად ჩართეთ საქმეში მშობლები – მას შემდეგ, რაც პროფესიონალი თავის სამუშაოს დაასრულებს და წავა, ბავშვთან ხომ სწორედ ისინი უნდა იყვნენ.

მიხედეთ საკუთარ თავს. დაისახეთ პატარ-პატარა მიზნები

აუტიზმი და განვითარების სხვა დარღვევები ისეთი რამაა, თუ მოემკობ, ცხოვრებაზე კონტროლს სრულებით დაკარგავთ. მუშაობას როცა ვიწყებთ, ცხადია, გრძელვადიანი მიზნები და პრობლემების მოგვარების სურვილი გვამოძრავებს, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ერთ დღეში ყველაფერს ვერ მოასწრებთ.

საქმეში მაქსიმალურად ჩართეთ ნათესავები და მეგობრები, დაასწარით ისინი კონფერენციებსა და თერაპიის სეანსებზე. ეს წიგნიც წააკითხეთ, რომ იცოდნენ, რა მიზნები გაქვთ ბავშვთან მიმართებაში დასახული. რაც უფრო მეტი ეცოდინებათ, მით უკეთ შეძლებენ თქვენს მხარდაჭერას. დედაჩემი ჩემთან ერთად ყველა სემინარზე დადიოდა, რომ რაც შეიძლება მეტი ესწავლა და ბერქსის აუტიზმის საზოგადოების დაფუძნებაშიც მუშაობდა. დედაც და მამაც ესწრებოდნენ განათლების სისტემის მიმართ წარმოებულ სამართლებრივ პროცედურებს და ხშირად ბავშვებსაც იტოვებდნენ, რომ მე კონფერენციებსა და შეხვედრებზე მევლო.

ჩემი და და მეგობრები ყოველთვის მისმენდნენ, როცა რაიმეს გაზიარება მინდოდა ან უბრალოდ, ბავშვის მდგომარეობით და მთელი ამ ამბით გავნერვიულდებოდი ხოლმე.

მაქსიმალურად დაეყრდენით ახლობლებს, ჩართეთ ისინი როგორც პროგრამის მიმდინარეობაში, ასევე ბავშვის ცხოვრებაში. ნება მიეცით სხვებს, თქვენს აუტიზმის მქონე შვილს მოუარონ, რადგან სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებმა, აუცილებელია, მშობლების გარდა, ისწავლონ სხვების მოსმენა და მათთან ურთიერთობების აგება. გარდა ამისა, თქვენც დასვენება გჭირდებათ. ამიტომ, როცა ვინმე შემოგთავაზებთ, ბავშვს რამდენიმე საათით დავითოვებო, უარს ნუ ეტყვიან! თუ შესაძლებელია, ძიძაც აიყვანეთ, რომ დასვენება რეგულარულად შეძლოთ და მხოლოდ ახლობლების კეთილ ნებაზე არ იყით დამოკიდებული.

თუმცა აუტიზმი თქვენი ცხოვრების მთავარი მამოძრავებელი ძალა გახდა, მნიშვნელოვანია, ეცადოთ, ღრო სხვაგან, მისგან თავისუფალ გარემოშიც გაატაროთ. დოქტორმა კოპლენმა მე და ჩემს მეუღლეს გვირჩია, როგორც წყვილს, ერთად მეტი ღრო გაგვეტარებინა. მან თქვა, რომ საჭირო იყო, ხან სპენსერსა და ჩემს ქმარს ეკეთებინათ რაღაცეები ერთობლივად, ხან კიდეც – მე და ლუკასს. ასევე დაგვარია, ზოგჯერ ლუკასი სახლში დაგვეტოვებინა და მხოლოდ სპენსერთან ერთად წავსულიყავით სადმე, რადგან ზოგჯერ ლუკასის გარეშე რეალური ცხოვრებით დაკავება აუცილებელია.

გარდა ამისა, იმ დღეს, როცა დოქტორმა კოპლანმა ლუკასის დიაგნოზი გაგვაცნო, მე და ჩემს ქმარს გვირჩია, წყვილების თერაპიაზე გვევლო. მაშინ ჩემმა ქმარმა დაიჩივლა, როგორც კი შუაღამისას ლუკასი რძეს მოითხოვს, ჩემი მეუღლე მაშინვე გარბის და რძე მიაქვსო. მისი აზრით, ღამით დასაღევად რაიმე სხვა სასმელი უნდა შეგვერჩია. დოქტორმა კოპლანმა შენიშნა, თუ იმაზე გიჭირთ შეთანხმება, ღამით ლუკასი რას დალევს, მაშინ უფრო სერიოზულ, ბავშვის მომავალთან დაკავშირებულ საკითხებზე ნამდვილად ცუდი დღე გელოდებათო.

თერაპია მე და ჩემმა ქმარმა მართლაც გავიარეთ და აღმოჩნდა, რომ ამან მშვენიერი შესაძლებლობა მოგვცა, თავს დატე-

ხილი გასაჭირით გამოწვეული გრძნობები გაგვეანალიზებინა და ლუკასის მომავალთან დაკავშირებით საერთო ენა გამოგვენახა. აუტიზმის დიაგნოზის დასმის შემდეგ ბევრი წყვილი შორდება ხოლმე, მაგრამ ჩვენი ოჯახის შემთხვევაში, აუტიზმმა ქორწინება უფრო გაამყარა. იძულებულები გავხდით, შევთანხმებულებიყავით და ლუკასის წარმატებისთვის გადაწყვეტილებები ერთად მიგვეღო. დღევანდელ მდგომარეობამდე სულ რამდენიმე სეანსმა მიგვიყვანა და იმ პირებსა და წყვილებს, რომელთაც აუტიზმთან გამკლავება უჭირთ, თერაპიას სიამოვნებით ვურჩევდი.

თერაპიის გარდა, არსებობს მხარდაჭერის ჯგუფები. თუ თქვენს ახლომანლოს ასეთი ჯგუფი არის და შეხვედრებში მონაწილეობა შეგიძლიათ, ამაზე უარს ნუ იტყვით. არსებობს ინტერნეტ-რესურსებიც: www.autism-society.org თუ www.autismspeaks.org. ჩემი აზრით, ინტერნეტით მიღებული მხარდაჭერა უბრალოდ ფასდაუდებელია. შეიძლება ყოველთვის მსგავსი პრობლემებით დატვირთული ადამიანები ვერ ნახოთ, სამაგიეროდ, აუცილებლად გადააწყდებით ვინმეს, ვინც ან მსგავს მდგომარეობაში არის ან ეს ყველაფერი უკვე გავლილი აქვს.

მე, პირადად, უკვე ვეძებ უფროსი ასაკის ბავშვების მშობლებს, რომ გარკვეული ინფორმაციისა და მხარდაჭერის იმედი მექონდეს, როცა ლუკასი მოზარდის ასაკში შეაბიჯებს. საერთოდ, შვილის ასაკის ბავშვების მშობლებთან მეგობრობა მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რადგან შესაძლებელი ხდება მათთან ელექტრონული ფოსტითა თუ ტელეფონით გასაუბრება, უბრალოდ ორთქლის გამოშვება თუ ისეთი კითხვების დასმა, რაზეც მათ შეიძლება პასუხები ჰქონდეთ. უნდა იცოდეთ, რომ მართო არ ხართ და თქვენნაირი მშობლები არსებობენ.

გახსოვდეთ, რომ წინ პატარ-პატარა, ყოველდღიური მიზნებით უნდა იაროთ. აუტიზმთან ბრძოლა სპრინტი არაა. ეს გრძელი მარათონია და გზა მთებსა და ხეობებზე გადის. მნიშვნელოვანია, თავი დაზოგოთ, რადგან დიდი ალბათობით, წინ თერაპიის მთელი წლები გიდევთ, ასაკის მატებით მოტანილი მოულოდნელობებითა და გამოწვევებით აღსავსე. ბავშვი მეტყველებამდე უნდა ამეცადინოთ, პროფესიულ ანდა აკადემიურ უნარებშიც, შემდეგ კი მისი

დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, იქნებ, კოლეჯისთვის მზადებაც მოგიწევთ. თითოეულ ეტაპზე უნდა გახსოვდეთ, რომ იმედის საფუძველი არსებობს და ამდენს იმიტომ შრომობთ, რომ გსურთ, ბავშვი ნათელი მომავლით უზრუნველყოთ.

რასაც არ უნდა გიმზადებდეთ ცხოვრება

აუტიზმის გზაზე სიარული ჩემთვის არსებული მოცემულობიდან საუკეთესო ცხოვრების აგებაში მდგომარეობს.

ირონიულია, მაგრამ სანამ ლუკასის დიაგნოზს შეგვატყობინებდნენ, მანამდე დედების კლუბის შეხვედრაზე ვიყავი და იქ ერთგვარად ყინულის გასაღობად და ერთმანეთის გასაცნობად ორი შეკითხვა დაგვისვეს: რას ვაკეთებდით ბავშვების დაბადებამდე და მომავალში რა გეგმები გქონდა. მაშინ სპენსერი მხოლოდ ერთი წლის იყო, ლუკასი – ორწლიანხევრის და აუტიზმი თუ ჰქონდა, ჯერ არ ვიცოდით. როცა ჩემი ჯერი მოვიდა, ვთქვი, რომ ბავშვის გაჩენამდე ექთნებს ვხელმძღვანელობდი, მომავალში კი ჩემს თავს უნივერსიტეტში ვხედავ, დოქტორის ხარისხის მოპოვება მინდა და იქნებ, რაიმე, ჯერ განუსაზღვრელი თემის მკვლევარი, მწერალი და ექსპერტი გავხდე-თქო. მაშინ წარმოდგენა არ მქონდა, რომ ეს თემა აუტიზმი იქნებოდა, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ შვილზე მეტი წელი გავიდა და ეს წინასწარმეტყველება ამიხდა.

ამდენად, მართალია, ჩემი ცხოვრება კარდინალურად შეიცვალა, დასახული მიზნების მიღწევა მაინც შეუძელი და თან ისე, რომ იმავდროულად ლუკასსაც ვეხმარებოდი მისი მიზნების განხორციელებაში.

ამ გზაზე ასევე აღმოვაჩინე, როგორ მომწონს სხვისი ბავშვების დახმარებაც. მიყვარს, როცა სპეციალისტებს ვასწავლი, ჩვენს შვილებს უკეთესი მომსახურება როგორ გაუწიონ, როცა მშობლებს ვუხსნი, უკეთ როგორ მოუარონ თავისას. ყველაზე მეტად კი მიყვარს ბავშვებთან მუშაობა. ისინი ხომ ასეთი უნიკალურები არიან და ყოველდღიურად რაღაც ახალს მასწავლიან. ჩემთვის უთქვამთ, აი, შენ შეძელი და ცხოვრების მკავე ლიმონისგან ლიმონათი დაამზადეო. შეიძლება, მართლებიც არიან. მე მაინც მგონია, რომ ჩემი ცხოვრებისეული გზა ჯერ-ჯერობით ღირებული, გამოსადეგი და სასიამოვნოა.

ეს სულაც არ ნიშნავს, რომ რაიმე დამთავრდა. არ ნიშნავს, რომ ან მე და ან ლუკასს აუტიზმის ციცაბო და მოლიპულ ფერდობზე უსიამოვნო დაბრკოლებები არ დაგვხვდება. სამაგიეროდ, ვიცი, რომ თუ დასახული მიზნებისკენ ვივლი და ჩემს ორივე შვილს რეალიზებაში დავეხმარები, ამ მწვერვალზე ასასვლელ, ჩემი ოჯახისთვის უსაფრთხო ბილიკსაც ვიპოვი.

მანამდე კი ცხოვრების გზას ფრთხილად მივუყვებით და ვცდილობთ, ამ პროცესში აქეთ-იქით გადაშლილი ბუნების ლამაზი ხედებითაც დავტკბეთ.

ვერბალური ქცევის პროგრამის დაწყება პირველი ნაბიჯია. დროა, ეს ნაბიჯი გადადგათ და ნახოთ, აბა, რა გზის გავლას შეძლებთ თქვენ, თქვენი შვილი და თქვენი ოჯახი ერთად.

დანართი 1

ტერმინების განმარტება

ABA	ქვა	ქვევის გამოყენებითი ანალიზი. შეცნობა, რომელიც სწავლობს და აუმჯობესებს სოციალურად მნიშვნელოვან ქცევას.
ABC	სამპირობიანი მოვლენა	ტერმინი, რომელიც აღწერს ყველა ქვევის საფუძველს – „წინაპირობა-ქვევა-შედეგი“ მიმართებას.
Antecedent	წინაპირობა	ხდომილება, რაც უშუალოდ წინ უსწრებს ქცევას. შეიძლება იყოს მითითება, მაგალითად, „რიგში ჩადექი“ ან, ვთქვათ, მადვიძარას ზარი.
Behavior	ქვევა	ცოცხალი ორგანიზმის ხილული მოძრაობა. აღწერა, თუ როგორ გამოიყურება ქვევა.
Consequence	შედეგი	ხდომილება, რაც უშუალოდ მოსდევს ქცევას და ზრდის ან ამცირებს ამ ქვევის მომავალში განმეორების ალბათობას. .
	მაგალითები:	
	წ: „შეხე ცხვირს“; ქ: ცხვირს ეხება; შ: ეძღვევა ორცხობილა წ: „ააწყე თავსატეხი“; ქ: ამბობს „არა“! შ: დავალება უქმდება	
ABBS	„საბაზისო ენობრივი და დასწავლის უნარის შეფასება“	დოქტორების, ჯეიმს პარტინგტონისა და მარკ სანდბერგის წიგნი, რომელიც ქვა და ვერბალური ქვევის პროგრამებში ხშირად გამოიყენება როგორც შეფასების საშუალება, სასწავლო პროგრამის გზამკვლევი და უნარებზე დაკვირვების სისტემა
Backward chaining	ჯაჭვის უკუაგება/ პირუკუ ჯაჭვი	სწავლების მეთოდი, რომელიც მრავალსაფეხურიანი დავალებების სწავლებისას გამოიყენება, როგორებიცაა, მაგალითად, თავსატეხის აწყობა და სიმღერის შესრულება. თუ ბავშვს მღერას ამ ტექნიკით ვასწავლით, ჯერ გამოვტოვებთ ერთ სიტყვას, რაც ბავშვმა უნდა თავად შეასოს, მაგალითად, „ერთს რომ ერთი მივუმატოთ, რამდენია...?“ თუ ბავშვმა შეძლო გამოტოვებული ადგილის სიტყვით „ბაჭია“ შევსება, ვტოვებთ ბოლო ორ სიტყვას, „რამდენია, ბაჭია?“ და ა.შ.
Baseline	საბაზისო [მონაცემები] / დაკვირვების პერიოდი	პერიოდი, რომლის განმავლობაში გროვდება მონაცემები ახალი ტიპის თერაპიის დაწყებამდე

BCBA/BCaBA	ქვევის სერტიფიცირებული ანალიტიკოსი/ ქვევის ასოცირებული სერტიფიცირებული ანალიტიკოსი	ადამიანი, რომელმაც დააკმაყოფილა საბჭოს მოთხოვნები ქვევის სერტიფიცირებული ანალიტიკოსის მიმართ. ამ სტატუსის ადამიანს უნდა ჰქონდეს სულ მცირე მაგისტრის წოდება, ხოლო ასოცირებულ სერტიფიცირებულ ანალიტიკოსს – სულ მცირე ბაკალავრის წოდება. გარდა იმისა, რომ ორივე ტიპის ანალიტიკოსი განათლების მინიმალურ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ, მათ ასევე უნდა დაიცვან საკურსო ნაშრომი სერტიფიცირებული ანალიტიკოსის ხელმძღვანელობით და ჩააბარონ წერილობითი გამოცდა. სერტიფიცირებული ანალიტიკოსის სტატუსის მოპოვების თაობაზე ინფორმაციის მისაღებად ან ანალიტიკოსის მოსაძიებლად იხილეთ www.BACB.com .
Conditioned reinforcer	განპირობებული განმამტკიცებელი	განმამტკიცებელი, რომელიც ადრე ნეიტრალური იყო, მაგრამ ახლა განმამტკიცებლად გადაიქცა. ასეთი განმამტკიცებლის კარგი მაგალითია ქეტონები და ფული, რადგან ამ ნივთებით სხვა საგნების საფასურის გადახდა შესაძლებელია.
Deprivation	უკმარისობა	განმამტკიცებელი, რომელიც ბავშვისთვის გარკვეული დროით მიუწვდომელია, ზრდის იმ ქვევების გამოკლებას ალბათობას, რომელთა საშუალებით ბავშვი მას წარსულში იღებდა. უკმარისობის ბუნებრივი მდგომარეობით ვსარგებლობთ, მაგალითად, სადილამდე მენდირების სესიის ჩატარებისას, როდესაც ბავშვი უფრო მოშივებულია.
Discrete Trial Teaching (DTT)	დისკრეტული ცდებით სწავლება	სამპირობიანი ალბათობა, რომელიც გამოიყენება უნარშეზღუდული ბავშვისათვის უნარების სწავლების პროცესში. თითოეული ცალკეული ცდით ახალი უნარი ისწავლება.
Echoic	ექოსებრი უნარი	სხვისი ნათქვამის გამეორება. შეიძლება იყოს მყისიერი ან შენელებული. ბ. ფ. სკინერი მიიჩნევს ვერბალურ ოპერანტად.
Edible reinforcers	საკვები განმამტკიცებლები	იმ სახის საკვები, რის გამოყენებაც შესაძლებელია ქვა ან ვერბალური ქვევის პროგრამაში. ინსტრუქტორმა განმამტკიცებლის სახით საკვების გადაცემას აუცილებლად უნდა მოაყოლოს შექება და სხვა უფრო ბუნებრივი განმამტკიცებლები, რათა შესაძლებელი გახდეს მომავალში საკვები განმამტკიცებლის გამოყენების თანდათანობითი შემცირება.
Errorless teaching	უშეცდომო სწავლება	ვერბალური ქვევის პროგრამების ერთერთი ტექნიკა, რომელიც მიზნად ისახავს შეცდომების თავიდან არიდებასა და შემცირებას. დახმარება ბავშვს ეძლევა მითითების ან შეკითხვის დასმისთანავე, შემდეგ კი დახმარება მცირდება ტრანსფერის ცდის საშუალებით.

Error correction	შეცდომების გასწორება	ეს ტექნიკა გამოიყენება იმ შეცდომების გასასწორებლად, რომელთა თავიდან არიდება ვერ მოხერხდა. ამ დროს ხდება შეკითხვის ან მითითების ხელახლა ფორმულირება, დახმარება და, ამ უკანასკნელის შემცირებისა და, საბოლოოდ, აღმოფხვრის მიზნით, სრულდება ტრანსფერის ცდა.
FAPE	უფასო, სათანადო საჯარო განათლება	ეს არის განათლების ის დონე, რომლის მიღების უფლება აქვთ შეერთებულ შტატებში ბავშვებს (3-21 წლის ასაკი) ფედერალური კანონის თანახმად.
Imitation skills	იმიტაციის უნარები	სხვა ადამიანის მოტორული მოძრაობის გამეორება.
Intensive Trial Teaching (ITT)	ინტენსიური სესიებით სწავლება	ვერბალური ქცევის სწრაფ ტემპიანი სწავლება, რომელიც მაგიდასთან მიმდინარეობს და, ჩვეულებრივ, უფუძნება უშეცდომო სწავლებას, მოთხოვნათა შემცირებას, შერეკასა და ვარირებას, დახმარების პროცედურებსა და დადგენილ ცვადა რაციონს.
Intraverbal	ინტრავერბალი	გამოტოვებული ადგილების შევსება ან კითხვითსიტყვიან შეკითხვებზე პასუხის გაცემა. სხვა ადამიანს ვერბალურ ქცევაზე რეაგირება ვიზუალური თუ სხვა სტიმულების გარეშე.
Mand	მენდი	ნივთის, ქმედების, ყურადღების მოთხოვნა.
Matching to Sample	ნიმუშთან შეხამება	ნივთების ან სურათების იდენტურ ან მსგავს ნივთებთან ან სურათებთან შეხამების უნარი.
Motivational Operation	მამოტივირებელი ოპერაცია	ადამიანის მოტივაცია ან რაიმეს წვდომის სურვილი, იქნება ეს ნივთი, ქმედება, ყურადღება თუ ინფორმაცია, რომელიც აღიძრება მადღრისობა-უკმარისობის პრინციპების საფუძველზე.
Natural Environment Teaching	სწავლება ბუნებრივ გარემოში	სასწავლო აქტივობას მართავს ბავშვის მიმდინარე ინტერესი ან მამოტივირებელი ოპერაცია. სასწავლო მიზნებს შეუმჩნევლად ვაპარებთ თამაშსა და სხვა სახალისო აქტივობებში.
Operant	ოპერანტი	ქცევა, რომელიც განისაზღვრება წინაპირობისა და შედეგის მიხედვით. მაგალითად, მენდის წინაპირობაა მოტივაცია, ხოლო შედეგი – მოთხოვნილი საგნის მიღება.
Pairing	გაწყვილება	ადამიანების, მასალებისა და გარემოს განმამტკიცებლად ჩამოყალიბების მიზნით სხვა, ძლიერი განმამტკიცებლების გამოყენების პროცესი. ბავშვი სამუშაო სივრცესა და თერაპევტთან ხალისით უნდა მიიზიდეს.
PECS	პექსი	სურათების გაცვლით კომუნიკაციის სისტემის აღმნიშვნელი აკრონიმი, რომელიც შემუშავებულია ენდი ბონდისა და ლორი ფროსტის მიერ. ამ სისტემის გამოყენებით, ბავშვებს ესწავლებათ, როგორ გამოიყენონ საგნების სურათები სურვილებისა და საჭიროებების გამოხატვის მიზნით.

Probe (cold)	სასინჯი შეფასება	ყოველდღიური სასწავლო სესიის დაწყებამდე მორგებული მონაცემები, რომლებიც გიჩვენებთ, როგორ სცემს პასუხს ბავშვი შეკითხვებს რამდენიმე საათით შესვენების შემდეგ. სასინჯი შეფასება, ჩვეულებრივ, ტარდება დილით, ყოველდღიური საქმიანობის ან პირველი სასწავლო სესიის დაწყებამდე.
Prompt	დახმარება	მინიმუმ ან წაბიძგება, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლისათვის სწორი პასუხის გაცემაში მიშვლებას. დახმარება უნდა იყოს წინაპირობის ნაწილი და გამოყენებული იქნეს იქამდე, სანამ მოსწავლეს ექნება პასუხის გაცემის შესაძლებლობა. დახმარების გამოყენებისას უნდა არსებობდეს მისი შემცირების გეგმა, რათა ბავშვს საშუალება მიეცეს, პასუხის დამოუკიდებლად გაცემა ისწავლოს.
Receptive skills	რეცეპციული უნარები	ენობრივი მეტყველების გაგებისა და მითითებების შესრულების უნარი.
Reinforcement	განმტკიცება ან განმამტკიცებელი	შედეგი, რომელიც ქცევას მოჰყვება და ზრდის მომავალში ამ ქცევის მატების ალბათობას. შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი.
Satiation	მაძღრისობა	უკმარისობის საპირისპირო მდგომარეობა. განმამტკიცებლის ფასეულობა იკლებს, რადგან ბავშვმა სასურველი უკვე მიიღო და დაკმაყოფილებულია.
Skinner	სკინერი	ბ. ფ. სკინერი არის ქცევის ექსპერიმენტული ანალიზის დამფუძნებელი და ავტორი წიგნისა – „ვერბალური ქცევა“ (Verbal Behavior, 1957).
Tact	ტაქტი	რომელიმე სენსორული არავერბალური სტიმულის – საგნის, სურათის, ზედსართავი სახელის, ადგილმდებარეობის, სუნის, გემოს, ხმის ან გრძნობის ნიშანდება ან სახელდება.
Task analysis	დავალების ანალიზი	ისეთი უნარის დაშლა, რომელიც რამდენიმე საფეხურისგან შედგება. გამოიყენება მიმდევრობაში პრობლემური საფეხურების გამოვლენა-სწავლების მიზნით.
VR	ცვლადი რაციონით განმტკიცება	განმტკიცების ცვლადრაციონიანი განრიგი – ერთი განმამტკიცებლის გადაცემიდან მეორე განმამტკიცებლის გადაცემამდე პერიოდში სწორი პასუხების საშუალო რაოდენობა.
Verbal Behavior	ვერბალური ქცევა	ნებისმიერი კომუნიკაცია, რომელიც გულისხმობს მსმენელს და მოიცავს ლაპარაკს, შესტით მინიმუმას, სურათების გაცვლას, ხელით მითითებას, წერას, ბეჭდვას, შესტიკულირებასა და ა.შ. აგრეთვე მოიცავს ტირილს ან ისეთი სხვა პრობლემური ქცევის გამოვლინებას, რომელიც მიზნად ისახავს ყურადღების ან მატერიალური ნივთების მიღებას ან არასასურველი საქმიანობიდან თავის დაღწევას.
Visual performance	ვიზუალური უნარები	შეხამების, დახარისხების, თავსატეხის აწყობის, კუბების დალაგების უნარები.

დანართი 2

ვერბალური ქცევის შეფასების ფორმა

შევსების თარიღი ____/____/____

შემფასებელი პირი _____

ბავშვის სახელი _____

ასაკი ____ დაბადების თარიღი ____/____/____

მშობლის/მეურვის სახელი (სახელები) _____

და-ძმის სახელები და ასაკი _____

ტელეფონის ნომერი _____

ალტერნატიული ნომერი _____

მისამართი _____

ელ. ფოსტა _____

სამედიცინო ინფორმაცია

დიაგნოზი (თუ ცნობილია) _____

ასაკი დიაგნოსტიკისას ____

დადის თუ არა ბავშვი ამჟამად სკოლაში ანდა სარგებლობს რაიმე სახის თერაპიით ან სპეციალური მომსახურებით? __ დიახ __ არა

თუ დიახ, გთხოვთ, დაასახელოთ სკოლა ან მომსახურების გამწევის დასახელება, მომსახურების სიხშირე და ადგილმდებარეობა:

წამლები:

ალერგიები:

სპეციალური დიეტა ან შეზღუდვები:

აღწერეთ საკვებისა და სასმელის მიღების სპეციფიკა. გთხოვთ, მიუთითოთ, შეუძლია თუ არა ბავშვს დამოუკიდებლად ჭამა და რა ტექსტურის ან სახეობის საკვებს იღებს ის. ასევე მიუთითეთ, სვამს თუ არა ბოთლიდან ან საწრუპი ჭიქიდან:

ადრერეთ ძილის სპეციფიკა:

ადრერეთ ტუალეტით სარგებლობასთან დაკავშირებული პრობლემები:

მეტყველება

იყენებს თუ არა ბავშვი რაიმე სიტყვებს? ——— დიან ——— არა
თუ დიან, გთხოვთ, მიუთითოთ გამოყენებული სიტყვების რაოდენობა და მაგალითები:

თუ არა, ღუღუნებს თუ არა ბავშვი? ——— დიან ——— არა
თუ დიან, გთხოვთ, ჩამოთვალოთ, რა ბგერები გაგიგიათ მისგან:

მენდირების შეფასება

შეუძლია თუ არა ბავშვს, სასურველის მოთხოვნა სიტყვით? ორცხობილა, წვენი, ბურთი, გამაქანე? ——— დიახ ——— არა

თუ დიახ, გთხოვთ, ჩამოთვალეთ ის ნივთები ან აქტივობები, რომელთაც ბავშვი სიტყვით მოითხოვს:

თუ არა, როგორ გაგებინებთ ბავშვი, რა სურს? პასუხი შემოხაზეთ.

ქესტი / მითითება / მოზრდილის მოქაჩვა / მუნჯური ენა / სურათები / ტირილი / ხელის ძალით წავლება

ტაქტირების შეფასება

შეუძლია თუ არა ბავშვს, წიგნში ან ბარათზე ნანახის სახელდება? ——— დიახ ——— არა

თუ დიახ, გთხოვთ, შეაფასოთ სახელდებული საგნების რაოდენობა და მოიყვანოთ ოცამდე მაგალითი:

ექოსებრი უნარის შეფასება

შეუძლია თუ არა ბავშვს, თქვენ მიერ წარმოთქმული სიტყვების იმიტირება? მაგალითად, თუ იტყვით, „თქვი „ბურთი““, იტყვის თუ არა ის „ბურთი“? იმეორებს თუ არა ფრაზებს? და თუ ეტყვით: „მე

შენ მიყვარხარ“, გაიმეორებს თუ არა ფრაზას „მე შენ მიყვარხარ“?
—— დიას —— არა

ამბობს თუ არა ბავშვი ფილმებში დამახსოვრებულ ან თქვენ მიერ
წარსულში ნათქვამ ფრაზებს?

—— დიას —— არა

თუ დიას, გთხოვთ, აღწეროთ:

ინტრავერბალური უნარების შეფასება

შეუძლია თუ არა ბავშვს, სიმღერაში გამოტოვებული სიტყვების
შევსება? მაგალითად, თუ იმღერეთ: „აჩუ, აჩუ, ცხენო, საით ——“,
დაამატებს თუ არა ბავშვი სიტყვას „გაგაჭენო“? და თუ იმღერეთ
“გზაზე მირბის კურდღელი, ცელქი——“, დაამატებს თუ არა ბავშვი
„პრანჭია“?

—— დიას —— არა

გთხოვთ, ჩამოთვალეთ სიმღერები, რომლებშიც ბავშვს შეუძლია
გამოტოვებული სიტყვების ან ფრაზების ჩასმა:

ასრულებს თუ არა ბავშვი სახუმარო ანდა ფუნქციურ ფრაზებს, მა-
გალითად, ამბობს თუ არა „პუჰი“, თუ ესმის „ვინი ——“? და პასუ-
ხობს თუ არა „რძეს“, როდესაც ესმის „ძროხა გვადღევს ——“? ——
— დიას —— არა

პასუხობს თუ არა ბავშვი კითხვითსიტყვიან შეკითხვებს (სურათის
ან ვიზუალური თვალსაჩინოების გარეშე)? მაგალითად, თუ იკი-

თხავთ, „რა დაფრინავს ცაში?“, გიპასუხებთ თუ არა „ჩიტი“ ან „თვი-
თმფრინავი“? და ასახელებს თუ არა თხოვნისამებრ სულ მცირე
სამ ცხოველს ან ფერს? ——— დიახ ——— არა

რეცეპციული უნარების შეფასება

რეაგირებს თუ არა ბავშვი საკუთარ სახელზე? პასუხი შემოხაზეთ.

თითქმის	ჩვეულებრივ	ზოგჯერ	თითქმის
ყოველთვის			არასდროს

თუ ბავშვს უთხარით, რომ ფეხსაცმელი მოიტანოს, ან ჭიქა აიღოს,
ასრულებს თუ არა ნათქვამს ჟესტებით მითითების გარეშე?

თითქმის	ჩვეულებრივ	ზოგჯერ	თითქმის
ყოველთვის			არასდროს

თუ ბავშვს სთხოვეთ, ტაში დაუკრას ან ადგეს, გააკეთებს თუ არა
ამას ჟესტით დახმარების გარეშე?

თითქმის	ჩვეულებრივ	ზოგჯერ	თითქმის
ყოველთვის			არასდროს

გიჩვენებთ თუ არა ბავშვი სხეულის ნაწილებს, თუ უთხარით, „მაჩ-
ვენე ცხვირი“ ან „მაჩვენე თავი“? ——— დიახ ——— არა

თუ დიახ, გთხოვთ, ჩამოთვალეთ სხეულის ის ნაწილები, რომელ-
თაც ის გიჩვენებთ ჟესტით დახმარების გარეშე:

იმიტაციის უნარების შეფასება

იმეორებს თუ არა ბავშვი თქვენს მოქმედებას, როდესაც ეუბნებით „ასე გააკეთე“? მაგალითად, თუ მანქანა აიღეთ, გააგორ-გამოაგორეთ და ბავშვს უთხარით, „ასე გააკეთე“, მიბაძავს თუ არა თქვენს მოქმედებას? ——— დიან ——— არა

იმეორებს თუ არა თქვენს მოტორულ მოძრაობებს? მაგალითად, ტაშის დაკვრას ან ფეხების დაბაკუნებას, თუ თქვენ ასე მოიქცევით და დააყოლებთ „ასე გააკეთე“? ——— დიან ——— არა

ამოძრავებს თუ არა ბავშვი თითებს (ნატიფი მოტორული მოძრაობები)? მაგალითად, ადებს თუ არა საჩვენებელ თითს ცერს, თუ თქვენ ამ მოძრაობას შეასრულებთ და დააყოლებთ „ასე გააკეთე“?

———— დიან ——— არა

ვიზუალური უნარების შეფასება

ახამებს თუ არა ბავშვი ნივთებს იდენტურ ნივთებთან, სურათებს იდენტურ სურათებთან და სურათებს ნივთებთან, თუ უთხარით, „შეახამე“ ან „იპოვე ასეთი“?

———— დიან ——— არა ——— არ ვარ დარწმუნებული

აწყობს თუ არა ბავშვი თავისი ასაკის შესაფერის თავსატეხებს?

———— დიან ——— არა ——— არ ვარ დარწმუნებული

ქცევის შეფასება

შეუძლია თუ არა ბავშვს, ამჟამად მაგიდასთან ან იატაკზე ჯდომა და მოზრდილთან ერთად მარტივი დავალებების შესრულება?

———— დიან ——— არა ——— არ ვარ დარწმუნებული

გთხოვთ, ჩამოთვალოთ თქვენთვის შემამოფოთებელი პრობლემური ქცევები (ტირილი, რტყმევა, კბენა, მიწაზე/იატაკზე გაწოლა, ხმაური, ზედაპირზე თავის რტყმა), რომელთაც ბავშვი ავლენს. გთხოვთ, დაანლოებით შეაფასოთ, რამდენჯერ (ასჯერ დღეში,

ათჯერ კვირაში, ერთხელ დღეში) და მოიყვანოთ რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ როდის ვლინდება ეს ქცევები. ასევე აღწერეთ ის სტრატეგიები, რომელთა მოშველიება გიცდიათ ამგვარი ქცევების გასაკონტროლებლად და მიუთითოთ, დასრულდა თუ არა ეს მცდელობა წარმატებით:

დამატებითი შენიშვნები თუ პრობლემები:

დანართი 3

უნარაბზე დაკვირვების ანკეტები

უნარებზე დაკვირვების ანკეტები – ნიმუში

ბავშვის სახელი: ჯონი ს.

კრიტერიუმები: პასუხი „დიახ“ სასინჯი შეფასების პროცესში ზედინზედ სამი დღის განმავლობაში

თითოეულ ათვისებულ უნარს თარიღის სვეტებში დაუწერეთ „ა“ – ათვისებულია. ჩამოწერეთ ის უნარები, რომელთაც ბავშვი ჯერ არ ფლობს და მიუთითეთ მათი შემოტანისა და ათვისების თარიღები.

უნარი: რეცეპციული მითითებები

	სამიზნე უნარი	შემოტანის თარიღი	ათვისების თარიღი
1	ტაში დაუკარი	ა	ა
2	ხელები ასწიე	05.06.06	10.06.06
3	გააქნიე თავი	05.06.06	24.06.06
4	დააქნიე თავი	24.06.06	
5	ადექი	24.06.06	
6	დაჯექი	24.06.06	
7	მაგიდაზე დააკუნე	30.06.06	
8			
9			
10			
11			
12			
13			
14			
15			
16			
17			
18			
19			
20			

ბავშვის სახელი: _____

**კრიტერიუმები: პასუხი „დიახ“ სასინჯი შეფასების პროცესში
ზედიზედ — დღის განმავლობაში**

თითოეულ ათვისებულ უნარს თარიღის სვეტებში დაუწერეთ „ა“ – ათვისებულია. ჩამოწერეთ ის უნარები, რომელთაც ბავშვი ჯერ არ ფლობს და მიუთითეთ მათი შემოტანისა და ათვისების თარიღები.

უნარი: _____

	სამიზნე უნარი	შემოტანის თარიღი	ათვისების თარიღი
1			
2			
3			
4			
5			
6			
7			
8			
9			
10			
11			
12			
13			
14			
15			
16			
17			
18			
19			
20			

დანართი 4

ყოველკვირეული სასინჯი შეფასების ანკეტა – ნიმუში

უნარებზე დაკვირვების თითოეული ანკეტიდან შეარჩიეთ ორი-სამი სამიზნე უნარი. უნარის შემოტანისას აღნიშნეთ შემოტანისა და ათვისების თარიღები უნარებზე დაკვირვების ანკეტაში.

ბავშვის სახელი: _____ კვირა: _____

№	ოპ.	სამიზნე უნარი	ორშ		სამ		ოთხ		ხუთ		პარ	
1	რეც	ტაში დაუკარი	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა
2	რეც	ფეხი დააბაკუნე	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა
3	რეც	ადექი	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა
4	რეც	თავი მარჯვენ	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა
5	რეც	მუცელი სად გაქვს?	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა
6	რეც	ფეხსაცმელი მარჯვენ	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა
7	რეც	ჭიქა იპოვე	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა
8	რეც	მანქანა სად არის?	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა
9	იმ	ასე გააკეთე (თავზე შეხება ორივე ხელით)	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა
10	იმ	ასე გააკეთე (ტაშის დაკვრა)	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა
11	შენ	შეუხამე კანფეტი (სურათი სურათს)	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა
12	შენ	შეუხამე თევზი (სურათი სურათს)	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა
13	ტაქ	ეს რა არის? (ორცნობილა)	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა

14	ტაქ	ეს რა არის? (საქანელა)	ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა
15	ექო	თქვი „ბუმტი“	ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა
16	ექო	თქვი „წვენი“	ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა
17	ინტ	„საქათმეში შეპარულა —“ (მელა)	ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა
18	ინტ	„საით —“ (გაგაჭენო)	ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა
19			ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა
20			ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა
21			ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა
22			ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა
23			ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა
24			ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა
25			ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა
26			ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა	ღიას	არა

აღნიშვნები:

რეც – რეცეპციული; იმ – იმიტაციის; შეხ – ნიმუშთან შეხამება

ტაქ – ტაქტი; ექო – ექოსებრი; ინტ – ინტრავერბალური

დანართი 5

გამოსაღები ვებ-საიტები

www.verbalbehaviorapproach.com: მერი ბარბერას საიტი, რომელშიც მოცემულია განახლებადი ინფორმაცია ვერბალური ქცევის მიდგომის შესახებ.

www.verbalbehaviornetwork.com: აუტისტური ბავშვების მშობლების მიერ ორიათასიანი წლების დასაწყისში გახსნილი ვებ-საიტი. კარგი ადგილია მიმდინარე ტრენინგების სანახავად და ანკეტებისა და ვერბალური ქცევის პროგრამების ნიმუშების ჩამოსატვირთად.

www.firstsigns.org: აუტიზმის ადრეული დიაგნოსტიკების მიზნით, მოცემულია ტიპური ბავშვების ასაკობრივი სამიზნე უნარების სია.

www.difflearn.com: ქცევის გამოყენებითი ანალიზის ან ვერბალური ქცევის პროგრამის ფასიანი მასალები, მათ შორის ტაიმერები, ბარათები და წიგნები.

www.superduperinc.com: მრავალფეროვანი ფასიანი საგანმანათლებლო რესურსები ტიპური და აუტიზმის მქონე ბავშვებისათვის, მათ შორის, დაჯილდოების სისტემები და ჯილდოები.

www.establishingoperationsinc.com: კონსულტანტები, რომლებიც სპეციალიზდებიან პრაქტიკულ სემინარებსა და მეტყველების შეფერხების ანდა აუტიზმის მქონე ბავშვებისათვის სამინაო ენობრივი პროგრამების აწყობაში.

www.lifeprint.com: დახმარება მუნჯური ენის სწავლებაში.

www.northernspeechservices.com: ინფორმაცია მეტყველების სწავლების სხვადასხვა პრობლემას მიძღვნილი სემინარების (ინტერნეტში და კონფერენციებზე) შესახებ.

www.talktools.net: ინფორმაცია და პროდუქტები მეტყველების კუნთოვანი თერაპიის გასაადვილებლად.

www.google.com: საძიებო სისტემა ვერბალური ქცევის პროგრამებისათვის ფოტოების ჩამოსატვირთად.

www.thepottystore.com: ტუალეტის მოხმარების წვრთნის მასალები და ცხრილები.

www.wrightslaw.com: ინფორმაცია სპეციალური განათლების შესახებ კანონის, განათლების შესახებ კანონისა და უნარშეზღუდული ბავშვების უფლებების დაცვის შესახებ.

www.autism-society.org: ინფორმაცია და მხარდაჭერა აუტიზმის შესახებ. ამერიკის აუტიზმის საზოგადოების ვებ-საიტი.

www.autismspeaks.org: აუტიზმის მქონე ბავშვების ოჯახების მხარდაჭერა, კვლევისათვის დაფინანსების მოზიდვა.

www.BACB.com: ქვევის ანალიტიკოსის სერტიფიცირების საბჭოს ვებ-საიტი. ინფორმაცია სერტიფიცირებული ანალიტიკოსებისა და მათი ადგილმდებარეობის შესახებ.

დასკრთი 6

ბიბლიოგრაფია და დამატებითი საკითხავი

Azrin, N. and Foxx, R. (1974) Toilet Training in Less Than a Day. Champaign, IL: Research Press.

Barbera, M.L. and Kubina, R.M. (2005) "Using Transfer Procedures to Teach Tacts to a Child with Autism." *The Analysis of Verbal Behavior*, 21, 155–161.

Bondy, A., Dickey, K. Black, D. and Buswell, S. (2002) *The Pyramid Approach to Education: Lesson Plans for Young Children, Volume 1*. Newark, DE: PECS.

Bondy, A. and Frost, L. (1994) *The Picture Exchange Communication System*. Newark, DE: Pyramid Educational Products.

Buchanan, S.M. and Weiss, M.J. (2006) *Applied Behavior Analysis and Autism: An Introduction*. Ewing, NJ: COSAC.

Caffrey, T. (2004) Video Presentation—Teaching Verbal Behavior in the Classroom. PA Verbal Behavior Project, October 2004.

Carbone, V. (2004) Practical Applications of Verbal Behavior Research. Autism Society of Berks County—Fifth Annual Conference.

Carbone, V. (2004) *The Verbal Behavior Approach to Teaching Children with Autism*. (CD modules) Collaborative Training Solutions.

Carbone, V. (2004) Invited Address: Clinical Applications of Verbal Behavior Research with Children with Autism. Presentation at the 30th Annual Convention of the Association of Behavior Analysts: Boston, MA.

Carr, J.E. and Firth, A.M. (2005) "The Verbal Behavior approach to early and intensive behavioral intervention for autism: A Call for Additional Empirical Support." *Journal of Early and Intensive Behavioral Intervention*, 2 (1), 18–26.

Carr, E.G. and Kologinsky, E. (1983) "Acquisition of Sign Language by Autistic Children Using a Time Delay Procedure." *Journal of Applied Behavioral Analysis*, 16, 297–314.

Cautilli, J. (2006) "Validation of the Verbal Behavior Package: Old Wine New Bottle—A Reply to Carr and Firth (2005)." *Journal of Speech and Language Pathology—Applied Behavior Analysis*, 1(1), 81–90.

Charlop, M.H., Schreibman, L. and Thibodeau, M.G. (1985) "Increasing Spontaneous Verbal Responding in Autistic Children Using a Time Delay Procedure." *Journal of Applied Behavioral Analysis*, 18, 155–166.

Cooper, J.O., Heron, T.E. and Heward, W.L. (1987) *Applied Behavior Analysis*. Upper Saddle River, NJ: Prentice Hall.

Drash, P.W., High, R.L. and Tudor, R.M. (1999) "Using Mand Training to Establish an Echoic Repertoire in Young Children with Autism." *The Analysis of Verbal Behavior*, 16, 29–44.

Drash, P.W. and Tudor, R.M. (2004) "An Analysis of Autism as a Contingency-shaped Disorder of Verbal Behavior." *The Analysis of Verbal Behavior*, 20, p 5–24.

Drash, P.W. and Tudor, R.M. (2006) "How to Prevent Autism by Teaching At-risk Infants and Toddlers to Talk." *Journal of Verbal Behavior*. Online at www.sarnet.org/lib/Drash.doc, accessed 10 December 2006.

Dunlap, G., Koegel, R. and Koegel, L. (1984) *Toilet Training for Children with Severe Handicaps*. Huntington, WV: Autism Training Center.

Eikeseth, S. (2001) "Recent criticisms of the UCLA Young Autism Project." *Behavioral Interventions*, 16, 249–264.

Engleman, S. and Carnine, D.W. (1982) *Theory of Instruction: Principles and Applications*. New York: Irvinston.

Exkorn, K.S. (2005) *The Autism Sourcebook: Everything You Need to Know about Diagnosis, Treatment, Coping, and Healing*. New York: ReganBooks.

Foxx, R. and Azrin, N. (1973) *Toilet Training Persons with Developmental Disabilities*. Champaign, IL: Research Press.

Gustason, G. and Zawolkow, E. (1993) *Signing Exact English*. Los Alamitos, CA: Modern Signs Press, Inc.

Hall, G.A., and Sundberg, M. L. (1987) "Teaching Mand by Manipulating Conditioned Establishing Operations." *The Analysis of Verbal Behavior*, 5, 41–53.

Harris, S.L. and Weiss, M.J. (1998) *Right from the Start: Behavioral Intervention for Young Children with Autism: A Guide for Parents and Professionals*. Bethesda, MD: Woodbine House, Inc.

Howard, J.S., Sparkman, C.R., Cohen, H.G., Green, G. and Stanislaw, H. (2005) "A Comparison of Intensive Behavior Analytic and Eclectic Treatments for Young Children with Autism." *Research in Developmental Disabilities*, 26, 359–383.

Iwata, B.A., Pace, G.M., Cowdery, G.E. and Miltenberger, R.G. (1994) "Toward a Functional Analysis of Self Injury." *Journal of Applied Behavior Analysis*, 27, 197–209. (Reprinted from *Analysis and Intervention in Developmental Disabilities*, 2, 3–20, 1982)

Jacobson, J.W., Mulick, J.A. and Green, G. (1998) "Cost-benefit Estimates for Early Intensive Behavioral Intervention for Young Children with Autism: General Models and Single State Case". *Behavioral Interventions*, 13, 201–226.

Kates-McElrath, K. and Axelrod, S. (2006) "Behavioral Intervention for Autism: A Distinction Between Two Behavior Analytic Approaches." *The Behavior Analyst Today*, 7 (2), 242–252.

Kibbe, H. and Twigg, C. (2001) *Teaching Verbal Behavior: Hands On Training for Tutors and Therapists, Workshop #4*. Presentation: New Jersey.

Koegel, L.K. and LaZebnik, C. (2004) *Overcoming Autism*. New York: Penguin Group.

Latham, G. (1990) *The Power of Positive Parenting*. North Logan, Utah: PandT Ink.

Lovaas, O.I. (1987) "Behavioral Treatment and Normal Educational and Intellectual Functioning in Young Autistic Children." *Journal of Consulting and Clinical Psychology*, 55, 3–9.

Lovaas, O.I. (2003) *Teaching Individuals with Developmental Delays*. Austin, TX: Pro-Ed.

Lowenkron, B. (2004) "Meaning: A Verbal Behavior Account." *The Analysis of Verbal Behavior*, 20, 77–97.

Manolson, A. (1992) *It Takes Two to Talk: A Parent's Guide to Helping Children Communicate*. Toronto: Hanen Centre.

Maurice, C. (1993) *Let Me Hear Your Voice: A Family's Triumph Over Autism*. New York: Knopf.

Maurice, C., Green, G. and Luce, S.C. (1996) *Behavioral Intervention for Young Children with Autism: A Manual for Parents and Professionals*. Austin, TX: Pro-Ed.

Mayerson, G. (2004) *How to Compromise with Your School District without Compromising Your Child: A Field Guide for Getting Effective Services for Children with Special Needs*. New York: DRL Books.

McEachin, J.J., Smith, T. and Lovaas, O.I. (1993) "Long-term Outcome for Children with Autism who Received Early Intensive Behavioral Treatment." *American Journal of Mental Retardation*, 97, 359–372.

Michael, J. (1985) "Two Kinds of Verbal Behavior plus a Possible Third." *The Analysis of Verbal Behavior*, 3, 1–4.

Michael, J. (1988) "Establishing Operations and the Mand." *The Analysis of Verbal Behavior*, 6, 3–9.

Miguel, C.F., Carr, J.E. and Michael, J. (2002) "The Effects of a Stimulus-Stimulus Pairing Procedure on the Vocal Behavior of Children Diagnosed with Autism." *The Analysis of Verbal Behavior*, 18, 3–13.

Mirenda, P. (2002) "Toward Functional Augmentative and Alternative Communication for Students with Autism: Manual Signs, Graphic Symbols, and Voice Output Communication Aids." *Language, Speech, and Hearing Services in Schools*, 34, 203–216.

Partington, J.W. and Sundberg, M.L. (1998) *The Assessment of Basic Language and Learning Skills*. Pleasant Hill, CA: Behavior Analysts, Inc.

Partington, J.W. and Sundberg, M.L. (1998) *The Assessment of Basic Language and Learning Skills: Scoring instructions and IEP Development Guide*. Pleasant Hill, CA: Behavior Analysts, Inc.

Pennsylvania Verbal Behavior Project (2006) *Family Handbook*. Retrieved September 25, 2006 from: <http://www.pattan.net/files/Autism/VerbalBeh0106.pdf>

Potter, B., and Brown, D. (1997) "A Review of Studies Examining the Nature of Selection-based and Topography-based Verbal Behavior." *The Analysis of Verbal Behavior*, 14, 85–103.

Shafer, E. (1994) "A review of Interventions to Teach a Mand Repertoire." *The Analysis of Verbal Behavior*, 12, 53–66.

Skinner, B.F. (1953) *Science and Human Behavior*. New York: Macmillan.

Skinner, B.F. (1957) *Verbal Behavior*. New York: Appleton-Century.

Sundberg, M. and Michael, J. (2001) "The Benefits of Skinner's Analysis of Verbal

Behavior for Children with Autism." *Behavior Modification*, 25, 698–724.

Sundberg, M.L., Michael, J., Partington, J.W. and Sundberg, C.A. (1996) "The role of Automatic Reinforcement in Early Language Acquisition." *The Analysis of Verbal Behavior*, 13, 21–37.

Sundberg, M.L. and Partington, J.W. (1998) *Teaching Language to Children with Autism or Other Developmental Disabilities*. California: Behavior Analysts, Inc.

Sundberg, M. and Partington, J. (2001) *Behavior Analysts Quick Tips. Behavior Teaching Strategies*, Pleasant Hill, CA: Behavior Analysts, Inc.

Vail, T., Freeman, D. and Peters, C. (2002) *Mariposa School Employee Training Manual*. Retrieved September 1, 2006 from: <http://www.mariposaschool.org/programs/TrainingManual.pdf>

Van Pelt, K. (1988) *Potty Training Your Baby*. Garden City Park, NY: Avery Publishing Group, Inc.

Watson, T.S. and Steege, M.W. (2003) *Conducting School-Based Functional Behavioral Assessments: A Practitioners Guide*. New York: Guilford.

Weiss, M.J. and Delmolino, L. (2006) "The Relationship between Early Learning Rates and Treatment Outcome for Children with Autism Receiving Intensive Home-based Applied Behavior Analysis." *The Behavior Analyst Today*, 7, 96–110.

Wheeler, M. (1998) *Toilet Training for Individuals with Autism and Related Disabilities*. Arlington, TX: Future Horizons.

Williams, G. and Greer, R.D. (1993) "A Comparison of Verbal-behavior and Linguistic-communication Curricula for Training Developmentally Delayed Adolescents to Acquire and Maintain Vocal Speech." *Behaviorology*, 1, 31–46.

Wiseman, N.D. (2006) *Could it be Autism? A Parent's Guide to the First Signs and Next Steps*. New York: Broadway Books.

Woolery, M., Ault, M.J. and Doyle, P.M. (1992) *Teaching Students with Moderate to Severe Disabilities*. White Plains, NY: Longman.

მერი ბარბერა, ქვევის ანალიტიკოსი და აუტიზმის მქონე ბავშვის მშობელი, საკუთარ წიგნში მარტივად და ეტაპობრივად გვიხსნის თუ როგორ დავეხმაროთ ბავშვებს ენობრივი და სამეტყველო უნარების ჩამოყალიბებაში. გამოცემაში მთელი თავი ეთმობა არასასურველი ქცევების შემცირების მეთოდებს, დართულია მეტად სასარგებლო ინფორმაცია ტუალეტის მოხმარებისა და თვითმოვლის სხვა მნიშვნელოვანი უნარების სწავლების შესახებ. ახსნილია, აგრეთვე, როგორ უნდა ვასწავლოთ არახმოვან ბავშვებს ჟესტური ენის გამოყენება.

ვერბალური ქვევის მიდგომა არის ქვევის გამოყენებითი ანალიზის ერთერთი ფორმა, რომელიც ეფუძნება ვერბალური ქვევის ბ.ფ. სკინერისეულ ანალიზს და განსაკუთრებით ეფექტურია მინიმალურად მეტყველი და ხმოვანი მეტყველების არმქონე ბავშვების შემთხვევაში. წიგნის მეშვეობით, როგორც ქვევის გამოყენებითი ანალიზის პრინციპებში გაუთვინობიერებელი მშობლები, ასევე პროფესიონალები მყისიერად შეძლებენ აუტიზმისა და მსგავსი დარღვევების მქონე ბავშვებთან ვერბალური ქვევის მიდგომით მუშაობას.

მერი ლინჩ ბარბერა, მეცნიერებათა დოქტორი, RN, BCBA-D, არის ქვევის სერტიფიცირებული ანალიტიკოსი და, აგრეთვე, რეგისტრირებული ექსანი. 2003-2010 წლებში მერი წამყვან ანალიტიკოსად მუშაობდა პენსილვანიის ვერბალური ქვევის პროექტში, რომლის მიზანი იყო პენსილვანიის შტატის სკოლებში, გაკვეთილზე ვერბალური ქვევის ტექნიკის ეფექტის შესწავლა. მერი ბარბერა იყო ამერიკის აუტიზმის საზოგადოების ბერქსის ოლქის ადგილობრივი ორგანიზაციის დამფუძნებელი პრეზიდენტი. მას აქვს აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ასულობით ბავშვთან მუშაობის და პროფესიონალთა მომზადების ხანგრძლივი გამოცდილება.

ტრენისი რასშუსანი არის მრავალი პრემიის მფლობელი ჟურნალისტი, რომელიც 25 წელზე მეტია სპეციალიზდება საშედიცინო თემებზე. ფსიქიკური პაციენტების ეროვნული ალიანსის სახელით, ტრენისი ხშირად საუბრობს ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე.

